საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (225)
16 - 22 ოქტომბერი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

3 მიხეილ სააკაშვილის დიდი თურქობა

## ოპერაცია «ლოკომოტივი»



5

ვის აძლევს ხელს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი? 4

არჩევნების შემდეგ «ქართულ ოცნებაში» დიდი გაწევ-გამოწევა იქნება?! 6

9 «ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ კაბილაშვილის უწყება არჩევნების შემდეგ აქტიურად ამუშავდება»

კაცის კაცი, ანუ პლასტილინის ფარშავანგი 14

«ბატონო პრემიერო, ის შლამი, რომელიც შეათრიეთ პარლამენტში, უმორჩილესად გთხოვთ, თან გაიყოლოთ» 25



## მცოცავი ოკუპაცია და მხოხავი მთავარსარდალი

2

## საქართველოს ნანგრევებზე თურქული დროშა აფრიალდება...

10



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აჭრელებულია თბილისი ბაქრაძის სურათებით. იმის მაგივრად, რომ დაეწერათ „ძებნაშია“, აწერია „პრეზიდენტობის კანდიდატი“. ეს კოჰაბიტაციას დავაბრალო თუ იმას, რომ გამგებლები ჯერ კიდევ „ნაცბანდის“ წევრები არიან?“**

# მცოცავი ოკუპაცია და მხოხავი მთავარსარდალი



**საოცარი ხალხი ვართ ქართველები. ძალიან საოცარი და, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მუდამ რამეს ან ვინმეს ველოდებით.**
**ველოდებით პენსიას, ველოდებით შეყვარებულს, ველოდებით არსენალი-ჩელსის X2-ს, კოაბიტაციის დასასრულს ან ახალ სატელევიზიო შოუს.**
**ველოდებით და, სანამ ჩვენ ბოლთას ვცემთ ან დივანზე წამოწოლილნი ტელეეკრანიდან სასურველი ინფორმაციის გაგონებას ველოდებით, მავანნი ჩვენს სახნავ-სათეს მიწებს ყიდიან, სტრატეგიულ ობიექტებს ასხვისებენ, ისეთ დოკუმენტებს აწერენ ხელს, რომ შედეგად ე. წ. მცოცავ ოკუპაციას ვღებულოთ, რომლის საპასუხოდაც ჩვენი ე. წ. სტრატეგიული პარტნიორები ყოველ სამ ფასიან შეშფოთებაზე ერთ უფასო აღშფოთებას გამოთქვამენ.**
**მოკლედ რომ ვთქვა, ვზივართ, ველოდებით.**
**არადა, ჰოი, საოცრებავ! ზოგჯერ მოლოდინიც ამართლებს. მაგალითად, პენსია გაიზარდა და 15-ის ნაცვლად 12-ში ჩაირიცხა (მერე რა, რომ სამ დღესაც არ ეყოფათ. მთავარია, რომ გაიზარდა და ჩაირიცხა); არსენალმა ფრე ითამაშა (მერე რა, რომ „ბავარიამ“ წააგო და „მაგარკუშიანმა“ ბილეთმა „გაასხა“. ფრე ხომ ითამაშა?); სოფელ N-ის რწმუნებული საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვისთვის მოხსნეს (მერე რა, რომ დედაქალაქის მერი ისევ უგულავაა და კიდევ დიდხანს იქნება; პრინციპში, ოდესმე ხომ გადაირჩევენ? მთავარია, რომ სამართლიანობა აღდგა და სოფელ N-ის რწმუნებული მოხსნეს). ეს და კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შემეძლო იმის დასადასტურებლად, რომ მოლოდინი ხანდახან ამართლებს.**
**კარგი, მოდით ამ ლიტერატურულ და პათეტიკურ წიაღსვლებს თავი დავანებოთ და მოკლედ მიმოვიხილოთ ის მოლოდინები, რომლებმაც გასულ კვირაში გაამართლა (ან არ გაამართლა).**

## მცოცავი ოკუპაცია და პროტესტი სოჭის ოლიმპიადას

წერილის ამ ქვეთავს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული რამდენიმე სტატუსით დავიწყებ:

**„მცოცავ ოკუპაციას აპროტესტებენ მხოხავი მთავარსარდლის მომხრეები. რა მაგარი ქვეყანაა“.**

**„საოცრება: ლგბტ სასტავის ქომაგები სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას უზნეობას ადარებენ“.**

კიდევ სხვა მრავალი სტატუსი დაიწერა. ისაუბრეს და გამოთქვეს თავიანთი (თავიანთი?) მოსაზრებები სხვადასხვა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. აკრიტიკეს მთავრობა (აღარ ვაკონკრეტებ, რომელი, რადგან ჯერჯერობით თითქმის ერთი და იგივეა), სპორტსმენები. გამოთქვეს შეშფოთება, შეაგროვეს როგორც ვირტუალური, ისე „ნამდვილი“ ხელმოწერები და საკუთარი პიარისთვის საკმაოდ ბევრი „ილვაწეს“.

შედეგი?

შედეგად კი მივიღეთ რამდენიმე აქცია, რომელთაც არანაირი შედეგი არ მოჰყოლია! **მივიღეთ მრავალნაცადი „ცოცხალი ჯაჭვი“, მუსიკოსთა პროტესტი და ამ აქციების ორგანიზატორთა მიერ დახარჯული თანხები. თანხები, რომელთა არც წარმომავლობას და არც რაოდენობას არავინ იტყვის, მაგრამ დამერწმუნეთ, იმდენი კი იქნებოდა, რომ საკმაოდ სერიოზულ დახმარებას გაუწევდა იმ რამდენიმე ოჯახს, რომლებსაც წინა და ახალი ხელისუფლებების დანაშაულისა და უნიათობის გამო თავიანთი მამაპაპისეული მიწებიდან აყრა მოუწიათ. ხოლო იმ ახალგაზრდებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, მართლაც უანგაროდ იდგნენ იმ ე.წ. ცოცხალ ჯაჭვში, ერჩივნათ, ფიზიკურად დახმარებოდნენ მავთულხლართს იქეთ დარჩენილი მოსავლის აღებაში** (იმ რამდენიმედღიან ვადაში, რომელიც რუსმა სამხედროებმა მისცეს) **ან ახალი საცხოვრებლის მოწყობაში** (პრინციპში, ჩემი ეს მოსაზრება დვანში ჩასულ ბევრ „მარიაჟს“ ეხება).

**სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებში, ძირითადად, ბოიკოტი და ნახევარბოიკოტი დომინირებდა.**

**„ბოიკოტელების“ შეხედულება ყველასთვის ცნობილია და ოსტაპ ბენდერის ფრაზას ჰგავს: – ჩვენი მკაცრი არა სოჭის ოლიმპიადას! ЗАГРАНИЦА НАМ ПОМОжЕТ!**

იმ ხალხისგან, რომლებიც ასე თავგამოდებით ეწინააღმდეგებიან ქართველი სპორტსმენების ოლიმპიადაზე წასვლას, სხვა რამეს არც ველოდი. არ მინდა ძალიან მკაცრი ვიყო ჩემს შეფასებებში, მაგრამ ყველა ისინი ნანახი გვყავს იმ სატელევიზიო გამოსვლებში, რომლებშიც მართლმადიდებელი სასულიერო პირების დასჯას მოითხოვდნენ, ამიტომ მათზე ყურადღების შეჩერება ჯერჯერობით არ ღირს.

რაც შეეხება ე. წ. ნახევრადმებოიკოტეებს, ეს მოქალაქეები „არც მწვადი დავწვათ და არც შამფურის“ პრინციპიდან გამოდიან და ელოდებიან, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება, ანუ, მოკლედ რომ ვთქვა, ჯერჯერობით პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი.

მათი მოთხოვნა ძალიან საინტერესო და სასაცილოა: **„დაე, საქართველოს წარმომადგენლებმა ოლიმპიური დროშის ქვეშ იასპარეზონ. ამით ვაჩვენებთ, რომ ვაპროტესტებთ, მაგრამ თან ვმონაწილეობთ!“**

არიან უფრო „რადიკალური ფრთის“ წარმომადგენლებიც, რომლებმაც მოითხოვეს, რომ ქართველ სპორტსმენებს ერთიანი საქართველოს რუკა ჰქონდეთ გამოსახული მაისურებზეო.

ჰო, რა ვიცი, რა ვიცი (პრინციპში გაგრძელება შემეძლო, მაგრამ არ ღირს). ამ ყველაფერთან დაკავშირებით ერთი კითხვა გამიჩნდა: ვინ აღმოაჩინა 4000 მეჩირაღდნეში იმ ავადსახსენებელი რუსი პილოტის გვარი (ახლა არ მითხრან, რომ სახეზე ვიცანითო)?

## წინასაარჩევნო შეხვედრები

**გასული კვირაც გადატვირთული იყო საპრეზიდენტო კანდიდატებისა და მოსახლეობის წინასაარჩევნო შეხვედრებით.**

მართალი გითხრათ, ამ შეხვედრებში ბევრი ვერაფერი ახალი ვერ დავინახე. იფრქვევა დაპირებები **„რძის მდინარეებისა და კისელის ნაპირების“** შესახებ და არის შეფარული რისხვა ოპონენტების მიმართ.

**მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის სულ რაღაც 23 კანდიდატია დარეგისტრირებული** (აბა, იმ ქვეყნებს ხომ არ დავემსგავსებით, რომლებსაც სამი, ჰა და ჰა, გაწელე, ოთხი კანდიდატი ძლივს უგროვდებათ. ეგ არაამბიციურები ეგენი!), **მოსახლეობასთან შეხვედრებს აქტიურად მხოლოდ ექვსი საარჩევნო სუბიექტი: ნინო ბურჯანაძე, გიორგი მარგველაშვილი, შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე, ზურაბ ხარატიშვილი და დავით ბაქრაძე მართავენ. ყოველ შემთხვევაში ე. წ. ნაციონალური არხებით მხოლოდ მათი გადაადგილებები შუქდება. სრულიად შესაძლებელია, რომ დანარჩენი ჩვიდმეტიც აქტიურად მუშაობდეს ელექტორატთან, მაგრამ, სავარაუდოდ, ჩემს ტელეკოლეგებს უბნის ბირჟაზე ან სამეგობროში გამართული დებატები, მაინცდამაინც არ აინტერესებთ** (პრინციპში, არც დანარჩენ მოსახლეობას).

ამ ექვსიდანაც, გინდა არ გინდა, მაინც სამ კანდიდატს შესცქერის მთელი დემოკრატიული სამყარო.

იმაზე, თუ ვის რა შანსი აქვს ან რა შიდა დინებებია საარჩევნო პროცესში, თითქმის ყველა ექსპერტი და ჟურნალისტი განიხილავს. განიხილავს და ათას ჭორ-მართალს გვიყვება. მე მხოლოდ იმ შეხვედრების მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლები, რომელთა დროსაც კანდიდატებმა თავიანთი უპირატესობა უნდა დაამტკიცონ.

საზოგადოება ამ ფართიფურთს სხვადასხვაგვარად აღიქვამს და საკმაოდ ნათლადაც გამოხატავს თავის შეფასებებს.

საზოგადოების სოციალურად აქტიური ნაწილის გარკვეული რაოდენობა სოციალურ ქსელებში აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. ეს შეფასებები თუნდაც იმიტომაა საინტერესო, რომ, გარდა სუბიექტური პოზიციისა (რაც აშკარად ჩანს), მრავლად გვხვდება ისეთი სტატუსები, რომლებიც იმ ხალხის შეხედულებებს გამოხატავს, რომელთაც ინტერნეტთან და კომპიუტერთან ხელი არ მიუწვდებათ.

ასევე მრავლად არის სხვადასხვა „არაცნობადი“ სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციები, რომლებიც ცდილობენ, მაქსიმალურად მეტი სკანდალური მასალა მოიპოვონ და, რადგანაც მათს ჟურნალისტებს პრეზიდენტობის კანდიდატთა პრესსპიკერები საკმაოდ აქტიურად ბლოკავენ, ამიტომ ინტერნეტმომხმარებელს რიგითი მოქალაქეების ფრაზებს თუ გამონათქვამებს აცნობენ.

რაღა დაგიმალოთ და, **სოციალურ ქსელებში ყველაზე მეტად ბურჯანაძის, მარგველაშვილისა და ბაქრაძის მხარდამჭერები აქტიურობენ და ერთმანეთისგან ცა და მიწასავით განსხვავდებიან.**

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ **ბურჯანაძის მომხრეები იშვიათად შედიან პოლემიკაში სხვა კანდიდატების მომხრეებთან. „მეოცნებეები“ კი მთავარ კედელზე, ანუ „გალავინსკაზე“ შემომხტარ „ნაცებს“, რომლებიც წერტილოვანი დარტყმებით ცდილობენ თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას, ისე მიესევიან, რომ კომპიუტერის ეკრანზეც კი ჩანს ადენილი ბდღვირი და გაქცეული „ნაცმოელის“ ქუსლები.**

მინდა შემოგთავაზოთ ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ის რამდენიმე ინფორმაცია თუ პოსტი, რომლებიც საპრეზიდენტო კანდიდატების შეხვედრებს „ეძღვნება“.

**„ხმას კი არა, სიკვდილს მივცემთ, ეს ორწუთიანი გამოსვლა რა იყო? წერილის გადაცემა მინდოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვეცა. ტრიბუნიდან დაპირებები მოგვცეს, თუმცა ტრიბუნიდან ჩამოვლისთანავე ეს დაპირებები დაავიწყდათ. ქვეყანაში უმუშევრობა სუფევს და პირადად მინდოდა მეთხოვა, რაიმე დახმარება აღმოეჩინა. ყველა თავის სკამზე ზრუნავს,“** — აღნიშნა შეხვედრაზე მისულმა ქუთაისელმა ამომრჩეველმა ეთერ კაკაბაძემ (ნიუპოსტის ინფორმაცია).

**„გამარჯობათ, მეგობრებო! აჭრელებული არის თბილისი ბაქრაძის სურათებით. იმის მაგივრად, რომ დაეწერათ „ძებნაშია“, აწერია „პრეზიდენტობის კანდიდატი“. ეს კოჰაბიტაციას დავაბრალო თუ იმას, რომ გამგებლები ჯერ კიდევ „ნაცბანდის“ წევრები არიან?“**

„ერთად ვაკონტროლოთ ხელისუფლება:

1. დავიწყოთ იმ 15 000 ლარით, რომელიც ბიუჯეტიდან დახარჯა ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის, ამჟამინდელი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის და საპრეზიდენტო კანდიდატის მეუღლემ ეგვიპტის ერთ-ერთი კურორტიდან მობილური ტელეფონით საუბარში (კი არაფერი, ახლა ვილაცამ ტელეფონით იჭორავა, მარა რა ვიცი, თუ კონტროლია კონტროლი იყოს);

2. თბილისის მერიის მიერ რესტორნებში, სტრიპტიზ ბარებში, დედაქალაქის მერის მეუღლის ბოტოქსში და ა.შ. სისულელეებში დახარჯული თანხები (კი არაფერი, ახლა ვილაცა გაერთო, მარა რა ვიცი, თუ კონტროლია კონტროლი იყოს).“

კიდევ ბევრი რამ მოხდა გასულ კვირაში, ძალიან ბევრი რამ.

გარდა იმისა, რომ რესპუბლიკელმა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით ბერძენიშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ **„ქართული სიმართლე მაშინაა სიმართლე, თუ ეს სიმართლე ევროპულ სიმართლეს და ამერიკულ სიმართლეს ემთხვევაო!“** და კიდევ ერთხელ დაგვანახა რესპუბლიკური პარტიის ნამდვილი სახე. შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გავარდა გია სურამელაშვილი. ინდოეთს ციკლონი დატყდა თავს, საქართველოს ნაკრებმა ვარჯიში დაიწყო. კიდევ სხვა უამრავი აქტუალური და საჭირბოროტო მოვლენა მოხდა, მაგრამ ბუნებრივია, ყველას ვერ განვიხილავ. ამიტომ ახლა დაგემშვიდობებით და შეგახსენებთ, რომ ახალ არჩევნებამდე დარჩა 12 დღე!

**გია გაბრიჭიძე**

**მოქალაქეობის ტოტალური დარიგება ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელი ჩანს. ვინ ადგენს და ამოწმებს სიებს, რომლებსაც სააკაშვილი ხელს აწერს? ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ამ სიებში არ მოხვდებიან რადიკალი ისლამისტები ან ოსმალეთის ახალი იმპერიის შექმნის აპოლოგეტები, რომელნიც მჭიდროდ თანამშრომლობენ მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურებთან? მსგავსი გარანტიები არ არსებობს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილის დიდი თურქობა

**„რამდენიმე კვირის წინ ათასამდე ჩვენს თანამემამულეს გადავეცით საქართველოს მოქალაქეობა. ამ დღეებში კიდევ 3000 ჩვენს სისხლს და ხორცს, ჩვენს თანამემამულეს გადაეცემა საქართველოს მოქალაქეობა. უახლოეს კვირებში კი დამატებით ათასობით ჩვენი თანამამულე, რომელიც საუბრობს ქართულად, თავს გრძნობს ქართველად, უყვარს საქართველო, უნდა, რომ საქართველოს რამეში დაეხმაროს, ყველა მიიღებს ჩვენგან მოქალაქეობას“, — განაცხადა გასულ კვირას თურქეთში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა (ინტერპრესნიუსი). აშკარაა, რომ აღწერილ სიტუაციას საქართველოს უახლეს ისტორიაში ანალოგი არ აქვს. რა დგას ამის უკან — მენტალური აშლილობის ახალი, ჯერაც შეუსწავლელი სტადია თუ საკუთარი ერის მიერ შეძულებული რენეგატის ასე თუ ისე ლოგიკური პოლიტიკური გეგმა?**



მიხეილ სააკაშვილი გაჩერებას არ აპირებს: **„ჩემთვის განსაკუთრებული პატივია ბოლო დღეები, ბოლო კვირეები, რამდენი დროც მაქვს, ორივე ხელით ვაწერო, მარჯვენა და მარცხენა ხელით ბრძანებულებებს, რომ თქვენ მოგცეთ მოქალაქეობა“.** გამორიცხული არაა, რომ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ის საქართველოს მოქალაქეობას თურქეთის ათიათასობით მოქალაქეს მიანიჭებს. ამ ნაბიჯმა როგორც აჭარაში, ისე მთლიანად საქართველოში შექმნილ ვითარებაზე შეიძლება ძალიან ცუდი გავლენა მოახდინოს.

ჩვენ, ცხადია, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმ ადამიანებისა, რომლებიც თურქეთში ცხოვრობენ და ამავე დროს „საუბრობენ ქართულად, თავს გრძნობენ ქართველებად, უყვართ საქართველო“, მაგრამ **მოქალაქეობის ტოტალური დარიგება ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელი ჩანს. ვინ ადგენს და ამოწმებს სიებს, რომლებსაც სააკაშვილი ხელს აწერს? ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ამ სიებში არ მოხვდებიან რადიკალი ისლამისტები ან ოსმალეთის ახალი იმპერიის შექმნის აპოლოგეტები, რომელნიც მჭიდროდ თანამშრომლობენ მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურებთან? მსგავსი გარანტიები არ არსებობს,** ხოლო სააკაშვილის თანმდევი კომენტარებიდან რამდენადმე ღირებული დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, რადგან ის ამ (და არა მარტო) თემაზე აშკარად არაამქვეყნიურ ლოგიკაზე დაყრდნობით მსჯელობს, აგერ მაგალითი: **„საქართველოს კონსტიტუცია ძალზე მნიშვნელოვანი კანონია, მაგრამ მასზე მაღლა დგას მარადისობის კანონი. ქართველობა კი განისაზღვრება როგორც კონსტიტუციით, ისე მარადისობის კანონით“.**

ყოველივე ამაში დამნაშავე არა მხოლოდ ფიგურანტი, არამედ ახალი ხელისუფლებაცაა; იანვარში მან გადააბიჯა ზემოთ ნახსენებ კონსტიტუციას და სააკაშვილს პოსტზე ყოფნის ვადა ხელოვნურად გაუხანგრძლივა, თანაც ისე, რომ ფსიქიატრიულიდან და ნარკოლოგიურიდან ცნობების მოტანაც კი არ მოსთხოვა. ამის შემდეგ ეს ადამიანი სხვას არაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ ეროვნულ უსაფრთხოებას ერთი მეორის მიყოლებით ახალ პრობლემებს უქმნის, რომელთაგან განხილული, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულია.

**მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილს ვაშინგტონში არაერთი ლობისტი ჰყავს, ის განაწყენებულია ამერიკელებზე იმ პოზიციის გამო, რომელიც მათ 2012 წლის ოქტომბერში დაიკავეს. რიგი განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღარ ენდობა მათ და, სავარაუდოდ, კარგად აცნობიერებს, რომ ისინი თავიანთ გათვლებში სავსებით რაციონალურები არიან და არ შეუწყობენ ხელს მის დაბრუნებას ხელისუფლებაში, რადგან ხედავენ, რომ ამას საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება; მსგავს მცდელობას, დიდი ალბათობით, სამოქალაქო ომი, ქაოსი, რეგიონში აშშ-ის პოზიციების დასუსტება (და რუსეთის წინსვლა) მოჰყვება.** მაგრამ ვინაიდან ამერიკელები ნელ-ნელა დისტანცირებას ახდენენ პროცესების უშუალო მართვისგან, ცდილობენ, მიკრომენეჯმენტში აღარ ჩაერიონ, ხოლო რეგიონულ მოთამაშეებს მოქმედებისთვის სულ უფრო ფართო სივრცე ეხსნებათ, **გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილმა გადაწყვიტა საკუთარი მომავალი აშშ-ის რეგიონულ პარტნიორს — თურქეთს დაუკავშიროს, მარტივად რომ ვთქვათ, თურქეთის მარიონეტი გახდეს და მის ნებისმიერ დაკვეთას ხელი მოაწეროს** (როგორც თვითონ თქვა, მარჯვენაც და მარცხენაც). რაციონალური და გამოცდილი ამერიკელებისგან განსხვავებით, რომელთაც, ყველა მინუსის მიუხედავად, ასე თუ ისე შეუძლიათ გამოთვალონ თავიანთი ნაბიჯების მოსალოდნელი შედეგები, **თანამედროვე თურქეთმა მზარდი ამბიციებით და გავლენით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მის საგარეო პოლიტიკაში ფრთხილი ქემალისტური ტრადიცია ნელ-ნელა დაითრგუნება** (ჩვენ დღეს ამ პროცესის საწყის ეტაპს ვხედავთ), **ნამდვილად შეიძლება გააკეთოს სტრატეგიულად მცდარი არჩევანი, თავის მთავარ პარტნიორად საქართველოში სააკაშვილი აირჩიოს და მას ხელისუფლების დაბრუნებაში დაეხმაროს.**

აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ **ჩვენ ვსაუბრობთ არა დღევანდელ თურქეთზე, რომელიც ტრანსფორმაციას განიცდის და რომელშიც, ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ ძლიერია ქემალისტური რეალიზმი, არამედ იმ თურქეთზე, რომელსაც, დიდი ალბათობით, ამ ტრანსფორმაციის შედეგად მივიღებთ — უფრო აგრესიულზე, ამბიციურსა და თამამზე, სადაც რადიკალური ისლამისტური ძალების გავლენა გაცილებით დიდი იქნება.** ერთი მეორის მიყოლებით ეცემა მეტ-ნაკლებად ძლიერი სახელმწიფოები, რომელთაც მუსლიმანურ სამყაროში და ახლო აღმოსავლეთში ლიდერობის ამბიცია და შესაბამისი გავლენა ჰქონდათ. ეგვიპტე ქაოსშია, სირიაში ომია, ერაყი უბედურების ზონად გადაიქცა, საუდის არაბეთი დინასტიური კრიზისის, შიიტური უმცირესობის ბუნტის და „გაზაფხულის“ ტიპის არეულობის საფრთხის წინაშე დგას, ირანი თითქოს აქტიურად მიიწევს წინ, მაგრამ სერიოზული წინააღმდეგობა ხვდება და უამრავი პრობლემა აქვს.

მოკლედ, **არსებობს არაერთი წინაპირობა იმისთვის, რომ თურქეთმა საკუთარი გავლენა სწრაფად გაზარდოს. მის რეგიონულ კონკურენტებს როდი აძლევთ ხელს, რომ მისი ძალისხმევის მთავარი ვექტორი სამხრეთით იყოს მიმართული. შესაძლოა, მათთვის გაცილებით მომგებიანია, თურქეთმა კონცენტრირება ჩრდილოეთსა და აზერბაიჯანზე (თავის ნავთობიანად) მოახდინოს, რაც დღის წესრიგში ბუნებრივად საქართველოს საიმედო გაკონტროლების საკითხს დააყენებს, თუ უკვე არ დააყენა** (ამ კონტექსტში, ალბათ, უნდა გავიხსენოთ სააკაშვილის უცნაური იდეები ქართულ-აზერბაიჯანულ კონფედერაციაზე თურქეთის პატრონაჟის ქვეშ), მითუმეტეს, რომ **აქ თურქეთმა შეიძლება პირველ ეტაპზე იოლად დაძლიოს სამხრეთ კავკასიის სუსტი სახელმწიფოების ნებისმიერი სახის წინააღმდეგობა, მაგრამ ამის შემდეგ ის პრაქტიკულად გარანტირებულად „შეტოპავს“ დაპირისპირებაში რუსეთთან. თამაშმა ამ ორი ძალის წინააღმდეგობაზე რეგიონში ვაშინგტონს, იდეაში, შეიძლება დიდი ბონუსები მოუტანოს და ვერავინ იტყვის გადაჭრით, რომ მას ეს არ აძლევს ხელს.**

თურქეთის გავლენის ზრდამ საქართველოში, რომელიც ასე თვალშისაცემია აჭარაში, მაგრამ მხოლოდ ამ რეგიონით არ შემოიფარგლება, უკვე მიაღწია იმ ზღვარს, რომლის გადალახვის შემდეგ იწყება აქტიური ჩარევა სუსტი ქვეყნის საშინაო საქმეებში და ოპერირება მის პოლიტიკურ სივრცეში; **ამერიკელების ეტაპობრივი დისტანცირება პროცესების უშუალო მართვისგან თურქეთს ხელს სულ უფრო მეტად გაუხსნის და სააკაშვილის მსგავსი პოლიტიკოსები ყოველთვის მზად იქნებიან, მისი დაკვეთა შეასრულონ.** მომავალში მას, აგრეთვე, შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება, შეაშინოს საქართველოს ურჩი ხელისუფლება აჭარაში კონფლიქტის პროვოცირებით, რომელსაც შეიძლება ავტონომიურ რესპუბლიკაში თურქული ძალების შეყვანა და მასზე სრული კონტროლის დამყარება მოჰყვეს. **ყველა შესაძლო საფრთეს ვერავინ ჩამოთვლის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ თურქეთის ტრანსფორმაცია მისი მეზობლებისთვის არასასურველი მიმართულებით წავა.**

1918-ში, როდესაც თურქეთის ჯარებმა ბრესტის ზავით დადგენილი ხაზი გადალახეს და ჩრდილოეთით დაიძრნენ, ისინი გერმანელებმა შეაჩერეს და ამით საქართველო გადაარჩინეს, მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ ბრიუსელი ან ვაშინგტონი XXI საუკუნეში ჩვენთვის იმავე როლს შეასრულებენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თურქულ ექსპანსიას უხეში ძალისმიერი ხასიათი არ ექნება და ის ძირითადად „რბილი ძალის“ გამოყენებით შემოიფარგლება. **რაოდენ უსიამოვნოდაც უნდა გაიჟღეროს, ნებისმიერ სფეროში** (სამხედროში ხომ საერთოდ) **საქართველოს თურქეთთან ერთიერთზე არანაირი შანსი არ აქვს.**

გამორიცხული არც ისაა, რომ რაღაც მომენტში ახლო მომავალში ქართული ელიტა მივა დასკვნამდე, რომ თურქული ექსპანსიის დაბალანსება (ან შეჩერება მოვლენების რადიკალური სცენარით განვითარების შემთხვევაში) მხოლოდ რუსეთს შეუძლია და ის, ისევე, როგორც ძველად, „ბოჟე ცარია ხრანი“-ს ძახილით მოსკოვში გავარდება. დღეს ეს წარმოუდგენელი ჩანს, მაგრამ ისტორია ძალიან უცნაური (ერთობ ცინიკური და ირონიული) რამ არის, ხანდახან მეორდება ხოლმე და **იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ასე დადგება — თურქეთი ან რუსეთი, რაც (მსოფლიოში და რეგიონში) მზარდი დესტაბილიზაციის ფონზე გამორიცხული ნამდვილად არაა, განწყობა საქართველოში შეიძლება ძალიან სწრაფად და დრამატულად შეიცვალოს.**

საკითხი (და საერთოდ, ნებისმიერი „ან — ან“ ტიპის არჩევანი ორიენტაციასთან დაკავშირებით) ასე არ დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მჭიდრო ინტეგრაციის გზას დაადგებოდა და შექმნიდა საკმარისად ძლიერ, ანგარიშგასაწევი რესურსების მქონე გაერთიანებას, რომელსაც უცხო სახელმწიფოები ასე იოლად ვერ აბურთავებდნენ. მაგრამ ყარაბაღის ომმა და რიგმა სხვა ფაქტორებმა ამის შესაძლებლობა მოსპეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 90-იანებში ჩვენ, ისევე, როგორც აზერბაიჯანელებსა და სომხებს, უბრალოდ, არ შეგვეძლო განგვეჭვრიტა სტრატეგიული პერსპექტივა და მსგავსი იდეები პოპულარული ვერ გახდებოდა. ამ გზით წასვლა დღეს პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს.

**საერთოდ, იმ საფრთხეებზე საუბრისას, რომლებიც საქართველოში თურქეთის გავლენის ზრდას უკავშირდება, ჩვენ არ უნდა გადავვარდეთ თურქოფობიაში და მითუმეტეს სპეკულაციებში რელიგიურ თემებზე; საუბარს ამ საკითხზე ცივი გონება, სახელმწიფოებრივი მიდგომა და მაქსიმალური სიფრთხილე სჭირდება.** ფაქტია, რომ **მიხეილ სააკაშვილმა თურქეთის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მასობრივი დარიგებით შეიძლება ძალიან სერიოზული პრობლემები შექმნას, რომლებთანაც გამკლავება წლების განმავლობაში მოგვიწევს.** ამიტომ, ალბათ, სასურველია, მთავრობამ მიიღოს ზომები იმისთვის, რომ ეს, ერთი ადამიანის ამბიციებზე თუ მენტალურ აშლილობაზე დამოკიდებული, ფაქტობრივად, უკონტროლო პროცესი დაბლოკოს. **ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს ხისტად და ყოყმანის გარეშე, მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით; ზედმეტი რევერანსები საჭირო არ არის.**

არავინ იცის, კიდევ რას მოაწერს ხელს მიხეილ სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციის დატოვებამდე დარჩენილ დღეებში და რა შარში გახვევს საქართველოს. არაერთი კომენტატორი საუბრობს იმაზე, რომ ფიგურანტი „ისე არ წავა, რომ კუდი არ მოიქნიოს“. ამიტომ ხელისუფლებაც და საზოგადოებაც, ალბათ, ძალიან ფხიზლად უნდა იყოს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ხსენებული კუდი სწრაფად, ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე მოკვეთოს.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თვალშისაცემია, რომ ოლიამპიადაზე საქართველოს ნაკრების წასვლას ძირითადად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული საზოგადოების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან. პოლიტიკური ქვეტექსტი ამ შემთხვევაში ზედაპირზე დევს — ოლიმპიადის ბოიკოტი და მასთან დაკავშირებული სირთულეები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს ივანიშვილის მთავრობის მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას.**

# ვის აძლევს ხელს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი?

**გასულ კვირას საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული თემა სოჭის ოლიმპიადის შესაძლო ბოიკოტი იყო. პოლიტიკოსებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა ნაწილი მოითხოვდა, რომ მთავრობას სოჭში ქართველი ოლიმპიელების გაგზავნაზე უარი ეთქვა. ვინ დგას ამ მოთხოვნების უკან და რის მიღწევას ცდილობს? რას მოგვიტანს ოლიმპიადის ბოიკოტი და როგორ უნდა მოიქცეს ამ სიტუაციაში ხელისუფლება?**



## ერთიანი ნაციონალური უმცირესობა

**„ენ-დი-აის" კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც სექტემბერში გამოქვეყნდა, რესპონდენტების 76%-ისთვის 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობა მისაღებია, 11%-მა უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა, ხოლო 13%-მა განაცხადა, რომ ამ საკითხზე პოზიცია არ აქვს.** მართალია, საქართველოში „ენ-დი-აის" კვლევებს უნდობლობით ეკიდებიან, ვინაიდან ეს ორგანიზაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ რეალობასთან აშკარად შეუსაბამო რეიტინგებს აქვეყნებდა, თუმცა, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლას უშუალოდ არ ეხება, „ენ-დი-აი", როგორც წესი, მეტ-ნაკლებად ადეკვატურ ციფრებს ახმოვანებს და მათ, პირდაპირ ან ირიბად, ქართული სოციოლოგიური სამსახურებისა და ინტერნეტ-გამოკითხვების შესაბამისი შედეგები ადასტურებს.

ამ გამოკითხვის ჩატარების პერიოდში ქართული საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო, რომ ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებდა მფრინავი ივან ნეჩაევი, რომელსაც რუსეთში აგვისტოს ომის გმირად თვლიან, ხოლო კრიზისმა, რომელიც კონფლიქტის რეგიონში მავთულხლართის გაბმის ახალ ეტაპს დაუკავშირდა და რუსულ-ქართულ „განმუხტვაში" სერიოზული დაძაბულობა შემოიტანა, პიკს არ მიაღწია. ამასთანავე, იმ მომენტში ბოიკოტის მომხრეები ასეთ მასშტაბურ სააგიტაციო კამპანიას არ აწარმოებდნენ, მაგრამ, ამ გარემოებების მიუხედავად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბოიკოტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ხვედრითი წილი რადიკალურად შეიცვალა, ამ მოსაზრებას ირიბად ადასტურებს მედიისთვის გაკეთებული განცხადებების თანაფარდობა, აგრეთვე, სხვადასხვა ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგები; ამ დროისთვის, ისევე, როგორც სექტემბერში, ბოიკოტის მომხრეები, სავარაუდოდ, აშკარა უმცირესობაში არიან.

**თვალშისაცემია, რომ ოლიამპიადაზე საქართველოს ნაკრების წასვლას ძირითადად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული საზოგადოების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან.** პოლიტიკური ქვეტექსტი ამ შემთხვევაში ზედაპირზე დევს — **ოლიმპიადის ბოიკოტი და მასთან დაკავშირებული სირთულეები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს ივანიშვილის მთავრობის მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას.** მართალია, ბოიკოტის ყველა მომხრეს არ შეიძლება (ღია ან ლატენტური) „ნაციონალი" ვუწოდოთ, თუმცა პრაქტიკულად შეუძლებელია, მათ ვერ დაინახონ, ვის გვერდით დგანან დღეს და ვერ გაიაზრონ, რომ, ფაქტობრივად, „ნაციონალებთან" ალიანსში შევიდნენ. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი — **ესა თუ ის ადამიანი შეიძლება არ იზიარებდეს „ნაციონალების" შეხედულებებს და 2012 წლის არჩევნებში ხმა მათ წინააღმდეგ ჰქონდეს მიცემული, მაგრამ ვერ აცნობიერებდეს, რომ საგარეო პოლიტიკაში რადიკალური და მეტწილად ძალიან ცუდად გათვლილი მოქმედება** (მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილის სტილი) **ერთადერთი შესაძლებელი არ არის. ამ შემთხვევაში საქმე ორ პრობლემასთან გვაქვს — ერთის მხრივ, ზნეობრივი კომპრომისის პრობლემაა, რომელიც, ბოიკოტის კამპანიის ფარგლებში, უკავშირდება თანამშრომლობას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთან, რაც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის** (ამ საკითხს ეხება თუ ნებისმიერ სხვას) **აბსოლუტურად მიუღებელია და, მეორეს მხრივ, რადიკალიზმით გაჟღენთილი შეხედულებები საგარეო პოლიტიკაზე, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე** (შესაბამისი რეცეპტების ძიებით).

**სოჭის ოლიმპიადაზე ტერორისტული შეტევის შემთხვევაში ვლადიმერ პუტინის რეაქცია უკიდურესად ხისტი იქნება და, თუ ამ საპასუხო დარტყმის ქვეშ საქართველოც მოექცევა, ამან აშშ-ის პოზიციებს რეგიონში შეიძლება არანაკლები საფრთხე შეუქმნას, ვიდრე აგვისტოს ომმა**

ივანიშვილის მთავრობის ნება ჯერჯერობით ურყევი ჩანს; ის მხარს ოლიმპიადაში მონაწილეობას უჭერს. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ საშიში გარემოება — **კამპანია, რომელიც ახალი ხელისუფლების ოპონენტებმა წამოიწყეს, წარმოაჩენს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს, როგორც რუსეთის მოქმედებების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის ყველაზე მკვეთრ და აქტუალურ ფორმას და ეს დამოკიდებულება გარკვეული დროის შემდეგ, დიდი ალბათობით, მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილში გავრცელდება.** იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში კონფლიქტის ზონაში მოხდება რაიმე მძიმე ინციდენტი (ღმერთმა დაგვიფაროს!) სისხლისღვრით, ივანიშვილის მოწინააღმდეგეებს შესაძლებლობა მიეცემათ, მთავრობის ნებისმიერი ნაბიჯი, თუნდაც ის რეალურად ბოიკოტზე მკვეთრი იყოს, არასაკმარისად წარმოაჩინონ, ვინაიდან ახლო მომავალში ისინი, სავარაუდოდ, მიაღწევენ იმას, რომ სწორედ ბოიკოტი იყოს პოზიციონირებული, როგორც „ერთადერთი ადეკვატური გადაწყვეტილება". **მთავრობა რთული არჩევანის წინაშე დადგება, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საიმიჯო დანაკარგები მოჰყვება.**

## არასპორტული საქციელი

როდესაც 2008 წლის 8-9 აგვისტოს გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა შეიძლება პეკინის ოლიმპიადა დატოვონ, რუსულ მედიაში დაფიქსირდა მოსაზრება, რომ ამის გამო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეიძლება ქართველი ოლიმპიელები რვაწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯოს. საინტერესოა, რომ ეს ვერსია საქართველოში ძალიან ფართოდ გავრცელდა და დღეს, როდესაც სოციალურ ქსელებში სოჭის ოლიმპიადის შესაძლო ბოიკოტის თემა განიხილება, რვაწლიან დისკვალიფიკაციაზე საუბრობენ, როგორც რაღაც გარდაუვალზე; ეს არასწორია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება სხვაგვარი იყოს. ამასთანავე, ძალიან ფართოდ გავრცელებულია კიდევ ერთი არაკორექტული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მიერ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს „ვერავინ შეამჩნევს". **ოლიმპიადის ბოიკოტი ნებისმიერი ქვეყნის მიერ, თუნდაც ის საქართველოზე სუსტი და პატარა იყოს, ძალზე რეზონანსული მოვლენაა და ის საინფორმაციო ნაკადში გარანტირებულად არ დაიკარგება. ორივე ეს არგუმენტი თითქოს ბოიკოტის მომხრეთა სასარგებლოდ მუშაობს, მაგრამ ვერ იგერიებს მათ წინააღმდეგ მიმართულ მთავარ ბრალდებას სპორტის პოლიტიზირების მცდელობასთან დაკავშირებით.**

ერთია, როდესაც ოლიმპიადის ბოიკოტს ორგანიზებას მძლავრი კოალიცია უწევს. ამ კონტექსტში, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ არა მხოლოდ 1980 წლის მოსკოვის (აშშ და მოკავშირეები) და 1984 წლის ლოს-ანჟელესის (სოციალისტური ბანაკი) ოლიმპიადების ბოიკოტზე, არამედ 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის ბოიკოტზე აფრიკული ქვეყნების მიერ. მაგრამ **დღეს საქართველო, ძალიან დიდი ალბათობით, ვერ მიაღწევს იმას, რომ მის ნაბიჯს თუნდაც რამდენიმე ქვეყანა შეურთდეს, როგორც ეს, მაგალითად, 1956-ში მოხდა, როდესაც ეგვიპტის ბოიკოტს** (ბრიტანულ-ფრანგული ინტერვენციის გამო; სუეცის კრიზისი) **ერაყი, ლიბანი და კამბოჯა შეურთდნენ, ხოლო სსრკ-ის უნგრეთში მოქმედების გამო იგივე გადაწყვეტილება ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ და ესპანეთმა მიიღეს.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაშინ ადგილი ჰქონდა მასშტაბურ სისხლისღვრას და არსებობდა საკმარისად სერიოზული საბაბი იმისთვის, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებს ოლიმპიადაში მონაწილეობის ადრე მიღებული გადაწყვეტილება შეეცვალათ. **თუ საქართველო სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის გადაწყვეტილებას 2008-ში ან 2009-ში მიიღებდა, მაშინ ამ ნაბიჯს სულ სხვა გამოხმაურება მოჰყვებოდა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ ამის გაკეთება ვერ გაბედა** (ის შემოიფარგლა მხოლოდ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიმართვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისადმი სოჭის ოლიმპიადის სხვა ქვეყანაში გადატანის თაობაზე, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო). **დღეს კი „ნაციონალებს" სურთ, ივანიშვილის მთავრობამ გააკეთოს ის, რაც თვითონ არ** (ვერ) **გააკეთეს.**

**2008-09 წლებში შედარებით იოლი ასახსნელი იყო, თუ რატომ მიმართავს საქართველო ბოიკოტს, მაგრამ მაშინ ოფიციალურ თბილისს ოლიმპიადაში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობასთან დაკავშირებით პოზიცია არ შეუცვლია. ამ ეტაპზე კი განუზომლად დიდია იმის ალბათობა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შეაფასებს ქართულ ბოიკოტს, როგორც ოლიმპიური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ აქტს** (რასაც, იდეაში, შეიძლება გარკვეული სანქციები მოაყოლოს) და თითქმის გარანტირებულად არც ერთი ქვეყანა არ შეურთდება პროტესტს, რომლის ფორმულირების პირველ აბზაცებში მოხსენიებული იქნება სოფელ დვანში მავთულხლართის გაბმა და ვინმე ნეჩაევის გარბენა ოლიმპიური ჩირაღდნით. აქ, ალბათ, აუცილებლად უნდა დავაფიქსიროთ თვისობრივი განსხვავება ეგვიპტისა და უნგრეთის 1956 წლის სიტუაციისგან, იმ ქვეყნებში იმ დროს სისხლი ილვრებოდა; ჩვენ შემთხვევაში კი დროის ფაქტორს, ხუთწლიან შუალედს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**არაერთგვაროვან ვითარებაში ოფიციალური თბილისისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ყოველთვის აშშ-ის პოზიციას ჰქონდა** (და აქვს). **ვაშინგტონს არასოდეს მიუნიშნებია,** ▶

**ამერიკამ ხალხის თვალში მეტ-ნაკლები ნდობის მქონე საყრდენი დამოუკიდებლად ვერ ნახა, ამიტომ მათთვის ზეკაცის მოძებნა გახდა საჭირო და მოიძებნა კიდეც ადამიანი, რომელმაც მოვალეობა პირნათლად შეასრულა, ხალხისგან უარყოფილ პოლიტიკოსებს ლოკომოტივივით ჩაება, ხელისუფლებაში მოიყვანა და... ახლა მავრივით იძახის, უნდა წავიდეო, ძალაუფლება კი „სარეველების“ ხელში რჩება...**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რომ საქართველო ბოიკოტზე უნდა წავიდეს, მეტიც, მისი წარმომადგენლები ყოველთვის მოგვიწოდებდნენ, რომ რუსებთან ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მჭიდროდ გვეთანამშრომლა.** ამერიკელები, სავარაუდოდ, კარგად აცნობიერებენ, რომ ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც დიმიტრი მედვედევმა (მაშინ რუსეთის პრეზიდენტმა) 2011 წლის 18 თებერვლის ოპერატიულ თათბირზე, სადაც სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხი განიხილებოდა, რუსეთის უშიშროების საბჭოს წევრებთან თქვა: **„არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც ჩვენს მეზობელ საქართველოს უკავშირდება. ამიტომ ყველაფერი, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამართალდამცავი ორგანოების და ძალოვანი სტრუქტურების ხაზით, უნდა გაკეთდეს. ნებისმიერი პროვოკაციის გზაზე სათანადო წინაღობა უნდა აღიმართოს“.**

ეს იყო ერთგვარი სიგნალი რუსეთის სახელმწიფო მანქანისთვის და იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიურ ობიექტებზე ტერორისტული აქტი მოხდებოდა, მოსკოვი, დიდი ალბათობით, ერთ-ერთ მთავარ ეჭვმიტანილად სააკაშვილის ხელისუფლებას დაასახელებდა. **ამ ორწელიწად-ნახევარში საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა ამერიკელები, სავარაუდოდ, მიიჩნევენ, რომ ოფიციალურმა თბილისმა** (მათ შორის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობით) **ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ „მთავარი ეჭვმიტანილის“ სტატუსისგან მაქსიმალურად დისტანცირებული იყოს, რადგან სოჭის ოლიმპიადაზე ტერორისტული შეტევის შემთხვევაში ვლადიმერ პუტინის რეაქცია უკიდურესად ხისტი იქნება და, თუ ამ საპასუხო დარტყმის ქვეშ საქართველოც მოექცევა, ამან აშშ-ის პოზიციებს რეგიონში შეიძლება არანაკლები საფრთხე შეუქმნას, ვიდრე აგვიტოს ომმა;** რაც შეეხება ბოიკოტის იდეას, ის ასე თუ ისე უკავშირდება აღწერილ პრობლემას და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ობამას ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით უბიძგებს.

### მონაწილეობა კარგია, გამარჯვება – უკეთესი

**არსებითად, ჩვენ საქმე გვაქვს ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკის ტორპედირების, მისი დისკრედიტაციის მცდელობასთან, რომლის უკან „ნაციონალების“ ლიდერები დგანან.** მთავრობისთვის სასურველია, ერთის მხრივ, ფართო აუდიტორიისთვის მარტივად და გასაგებად გაშიფროს მათი ჩანაფიქრი, ხოლო მეორე მხრივ, იზრუნოს იმაზე, რომ მათ კონფლიქტის ზონაში პროვოკაციის მოწყობა ვერ მოახერხონ. მაგრამ პრობლემა ამით არ ამოიწურება — **ივანიშვილის ხელისუფლების ახალი, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაზე ორიენტირებული პოლიტიკა ყველასთვის როდია გასაგები და მთავრობამ საზოგადოებაში, ძველად რომ იტყოდნენ, დამატებითი ახსნა-განმარტებითი სამუშაო უნდა ჩაატაროს.** ვიდრე ეს არ მოხდება, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თემას პოპულისტური (როგორც პროამერიკული, ისე პრორუსული) ლოზუნგებისთვის კვლავ უპასუხისმგებლო დემაგოგები გამოიყენებენ, მაშინ, როდესაც ამ სფეროში არ არსებობს მარტივი გადაწყვეტილებები, რომლებიც ლოზუნგებამდე დაიყვანება. მაგრამ მთავრობა ამის გაკეთებას არ ჩქარობს, შესაძლოა იმიტომ, რომ ამ თემაზე აქტიური მსჯელობისა და ღია დისკუსიის დროს შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს „ორიენტაციის უალტერნატივობის“ პოსტულატი. მაგრამ რა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ **ბევრი ამომრჩეველი ბოლო დროს ბანალურად დაიბნა და აღარ ესმის, რა უნდა რუსეთს ჩვენგან და რა გვინდა ჩვენ რუსეთისგან, რა უნდა ჩვენგან დასავლეთს და რა გვინდა ჩვენ დასავლეთისგან და, რაც მთავარია, რატომ მოქმედებს მთავრობა საგარეო არენაზე ასე და არა სხვაგვარად.** დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერი იდეა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკა შეიძლება (და უნდა) ეჭვქვეშ დადგეს, დისკუსიის საგანად იქცეს და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირება განიცადოს. არგუმენტები „ამას ალტერნატივა არ აქვს“ და „ასეა იმიტომ, რომ ასე უნდა იყოს“ დემოკრატიის პირობებში არ მუშაობს. ოლიმპიადის შესაძლო ბოიკოტის და ნებისმიერი მსგავსი საკითხის განხილვა საბოლოოდ მაინც ამ პრობლემამდე მიგვიყვანს.

**ბოიკოტის მომხრეები, სავარაუდოდ, ვერაფერს მიაღწევენ და ჩვენი ნაკრები სოჭის ოლიმპიადაზე მაინც გაემგზავრება. მაგრამ დარჩენილ ოთხ თვეში მნიშვნელოვანია, რომ სპორტსმენებმა თავი პოლიტიკური თამაშის მძევლებად არ იგრძნონ და ასპარეზობისთვის მშვიდად მოემზადონ. მარტივად რომ ვთქვათ, სპორტსმენებს თავი უნდა დავანებოთ და მაქსიმალურად გავუფრთხილდეთ მათ.**

მართალია, ზამთრის სახეობებში ტრადიციულად გვიჭირს, თუმცა თითოეულ ჩვენ სპორტსმენს ნამდვილად შეუძლია მოახდინოს სასწაული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მთელი ერი უგულშემატკივრებს. **უმრავლესობას არარეალისტურად მიაჩნია ოცნება იმაზე, რომ სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს ჰიმნი აჟღერდება და ათიათასობით რუს გულშემატკივარს ფეხზეააყენებს, თუმცა, შესაძლოა, ამ ოცნებას რეალობასთან გაცილებით მეტი აქვს საერთო, ვიდრე ფიქრს იმაზე, რომ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი ჩვენს ქვეყანას რაიმე დადებით შედეგს მოუტანს.**

**დიმიტრი მონიავა**

# ოპერაცია «ლოკომოტივი» თუ «ბართლომეს ღამე»

**რა მოხდება პრემიერის წასვლის შემდეგ? — ეს შეკითხვა ყველას ძალიან აწუხებს. ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ (როგორც თვითონ თქვა, ახალი პრეზიდენტის არჩევიდან სულ მალე) საქართველო არალეგიტიმური პარლამენტის ხელში აღმოჩნდება. არალეგიტიმურის, რადგან ბიძინა ივანიშვილის, ანუ პირადად მისთვის მიცემული ხმების გარეშე, ამ შემადგენლობის პარლამენტის ლეგიტიმაცია ფანტასტიკის სფეროა... საზოგადოება არ მალავს, რომ მას ხმა არც ერთი იმ პოლიტიკოსისთვის არ მიუცია, დღეს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს რომ წარმოადგენენ. არჩევნებში მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაშიც უნდა ჩაითვალოს, რომ მან ეს ხმები ბიძინა ივანიშვილის „ხათრით“ მიიღო და პრემიერის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ მისი ლეგიტიმურობაც სადავო გახდება.**



რას უნდა ველოდოთ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? და საერთოდ, რამ მიგვიყვანა ამ პარადოქსულ ვითარებამდე?

**ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საუბრობდნენ, რომ ივანიშვილი ლოკომოტივის როლს ასრულებდა, იგი ოდიოზურ ძალებს შემოიკრებდა, რომლებიც დამოუკიდებლად პარლამენტში ვერ მოხვდებოდნენ, მოიყვანდა მათ ხელისუფლებაში და შედეგად ყველა მიიღებდა სათავისო ჯილდოს.** კერძოდ, პროტესტის კრიტიკულ ზღვრამდე მისულ საზოგადოებას შეექმნებოდა ილუზია, რომ სააკაშვილის რეჟიმი დაემხო, ივანიშვილი გადაქაჩავდა თავის კაპიტალს ამერიკული ქოლგის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, ბოლომდე გაკოტრებული „ნაციონალები“ მოკლე დროში რეანიმირდებოდნენ, ხოლო აშშ მიიღებდა პროამერიკულ ძალას ხელისუფლებაში და ასევე პროამერიკულ ძალას ოპოზიციაში „ნაცების“ სახით, ანუ ორპარტიულ, თხემით ტერფამდე ვაშინგტონის მორჩილ პოლიტიკურ სისტემას. სამწუხაროდ, მაშინ ამ სიგნალებს საზოგადოება „ნაცების“ შეკვეთილ შავ პიარად აღიქვამდა.

პასუხი კითხვაზე — **იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილი ოდიოზური ურეიტინგო, მაგრამ პროამერიკული ძალების ლოკომოტივი?** — უკვე იკვეთება პრემიერის გადაწყვეტილებაში, წავიდეს პოლიტიკიდან და ძალაუფლება სწორედ მათ დაუტოვოს, ვინც მუხანათურად აგვარჩევინა პარლამენტში. შეთქმულების სუნი ასდის იმასაც, რომ **სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი არათუ არ მომხდარა, არც დაწყებულა. ჯერჯერობით რაც მოხდა და შედეგიც სახეზეა – „ოპერაცია ლოკომოტივი“ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა 2“-ის მოსაყვანად ამერიკელებმა ხუთიანზე შეასრულეს.**

ჩნდება კითხვა — **რაში დასჭირდათ ამერიკელებს ლოკომოტივის ძებნა?** ქართულ პოლიტიკურ რეალობასა და მის უახლოეს წარსულს თუ გადავხედავთ, აუცილებლად გაგვახსენდება 2007 წლის ნოემბერში მასობრივი საპროტესტო აქციების სისხლში ჩახშობა, რომელსაც სააკაშვილის გადადგომა მოჰყვა. ამერიკამ მაშინვე დაიწყო ახალი, პროდასავლური და პროამერიკული ძალის ხელისუფლებაში მოყვანაზე ზრუნვა. **დიდხანს ძებნა არ დასჭირვებიათ, ამერიკაშივე მყოფი ქართველი „ნაციონალების“ მეგობარი და მთავრობის წევრი ალასანია უცებ იქცა ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერად, რესპუბლიკელები ლამის ანტისააკაშვილური მოძრაობის ავანგარდში მოექცნენ.** ალასანიას ჩამოსვლას ბევრი ზარ-ზეიმით ელოდა, ხალხი მის პარტიაში გაწევრიანებას ცდილობდა, ეგონათ, ჩამოვა და რამდენიმე საათში სააკაშვილს ყველაფერს დაუმთავრებსო, მაგრამ სანდომიანი სახით და მშვიდი საუბრით ალასანიამ ხალხში საპროტესტო მუხტი გაანელა, სააკაშვილიც ჯიქურ დადგა და აჩვენა ამერიკელებს, რომ ასე ადვილად, თითის დაქნევით ძალაუფლებას არ დათმობდა. **კულმინაცია კი ის იყო, რომ ნაქებმა ალასანიამ და რესპუბლიკელებმა ხალხის ნდობა იმდენად დაკარგეს, პირველივე არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ ხელისბიჭ „ქრისტიან-დემოკრატებთან“ სამარცხვინოდ დამარცხდნენ.** მათ ქართველმა ხალხმა მაშინვე „ნაციონალების“ სატელიტი უწოდა. ამერიკელებს ალასანიასთან დაკავშირებითაც არ გაუმართლათ. მანამდე მათ იმედი მრავალჯერ გაუცრუეს რესპუბლიკელებმა, რომელთაც უკვე დიდი ხანია, ხან საკუთარი ბიუჯეტიდან, ხან კი სოროსის მეშვეობით აფინანსებდნენ. და მიუხედავად ამ პრაქტიკულად ულიმიტო დაფინანსებისა, რესპუბლიკელების რეიტინგი 1 ან 2 პროცენტს არ სცილდებოდა. ეს პარტია ხალხის მიერ შერქმეულ სახელს — „სარეველები“ უფრო და უფრო ამართლებდა.

**ხალხი, რასაკვირველია, არ დაყაბულდება მხოლოდ შუალედურ შედეგებს და პოლიტიკურ კლასს, რომელმაც ასე უნამუსოდ მოატყუა და სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის მაგივრად «ნაცმოძრაობა 2» შეაჩეჩა ხელში, უბრალოდ, გაანადგურებს**

მოკლედ, **ამერიკამ ხალხის თვალში მეტ-ნაკლები ნდობის მქონე საყრდენი დამოუკიდებლად ვერ ნახა, ამიტომ მათთვის ზეკაცის მოძებნა გახდა საჭირო და მოიძებნა კიდეც ადამიანი, რომელმაც მოვალეობა პირნათლად შეასრულა, ხალხისგან უარყოფილ პოლიტიკოსებს ლოკომოტივივით ჩაება, ხელისუფლებაში მოიყვანა და... ახლა მავრივით იძახის, უნდა წავიდეო, ძალაუფლება კი „სარეველების“ ხელში რჩება...**

არადა, ლოკომოტივი, მოულოდნელად რომ ჩახსნა შემადგენლობა, უკან დაგორდება, უმართავ რეჟიმში. ამ ყველაფრის მომწყობი და დამგეგმავი, როგორც ერთი ცნობილი აკადემიკოსი უწოდებს, „ჩვენი პარტკომი“ რიჩარდ ნორლანდი, მართალია, ჯერჯერობით არსებული ვითარებით კმაყოფილი ჩანს და ყველა „კრებას“ დაუზარებლად ესწრება, მაგრამ... როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნე, ივანიშვილის წასვლის შემდეგ არც პარლამენტის, არც პრეზიდენტის ლეგიტიმურობა სარწმუნო აღარ იქნება... ჰოდა, ლეგიტიმურობის ამ ვაკუუმში, სამართლიანობის დაუყოვნებლივ აღდგენის, სადისტების დასჯის ან რაიმე საყოფაცხოვრებო მიზეზით ვინმე ყოჩაღმა ბუნტისთავმა ხალხი რომ ქუჩაში გამოიყვანოს, მერე კოაბიტაცია უშველის აზვირთებულ, ულოკომოტივო შემადგენლობასავით უმართავ რეჟიმში გადასულ მასას? **ხალხი, რასაკვირველია, არ დაყაბულდება მხოლოდ შუალედურ შედეგებს და პოლიტიკურ კლასს, რომელმაც ასე უნამუსოდ მოატყუა და სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის მაგივრად „ნაცმოძრაობა 2“ შეაჩეჩა ხელში, უბრალოდ, გაანადგურებს.**

ამ მასამ, დიდი ალბათობით, შესაძლოა, თვით ბიძინასაც კუდით ქვა ასროლინოს, რადგან ქართველებს გვჩვევია წარუმატებლობის ვინმეზე გადაბრალება და მისგან „განტევების ვაცის“ შექმნა. ეს კი ის შემთხვევაა, როდესაც გადაბრალება და გადასაბრალებელი „ვაცის“ ძებნა საჭიროც არ არის...

ამდენად, **„ოპერაცია ლოკომოტივის“ წარმატებაზე საუბარი ჯერნაადრევია, რადგან მალე, შესაძლოა, იგი „ბართლომეს ღამედ“ ექცეთ ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.**

ბართლომეს ღამედ, რადგან ბრმისთვისაც ნათელია, რომ მარგველაშვილი და ბაქრაძე გაჭრილი ვაშლია, ორივეს ერთი „კუკლავოდი“ მართავს და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, 5-ს შემოხაზავ თუ 41-ს, ამ არჩევნებსაც ძია სემი მოიგებს...

**და როდესაც ხალხს არჩევანს ართმევენ, პარავენ, უყალბებენ ან არჩეული სიკოს ნაცვლად ვინმე მურთაზს შეაჩეჩებენ, იგი ჯანყდება – ეს ხალხის კონსტიტუციური უფლებაა.**

**ეკა ნასყიდაშვილი**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არჩევნებიდან ერთი წლის თავზე „ნაცების“ კრიმინალ დეპუტატ ლეჟავას რატომ აქვს ახლაც ამხელა ძალაუფლება? და ეს ის ლეჟავაა, რომელიც 26 მაისს მოკლული ასათიანის ოჯახს ატერორებდა. ლეჟავა მიდიოდა ოჯახში და ეუბნებოდა გარდაცვლილის მეუღლეს, — თუ არ იტყვი, რომ დენმა მოკლა შენი ქმარი, მასზე უარესი დაგემართებაო.“**

# არჩევნების შემდეგ «ქართულ ოცნებაში» დიდი გაწევ-გამოწევა იქნება?!

**რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, რატომ უპირისპირდებიან ერთმანეთს დეპუტატები, რა ვერ გაიყვეს? ამბობენ, არჩევნების შემდეგ მოსარიდებელი არავისთან არაფერი ექნებათ და დიდი ამბავი იქნება „საყველიაშიო“... „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ქართული ოცნების“ დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე.**

## რომელ ნაცდეპუტატს მფარველობს ლაშა ნაცვლიშვილი?





### დავით ლორთქიფანიძე:
## მოდით, გავხსნათ კარტები, თუმცა ნუ მომთხოვთ სახელებისა და გვარების დასახელებას

— იცით, ახლა რომ გითხრათ, „ქართულ ოცნებაში“ სერიოზული დაპირისპირებაა-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა არის აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენთვის მთავარი განმსაზღვრელი არჩევნების საკითხია – როგორ ვართ რეალიზებულნი და ვართ ამ პროცესში აქტიურად ჩართულნი თუ არა. აი, ეს იყო და არის ჩვენთან აქილევსის ქუსლი. **დეპუტატების გარკვეულ ნაწილს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს, ფიქრობს, ბოლომდე არ ვარ ჩართული საარჩევნო კამპანიაშიო. რაიონის საარჩევნო შტაბებიც ცენტრალური შტაბიდან უფრო მეტ დავალებებს იღებენ და უფრო მეტად არიან მათთან ანგარიშვალდებულნი, დეპუტაციასთან სინქრონში მუშაობა ძალიან უჭირთ.** არადა, ადგილზე შტაბები არ არის იმ დონის კომპეტენციით აღჭურვილი, როგორც იმ რაიონის დეპუტატი.

გარდა ამისა, ძალიან მწვავედ განვიცდი იმ ადამიანების ბედსა და განწყობილებებს, რომლებმაც თავისი თავი „ოცნებას“ 2012 წელს დაუკავშირეს. **მრავალი ადამიანი საკუთარი თავისა და ოჯახის რისკის ფასად დადგა ივანიშვილის გვერდით და, რომ არა ეს ადამიანები, მერწმუნეთ, მარტო ბატონი ბიძინას აქტივობა შედეგს ვერ მოიტანდა.** აი, ეს ადამიანები არიან დასაფასებელნი, მაგრამ ასე არ მოხდა. არადა, ბიძინამ ჩვენთან შეხვედრისას არაერთხელ განაცხადა, რომ, პირველ რიგში, ეს ადამიანები უნდა იყვნენ რეალიზებულნი, შემდეგ კი ის ადამიანები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, რომ გადმოვიდნენ ჩვენთან, ოღონდ დიდი დაკვირვების, გაშიფვრის შემდეგ უნდა იყვნენ მიღებულნიო.

**— რა უშლის ხელს, რომ ეს ადამიანები იყვნენ რეალიზებულნი? ამის ნაცვლად ყველა საკვანძო პოსტი„ ოცნებამ“ „ნაცებს“ შეუნარჩუნა... გარდა ამისა, საქმეს არ აკეთებთ, ვინ არის პასუხისმგებელი შეუსრულებელ დაპირებებზე?**

— გეთანხმებით, ბევრი პრობლემაა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ 4 წლით ვართ არჩეული და არა ერთით. ერთ წელიწადში ყველაფერი ისე ვერ გაკეთდება, როგორც 4 წელიწადში უნდა მოესწროს. **შეუსრულებელ დაპირებებზე პასუხისმგებლობა არის კოლექტიური, მთავრობა და პარლამენტი ერთობლივად იქნება პასუხისმგებელი, თუ რამე არ შესრულდება 4 წლის განმავლობაში.**

რაც შეეხება ამ ადამიანებს, ივანიშვილი პრემიერმინისტრია, ქვეყნის მთელი პრობლემატიკა მის კისერზეა და შიდაპარტიული და საშტაბო ინტრიგები მის დონემდე ვერ აიწევა. ყველა, ვერც ახერხებს, რომ ეს პრობლემა მასთან მიიტანოს. არადა, დრო არ იცდის, დღე დღეს მისდევს და ეს პრობლემა მოუგვარებელია. დღეს ჩვენ, იცით, როგორი სურათი გვაქვს? ადამიანებმა, რომლებმაც 2013 წლის საახალწლო ღონისძიებები მოითავეს, გადახედეს, გადმოხედეს, **დაინახეს, რომ ნამდვილად გაუმარჯვია ივანიშვილს და შემდეგ გადაწყვიტეს „ქართულ ოცნებაში“ გადმობარგება, მივიღეთ და მივიღეთ კი არა, წინ გაგვასწრეს... რაიონებში სულ ეს ადამიანები არიან მოკალათებულნი.**

**— კი მაგრამ, ვინ წყვეტს საკადრო პოლიტიკას?**

— „ქართული ოცნება“ არის ექვსპარტიული კოალიცია და ძნელია, ეს ყველაფერი აკონტროლო. როდესაც რომელიღაც რაიონში „ნაცების“ ყოფილი აქტივისტი ცდილობს, კოალიციას მიეტმასნოს და ვერ ახერხებს ივანიშვილის პარტიაში შესვლას, არსებობს კიდევ 5 პარტია ხომ? ჰოდა, მიდის რომელიმეს თავმჯდომარესთან და ეუბნება, ჩემი ადამიანური რესურსით დავდგები შენს გვერდითო და ამ პოლიტიკოსსაც პოლიტიკური ცხოვრება კარნახობს, რომ ადგილებზე შეიქმნას დასაყრდენი და იღებს ამ ადამიანს. აი, ასე აკეთებენ თურმე. და სად იყვნენ ეს ადამიანები არჩევნებამდე? მოდით, ვანის მაგალითზე გეტყვით. ვანში არჩევნებამდე ჩავატარე ბრიფინგი, მოვუწოდე, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს (ვანში წლების წინ ვმუშაობდი და კარგად ვიცნობ ამ ადამიანებს), შემოგვიერთდით-მეთქი. სამწუხაროდ, ეს ნაბიჯი არავინ გადადგა. მეგონა, 2012 წლის 23 სექტემბრის ღამეს მაინც გადადგამდნენ ამ ნაბიჯს, მაშინ, როცა „ნაცების“ დეპუტატობის კანდიდატი, კრიმინალი პაატა ლეჟავა ერთ-ერთ ვანელ ბიზნესმენს სუფთა პოლიტიკური მოსაზრების გამო ფიზიკურად გაუსწორდა (ამ ბიზნესმენმა მეორე დღეს ღიად ისაუბრა ამის შესახებ), მაგრამ, ვაი, რომ მაშინაც არ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ასეთი რაღაცები აქვთ ნაკეთები და **ახლა აეხილათ თვალები და დაიწყეს „ოცნებაში“ გადმოდინება. ეს ადამიანები არ იმსახურებენ დიდ სიმპათიას ჩვენი მხარდამჭერების თვალში და ბუნებრივია, ხალხი უკმაყოფილოა.**

პრემიერი ამბობს, რომ ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ჩვენ ვერ დავემსგავსებით „ნაცებს“ და ასე ხელაღებით ვერ გავყრით ადამიანებს სამსახურებიდანო. ამაში ნაწილობრივ ვეთანხმები, მაგრამ მიდგომა უნდა იყოს სხვანაირი – ადამიანი, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი, უნდა დაისაჯოს. და თუ სამართალდამცავი ორგანოები მოინდომებენ, მარტივად შეიძლება ამ ყველაფრის დადგენა; ყველაფერი ისედაც ხელის გულზე დევს.

კვლავ ვანის მაგალითზე გეტყვით. ვანში შენობა, რომელშიც „ნაცების“ ოფისია განთავსებული, თავის დროზე შეიძინა პაატა ლეჟავამ, გაარემონტა, მაგრამ არ არსებობს არც პროექტი, არც ხარჯთაღრიცხვა. წლების განმავლობაში ეს ოფისი იყო გაჩახჩახებული და ერთი თეთრი არ აქვს გადახდილი გახარჯული ელექტროენერგიის. წარმოიდგინეთ, ჩვენმა ერთმა მოქალაქემ ათი თეთრი ერთი საათით რომ დააკლოს, რას უზამენ, გაუთიშავენ დენს, არა? მიერთებული ყოფილა გარეგანათებაზე და იქიდან იხდიდნენ თურმე. გარდა ამისა, ამ კრიმინალმა სექტემბერში, ჩემი შვებულების პერიოდში, აშანტაჟა საკრებულო და გამგეობა. ითხოვდა შვებულებაში მყოფი გამგებლის, რომელიც მას აღარ ემორჩილებოდა, გადაყენებას. და როგორ აკეთებდა ამას, იცით? მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის — ლაშა ნაცვლიშვილის სახელის გამოყენებით; ხალხს ეუბნებოდა, ნაცვლიშვილმა მომცა უფლება, რომ გამგებელი გადავაყენოო.

**— ჯერ ერთი, ნაცვლიშვილს ვინ ეკითხება გამგებლის გადაყენებას, მეორეც — ნაცდეპუტატთან მეგობრობს?**

— როცა ადამიანთან მიდიხარ სოფელში და ეუბნები, შენ თუ ამას არ გააკეთებ, დაგიჭერ, რადგან ნაცვლიშვილმა ასე მითხრაო, რას იზამს ის ადამიანი? და ეს არის ფაქტი. ამის შესახებ მივწერე კიდეც მთავარ პროკურორს (ჯერ პასუხი არ მიმიღია), მოვითხოვე, დაადგინონ, **რა უფლებამოსილება ჰქონდა პარლამენტის წევრ ლეჟავას, იმერეთის გუბერნატორის — ბალავაძის მოქმედ მოადგილე მატარაძესა და საკრებულოს გადაყენებულ თავმჯდომარე კაკაბაძეს, ამას რომ ითხოვდნენ. ეს სამი კაცი იყო ამ საქმეში ჩარეული. პირდაპირ აშანტაჟებდნენ საკრებულოს წევრებს, რათა გამგებელი გადაეყენებინათ.**

არ ვიცი, ლეჟავა მეგობრობს ნაცვლიშვილთან თუ სხვა საქმით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ მე მყავს ვანში ათასობით მხარდამჭერი და ამ ადამიანებს აქვთ კითხვა და სჭირდებათ პასუხი: **არჩევნებიდან ერთი წლის თავზე „ნაცების“ კრიმინალ დეპუტატ ლეჟავას რატომ აქვს ახლაც ამხელა ძალაუფლება? და ეს ის ლეჟავაა, რომელიც 26 მაისს მოკლული ასათიანის ოჯახს ატერორებდა. ლეჟავა მიდიოდა ოჯახში და ეუბნებოდა გარდაცვლილის მეუღლეს, — თუ არ იტყვი, რომ დენმა მოკლა შენი ქმარი, მასზე უარესი დაგემართებაო.** არჩევნებამდე მე და ბიძინა მივედით ამ ოჯახში, დახმარებას დავპირდით და ქალბატონმა შორენამ, იცით, რა მითხრა? ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი მეუღლე გამიცოცხლდაო. მას გაუჩნდა იმედი, ხელისუფლება რომ შეიცვლებოდა, საქმეს გამოიძიებდნენ, თუმცა დიდი წინსვლა არც ამ საქმეშია. დღეს ასათიანის ოჯახს თვალებში ვერ ვუყურებ...

**— მერე ვერ ჰკითხავთ ღარიბაშვილს, რატომ არ არის დიდი წინსვლა ამ საქმეში?**

— გეუბნებით, თვალებში ვერ ვუყურებ ოჯახს, თუმცა იციან, რომ ეს ჩემს ძალებს აღემატება. სხვათა შორის, ასათიანის ოჯახიც არ არის ჩართული ვანის შტაბის მუშაობაში, რაც დასანანია. ამ დროს შტაბის უფროსად დანიშნეს ის ადამიანი, რომელიც წინა არჩევნებშიც იყო და სამარცხვინოდ წააგო სოფელი. რატომ? მოდით, გავხსნათ კარტები, თუმცა ნუ მომთხოვთ სახელებისა და გვარების დასახელებას, მაქსიმალურად თავს ვიკავებ არჩევნების შედეგებამდე, შემდეგ ამასაც ვიტყვი. **ადამიანების გარკვეული კატეგორია თვლის, რომ ეს არჩევნები მაინც გამარჯვებით დასრულდება, ამიტომ ცდილობს, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ რაიონებში შექმნას თავის მხარდამჭერთა ჯგუფები, რომლებსაც შემდეგ დაეყრდნობა.** ახლა კარს მომდგარია 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და იქ მოხდება ის, რომ ადგილებზე შტაბები, საარჩევნო ადმინისტრაციები დაკომპლექტდება იმ ადამიანებით, რომლებმაც ვითომ გაიმარჯვეს სოფლებში, მაგრამ ამას ჩვენ არ დავუშვებთ. ჩვენ, დეპუტაცია, დღეს იმიტომ ვართ გაჩერებული, რომ უდიდეს პატივს ვცემთ ივანიშვილს და არ გვინდა, დისონანსი შევიტანოთ ადგილებზე, არჩევნების შემდეგ კი მოსარიდებელი არავისთან არაფერი გვექნება და ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი.

**— აცხადებთ, ივანიშვილის წასვლის შემდეგ დიდი ამბავი იქნებაო. „ოცნებაში“ მყოფ კუდის აგენტებსაც დაერევით თუ არ გჯერათ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის?**

— **იმ ადამიანებს, რომელთაც ძალაუფლება აქვთ, ამ ძალაუფლებას გამოვართმევთ ხელიდან. ჩვენ, ვისაც ქვეყნის ბედიღბალი გვაინტერესებს, ბევრად მეტნი ვართ, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც სიტუაციას რევენ. სხვათა შორის, საგანელიძემაც დაინახა, რომ მხოლოდ 2 დეპუტატი კი არა, ბევრნი ვართ...** რაც შეეხება კუდის აგენტებს, მჯერა, რომ „ოცნებაში“ ძალიან ბევრი აგენტია შემოგზავნილი, თუმცა უშუალოდ ამ პიროვნებებზე არ შემიძლია ეს ვთქვა, რადგან ეს იქნება ძალიან ტუტუცური განცხადება ჩემი მხრიდან.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**«მრავალი ადამიანი საკუთარი თავისა და ოჯახის რისკის ფასად დადგა ივანიშვილის გვერდით და, რომ არა ეს ადამიანები, მერწმუნეთ, მარტო ბატონი ბიძინას აქტივობა შედეგს ვერ მოიტანდა»**

**შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი 5 კომპონენტისგან შედგება: პირველი, ეს არის უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისთვის, რომლითაც უკვე 2685 ადამიანმა ისარგებლა და სესხის მოცულობა 1 მილიონ 106 ათას 478 ლარს შეადგენს. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, რომელიც საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის არის გათვალისწინებული, დღეის მონაცემებით, ამ კომპონენტის დახმარებით 61 მილიონ 869 ათას 43 ლარის სესხი 3125 ბენეფიციარმა მიიღო.**

«ოცნება» მუშაობს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეღავათიანი კრედიტით დაფინანსებული საწარმოებიდან 51 ახალი საწარმოა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ახლახან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ქართულ ბიზნესსა და სოფლის მეურნეობას სახელმწიფო მაქსიმალურად დაეხმარა და დაპირება 200 საწარმოს დაფინანსების შესახებ შესრულდა. გადავწყვიტეთ, პრემიერის ნათქვამი გადაგვემოწმებინა და გაგვერკვია, მართლაც შესრულდა აღნიშნული დაპირება, თუ, როგორც უკვე მიჩვეულები ვართ, ესეც ხელისუფლების მხოლოდ მორიგი სიცრუე და პიარაქცია იყო. მით უმეტეს, რომ საქმე სახელმწიფოს არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროს ეხება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითოეული ამუშავებული საწარმო ახალ სამუშაო ადგილებს ნიშნავს.**

ჟურნალისტებს გამუდმებით გვსაყვედურობენ, რომ დადებით მოვლენებზე თითქმის არ ვწერთ და მხოლოდ სკანდალები გვაინტერსებს, თუმცა ყველას ავიწყდება, რომ ხელისუფლებისგან მრავალჯერ მოტყუებულ, სოციალურად შეჭირვებულ, მილიარდობით ვალის მქონე ქვეყანაში მართლაც რთულია, წერო დადებით მოვლენებზე. მით უმეტეს, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ გავრცელებული, ყბადაღებული მითი ასი ახალი საწარმოს შესახებ ქილიკის საგნად და თითქმის აუსრულებელ ოცნებად იქცა.

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფომ სოფლის მეურნეობისთვის 115 მილიონ-ნახევარი ლარი გამოყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს უკვე 5810 მსესხებელი ჰყავს. პროექტების მართვის სააგენტომ აგროკრედიტის პროექტის განხორციელება 1 აპრილიდან დაიწყო და, 8 ოქტომბრის მონაცემებით, საბანკო სექტორმა 115 მილიონ 907 ათას 874 ლარის სესხი გასცა.**

გადავწყვიტეთ, ინფორმაცის გადამოწმების მიზნით, მეწარმეებს თავად დავკავშირებოდით და გაგვერკვია, მართლაც მიიღეს თუ არ მათ სახელმწიფოსგან თანხა და რაში დაეხმარათ აღნიშნული პრექტის ფარგლებში მიღებული ფინანსური დახმარება. თუმცა, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განგვიმარტეს, აღნიშნული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაფინანსებულ ფერმერებს პირადი, სხვადასხვა მოსაზრების გამო, ინფორმაციის გასაჯაროება რატომღაც არ სურთ, მაგრამ რამდენიმე მათგანის შესახებ ინფორმაცია მაინც მოგვაწოდეს.

როგორც აღმოჩნდა, აგროკრედიტი 7 წლამდე ვადით, პროცენტები კი — 0-დან 3%-მდე მერყეობს, რაც, რა თქმა უნდა, დიდ შეღავთს უქმნის მეწარმეებს. გაცემულია კრედიტები როგორც უკვე არსებული საწარმოების დასახმარებლად, ასევე, ახალი საწარმოების დასაფინანსებლადაც.

მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ შალაურში მდებარე **შპს „შალაურის ღვინის მარანი“** იმ საწარმოებს შორისაა, რომლებიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების შედეგად დაფუძნდა. როგორც **დამფუძნებელი და დირექტორი დავით ბუაძე** ამბობს, რომ არა სახელმწიფოსგან იაფი კრედიტის ფარგლებში მიღებული დახმარება, საწარმო არ იარსებებდა. **„ქართუ ბანკს“ წარვუდგინეთ ბიზნესგეგმა, საიდანაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოსთან თავად მოახდინეს კოორდინაცია. ბოლო წუთამდე არ მჯეროდა, რომ ეს მოხდებოდა, მაგრამ სერიოზულად დაგვიდგნენ მხარში. ვილაცები მირეკავენ და მეკითხებიან, როგორ მივიღეთ დაფინანსება, მაგრამ მართლა არავის არ ვიცნობდი. აბსოლუტურად ობიექტურად შეგვარჩიეს. მე დიდი გამოცდილება მაქვს ანალოგიური პროექტების განხორციელებაში, მაგრამ შემიძლია პირდაპირ განვაცხადო, რომ ასე უპრობლემოდ, სახელმწიფოს ხელშეწყობით არც ერთი პროექტი არ განხორციელებულა.**

**იაფი კრედიტის ფარგლებში, 138 ათასი აშშ დოლარის კრედიტი მართლაც სასაცილო, 2%-ად და 7 წლის ვადით მივიღე. აღნიშნული თანხა დაიხარჯა მარანის, სადეგუსტაციო დარბაზისა და ღია სამზარეულოს ასაშენებლად. ტრადიციული ქართული მეღვინეობის გაკეთებას ვაპირებთ. მეტსაც გეტყვით, ეს მარანი დღეს აშენებულია და უკვე ღვინოც მივიღეთ“.**

მცხეთის რაიონში მდებარე **შპს „ბერთამთა“** — სასაწყობე მეურნეობისა და თხის ფერმისგან შედგება, როგორც მისი **ხელმძღვანელი ზურაბ მარსაგიშვილი** ამბობს, პროექტი დიდი შეღვათია მეწარმეებისთვის. **„მე ბიზნესგეგმა შეტანილი მაქვს ნახევარ მილიონზე, მაგრამ ჯერჯერობით 100 ათასი ლარი მაქვს მიღებული და ათვისებული.**

თანხა 1%-ად მივიღე და 6 წლის განმავლობაში უნდა დავფარო. რომ არა ეს პროექტი, საწარმო იარსებებდა, მაგრამ, რაც ახლა გავაკეთე, ამის განსახორციელებლად, მინიმუმ, სამი წელი მაინც დამჭირდებოდა.

ვინაიდან ბიომეურნეობა ძალიან ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, შედეგებზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ თვითონ პროექტი ძალიან დიდი შეღავათია ჩვენთვის და ეს ტენდენცია თუ გაგრძელდა და სოფლის მეურნეობის სუბსიდირება მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ განხორციელდა, ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება“.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდებარე **შპს კოოპერატივი „მზიური ჯავახეთი“** ყველის წარმოებასა და რძის გადამუშავებაზეა ორიენტირებული. როგორც **საწარმოს ხელმძღვანელი მაქსიმ გილოიანი** ამბობს, გრძელვადიანი კრედიტი 45 ათასი ლარის ფარგლებში 3%-ად, 7 წლის ვადით მიიღო სახელმწიფოსგან და, როგორც აცხადებს, განხორციელებული პროექტით ისიც ძალიან კმაყოფილია.

მარცვლეულის სასაწყობო და საშრობ მეურნეობას ეწევა **შპს „ლომთაგორა“**. საწარმო მარნეულში მდებარეობს. სახელმწიფოსგან დაფინანსება, როგორც მსხვილმა საწარმომ, შეღავათიანი აგროკრედიტის მეორე კომპონენტის ფარგლებში მიიღო. **საწარმოს ხელმძღვანელის** — კახა ლაშხის თქმით, ის, რაც შეღავათიანი აგროპოროექტის ფარგლებში უკვე გაკეთდა, მაინც გააკეთებდა, მაგრამ ამ ყველაფერს ათი წელი მაინც დასჭირდებოდა. **„თანხა 7 წლის განმავლობაში უნდა დავფარო. აღნიშნული თანხა საწარმოს გაფართოებასა და ტექნოლოგიების დახვეწაში დამეხმარა“.**

აღსანიშნავია, რომ **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი 5 კომპონენტისგან შედგება: პირველი, ეს არის უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისთვის, რომლითაც უკვე 2685 ადამიანმა ისარგებლა და სესხის მოცულობა 1 მილიონ 106 ათას 478 ლარს შეადგენს.**

**რაც შეეხება მეორე კომპონენტს, რომელიც საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის არის გათვალისწინებული, დღეის მონაცემებით, ამ კომპონენტის დახმარებით 61 მილიონ 869 ათას 43 ლარის სესხი 3125 ბენეფიციარმა მიიღო.**

**შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მესამე კომპონენტს 252 მსესხებელი ჰყავს. კრედიტის მოცულობა კი 31 მილიონ 846 ათას 671,79 აშშ დოლარს შეადგენს.**

მესამე კომპონენტის დამატებაა მეოთხე — სალიზინგო პროგრამა, რომლის განხორციელება ერთი თვის წინ დაიწყო და სალიზინგო კომპანიებში რამდენიმე განაცხადის განხილვა უკვე მიმდინარეობს. **შეღავათიან აგროსესხს დაემატა მე-5 კომპონენტი. გაიცემა შეღავათიანი სესხები ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის — 15-თვიანი სესხი 12-15%-ად, აქედან 9%-ს სახელმწიფო ფარავს. 1 ლარად ან 1 ლარზე მეტ ფასად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით, შესაბამისი თანხით უზრუნველყოფს ღვინის მწარმოებელ კომპანიებს. 38-მა ღვინის საწარმომ 43 მილიონ 688ათას 24 ლარის სესხი უკვე მიიღო.**

პროექტის ფარგლებში სესხი გაიცა სასაწყობო და საშრობ მეურნეობებზე, ფერმის მშენებლობაზე, მერძევეობა-მეხორცეობაზე, მეთევზეობა-მეფრინველეობაზე და სასათბურე მეურნეობის მშენებლობაზე. მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსებული საწარმოებიდან 51 ახალი საწარმოა.

მოამზადა **შორენა ციქრაშვილმა**

# თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი დიდ ბრიტანეთს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მოსახლეობამ, ერთი შეხედვით, თითქოს შვება იგრძნო, მაგრამ ერთი წლის თავზე აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებაში პრობლემებია და სიტყვები: ნეპოტიზმი, წაყრუება, პროვინციალიზმი და პლასტელინი მოდაში შემოვიდა. ახალ ხელისუფლებას თითქმის ყველა სამინისტროში პრობლემები აქვს, ხალხი ხან რომელ მინისტრს უჩივის და ხან — რომელს, მაგრამ ყველაზე ხშირად საჩივარი კულტურის მინისტრის მისამართით ისმის. ეს ის სფეროა, ჩვენს პრემიერს ძვირად რომ უღირს.**

ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ცნობილი ქართველები ამბობდნენ, რომ ის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და მისი ნაცნობობის წრე მხოლოდ რამდენიმე ადამიანით შემოიფარგლებოდაო, ეს რამდენიმე ადამიანი ნიჭიერ ქართველთა სიაში არასოდეს შედიოდნენ და კულტურის სამინისტროში გამეფებული ნეპოტიზმიც სწორედ აქედან მომდინარეობსო.

**ამბობენ, „ქართული ხმების“ მომღერლის — გივი ჭიჭინაძის გარეშე კულტურის სამინისტროში ნაბიჯსაც ვერ დგამენო. გივი ბერიკაშვილს „ივანიშვილის სუფრის გამრთობს“ უწოდებენ და მისი შვილის, მანანა ბერიკაშვილის, ამხელა თანამდებობაზე დანიშვნასაც ამ ფაქტს მიაწერენ. ოპერის თეატრის დირექტორი გიორგი ჟორდანია კი ივანიშვილის ქალიშვილის კლასელის მამა ყოფილა. ისე, გივი ბერიკაშვილზე ამდენი საყვედურის მოსმენა სასიამოვნო არ არის. ყველა ქართველს ჯერ ბუბა კიკაბიძის გატეხილი სახელი ედარდებოდა და ახლა ბერიკაშვილის. საინტერესოა, რაში სჭირდებათ ხელისუფლებასთან ასეთი სიახლოვე ხალხისთვის ისედაც საყვარელ და პატივსაცემ ადამიანებს?**

**ახალი ხელისუფლება მოვიდა და კვლავ სცენაზე დგანან ის ადამიანები, რომელთა დანახვაც ქართულ საზოგადოებას არ აღაფრთოვანებს. ისევ ჩანან და წარმატებითაც: ნინა წკრიალაშვილი, ლელა წურწუმია, სტეფანე და ა. შ. ეს სია უსასრულოდ გრძელდება. იგივე ვითარებაა მწერლობაშიც, მსახიობებშიც, მოკლედ, არსად, არც ერთ დარგში სიტუაცია არ შეიცვალა.** ხელისუფლება ადამიანების გასაჭირს არ ისმენს, თუ ისმენს პასუხის ღირსად არ თვლის. **ერთმა ძალიან პატივსაცემმა ადამიანმა თქვა: — ყველაფერი თავდაყირა დადგა, არაკაცები ზეობენ, ქვეყანაში ბევრად რთული ვითარებაა, ვიდრე აქამდე იყოო. ეს ადამიანი უმადური სულაც არ არის, თავის დროზე ივანიშვილის მოსვლით ისიც გახარებული იყო.**

ზემოთ ნათქვამი ჭორი არ არის, ამ სიტყვებს **თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი, რევაზ ლაგვილავა,** ადასტურებს. ბატონმა რევაზმა ვრცელ ინტერვიუზე უარი მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ ერიდება: **„თბილისელი კაცი ვარ, მრცხვენია ჩემს თავზე ამდენი საუბარი, თქვენთან მოსვლამდე საჯაროდ ბევრჯერ ვილაპარაკე, მაგრამ არავის აინტერესებს. სუფრის მასხარების, არღნის ჩიტებისა და უნიჭო ხელოვანების დრო დადგა. არადა, როგორი იმედი მქონდა ახალი ხელისუფლების, მეგონა, ხალხის ხმას გაიგებდნენ, მაგრამ ამაოდ... სხვა გზა არ დამრჩა, ქვეყნიდან უნდა წავიდე, პოლიტიკური თავშესაფარი მოვითხოვე. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრს მივმართე და პასუხსაც მალე მივიღებ“.**

საქართველომ უმძიმესი წლები გამოიარა, მათ შორის „ნაციონალების“ ცხრა წელიწადი, მაგრამ ის, რომ ქართველ ხელოვანს ქვეყნის დატოვება და პოლიტიკური თავშესაფარის მოთხოვნის სურვილი გასჩენოდა, უპრეცედენტო შემთხვევაა. **სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ახალმა ხელისუფლებამ ერთ წელიწადში მოახერხა ხალხის უკმაყოფილების გამოწვევა, მიტინგებზე გამოყვანა და ქვეყნიდან გაქცევაც კი. მკითხველს შევახსენებ, რომ „ნაციონალების“ წინააღმდეგ ხალხმა უკმაყოფილება მათი ხელისუფლებაში მოსვლიდან 2 წლის თავზე გამოხატა.**

„საქართველო და მსოფლიო“ რევაზ ლაგვილავას მიმართვას დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრისადმი უცვლელად გთავაზობთ:

## დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრს, მის აღმატებულებას, ბატონ დევიდ კემერონს

**თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრემიერმინისტრო!**

გიგზავნით წერილს არშემდგარი სახელმწიფოდან, რომელსაც საქართველო ჰქვია. მე გახლავართ ოპერის მომღერალი (თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი), რომელიც, თითქმის სამი ათეული წელია, ვემსახურები ვოკალურ ხელოვნებას. აქედან 25 წელია, ვეწევი წარმატებულ საოპერო შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. რამდენიმე წელია, ყოველ მხრივ მიმდინარეობს აგრესიული შეტევა ჩემზე საეჭვო ფარული ობსტრუქციული ძალების მიერ, რომლებიც შეგნებულად მართმევენ შემოქმედების ოქროს წლებს.

ნიჭიერი და ღირსეული ქართველი ერის, ნიჭით გაჯერებული, თავის საქმის მცოდნე, მაღალი რანგის პროფესიონალები, ბროუნის მოძრაობის რეჟიმში იმყოფებიან და მსხვერპლნი არიან უმეცრებისა და არაკომპეტენტურობის. ამის მიზეზია მთავრობის პროვინციული ფეოდალური ნეპოტიზმისა(!) და უნიჭო ფავორიტთა დაწინაურების პოლიტიკა, რომელიც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ მომავალს.

თქვენო აღმატებულებავ! მოგმართავთ, როგორც ფლაგმან-დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურს.

გთხოთ, მომცეთ თავშესაფარი და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა (თუნდაც გარკვეული დროით), რათა, როგორც დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალს, მომეცეს მუშაობის საშუალება, რაც ჩემი შემოქმედების ოქროს წლების რეალიზაციაში მომეხმარება.

იმედით, დიდი ბრიტანელი ხალხისა და თქვენი აღმატებულების პატივისცემით,

**რევაზ ლაგვილავა**

კანდიდატი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გავიმარჯვებთ თუ არა არჩევნებში, ნებისმიერ შემთხვევაში ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ურეიტინგო და ხალხის თვალში ოდიოზური პოლიტიკოსები აღარ იყვნენ პარლამენტში. საზოგადოებას მათთვის არ მიუცია ხმა 1 ოქტომბერს და ისინი არ გამოხატავენ მოსახლეობის ნებას. უსამართლობა იქნება, ორ და სამპროცენტიანმა პარტიებმა მართონ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო.“**



## ლევან ჩაჩუა:

# მზადდება დანაშაულებრივი შეთქმულება ქართველი ერის წინააღმდეგ...

**საპრეზიდენტო არჩევნებამდე თერთმეტი დღე დარჩა. პოლიტიკური მარათონი დასასრულს უახლოვდება და დაძაბულობა მატულობს. კანდიდატების უმეტესობა მიიჩნევს, რომ საარჩევნო გარემო ადრინდელივით არაჯანსაღია, ივანიშვილი კი დემოკრატიით დასავლეთის გაკვირვებას აპირებს. ფაქტი ისაა, რომ სიები უცვლელია, კანდიდატთა დაფინანსების სისტემა — არათანაბარი. ამ დროს „ენდიაი“ კვლევას კვლევაზე აქვეყნებს და „ნაცმოძრაობისთვის“ „გარანტირებული“ მეორე ადგილის „გაპრავებას“ წინდაწინვე გეგმავს. კოაბიტაცია დანაშაულებრივ გარიგებაში გადადის, დაპირებები არავის ახსოვს; „ოცნების“ რეიტინგიც დღითიდღე ეცემა... როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესი და რას უნდა ველოდოთ 27 ოქტომბრის შემდეგ — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან ჩაჩუა.**

## «ბაქრაძე გაიმარჯვებს თუ მარგველაშვილი, ქვეყანაში კვლავ «თავისუფლების ინსტიტუტის» იდეოლოგია იქნება გაბატონებული»

**— ბატონო ლევან, პრემიერი თავის გამოსვლებში ხშირად ამბობს ხოლმე, რომ მომავალი არჩევნები ჩვენთვის დემოკრატიის ტესტია. ალბათ, ასეცაა, მაგრამ რამდენად ჯანსაღია დღეს საარჩევნო გარემო, რამდენად თანაბარ პირობებში ხართ კანდიდატები?**

— თანაბარ გარემოზე საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია. ის პრობლემები, რომლებიც იყო წინა არჩევნებში, კაციტაძის კომისიის მიერ გაბერილი სიების სახით, დარჩა მოუგვარებელი. მეტიც, ამ ერთი წლის განმავლობაში მდგომარეობა გაუარესდა, მოხდა პოლიტიკური სივრცის ერთგვარი მონოპოლიზება და ახალ სახეებს, რომელთაც უნდათ ამ სფეროში შემოსვლა, არანაირი საშუალება არ ეძლევათ. გარდა ამისა, ბევრი კითხვის ნიშანია დაფინანსების საკითხთან დაკავშირებითაც. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ოცდასამი კანდიდატი ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს. დუხჭირ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ხალხს საარსებო მინიმუმი არ აქვს. ასეთ დროს ხელისუფლება თითოეულ თეთრს მიზანმიმართულად უნდა ხარჯავდეს და არა რაღაც მოკლევადიან კამპანიებში... მაგრამ უფასო საერთო დროის თანაბრად გადანაწილება და თოქშოუებში ახალი სახეების მონაწილეობა ხომ სავსებით შესაძლებელია, ოდესმე ხომ უნდა მოხდეს ამ ჩამყაყებული პოლიტიკური ველის გადახალისება.

**— ბოლო დროს ჩატარებულმა თითქმის ყველა კვლევამ აჩვენა, რომ მეორე ტურის ალბათობა დიდია, თუმცა საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებისგან ჩარევას არ გამორიცხავს ხმის მიცემის პროცესში...**

— არ ვფიქრობ, რომ ეს იქნება თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები. როგორც გითხარით, წინასაარჩევნო სიტუაცია იმდენად არათანაბარი და მიკერძოებულია, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია, პროცესმა ნორმალურად ჩაიაროს. **ვერც პრემიერის განცხადებები, რომ თურმე ევროპას გავაკვირვებთ და ვერც სხვა ღონისძიებები, რომლებიც რეალურად შედეგისკენ არ იქნება მიმართული, მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. აქ კონკრეტული ქმედებებია საჭირო და სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა პოლიტიკური ველი გაჯანსაღდეს.**

**— ხელისუფლების საგარეოპოლიტიკური ორიენტირები უცვლელია, ისევ ევროკავშირისა და ნატოსკენაა სწორება. თუ მომავალი არჩევნები, როგორც თქვენ ამბობთ, დემოკრატიული არ იქნება, როგორ მოხერხდება დასავლეთთან ინტეგრაცია?**

— ვფიქრობ, ეს ყველაფერი, რაც დღეს ხდება, გამიზნულია იმისთვის, რომ მოხდეს საზოგადოების ნიჰილიზმში ჩაგდება, ანუ არჩევნებზე აქტივობა იყოს დაბალი და ხალხმა ინტერესი დაკარგოს. მერე თავიანთ ამომრჩევლებს მიიყვანენ უბნებში, ზოგს — ფულით, ზოგს — სხვადასხვა დაპირებებით და მიაცემინებენ ხმას. ამას რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი შეთანხმებულად გააკეთებს, რის შემდეგაც გადაინაწილებენ ძალაუფლებას.

**— ალბათ, „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ გულისხმობთ?**

— ცხადია. ნახეთ, რას აკეთებს თუნდაც „ენდიაი“. ეს ორგანიზაცია ყველანაირად ილვწის იმისთვის, რომ ბაქრაძე და მარგველაშვილი გავიდნენ პირველ-მეორე ადგილზე. მინდა პირდაპირ მივმართო საზოგადოებას, რომ **მნიშვნელობა არ აქვს, მათგან რომელი გაიმარჯვებს. ბაქრაძე მოვა თუ მარგველაშვილი, ერთი და იგივეა, იმიტომ, რომ კვლავ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგია და დიქტატი იქნება ქვეყანაში გაბატონებული.**

**— თავისთავად რა საფრთხეებს შეიცავს ეს ჩვენთვის?**

— პირდაპირ დარტყმის ქვეშ დგება ეროვნული ცნობიერება, სულიერება და საბოლოო ჯამში, ის შეტევები, რომლებიც იყო „ნაცმოძრაობის“ დროს, მონაგონი იქნება. **თვითონ „ნაციონალებიც“ ამბობენ, ჩვენ რესპუბლიკელებთან შედარებით შავი ბერები ვართო. ასე რომ, ისეთი საშიშროების წინაშე ვდგავართ, აქ თითოეულმა მორწმუნემ და პატრიოტმა სიღრმისეულად უნდა გააანალიზოს, რა პროცესები გველოდება.**

**— პოლიტიკაში მოსვლამდე ივანიშვილი, როგორც სამების ამშენებელი და ქველმოქმედი, ყველას ეროვნული ცნობიერების ადამიანად მიაჩნდა. დღეს კი მისი ხელისუფლების ანტირელიგიურობაზე საუბრობენ.**

— ეს ყველაფერი განპირობებულია რეალობით, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მივიღეთ. რაც შეეხება ანტირელიგიურ კამპანიას, შეტევა, რა თქმა უნდა, გრძელდება, მაგრამ ვინაიდან წინასაარჩევნო პერიოდია და სჭირდებათ საზოგადოების მხარდაჭერა, ჯერჯერობით ამას თავშეკავებულად აკეთებენ. არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ დამთავრდება თუ არა არჩევნები, ეს შეტევა მიიღებს ბევრად უფრო მძაფრ, აგრესიულ ხასიათს. ამის თავი და თავი კი იქნება რესპუბლიკური პარტია, რომელიც დიდად არც მალავს თავის დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ. სხვათა შორის, **ამას წინათ ქალბატონი თამარ კორძაია გამოვიდა პარლამენტში და ანგარიში მოითხოვა საპატრიარქოსგან, თუ რაში დაიხარჯა 25 მილიონი ლარი. საიდან და რა ძალებისგან იღებენ ისინი მსგავს მითითებებს, ესეც ცნობილია.** ასე რომ, დამალული არავისთვის არაფერია.

**— დღესდღეობით საქართველოში ხელისუფლების მთავარი მალეგიტიმირებელი ძალა დასავლეთი, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებია. ასეთ პირობებში რა შანსები აქვს ეროვნული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკურ სუბიექტს?**

— გმადლობთ, ასეთი საინტერესო შეკითხვისთვის. პერსპექტივას რაც შეეხება, როდესაც ჩვენი წინაპრები ათჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერს უპირისპირდებოდნენ, ეს აბსოლუტურად უპერსპექტივო ბრძოლა იყო, მაგრამ, რომ არა ის წინააღმდეგობა, ჩვენ დღეს ქართველები აღარ ვიქნებოდით. ვფიქრობ, ბრძოლას საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის, ხალხის ცნობიერებისთვის და დედაეკლესიისთვის ყოველთვის აქვს აზრი. ამიტომ, მთლიანად ეროვნულ მასშტაბებში თუ ვერ მოხერხდება ამ ბრძოლის გაგრძელება, ადამიანურ, პირად ასპექტში მაინც, უფალთან და ჩვენს წინაპრებთან უნდა ვიყოთ მართლები. როგორც დიდი ილია ამბობს, კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი — აქ დასატოვებლად და მეორე — იქ წასაღებად...

**— გასაგებია, მაგრამ არსებობს ინტერესთა შეუთანხმებლობა. ერთის მხრივ, არის საზოგადოება, რომელიც მზადაა, ეროვნული ხელისუფლება მოიყვანოს და მეორე მხრივ — გარეშე ძალა, ამერიკის სახით, რომლისთვისაც ცალსახად მიუღებელია ეს.**

— ჩვენ მივდივართ რწმენით და სიყვარულით ღირსეული მომავლისკენ. ესაა ჩემი გზავნილი ამომრჩევლისადმი და **ქვეყანაში, სადაც 90 პროცენტი არის მართლმადიდებელი, ვფიქრობ, საზოგადოებას საკუთარი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ისე მთავრობაშიც.** ზუსტად ამ პროცესის დასაწყისია მომავალი არჩევნები, ამიტომ წინ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი გველის. მთავარია, ეს საზოგადოება იყოს კონსოლიდირებული და დაანახოს ყველა შიდა თუ გარე ანტიეკლესიურ და ანტიეროვნულ ძალას, რომ აქ გადამწყვეტ ფაქტორს ქართველი ერი განსაზღვრავს.

**— თქვენი აზრით, დღევანდელ მთავრობასა და პარლამენტში რამდენად არიან ეროვნული ცნობიერების ძალები?**

— რა თქმა უნდა, არიან იქ მორწმუნე ადამიანები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი რესპუბლიკელების დიქტატისა და ტყვეობის ქვეშ იმყოფებიან. ყველამ ვიცით, რომ დღევანდელ პარლამენტში დომინანტია რესპუბლიკური პარტია და, თუ ვინმემ რაიმე ეროვნულ საკითხზე ხმის ამოღება გაბედა, მერე ბოდიშებს ახდევინებენ. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. სიმართლის თქმა ყველას შეუძლია, სიმართლისთვის ბრძოლა კი — ნაკლებს... მაგრამ, როგორც იაკობ მოციქული ბრძანებს, სარწმუნოება საქმეების გარეშე მკვდარია.

**— საქმეებში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ადამიანის მსოფლმხედველობას, ეკლესიურ ცნობიერებას და სახელმწიფოებრივ აზროვნებას. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი პოლიტიკოსების უმეტესობას არ გააჩნია მყარი მსოფლმხედველობა, ეროვნული ღირსების განცდა და ისინი ყოველთვის სხვისი იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურე რჩებიან. სანამ ასეთი მიდგომები იარსებებს, ჩვენს სახელმწიფოს, როგორც კულტურულ, სულიერ და ზნეობრივ ქვეყანას, არავინ გაუწევს ანგარიშს. მუდმივად ვიქნებით რაღაც სათამაშო და საცდელი ობიექტი, რომელსაც ყველა სათავისოდ გამოიყენებს.

**— საზოგადოების დიდ ნაწილს, ალბათ, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატთან აქვს შეკითხვა: გამარჯვების შემთხვევაში ჩაატარებს თუ არა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე, რამდენად საჭიროა ეს?**

— არა თუ საჭირო, ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ამიტომ, **გავიმარჯვებთ თუ არა არჩევნებში, ნებისმიერ შემთხვევაში ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ურეიტინგო და ხალხის თვალში ოდიოზური პოლიტიკოსები აღარ იყვნენ პარლამენტში. საზოგადოებას მათთვის არ მიუცია ხმა 1 ოქტომბერს და ისინი არ გამოხატავენ მოსახლეობის ნებას. უსამართლობა იქნება, ორ და სამპროცენტიანმა პარტიებმა მართონ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო.**

**— პრემიერმინისტრის პოზიცია სრულიად საპირისპიროა. მან თქვა, რომ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ კონსტიტუციას. რა გზა რჩება საზოგადოებას, როგორ შეიძლება მივაღწიოთ ვადამდელ არჩევნებს?**

— როცა პრემიერმა ეს განცხადება გააკეთა, მაშინ მის მიმართ ნდობა ძალიან მაღალი იყო საზოგადოებაში. დღეს კი სულ სხვა რეალობაა. მე მოვიარე თითქმის ყველა რეგიონი, შევხვდი უამრავ ადამიანს და ხალხი იმედგაცრუებულია, ამიტომ ამ განცხადებას დღეს ნაკლებად დაეყრდნობა მოსახლეობა.

**— არ დაეყრდნობა და რა იქნება?**

— თუ არ ჩატარდა ვადამდელი არჩევნები და არ მოხდა პოლიტიკური ველის გადახარისხება, ვფიქრობ, საპროტესტო აქციების დიდი ტალღა დაიწყება.

**— ქუჩაში გამოსვლებს გულისხმობთ?**

— ცხადია. წინა რეჟიმის მიერ გამწარებული ხალხი, რომელიც აქამდე ელოდებოდა სამართლიანობის აღდგენას, გარეთ გამოვა და მერე მათი შეკავება ძალიან ძნელი იქნება.

**— არის მოლოდინი, რომ არჩევნების შემდეგ განახლდება სამართლებრივი პროცესი.**

— სწორედ ეს მოლოდინი აკავებს ხალხს, მაგრამ რეალურად რას ვხედავთ ჩვენ დღეს? ბაჩო ახალაიას უხსნიან ბრალდებებს. ცალკე იმ ძველი ზონდერბრიგადების წარმომადგენლები ბედავენ, ადამიანებს დაურეკონ და ეუბნებიან: ჩვენ ვბრუნდებით ხელისუფლებაში, დროზე მოდითო, ანუ, ფაქტობრივად, რეჟიმი ნელ-ნელა ისევ ფეხს იდგამს. პირდაპირ ვაცხადებ: **ამ კოაბიტაციამ ქართველი ერის წინააღმდეგ შეთქმულების ხასიათი მიიღო, ამიტომ საზოგადოებამ პრინციპულად არ უნდა შეცვალოს მოთხოვნები. თუ ხელისუფლებამ სიღრმისეულად არ გაიაზრა, რა ხდება და რა პროცესები შეიძლება განვითარდეს, ვშიშობ, შესაძლოა, ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყოს...**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ სამართლებრივი პროცესის შეფერხება დასავლეთის ზეწოლამაც განაპირობა?**

— დასავლეთის ასეთი მძლავრი ზემოქმედების ქვეშ არ მოექცეოდა ხელისუფლება, მის ინტერესებს რომ არ ემსახურებოდეს. ასე რომ, ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება წინა კითხვას მოლოდინთან დაკავშირებით, **ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ესენი არჩევნების შემდეგ აღადგენენ სამართლიანობას. პირიქით, გეუბნებით, რომ დანაშაულებრივი შეთქმულებაა მომზადებული ქართველი ერის წინააღმდეგ. რესპუბლიკელები და „ნაციონალები“ იდეალურ კოაბიტაციაში არიან ერთმანეთთან, ის მეტ-ნაკლებად ეროვნული ძალები კი, რომლებიც კანტი-კუნტად არიან პარლამენტში, ხმასაც ვერ იღებენ.** ძალიან რთული მდგომარეობაა და საფრთხეები ბევრია. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ხალხს შეცდომის უფლება არ აქვს. 27 ოქტომბერს ყველამ უარი უნდა უთხრას უსამართლობას და წარსულს ჩაბარდეს ის ანტიეროვნული ცნობიერება, რომელიც დღეს გაბატონებულია მმართველ ელიტაში.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

„დღემდე ავტოსადგომებზე გაჩერებული მანქანების პატრონები უშედეგოდ ითხოვენ მათ დაბრუნებას, ამასაც სახსრები უნდა?! მეტსაც გეტყვით, არის ბინები, რომლებიც არაა პატიოსანი შემძენის საკუთრებაში გადასული და მაინც არ აბრუნებენ."

სამართალი

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ლია მუხაშავრია: ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ კბილაშვილის უწყება არჩევნების შემდეგ აქტიურად ამუშავდება

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელი, ადვოკატი ლია მუხაშავრია.**

**— ქალბატონო ლია, „ქართული ოცნების" მიერ გაცემული წინასაარჩევნო დაპირებებიდან უმეტესობა დღემდე შეუსრულებელია. არ შექმნილა სამუშაო ადგილები, არ გაზრდილა ხელფასები და პენსიები... საინტერესოა, სამართლიანობის აღდგენის კუთხით რა მდგომარეობა გვაქვს, რა მივიღეთ ამ ერთი წლის განმავლობაში?**

— ახალი ხელისუფლების მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილ ანგარიშში ყველაზე სუსტი მხარე არის სწორედ სამართლიანობის აღდგენის ნაწილი, რომელიც იყო ძალიან მკაფიო დაპირება მათ წინასაარჩევნო პროგრამაში. დღეს უკვე ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს დაპირება არ შესრულდა, თუმცა ვფიქრობ, არ შესრულდა კიდევ არასრულყოფილი შეფასებაა.

**ყველამ ვიცით, საზოგადოებას რა მოლოდინიც ჰქონდა, რას ითხოვდა ხალხი და რისთვისაც მისცა ხმა 1 ოქტომბერს კოალიციას. ამის მიუხედავად, აქ არანაირი კომპლექსური ღონისძიება არ ყოფილა, დაწყებული სასამართლოს მიერ გამოტანილი უსამართლო გადაწყვეტილებების გაუქმებიდან, დამთავრებული წართმეული ქონების დაბრუნებით, ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, არაფერი გააკეთა.**

**— არ გააკეთა თუ ვერ გააკეთა?**

— ვფიქრობ, მას არც ჰქონია ამის განზრახვა, იმიტომ, რომ კანონმდებლობაში არ განხორციელებულა შესაბამისი ცვლილებები. მხედველობაში მაქვს საპროცესო კანონმდებლობის ისეთი ცვლილებები, რომლებიც სასამართლოს მიერ მიღებული და უკვე ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვას გახდიდა შესაძლებელს. ეს რომ არ გაკეთდა, ცხადია, **პროკურატურა თავს იკავებს და გვეუბნებიან, გადაწყვეტილებას ვერ გადავხედავთო. ასევე თავს იმართლებენ სხვა უწყებებიც. საბოლოო ჯამში კი გამოვიდა, რომ ის დაპირება, რომელიც შეეხებოდა სამართლიანობის აღდგენას, იყო მხოლოდ წინასაარჩევნო ტრიუკი.**

**— თქვენი აზრით, რა მექანიზმებითაა შესაძლებელი ამ განაჩენების გადახედვა?**

— სწორედ ამაზე უნდა იმუშაონ შესაბამისმა უწყებებმა. აქ საქმე გვაქვს სრულ სამართლებრივ აბსურდთან, — ერთის მხრივ, არის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და მეორე მხრივ, პარლამენტის დადგენილება, რომ ეს ადამიანები იყვნენ პოლიტიკური ნიშნით დევნილები. ამ ორი დოკუმენტის ერთდროულად არსებობა ნონსესია. ასე რომ, ერთი წლის თავზე შეიძლება ითქვას, — სამართლიანობის აღდგენის საკითხი სრულად ჩავარდა.

**— თქვენ თქვით, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირება წინასაარჩევნო ტრიუკი იყო. რა გამოდის — „ოცნების" მესვეურები იმთავითვე ცრუობდნენ, როცა ამ დაპირებას იძლეოდნენ?**

— ვერ გეტყვით, რომ იმთავითვე ცრუობდნენ, მაგრამ ფაქტია, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, არაფერი გააკეთეს. კიდევ ვიმეორებ: **აქ არ არის ლაპარაკი უშედეგო მცდელობაზე, მათ, ფაქტობრივად, არც კი მოინდომეს სამართლიანობის აღდგენა.**

**— თავიდან პროკურატურამ თითქოს აქტიურად დაიწყო მუშაობა, მაგრამ შემდეგ შეფერხდა პროცესი. როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი ნაწილობრივ დასავლეთის ფაქტორიც ხომ არ იყო? მაგალითად, წინა კვირას ჰილარი კლინტონმაც განაცხადა: „იმ ადამიანებზე კი არ უნდა იფიქროთ, რომლებმაც, თქვენი აზრით, კანონი დაარღვიეს, არამედ ახალი ხელისუფლების პოზიციაზე და იმაზე, ახდენს თუ არა მთავრობა დემოკრატიის კონსოლიდირებას".**

— იმის თქმის უფლება, რომ სამართლიანობის აღდგენაზე არ ვიფიქროთ, არავის აქვს და ვერც იტყოდა ამას ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელი, თავის დროზე რომ გადადგმულიყო სამართლებრივად სწორი, ადეკვატური ნაბიჯები. მხედველობაში მაქვს კონკრეტულად სამი შემთხვევა:

**როცა ახალაია დააკავეს და შემდეგ, როცა მერაბიშვილი და ჭიაბერაშვილი დააკავეს, ხელისუფლებამ პროცესუალურად იმდენად ღრმა დარღვევები დაუშვა, რომ შემდეგ უკვე მთლიანად სამართლიანობის აღდგენის მცდელობებს გადაეფარა პოლიტიკური დევნის საბურველი. აი, ზუსტად ამ საბურველმა მისცა ამერიკელებს კრიტიკის საფუძველი, თორემ გარწმუნებთ, ჩვენამდე ძალიან ბევრ ქვეყანაში გაუსამართლებიათ საკუთარი დიქტატორები, საკუთარი კაციჭამიები და ომის დამნაშავეები.**

**— თქვენი აზრით, რატომ მოხდა ახალაიას, მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაკავების დროს პროცესუალური დარღვევები? მიზანმიმართული პოლიტიკა უფრო იყო ეს თუ უბრალოდ კვალიფიციური კადრები არ ჰყავდათ?**

— იცით, რა, ახლა აღარ გვაინტერესებს, რა იყო ამის მიზეზი. ეს უკვე ჩავლილი ამბავია და დროს უკან ვერ დააბრუნებ. მე მაშინ ვეუბნებოდი მათ, თუ თქვენ დღეს სწორად არ დაიჭერთ ვინმეს მაინც, მერე სხვა პირების მიმართ, რომლებიც უფრო სერიოზული დამნაშავეები არიან, ვერაფერს გახდებით-მეთქი. სამწუხაროდ, ზუსტად ასე მოხდა. დღეს კი ფაქტია, რომ **ამ ხელისუფლებას არ აქვს არც უნარი, არც შესაძლებლობა და სურვილი, აღადგინოს სამართლიანობა.**

**— გასაგებია, მაგრამ, თუკი სამართლიანობა არ აღდგება, ხელისუფლება საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერას დაკარგავს. ეს არაფერს ნიშნავს მათთვის?**

— ცხადია, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მათ ამის უნარი და შესაძლებლობა არ აქვთ. სხვანაირად როგორ შეიძლება, ხელისუფლება თავისი ძალოვანი სტრუქტურების შიგნით არ ახდენდეს რეორგანიზაციას და კადრების შერჩევას, რომ ბოლოს ასეთ დოყლაპიურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

**— ერთი მხრივ, საუბარია საგამოძიებო სტრუქტურების სისუსტეზე, მაგრამ, მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომელთა უფლებებიც წლების მანძილზე სხვადასხვა ფორმით ირღვეოდა. საინტერესოა, უფრო მეტად რატომ არ აქტიურობენ ისინი და რატომ არ აიძულებენ პროკურატურას, იმოქმედოს?**

— ვერ ვიტყოდი, რომ საზოგადოება პასიურია, შვიდი თუ რვა ათასი საჩივარი შევიდა თავიდან პროკურატურაში. მერე რომელი ერთი გამოიძიეს, რომელს გასცეს პასუხი და დაადასტურეს?! აი, ეს რომ დაინახა ხალხმა, ყველას გაუტყდა გული. რატომ უნდა დაკარგონ ადამიანებმა დრო და ენერგია იმაში, რასაც აზრი არ აქვს?!

**— გამოდის, რომ მოსახლეობაში ნიჰილიზმია?**

— მე უფრო მოლოდინს დავარქმევდი, ხალხს ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ რაიმე შეიცვლება. **საზოგადოება გაცილებით უფრო ჭკვიანია, ვიდრე ხელისუფლებას ჰგონია, ამიტომ მოსახლეობა დიდხანს ვერ იქნება მოტყუებულ მდგომარეობაში. ქვეყანა შეურაცხყოფილია, როცა, მაგალითად, შაშკინი დაგიჯდება ეთერში და მორალს გიკითხავს. ეს ხელისუფლებისთვისაც სირცხვილია.**

**— ბოლო დროს ბევრს საუბრობენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პრობლემებზეც. საპარლამენტო უმცირესობას თუ დავუჯერებთ, ციხეებს ადრინდელივით კრიმინალური ავტორიტეტები მართავენ.**

— მე მგონი, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მნიშვნელოვნად შეიცვალა მდგომარეობა თუნდაც იმის გამო, რომ პატიმრების რაოდენობა განახევრდა. რაც შეეხება საუბარს კრიმინალურ ავტორიტეტებზე, ეს არის დაუსაბუთებელი ლაპარაკი და მე პირადად არ მჯერა ამ ჭორების.

**— ბოლო ერთი წელია, დასავლეთიდან მუდმივად კრიტიკა გვესმის, საქართველოში ადამიანები პოლიტიკური ნიშნით იდევნებიანო. როცა ამდენი მტკიცებულებაა და ამდენი დაზარალებული, საინტერესოა, პირიქით თუ ფიქრობს ვინმე, ანუ ამბობენ, რომ ივანიშვილმა სამართლიანობა ვერ აღადგინა?**

— მანდ სხვა მომენტია. მე პირადად 50 საქმე მაქვს სტრასბურგში გასაჩივრებული და აქედან მხოლოდ ერთადერთია ქონების უკანონოდ ჩამორთმევაზე. იმის თქმა მინდა, რომ თავის დროზე ადამიანები გაჩუმდნენ ამაზე და, შესაბამისად, არ არსებობდა სტატისტიკა, რა ხდებოდა აქ. მერწმუნეთ, დასავლეთში ჩვენს ცოდნას მოკლებულები არიან, ამიტომ ინჟევს ხოლმე საზოგადოების გაკვირვებას მათი ზოგიერთი შეფასება.

**— ცოდნასა და ინფორმაციას სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყვნენ მოკლებულნი, დღეს კი ჰამერბერგი პირადად იმყოფება საქართველოში.**

— ჰამერბერგმა ძალიან კარგი ანგარიში დადო. სხვათა შორის, საეჭვოა, რომ არ ეღირსა ანგარიშს გადმოქართულება და გამოქვეყნება. გირჩევთ, მოიპოვოთ ის და გაეცნოთ მის ქართულ ვერსიას. ეს მთელმა საზოგადოებამ უნდა ნახოს...

**— დავუბრუნდეთ სამართლიანობის აღდგენის საკითხს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ბიუჯეტში საკმარისი თანხები არაა და ხალხისთვის წართმეული ქონების დაბრუნება ამიტომ ვერ ხერხდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად საფუძვლიანია ეს არგუმენტი?**

— კარგი, დავანებოთ დროებით თავი იმ წართმეულ მილიონებს, **დღემდე ავტოსადგომებზე გაჩერებული მანქანების პატრონები უშედეგოდ ითხოვენ მათ დაბრუნებას, ამასაც სახსრები უნდა?! მეტსაც გეტყვით, არის ბინები, რომლებიც არაა პატიოსანი შემძენის საკუთრებაში გადასული და მაინც არ აბრუნებენ.** რაც შეეხება ბიუჯეტში თანხის არ არსებობას, რა თქმა უნდა, ივანიშვილი თავს მისცემს ამ განცხადების გაკეთების უფლებას, მან ხომ დაიბრუნა თავისი 82 მილიონი?! მორჩა, დანარჩენი არ აინტერესებს, გეუბნებიან, ბიუჯეტი არ გვყოფნისო. „მშვენიერი" მიზეზია. რაც გინდა, იფიქრე და ილაპარაკე.

**— წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებამ სამართლებრივ პროცესზე მორატორიუმი გამოაცხადა და თითქმის ყველა გამოძიება დროებით შეჩერდა. გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ 27 ოქტომბრის შემდეგეს პროცესი განახლდება?**

— ახლა ჩვენ ვირჩევთ პრეზიდენტს, რომლის უფლებებიც საკმაოდ შეზღუდულია. შესაბამისად, ამ უფლებაშეზღუდული პრეზიდენტის მოსვლით, ვფიქრობ, ქვეყანაში არსებითი ცვლილება ვერ მოხდება ვერც პოლიტიკურად, ვერც ეკონომიკურად და ვერც სამართლებრივად. ამას, მგონი, ყველა ხვდება, ამიტომ, **ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ არჩევნების შემდეგ კბილაშვილის უწყება მუშაობას დაიწყებს.**

**— არადა, „ოცნება" კოაბიტაციის დასასრულს გვპირდება.**

— არ ვიცი, დასასრულში რას გულისხმობენ, მაგრამ პროკურატურის მუშაობაში ცვლილებას ნამდვილად არ ველოდები. თუ აქამდე ვერ აღადგინეს სამართლიანობა, ვერც ხვალ და ზეგ აღადგენენ და, კადრები თუ არ ჰყავდათ, უცებ ერთ თვეში ვერ გაზრდიან. კიდევ ვიმეორებ, **საზოგადოების მოლოდინი სრული ილუზიაა, რომელსაც ხელისუფლება ქმნის.** რაში სჭირდებათ, გასაგებია, იმისთვის, რომ სტაბილურობა იყოს ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, **თუ ეს ილუზია გაიფანტა, ადამიანებს ისღა დარჩენიათ, გამოვარდნენ ქუჩაში, მოითხოვონ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და მნიშვნელოვნად შეცვალონ კოალიციის არსებობა სათავეში.** ამის თავიდან ასაცილებლად დღეს მმართველი გუნდი ყველაფერზე მიდის. ალბათ, მომავალშიც გადადგამენ გარკვეულ ნაბიჯებს.

**— საპროტესტო გამოსვლების ალბათობაზე ბოლო დროს სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს. ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა ხელისუფლების შეცვლიდან და ცოტა ადრე ხომ არაა ამაზე ფიქრი?**

— ჩემი აზრით, ეს ძალიან მალეა მოსალოდნელი, მით უფრო, რომ ეკონომიკური ფონი მძიმეა და ადამიანებმა საკუთარ ტყავზე ვერ იგრძნეს ვერანაირი ცვლილება.

მართალია, ციხიდან ხალხი გამოუშვეს, მაგრამ გარეთ გამოსული მოქალაქე სამუშაოს ვერ შოულობს, კიდევ უფრო მეტად გაბოროტდება. ამიტომ **ხელისუფლებას ის ურჩევნია, ნორმალურად იმუშაოს და შეეცადოს, სანამ კიდევ აქვს შანსი, თავი გადაირჩინოს, რაც სააკაშვილის რეჟიმს ცხრა წელი გაუვიდა, ამათ არ გაუვათ.** საზოგადოებამ საქართველოში უკვე ძალიან კარგად ისწავლა, როგორ შეცვალოს ხელისუფლება. ამ ცოდნას ის, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად გამოიყენებს. ასე რომ, „ოცნებას" სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს. სხვანაირად, კიდევ ვიმეორებ, მათ გაუჭირდებათ ხალხთან საუბარი და ადრე თუ გვიან გაიზიარებენ წინამორბედის ბედს.

ესაუბრა **ჯაბა ჭყანია**

## «ერთი წლის თავზე შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანობის აღდგენის საკითხი სრულიად ჩავარდა»

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აბა, ერთი ბარაკ ობამას წინადაცვეთაზე ან გერმანიის პედერასტი საგარეო მინისტრის, გვიდო ვესტერველეს, ქორწინების პირველ ღამეზე გამოეცათ წიგნი, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი კოჰაბიტაციურ-ლიბერასტური გნიასი ატყდებოდა?**

# საქართველოს ნანგრევებზე თურქული დროშა აფრიალდება...

**სვიმონ მასხარაშვილი ისტორიკოსობაზე პრეტენზიის მქონე კაცია, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ხოფერიას ახალ თოქშოუში ისეთებს ბოდავდა, საბოლოოდ დაამტკიცა, რომ, სვიმონი კი არა, „სიმონა“ და თანაც მასხარა ყოფილა, ხოლო „სიმონა“ რასაც ნიშნავს თბილისურ ჟარგონზე, ყველამ იცის...**



ამ ტაკიმასხარამ იბოდიალა, რომ თურმე ბაგრატის ტაძარი საბოლოოდ რუსმა გენერალმა ალექსი ერმოლოვმა დაანგრია 1820 წელს; მერე პუშკინსაც გადასწვდა — ჩემთვის პუშკინი უფრო დიდი დამპყრობელია, ვიდრე ერმოლოვი, რადგან დიდი პოეტი დითირამბებს უძღვნიდაო კავკასიის მთავარმართებელს და ბოლოს, ამ მართლა „სიმონამ“, ისეთი სისულელე დაახეთქა, რომ, მასხარაობა იქით იყოს და, მის ჯანმრთელობაში შემეპარა „გონივრული ეჭვი“... — ჩვენი მიზანი კრემლის ნანგრევებზე ქართული დროშის აფრიალება უნდა იყოსო!

აბა, ამის მთქმელი ნორმალურია? არ ვიცი, შექანებულ ისტორიკოსს ნატვრა როდის აუხდება, მაგრამ მსგავსი აღვირახსნილი ურაპატრიოტიზმის გამოა, საქართველოს ნარჩენებზე 20 წელიწადი ამერიკული დროშა რომ ფრიალებს!..

უნდა ვაღიარო — ანტირუსული, ურაპატრიოტული განწყობები მეც მქონდა ჯეელობაში; განსაკუთრებით 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, რომლის არა თუ მოწმე, აქტიური მონაწილეც ვიყავი. აქედან გამომდინარე, „რუსულ სისასტიკეს“, რომ იტყვიან, დღისით სანთლის შუქზე ვეძებდი, მაგრამ, რაც შეეხება ბაგრატის ტაძრის „საბოლოოდ დანგრევას“ ერმოლოვის მიერ, ამაზე არაფერი მსმენია და სიმონას „აღმოჩენის“ შემდეგ საკუთარ თავზე გავბრაზდი — ამ სიმონამ როგორ მაჯობა-მეთქი, მაგრამ...

ახლა, წერილზე მუშაობისას, წყაროები გადავქექე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ XVII საუკუნის დასასრულამდე ბაგრატის ტაძარი პირველქმნილი მშვენიერებით მდგარა და, ვახუშტის ცნობით, 1692 წელს „შემუსრეს ოსმალთა“. ხოლო XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი კარიბჭეები, რასაც რუსი მხატვრის ნ. ჩერენცოვის ნახატები მოწმობს!

ასე რომ, „სიმონა ისტორიკოსი“ ამ შემთხვევაში ურცხვად ტყუის!

აქედან გამომდინარე, ბაგრატის ტაძრის „საბოლოოდ დანგრევა“ სწორედ „სიმონა ისტორიკოსის“ საყვარელი პრეზიდენტ სააკაშვილის „აღმშენებლობის“ გამო მოხდა — სამუდამოდ ამოიღეს ეს ძეგლი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიიდან!..

**რაც შეეხება „სხვა შემთხვევებს“, აქაც ვერ არის ბოლომდე მართალი „ჩვენი სიმონა“ — კი, ბატონო, გენერალმა ერმოლოვმა ჩაახშო 1819-20 წლების გურია-იმერეთის აჯანყებები, მაგრამ იგი მთელი კავკასიის მთავარმართებელი გახლდათ და, პირველ რიგში, ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობით გაითქვა სახელი, რომელშიც ერთიმეორის მიყოლებით გააუქმა პატარა სახანოები და წესრიგი დაამყარა ოსმალეთის აშკარა მოკავშირე (ანუ საქართველოს მტერ) რეგიონში!**

ამიტომაც წერდა აღფრთოვანებით გენიალური პუშკინი — „ძრწოდე, კავკასიავ, ერმოლოვი მოდის“, რაც ასევე მისაღებ-გასაგებია რუსეთის პატრიოტი რუსი პოეტისგან — მაშ, რა უნდა ექნა, 200 წლის შემდეგ სიმონას რისხვისთვის თავი რომ აერიდებინა პუშკინს? „ენჯეო“ უნდა ჩამოეყალიბებინა და ოპოზიციაში ჩასდგომოდა საკუთარ სამშობლოს?

იქნებ გენიალური რუსთაველი ამუნათებდა თამარ მეფესა და მის სპასალარებს დამპყრობლურ-მოთარეშე ლაშქრობებისა გამო? — ერთ-ერთი ასეთი „რეიდის“ დროს ლამის ინდოეთს უწიეს ქართველებმა და მხოლოდ იმიტომ გამობრუნდნენ უკან, რომ ნაალაფარი ქონების ზიდვა ვეღარ შეძლეს?

უკანა გზაზე კი, როდესაც ერთ-ერთ ირანულ ქალაქში დატოვებული მცირერიცხოვანი ციხიონი განადგურებული და მათი თავები ქალაქის გალავანზე ჩამოცმულები

**არ ვიცი, შექანებულ ისტორიკოსს ნატვრა როდის აუხდება, მაგრამ მსგავსი აღვირახსნილი ურაპატრიოტიზმის გამოა, საქართველოს ნარჩენებზე 20 წელიწადი ამერიკული დროშა რომ ფრიალებს!..**

იხილეს, დიდიან პატარიანად გაჟუჟეს ამ დასახლების მცხოვრებნი ქართველებმა — ასეა, სისასტიკე და სისხლი ყველა იმპერიის ობიექტური მახასიათებელია! ყველგან და ყოველთვის აჯანყებები, მეტროპოლიასთან ურჩობა იხშობოდა და დღესაც ასეა — რა, ინგლისი რუსეთზე ნაკლებად სასტიკი იმპერია იყო? 200 წლის წინ ბრიტანეთის მონარქიამ სისხლის ტბები არ დააყენა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ აშშ-ში? თუ მოგვიანებით ბურებთან ომში ყვავილებს ესროდა „დემოკრატი“ უინსტონ ჩერჩილი აჯანყებულებს დღევანდელ სამხრეთ აფრიკაში, სადაც სხვათაშორის სწორედ ბურებთან ომის დროს შექმნეს ბრიტანელებმა ისტორიაში პირველი საკონცენტრაციო ბანაკები.

აღარაფერს ვიტყვი აშშ-ის იმპერიულ ამბიციებზე, რაც, რომ არა რუსეთი და ვლადიმერ პუტინი, სირიაში ნატოს აგრესია მესამე მსოფლიო ომის ფასად შეიძლებოდა დასჯდომოდა კაცობრიობას...

მგონი, ცოტა ავცდი წერილის თემას. თუმცა არა, ჩემი მიზანი არ ყოფილა მხოლოდ „მასხარა სიმონას“ სისულელეებზე ოპონირება. „კრემლის ნანგრევებზე საქართველოს დროშის აფრიალების ბოდვითი იდეა“ მხოლოდ საბაბი აღმოჩნდა წინამდებარე წერილის დაწერისა. თავი და თავი მიზეზი კი ქვეყანაში აგორებული მორიგი ურაპატრიოტული ანტირუსული ისტერიაა, რომელიც თითქოს 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ისტორიას ჩავაბარეთ, მაგრამ...

გაგიკვირდებათ და ესეც კოაბიტაციის შედეგია — ყოველმხრივ გაკოტრებული „ნაცების“ ერთადერთი პოლიტიკური ნიშა მათ დროს არსებული „წარმატებული საგარეო პოლიტიკაა“. ანუ „ნა-ტო, ნატოს“ უაზრო სკანდირება და „ნაცების“ ძალისხმევის შედეგად გარანტირებული ე.წ. არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება დასავლეთის მხრიდან და ა. შ. სხვა მრავალი სახის ურაპატრიოტული რახარუხი, რაშიც, სამწუხაროდ, „ქართული ოცნებაც“ და მეტნაკლებად პირადად პრემიერიც წარმატებით აიყოლიეს!

**თუმცა რაღა რახა-რუხი? ისეთი პომპეზურობით ჩაატარეს ყრილობა, რომ აშკარაა, არჩევნებიდან წლისთავზე დასავლეთის თვალში სრული რეაბილიტაცია მოახდინეს იმ პარტიისა, რომლის აქტივისტები „მი-შა, მი-შას“ სკანდირებას კი არ უნდა გვიბედავდნენ, მიშაც და მისი კრიმინალური ბანდაც ციხეში უნდა ისხდნენ, დიდი ხანია!**

ე.წ. რებრედინგისთვისაც არ შეიწუხეს თავი — ძველი, ოდიოზური სახეები არათუ ჩამოიშორეს, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი, შესაბამისად, პარტიის თავმჯდომარედ და გენერალურ მდივნად დაამტკიცეს ხელახლა, რაც, ქართველი საზოგადოების შეურაცხყოფასთან ერთად, მის მიმართ ირიბი მუქარაც იყო!

ცხინვალის რეგიონში მავთულხლართების და ერთ-ერთ მეჩირალდნედ რუსი მფრინავის არჩევის პასუხად, სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი! — აი, მთავარი თემა მორიგი ურაპატრიოტული კამპანიისა, რომელიც ერთი შეხედვით უეცრად, სპონტანურად აგორდა, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, არც ისეთი „უეცარ-სპონტანურია“ ეს ყოველივე...

**ვიღაც ხომ აფინანსებს და ორგანიზებას უკეთებს ამ აქციებს? ჰოდა, თუ ვარდისფერ სათვალეებს მოვიხსნით, დავინახავთ, რომ ეს „ვიღაც“ დასავლეთიდან ფინანსირებული, პრონაცური ენჯეოები არიან.**

**ვარდების მოედანზე სამსაათიანი კონცერტი-პროტესტი მოეწყო აჩიკო გულედანისა და ძმათა მისთა თაოსნობით. ეს ის აჩიკო და ძმები მისნი არიან, რომლებსაც 9-წლიანი ნაცტერორის დროს საპროტესტო კონცერტი კი არა, კრინტი არ დაუძრავთ და, როცა ხალხი ტიროდა და კვნესოდა, „ნაციონალების“ სალაფავს თქვლეფდნენ!**

მაგრამ, როგორც იტყვიან, „Бог сними с убогими“ და რეალურად რა ხდება ცხინვალის რეგიონში?

რა და, მავთულხლართების გაბმა (სააკაშვილისავე მიერ სანაკოევის „გასაპრავებლად გავლებული“ საზღვრის გასწვრივ) სხვა არაფერია, თუ არა რუსების მკაფიო გზავნილი ქართველ ხალხს — აი, ხედავთ, რასაც, როგორც და როცა მინდა, ვაკეთებ და სად არიან თქვენი მშფოთვარე დასავლელი სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები?

ამბები

## ბიძინა ივანიშვილი: 27 ოქტომბრიდან ერთ კვირაში იქნება ცნობილი, ვინ გახდება ახალი პრემიერი

**27 ოქტომბრიდან ერთ კვირაში ცნობილი იქნება, ვინ გახდება საქართველოს ახალი პრემიერმინისტრი. ამის შესახებ საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „პირველ არხის“ საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“, სოფო მოსიძისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.** „ერთი კვირის განმავლობაში, ვფიქრობ, შეთანხმებული იქნება საბჭოსთანაც და კოალიციასთანაც“, — აღნიშნა ივანიშვილმა. კითხვაზე, აქვს თუ არა კანდიდატურა გადაწყვეტილი, ივანიშვილის თქმით, დიდი ხანია, აკვირდება რამდენიმე ადამიანს და საკუთარი პრიორიტეტებიც აქვს. „კარგია, რომ არჩევანის საშუალება მაქვს. კარგი პრემიერი ეყოლება ქვეყანას“, — განაცხადა ივანიშვილმა.



ავი მუსაიფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თქვე ჩემი ცოდვით სავსე ურაპატრიოტებო! ან ჭაბუა ამირეჯიბის დაიჯერეთ, ან საქართველოს პატრიარქის და ან დიდი ილიასი! თუ არადა, მაგერ გყავთ სიმონა მასხარაშვილი და, სანამ თქვენ კრემლის ნანგრევებზე ქართულ დროშასააფრიალებთ, მანამდე ვინძლო ევროკავშირ-აშშ-ნატოს კი არა, თბილისის თავზე თურქეთის დროშა არ აფრიალდეს.

◀ მართლაც, ჩვენი დასავლელი „მეგობრები“, როგორც ყოველთვის ბოლო 20 წლის მანძილზე, ახლაც ჩვეულებისამებრ მხოლოდ შფოთავენ, ოხრავენ და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მგზნებარედ უჭერენ მხარს!..

ულიარებლობის პოლიტიკა, რომ პირველ რიგში თავად რუსეთის ინტერესებშია, ამაზე არავინ საუბრობს! — დიახ, ასეა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს არ გაუჭირდებოდა საკუთარი მოკავშირეების დაყოლიება და ვანუატუ, ნიკარაგუა, ვენესუელასთან ერთად, როგორც მინიმუმ, არაბული სამყაროს ნახევარი მაინც აღიარებდა სოხუმ-ცხინვალის დამოუკიდებლობას. მაგრამ ამას იმიტომ არ აკეთებს რუსეთი, რომ ხელს არ აძლევს, სოხუმ-ცხინვალი რეალურად გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რადგან „მადა ჭამაში მოდისო“ და ემანდ აფხაზოსებმა მეტი არ მოინდომონ და რუსეთის უპირატეს გავლენას ამ რეგიონებში საფრთხე არ დაემუქროს!

ან იგივე ევრაზიული კავშირის თემა ავიღოთ, რომელიც, კაცმა არ იცის, რეალურად შედგება თუ არა, მაგრამ მის მიმართ ისტერიული დამოკიდებულება უკვე იქცა საქართველოში ერთგვარ ტესტად პროდასავლური ორიანტაციისა — რატომ არაფერი ისმის რუსეთისგან სოხუმ-ცხინვალის ამ კავშირში შესაძლო გაწევრიანებაზე? რა, ვინმე ან რამე შეუშლის რუსეთს ხელს ამ საქმეში?

**ულიარებლობის შესახებ ზემოთ თქმულის გარდა, ჩემი ღრმა რწმენით, ამას კიდევ იმიტომ არ აკეთებენ, რომ საქართველოს ჰქონდეს შანსი, მათთან ერთად, ანუ ჩვენი ეგიდით და არა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები, გაწევრიანდნენ ეს რეგიონები ხსენებულ კავშირში, რაც სამომავლოდ უთუოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივ გამთლიანებას!**

**დიახ, ფაქტობრივს, რადგანაც ძველი სტატუსკვო ამ რეგიონების მიმართ, ალბათ, არასოდეს აღდგება. ყოველ შემთხვევაში, ამ საუკუნეში ეს არ მოხდება და ეს მწარე რეალობა უნდა მივიღოთ ქართველებმა, როგორც ობიექტური მოცემულობა!**

სხვა დანარჩენი, ვინც და რასაც არ უნდა დაგვპირდნენ პოლიტიკოსები, ვიმეორებ, მხოლოდ იაფფასიანი პოპულიზმი და ურაპატრიოტული რახა-რუხია!

**არც ჯარს გაიყვანს რუსეთი ამ რეგიონიდან და გააგრძელებს მეტ-ნაკლები დოზით ეყოლება აქ სამხედრო ძალა, რადგან, კაცმა არ იცის, როდის ავირჩევთ ქართველები მორიგ სააკაშვილს, რომელიც ერთიანად, უკაცრავად და, ლაჯებში ამოიდებს რუს-ქართველთა ერთად ცხოვრების ორსაუკუნოვან ისტორიას და მორიგ ისტორიულ უმადურობას გამოავლენს რომელიმე „ისტორიული მეგობრის“ სასარგებლოდ!**

**რუსების „მცოცავ ოკუპაციაზე“ რომ „ვენებს ვიხსნით“, ბათუმი რომ პრაქტიკულად თურქული ქალაქია და თბილისის „პლეხანოვი“ სტამბოლის პროსპექტი, ამას როგორი ოკუპაცია ჰქვია, მცოცავი, მხოხავი თუ მოხტუნავე? ისე, ვის უფრო მეტი ტერიტორიები აქვს მიტაცებული და უფრო მეტი ქართული სისხლი დაღვრილი — რუსებს თუ თურქებს?**

არც ის არის შემთხვევითი, რომ (თითქოს ვიღაცამ ჯადოსნური ჯოხი აიქნია) ბრაზილიური სერიალები შეწყდა და უკლებლივ ყველა, ე. წ. ნაციონალურ მაუწყებელ არხებზე თურქული სერიალების ჩვენება დაიწყო — **ნახეთ, როგორი კულტურული, მშვიდობიანი ხალხია ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი, ქვეყანა, რომლის საგარეო მინისტრი დავიდ ოღლუ დღეს პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთის მიზანი ე. წ. დიდი თურქეთის იმპერიის აღდგენაა, ბათუმიდან სარაევო, ბენღაზამდეო.**

ამ ფონზე, რესტორანში რუსული სიმღერის შეკვეთისთვის ცოტა ხნის წინ იჭერდნენ, ნუგზარ წიკლაურის „სახალადეცე ღორის თავის“ მსგავს თავებში სერიოზულად განიხილებოდა პუშკინის, მაიაკოვსკის ძეგლების დემონტაჟისა და გრიბოედოვის საფლავიდან ამოღების „პატრიოტული თემები“ — აი, ეს არის სწორედ ისტორიული უმადურობა!

## როგორმე „ზამთარს“ თუ გადავურჩით...

წერილის ბოლოს ეს ქვესათაური ბატონი გიორგი სიჭინავას ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილის — „არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ სად გამოიზამთრა ძნელბედობის ჟამს ქართულმა სულმა“ — ზეგავლენის შედეგია, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში დაიბეჭდა. თავის მხრივ, ავტორის შთაგონება კი ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ გამხდარა; ქართველი კაცის, რომელსაც დღენიადაგ სათაყვანებელი სამშობლოს „პულსზე უდევს ხელი“...

„შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება...“ — ძნელია არ გაიზიარო ბატონი ჭაჭიას ირონიანარევი სიმართლე, სადაც ბუნებრივად იკითხება, რომ ჩვენ, ქართველებს, შვეიცარია-დუბაი-სინგაპური კი არა, უბრალოდ, საქართველოდ დარჩენა გვინდა!

თუ არადა, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს მოუსმინეთ კიდევ ერთხელ:

— **„ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე, პლუს ის, რაც ევროპიდან და აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ.**

ჩვენ ქართველები ვართ!!!“

ცხონებული ლევან სანიკიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „უქარქაშო ხმლები“, ხატოვნად ამბობდა, რომ საქართველოდან ნებით თუ უნებლიეთ წასულ ყოველ ქართველს მხარზე ერთი უჩინარი ჩიტი ეჯდა და ნიადაგ ჩასძახოდა: „ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები“, რამეთუ „გათათრება“, ანუ რჯულის შეცვლა, გადაქართველებას, გადაჯიშებას ნიშნავდა...

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სამშობლოდან გადახვეწილებს კი არა, აქ დარჩენილებსაც დაემუქრა „გათათრების“ საფრთხე. „XVII საუკუნეში, როსტომ ხანიდან მოყოლებული, ქართველი დიდებულები იქამდე „გათათრდნენ“, რომ მაგიდასთან ქართულად ჯდომასაც კი გადაეჩვივნენ და, სპარს-ოსმალთა მსგავსად, მუთაქ-ხალიჩებზე წამოწოლილები ქეიფობდნენ. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში კი, როდესაც თბილისში, ნადირშაჰის „მოწყალებით“ პატარა კახის მამა, ქრისტიანი თეიმურაზ II ავიდა სამეფო ტახტზე, აღმოჩნდა, რომ 120 (!!!) წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ქართლს ქრიატიანი მეფე აღარ ჰყოლია!..

**მას შემდეგ მეფე ერეკლემ მამასთან ერთად და მარტომაც ბევრი იქნია დავითფერული მახვილი, მაგრამ ისლამურ ოკეანეში მხოლოდ მისი ხმლის, თუნდაც „ავი მუსაიფის“, ქნევა რას გააწყობდა და კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთობაში იყო!**

ახლა აქ არც დროა და არც ადგილი რუს-ქართველთა ორსაუკუნოვანი ერთობლივი თანაცხოვრების დეტალური მიმოხილვისა, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვიტყვი ურაპატრიოტების გასაგონად:

**ბაგრატოვანთა დინასტიისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, გადათეთრებული ფრესკები, ჩახშობილი აჯანყებები და სხვა სიავენი იმპერიული რუსეთისა გვახსოვს, ბატონო, გვახსოვს, მაგრამ ყველაფერი ეს ცალკ-ცალკე კი არა, ისტორიულ კონტექსტშია განსახილველი, რომ, უნდოდა თუ არა რუსეთს, სწორედ მის წიაღში მოხდა „ქართული სულის გამოზამთრება“, ქართული მენტალობის რენესანსი და, რაც უმთავრესია, ქართველი ერის ფიზიკური გადარ-ჩე-ნა!!!**

სწორად შენიშნა დიდმა სტალინმა (დიახ, დიდმა, მავანთა ჯინაზე თუნდაც) 1947 წელს ბიჭვინთაში, ქართველ ისტორიკოსებთან შეხვედრის დროს: **„შეადარეთ ერთმანეთს ის ქართველები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და ისინი, რომლებიც სპარსეთსა და თურქეთში არიან, რომლებმა შეინარჩუნეს უფრო მეტად ქართველობა? თუნდაც ჰაბიტუსით, რომლები უფრო ჰგვანან ქართველებს? რა თქმა უნდა, რუსეთში და ეს სწორედ ერთმორწმუნეობის გამო შეძლეს“.**

„თუ გაგვიწყრებოდა ღმერთი და დავრჩებოდით სპარსულ-თურქულ სივრცეში, მოხდებოდა კი ქართული გენის აღზევება XIX საუკუნეში? გვეყოლებოდა დღეს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები?“— შეუძლებელია არ დაეთანხმო ბატონ გიორგი სიჭინავას, რომ არაფერი ვთქვათ XX საუკუნის ქართული კულტურის, მწერლობის, მეცნიერების რენესანსზე...

ამას წინათ, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“, რომლის პრეზენტაციაზეც ახალი და ძველი ხელისუფლების წევრები და თვით რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების „ახალი დამლაგებელი“, ზურაბ აბაშიძეც იყვნენ მიწვეულნი, მაგრამ ვერავინ „მოახერხა“ მისვლა და პრეზენტაციამ მხოლოდ „სამშობლოს მოღალატე რუსეთუმეების“ ამარა ჩაიარა — **აბა, ერთი ბარაკ ობამას წინადაცვეთაზე ან გერმანიის პედერასტი საგარეო მინისტრის, გვიდო ვესტერველეს, ქორწინების პირველ ღამეზე გამოეცათ წიგნი, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი კოჰაბიტაციურ-ლიბერასტური გნიასი ატყდებოდა?**

ეს ისე, ცნობისთვის, თორემ მსოფლიო პოლიტიკის რეალურად მკეთებელ ვლადიმერ პუტინს, მის მსოფლიო ავტორიტეტს მსგავსი კაცუნების იგნორი ვერაფერს დააკლებს ისევე, როგორც ვერაფერი დააკლეს მის საშინაო, გნებავთ, პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილ ავტორიტეტს პედერასტული შეტევით დასავლეთიდან!

წიგნის შესავალში ვკითხულობთ:

კიდევ ერთი ისტერიკა (კიდევ ერთი, რადგან ერთ-ერთი ედვარდ სნოუდენისთვის რუსეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას მოჰყვა. — დ. მ.) დასავლეთში პუტინის მიერ ხელმოწერილ გეიპროპაგანდის ამკრძალავ კანონს მოჰყვა. დასავლეთი, სადაც ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების პარადი მიმდინარეობს, მტკივნეულად განიცდის, რომ რუსეთში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირებს სათბურის პირობებს არ უქმნიან“.

მართლმადიდებელმა რუსეთმა ამ კანონის მიღებით მთელ პედერასტულ დასავლეთს ხელთათმანი ესროლა! რითაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, ქართველთა ჯანსაღი, ტრადიციული ღირებულებების მატარებელ ნაწილში პატივისცემა დაიმსახურა...

ზემოთ ლევან სანიკიძის „ნუ გათათრდები“ ვახსენე და ახლაც იმავე საფრთხის, ეროვნული გადაგვარების წინაშე ვდგევართ, ოღონდ არა ისლამიზაციის (თუმცა ვინ იცის, თურქული ეკონომიკურ-კულტურული მცოცავი ექსპანსია თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა?..), პედერასტიზაციის მეშვეობით გველის და დღეს ის მხარზე მჯდომი ჩიტი ქართველებს ჩაგვძახის — ნუ გაპედერასტდები! არა — გეიპარადებს, ერთსქესიან ქორწინებებს, ანუ არა — სატანიზმს!

და, ჰოი საკვირველო ირონიავ ისტორიისაო, ამ საფრთხისგან ისევ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელმა რუსეთმა უნდა იხსნას საქართველო, როგორც 2 საუკუნის წინ იხსნა „გათათრებისგან“...

ამ საფრთხეებს, უპირველესად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღიქვამს ადექვატურად და ამიტომაც არ ეშვება რუსეთისკენ სავალ გზებს. რუსეთში, სადაც ბოლო ვიზიტისას თვით ვლადიმერ პუტინისგან ლტოლვილების დაბრუნების საკითხში დახმარების დაპირება მიიღო, მაგრამ, ერეკლეს ხმლის „ავი მუსაიფის“ და ისლამის ოკეანის არ იყოს, მარტო პატრიარქი რას გახდება ამ ლიბერასტულ ოკეანეში, სადაც, არამგონია, საქართველოს უგვირგვინო მეფეს, აწ წმინდა ილია მართალს არ სცოდნოდა თვითმპყრობელური რუსეთის ჩადენილი სიავენი, მაგრამ სწორედ ისტორიული კონტექსტის ქურაში გაატარა ყოველი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს რუსეთთან ძალით თუ ნებით მიერთება დადებითი მოვლენა იყო. ამიტომაც დაწერა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი „ასის წლის შემდეგ“, რომელიც საქართველოში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა.

თქვე ჩემი ცოდვით სავსე ურაპატრიოტებო! ან ჭაბუა ამირეჯიბის დაიჯერეთ, ან საქართველოს პატრიარქის და ან დიდი ილიასი! თუ არადა, მაგერ გყავთ სიმონა მასხარაშვილი და, სანამ თქვენ კრემლის ნანგრევებზე ქართულ დროშასააფრიალებთ, მანამდე ვინძლო ევროკავშირ-აშშ-ნატოს კი არა, თბილისის თავზე თურქეთის დროშა არ აფრიალდეს.

**დავით მხეიძე**



## საწვავის ფასი არ შემცირდება

**ამის შესახებ „სოკარის“ პრეზიდენტმა როვნაგ აბდულაევმა განაცხადა და განმარტა, რომ გაიაფება შეუძლებელია იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო ბაზარზე ფასები იზრდება.**

„როგორ შევამციროთ ფასები მაშინ, როდესაც მსოფლიოში ნავთობი მცირდება? ჩვენ საქართველოს მთავრობის თხოვნით საშემოდგომო სამუშაოების პერიოდში დიზელი გავაიაფეთ, თუმცა ვფიქრობ, წლის ბოლოს ტარიფი საბაზრო ნიშნულს დაუბრუნდება. მაქსიმალურად ვმუშაობთ ამ კუთხით, თუმცა მსოფლიოში ფასები იზრდება“, — განაცხადა აბდულაევმა.

ენერგეტიკის მინისტრის — კახი კალაძის თქმით, ბაზარზე ალტერნატიული მომწოდებლის შემოყვანაზე მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს.

**„მე კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რადგან მან თანხმობა განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ კორიდორი უნდა იყოს გახსნილი და ნებისმიერ კომპანიას საშუალება ექნება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, რაც ჩვენთვისაც და აზერბაიჯანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“,** — განაცხადა კალაძემ.



პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალების“ მოგონილია ეს ამბავი. ამათგან სხვას არაფერს უნდა ელოდო, ამიტომ პირდაპირ ვიტყვი: ვინც ავრცელებს ხმებს სპეცსამსახურებთან თანამემამულეების თანამშრომლობის თაობაზე, არის ჩვენი სამშობლოს მტერი. ეს სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, რაც თავისთავად კანონით ისჯება.“**



ანზორ მაისურაძე:

# აგენტომანიის ისტერიკის ამტეხი უნდა დაისაჯოს, თორემ ხომ ხედავთ, რა დომხალია

**„საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს უპასუხებს სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე.**

**— ამ დღეებში ჩვენს პრესაში გამოჩნდა პუბლიკაციები იმის თაობაზე, რომ თურმე „ქართული ოცნების“ კოალიციის ლიდერები სოდისა და კუდის აგენტები იყვნენ და არიან.**

**მესმის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით, საპრეზიდენტო მარათონის დასკვნით ეტაპზე, დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები ყველაფერზე წამსვლელები არიან, მათ შორის, ასეთი მაკომპრომენტირებელი მასალების გასავრცელებლადაც, მაგრამ დამეთანხმებით, რომ პროფესიონალის შეფასება საზოგადოებისთვის ობიექტური ორიენტაციის მისაცემად ზედმეტი არ უნდა იყოს.**

— გეთანხმებით და გიპასუხებთ.

უწინარეს ყოვლისა, გეტყვით, რომ ასეთ პერიოდებში (და სხვა დროსაც) პოლიტიკურ ორთაბრძოლებში მოწინააღმდეგის ლანძღვა და თათხვა, ყველა ამქვეყნიური ცოდვის მიწერა ჩვენთან მოდაში შემოვიდა, რაც ფრიად სამწუხაროა.

სახელმწიფო უშიშროებისთვის მოწოდებული არც ერთი სამსახური, რომლებიც აღჭურვილია პასუხისმგებლობით, გამოირჩევა ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით და, ბოლოსდაბოლოს, დაკარგული არ აქვს თავმოყვარეობა, არ დაუშვებს არც ამგვარი ინფორმაციის გაჟონვას, მით უფრო დოკუმენტების პუბლიკაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

**— ესე იგი, ფალსიფიკაციის მოწმენი ვართ?**

— ჩემი ღრმა რწმენით, **ეს გაკეთებულია დაინტერესებული ძალის მიერ მოწინააღმდეგე, გამარჯვებული ძალის და მისი მოწინავე ბირთვის კომპრომენტაციის მიზნით. უშნო, მავნე, არაპროფესიული, უგემოვნებო, სპეცსამსახურების ენაზე რომ ვთქვათ, ე.წ. აქტიური ღონისძიების განხორციელების მცდელობაა, ჩვენ შემთხვევაში, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტიური პირების წინააღმდეგაა მიმართული, ანუ დღევანდელი ხელისუფლების კომპრომენტაციისთვისაა გამიზნული.**

აგენტურა საიდუმლო სამსახურია, საიდუმლოდ შექმნილი, მისი გამჟღავნება ისევე დასჯადია, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა.

კარგი ბიჭები იქნებოდნენ, უცხო ქვეყნების აგენტების სია რომ გამოექვეყნებინათ, რაც სპეცსამსახურების უშუალო მოვალეობაა — გამომჟღავნებას ვგულისხმობ. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და ჭორების გავრცელებით გზა-კვალს ურევენ ხალხს.

**— მახსენდება თქვენი მონაყოლი, როცა პრეზიდენტმა გამსახურდიამ ქართული ინტელიგენციის 30 წარმომადგენლის სია გადმოგცათ და დაგავალათ, დაგემოწმებინათ მათი უშიშროების აგენტობა...**

— თქვენ იცით, რომ მაშინ სხვა სიტუაცია იყო, პარალელის გავლება დღევანდელობასთან მაინცდამაინც ზუსტი არ იქნება, თუმცა პრინციპი — სიმართლის თქმა და არა ცრუ თანხმობა — იყო მთავარი და რჩება ასეთად.

მე ვუპასუხე, რომ არც ერთი, ვინც იმ სიაში ეწერა, აგენტი არ იყო, რასაც დავადასტურებ ყოველთვის და ყველასთან. რომ ყოფილიყვნენ, არც იმას ვიტყვი, რადგან ჩემი პროფესიონალიზმი და ღირსება ამის უფლებას არ მაძლევს.

მითხრა, რომ ერთ კვირაში დაგირეკავ და შენი თანამდებობაზე ყოფნა და სამსახური შენს პასუხზე იქნება დამოკიდებულიო.

ვუპასუხე, რომ ამის გამკეთებელი არ ვარ და თქვენი კაბინეტიდან პირდაპირ შინ მივდივარ — სახლში-მეთქი.

ერთი კვირის თავზე მირეკავს და მეუბნება, — შენ მე მატყუებ და ამიტომ სამსახურიდან გაგდებ!

არ გამგდების-მეთქი!

**— ბატონო ანზორ, თქვენ ისიც გაქვთ ნათქვამი, რომ, როცა თქვენმა თანამშრომელმა პირველი მრავალპარტიული არჩევნებით მოსული დეპუტატებით სავსე სხდომათა დარბაზს გადახედა, თქვა: ასე მგონია, ჩემს სეიფში შევიხედეო (სადაც აგენტების კართოტეკა ინახებოდა).**

— თქვა, მაგრამ გვარები არ დაუსახელებია, ესე იგი, არც კანონი დაურღვევია, არც მორალური პრინციპი. ესაა პროფესიული დამოკიდებულება და არა ის, რასაც დღეს ვხედავთ, როცა საიდუმლო აგენტების პერსონალიებზე ალაპარაკდნენ ისინი, ვისაც ამ საქმესთან შეხება არასოდეს ჰქონიათ.

**— პრეზიდენტ გამსახურდიას ისიც უთხარით, რომ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, გაქვთ უფლება, იცოდეთ, ვინ არის აგენტი, მაგრამ ამის გასაჯაროების უფლება თქვენც კი არ გაქვთო.**

— ასეა. **პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის, რათა უკეთ მართოს ქვეყანა, უკეთ შეარჩიოს კადრები. აგენტურა არსებობს იმისთვის, რომ ხელისუფლებამ გამოიყენოს ეს ინსტიტუტი ქვეყნის შინაური თუ გარეშე მტრების გამოსავლენად და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად. სწორი და მართალი ხელისუფალი იქნება ის, ვინც ამ პრინციპს განახორციელებს.**



**— შეუძლიათ თუ არა იმ პოლიტიკოსებს თუ სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც კუდის თუ სოდის აგენტებად მოიხსენიეს, რამენაირად იმართლონ თავი?**

— რატომ უნდა იმართლონ თავი? როგორც დასწამეს ცილი (თუ ეს ცილისწამებაა), ასევე უნდა განაცხადონ, რომ ტყუილია ის, რასაც აბრალებენ. მეტი არაფერია საჭირო.

**— სასამართლო? ერთ-ერთმა დასახელებულთაგანმა პრესაში განაცხადა, რომ მიმართავდა სასამართლოს ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ შეძლებს კი?**

— ვერა, ვერ შეძლებს. მაგრამ ვერ შეძლებს მისი აგენტობის დამტკიცებას, ვერც ის, ვინც ეს ჭორი გაავრცელა. სასამართლოში ჩვეული წყლის ნაყვაა. ხოლო **ის „დოკუმენტები“, რომლებიც გამოქვეყნდა, წმინდა წყლის ფალსიფიკაციაა. გამორიცხული არ არის, რომ ცრუ საბუთები სპეცსამსახურებში ხელგაწაფულთა მიერაა შედგენილი და მათ მიერვეა „დიდ ცურვაში“ გაშვებული.**

ასეთი მაგალითები ადრეც იყო საკმაო ოდენობით.

**— თქვენს დროსაც?**

— დიახ. მაგრამ არა იმ სამსახურის მიერ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი...

**— ამ, გამიზნულად აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით ეროვნული ხელისუფლების წევრმა თემურ ქორიძემ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში განაცხადა, რომ „აგენტომანიას ყავლი გაუვიდა. თუ ჟურნალისტს მყარი არგუმენტაცია არ გააჩნია, ამაზე არ უნდა ისაუბროს... როცა ჩვენ ხელისუფლებაში ვიყავით, მე ვითხოვდი, რომ, თუ ვინმეზე ასეთი მასალები არსებობდა, გამოექვეყნებინათ“.**

— სწორი პოზიციაა. სამართლიანი მოთხოვნაა.

**— და ამასთან დაკავშირებით, გაიხსენა „ერთი ძველი ანეკდოტი“, როცა სუკის ძველმა თანამშრომელმა, რომელსაც მავანმა აგენტი უწოდა, უპასუხა: „აგენტი შეიძლება შენ იყო, თორემ მე გენერალი ვარო“.**

— **(იცინის).** ეს ანეკდოტი კი არა, ნამდვილი ამბავია. გივი გუმბარიძეს შეეკითხნენ — საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილ თავმჯდომარეს **(შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანი გახდა. — ა. ს.),** და ზუსტად ასე უპასუხა.

სხვათა შორის, ერთმა, მაშინ დამწყებმა ჟურნალისტმა, რომელიც შინ მეწვია, მკითხა, აგენტი იყავითო?

მაშინ იმ თქვენს კოლეგას ვუპასუხე, აგენტი არა, მაგრამ აგენტების უფროსი კი ვიყავი-მეთქი, ობერაგენტი! **(იცინის).**

შევეშვათ მოგონებებს. აი, იმათ რა სურთ, ვინც აგენტომანიის ჭირისგან არ გათავისუფლებულა, ისა ვთქვათ.

**— ჩვენ რა უნდა ვთქვათ, თვითონვე წერენ, რომ მათი მიზანია ახალი ხელისუფლების კომპრომენტირება, სახელის გატეხვა, ანუ ყოფილი ხელისუფლების წისქვილზე შეეცადნენ წყლის დასხმას. თუმცა ამ დროს იმ კუდისა და სოდის ხელმძღვანელებზე, ქარდავებსა და მათნაირებზე უფრო კომპრომეტირებული ადამიანების წარმოდგენაც კი ძნელია.**

— იმიტომ, რომ კომპრომეტირებული, უვარგისები არიან, მოიგონეს იმის გამოქვეყნება, რასაც ასე ხარბად დაეწაფა ობივატელი. **„ნაციონალების“ მოგონილია ეს ამბავი. ამათგან სხვას არაფერს უნდა ელოდო, ამიტომ პირდაპირ ვიტყვი: ვინც ავრცელებს ხმებს სპეცსამსახურებთან თანამემამულეების თანამშრომლობის თაობაზე, არის ჩვენი სამშობლოს მტერი. ეს სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, რაც თავისთავად კანონით ისჯება.** ედუარდ სნოუდენს, რომელსაც რუსეთმა თავშესაფარი მისცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ელის გასამართლება, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების გამცემს.

თუ ისინი, ვისზეც პრესაში ლაპარაკობენ და უარესი — დოკუმენტებსაც აქვეყნებენ, მათი სოდისა და კუდის აგენტობის დამადასტურებელს, მართლაც არიან აგენტები, ეს სახელმწიფო საიდუმლოების გაცემას ნიშნავს და მოლაყბენი მკაცრად, კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯონ.

თუ ასე არ არის, თუ უგონებენ და ხმებს უვრცელებენ, მაშინ ამ ქმედებისთვის არიან დასასჯელნი.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ჩვენს ქვეყანაში აგენტომანია.

**— თუ გახსოვთ, ერთ დროს ხელისუფლების სათავეში მდგარ ადამიანებს სასჯელის ასეთი სახეც კი ჰქონდათ შეიარაღებაზე: „აგენტად გამოგაცხადებო“, — აშინებდნენ თანამოქალაქეებს.**

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. ეს მეთოდი მოკლე ხანში ისე გაუჯდა ძვალსა და რბილში პოლიტიკურად დაპირისპირებული ძალების წარმომადგენლებს, რომ პირველ დიდ პრესკონფერენციაზე, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში გავმართეთ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა და მე — სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელმა, პირადად მე — ანზორ მაისურაძეს ასეთი კითხვა დამისვეს:

— იყო თუ არა ზვიად გამსახურდია საბჭოთა კავშირის უშიშროების აგენტი?

— არა, არ ყოფილა, ვუპასუხე მაშინ მე. ცხადია, რომ **აგენტომანია, რომელიც ავი სენივით 90-იან წლებში გავრცელდა, დღესაც ცალკეული კერების სახით არსებობს ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზმში და დროდადრო, როცა შესაფერისი პირობები დგება, იფეთქებს ხოლმე.**

დღეს, როგორც ჩანს, საამისო პირობებია შექმნილი. ნეგატიური მორიგი აფეთქების პერიოდი დადგა.

**— თქმა ყველაფრის შეიძლება, დაბრალებაც. ასე ესმით სიტყვის თავისუფლება... მაგრამ ეს ცალკეული ადამიანის ან პოლიტიკური ძალის პრობლემაა და არა საერთოდ საზოგადოების.**

— უბედურება ის არის, რომ საზოგადოება იჯერებს ასეთ ნაბოდვარს, ე. ი. ვერ მოვერიეთ იმ დაავადებას, რომელზეც ვლაპარაკობთ. ჯერ არ გამოვჯანსაღებულვართ.

**— ხომ არ ფიქრობთ, ბატონო ანზორ, რომ ასეთი მოარული ხმებისთვის ნოყიერი ნიადაგი, შესაფერისი ფონი შექმნა თავსმოხვეულმა კოაბიტაციამ? ხალხმა ვერ ახსნა, რატომ დაუტკბა ხელისუფლება „ნაციონალ-ბოლშევიკებს“, და მიზეზთა ძიების პროცესში მყოფ ჩვენს საზოგადოებას ასეთი სენსაცია რომ შემოუგდეს — „ნაცების“ აგენტები ხელმძღვანელ თანამდებობებზე არიანო „ოცნებაში“ — უცებ და დაუფიქრებლად აკენკა კიდეც?**

— პოლიტიკური მოტივი, კოაბიტაციის მიუღებლობა რომ შეიძლება იყოს ამ ვითარებისთვის ბიძგის მიმცემი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ამჯერად მე ვსაუბრობ, როგორც უშიშროების პროფესიონალი და სწორედ ამიტომ **თავს უფლებას ვაძლევ, მივმართო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს და შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, დაუსვან წერტილი ასეთი განწყობილებების განვითარებას.**

არსებობს ამის უამრავი მეთოდი და საშუალება, უპირველესად, კანონმდებლობა, რომელიც ქვეყანაში არეულობის წინააღმდეგ არის მიმართული და ობიექტურობისა და სტაბილურობის გარანტიაა.

მე მგონია, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები ექსპერტებთან და მედიასაშუალებების წარმომადგენელთა რამდენიმეკაციან ჯგუფთან იყო სიტყვის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის, ამ ორი პრინციპის განუყოფლობისა და ერთიანობის დაცვის შეხსენებაც და მოთხოვნაც.

თორემ, ხომ ხედავთ, რა დომხალია და რა არეულობა ტრიალებს!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„მარტო ნეჩაევი რომ იყოს მეჩირალდნე და მთელი ოლიმპიადა მხოლოდ მას ებაროს, მაშინ ჩვენი მხრიდან აღშფოთება უფრო გასაგები და უფრო ლოგიკურიც იქნებოდა. ვიცი, რომ ის ოლიმპიადის მხოლოდ ერთ ეტაპზე დაიკავებს ჩირაღდანს, როგორც რუსეთის გმირი. მე თუ მკითხავთ, ეს რუსეთის თავსატკივარია, რომ გმირებს საქართველოსთან ომში ეძებენ და ჩვენი საქმე სულაც არაა. ჩვენ, ქართველებიც ძალით ვეძებთ გმირებს და ისინიც თავიანთი გმირების ძებნაში არიან.“

საზოგადოებრივი აზრი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მივიღებთ ოლიმპიადაში მონაწილეობას თუ არა

**აგვისტოს საომარი მოქმედებების მონაწილის, რუსეთის გმირის — ივან ნეჩაევის სოჭის ოლიმპიადზე ერთ-ერთ მეჩირაღდნედ დანიშვნამ ჩვენს საზოგადოებასა და ხელისუფლებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რას ფიქრობს ქართული მხარე ასეთ ვითარებაში: მიიჩნევს თუ არა მართებულად სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას, ღირს და მიზანშეწონილია თუ არა ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადება და ამით უარის თქმა საქართველოს შესაძლო წარმატებებზე? სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრნენ ევროპის ოთხგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში — ზარბეგ ბერიაშვილი, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი აკაკი ასათიანი და ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**



ზარბეგ ბერიაშვილი:

## ოლიმპიურ თამაშებში აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა

ზარბეგ ბერიაშვილი:

**— რას ფიქრობთ, ნეჩაევის მეჩირაღდნედ გამოცხადება, უბრალოდ, მისი დაფასებაა რუსეთის მხრიდან თუ, გამიზნულად გაკეთდა ქართველების გასაღიზიანებლად?**

— ვფიქრობ, აგვისტოს ომის მონაწილის მეჩირაღდნედ დანიშვნა შემთხვევითობაა ან, უბრალოდ, პატივისცემის გამოხატვა მის მიმართ. ამ ამბავს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რათა რაიმე დამატებითი გართულებები არ წარმოშვას რუსეთთან ურთიერთობაში. ოლიმპიურ თამაშებში აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა და რუსეთის მიმართაც არა გამაღიზიანებელი, არამედ დალაგებული ურთიერთობა უნდა გვქონდეს. ოლიმპიადაში მონაწილეობას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს. გავიმეორებ, რომ ქართულმა მხარემ ოლიმპიადაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს.

**რუსეთისთვის, ალბათ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საქართველოს გადაწყვეტილებას ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. დარწმუნებული ვარ, ეს არც ერთი ქვეყნის ინტერესებში არ მოექცევა. ჩვენი სპორტსმენები კი ამით ძალიან დაზარალდებიან. სოჭის ოლიმპიადა მათთვის ძალიან დიდი გამოცდილება იქნება და ეს შანსი მათ არ უნდა წავართვათ. ზამთრის სახეობებში არ ვართ ძალიან ძლიერნი, მაგრამ გედევანიშვილის დიდი იმედი გვაქვს. ოლიმპიადა თითოეულ ქართველ მონაწილეს სპორტულ ოსტატობას აუმაღლებს.**



აკაკი ასათიანი:

## ქართული მხარის პოზიცია, უბრალოდ, რეაგირება იყო რუსეთის გადაწყვეტილებაზე და მეტი არაფერი

აკაკი ასათიანი:

**— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების რეაქცია ნეჩაევის მეჩირაღდნედ დანიშვნასთან დაკავშირებით?**

— რუსეთის ამ გადაწყვეტილებამ ერთგვარი უხერხულობა ნამდვილად შექმნა და ცხადია, მას რეაქციაც მოჰყვებოდა. ქართველებისთვის ძალიან ძნელია, რომ აგვისტოს ომის ერთ-ერთი მონაწილე სოჭის ოლიმპიადის მეჩირაღდნე იქნება. სწორედ ამიტომ ჩვენი ხელისუფლების მხრიდან მონაწილეობის არმიღებაზე დაფიქრება ბუნებრივი რეაქცია იყო. ამის მიუხედავად, ეს საკითხი მაინც რუსეთის მხარის გადასაწყვეტია. პასუხს მათ ამის გამო ვერავინ მოსთხოვს, მაგრამ საინტერესოა, ვინ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ, **მიუხედავად ქართული მხარის ნეგატიური რეაქციისა, ჩვენი მთავრობა მაინც ცდილობს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. სხვა საკითხია, ამას რამდენად წარმატებით ახორციელებს. მე მაინც ვთვლი, რომ მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია.**

თუ საქართველოს მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის არმიღებაზე, ეს ჩვენი სპორტსმენებისთვის ნამდვილად გულდასაწყვეტი ფაქტი იქნება. ისინი, უკვე წლებია, ემზადებიან ოლიმპიადისთვის და მრავალი დიდი წარმატებაც მოუტანიათ საქართველოსთვის. ამით კი ნამდვილად შეილახება მათი ინტერესები. ვფიქრობ, ქართული მხარის პოზიცია, უბრალოდ, რეაგირება იყო რუსეთის გადაწყვეტილებაზე და მეტი არაფერი. საკითხი მართლაც მტკივნეულია. ალბათ, რუსეთის მხარეც გაიზიარებს და გაგებით მოეკიდება ამას.



გულბაათ რცხილაძე:

## ოლიმპიური თამაშების პოლიტიზირებას «ნაციონალური მოძრაობის» ნარჩენები ცდილობენ

გულბაათ რცხილაძე:

— ჯერ უნდა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი და გადაწყვეტილებებიც საღი აზრიდან გამომდინარე მივიღოთ. რაც შეეხება მთავრობის მოსაზრებას ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე, მე შემდეგ პოზიციაზე ვდგავარ: დღევანდელ რეალობაში თუ სოჭის ოლიმპიადაზე გამოსვლა ქართველი ხალხისთვის რაიმე დამამცირებელი იქნება, რა თქმა უნდა, არ ღირს გამოსვლა. მეჩირაღდნესთან დაკავშირებული ქმედება თუ არაა გამიზნული საქართველოს წინააღმდეგ და ოლიმპიადაში მონაწილეობას, სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენ შემთხვევაშიც ჩვეულებრივი ხასიათი ექნება, მაშინ არ ღირს დეტალებზე გამოკიდება-გამოდავება.

**მარტო ნეჩაევი რომ იყოს მეჩირაღდნე და მთელი ოლიმპიადა მხოლოდ მას ებაროს, მაშინ ჩვენი მხრიდან აღშფოთება უფრო გასაგები და უფრო ლოგიკურიც იქნებოდა. ვიცი, რომ ის ოლიმპიადის მხოლოდ ერთ ეტაპზე დაიკავებს ჩირაღდანს, როგორც რუსეთის გმირი. მე თუ მკითხავთ, ეს რუსეთის თავსატკივარია, რომ გმირებს საქართველოსთან ომში ეძებენ და ჩვენი საქმე სულაც არაა. ჩვენ, ქართველებიც ძალით ვეძებთ გმირებს და ისინიც თავიანთი გმირების ძებნაში არიან. ეს არაა გასაკვირი. ორივე ერი მსგავს უბედურ დღეში ვართ. თუ სააკაშვილის საშინელი რეჟიმის დროს მომხდარ ომში რუსეთს გმირები გამოუჩნდა, ეს მათი პრობლემაა და განხილვის ღირსიც არაა.** მე თუ მკითხავთ, ნეჩაევის თითქოს გმირობის ამბავიც გასათვალისწინებელია. მისგან მართულ თვითმფრინავს ქართველების მხრიდან მოხვდა საზენიტო ჭურვი. ნეჩაევმა კი მაინც მოახერხა თვითმფრინავის უვნებლად დასმა. შესაბამისად, გმირობის სტატუსი მან არა მოწინააღმდეგის განადგურებისთვის, არამედ აგვისტოს ომის დროს თვითმფრინავისა და საკუთარი თავის გადარჩენისთვის მიიღო. ამ გარემოებიდან გამომდინარე კი, ნამდვილად არ ღირს ისტერიკის ატეხვა და გაგიჟება.

**— თქვენი აზრით, ვინ ცდილობს ოლიმპიური თამაშების პოლიტიზირებას?**

— ოლიმპიური თამაშების პოლიტიზირებას „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები ცდილობენ. ისინი ყოველთვის იმისკენ არიან მომართულნი, რომ ყველაფერი გაბერონ და გააზვიადონ. ამას ვამბობ არა მხოლოდ სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, არამედ დიცსა და დვანში განვითარებულ მოვლენებსაც ვგულისხმობ. დვანის ამბავზე მრავალი წინააღმდეგობრივი ინფორმაცია გავრცელდა. რეალურად კი, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები მრავალი პოპულისტური ლოზუნგით თვითონ ჩაბრძანდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ადგილობრივმა მოსახლეობამ საკადრისი პასუხი გასცა. ხელისუფლების წარმომადგენლების ჩასვლაზეც კი უარი განაცხადეს. მიზეზად კი ისევ მთავრობის წევრების პოპულისტობას ასახელებდნენ. მსგავსი ქმედებები აღიზიანებს მოწინააღმდეგე მხარეს. საბოლოო ჯამში კი პირისპირ დგომა მოწინააღმდეგესთან მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას უწევს. დვანელები მიიჩნევენ, რომ აგვისტოს ომი ქართული მხარის დაწყებულია და ეს დაუფარავადაც კი განუცხადეს იქ ჩასულ ხელისუფლების წარმომადგენლებს. მოსახლეობა გამოფხიზლებულია და ძალიან საღად აფასებს ყველა მოვლენას. ჩვენ კი, უბრალოდ, უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება, რომ **მხოლოდ ხელმოცარული პოლიტიკანები ცდილობენ მსგავსი თემების, მათ შორის ოლიმპიადის თემის, გაბერვას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ესაა ხელმოცარული „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენების მიერ დაწყებული კამპანია. მათ კი დღევანდელი მთავრობა ნამდვილად არ უნდა აჰყვეს.** ზოგადად კი, ყველაფერს რომ დაფიქრება და აწონ-დაწონვა სჭირდება, ორი აზრი არ არსებობს.

**ნუ ვიტყვით, რომ რუსეთს არ აინტერესებს საქართველოს საბოლოო გადაწყვეტილება ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. ძალიანაც აინტერესებს.** მე ეს ინფორმაცია ვიცი რუსეთიდან და ამას შემთხვევით არ ვამბობ. მაგრამ ის, რომ საქართველოს მონაწილეობის გარეშე ოლიმპიადა ჩაიშლება ან რაიმე ზიანი მიადგება მას, ნამდვილად არაა მოსალოდნელი.

ესაუბრა
**შორენა ღვაჩლიანი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დემოკრატიული წყობის ფუნდამენტური საფუძველი — საკუთარი ნებისამებრ აირჩიოს ხელისუფლება — მიწასთან არის გასწორებული და მისი ნაშთიც აღარაა შემორჩენილი. ამ ქრისტეს ფეხის მკვნეტავებმა იმდენი მოახერხეს, რომ ქართველი კაცი დაარწმუნეს, შენ არავინ არაფერს გეკითხებაო, ამიტომაც დაუკარგეს ყოველგვარი ინტერესი და ხელი ჩააქნევინეს მომავალზე... უსასოობის ჭაობში ჩაფლულს კი აღარც ფიქრი სურს, აღარც განძრევა, რა არის, მთლიანად არ ჩავიძიროო.**

# კაცის კაცი, ანუ პლასტილინის ფარშავანგი

## (გიორგი მარგველაშვილის მცირე ტრაქტატის გამო)

**დღევანდელ ყოველდღიურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე უფრო ხმარებული და გავრცელებული სიტყვაა „დემოკრატია". ეს ტერმინი ისეთივე ძველია, ვითარცა ეს ბებერი ქვეყანა. მისი განმარტება უკვე პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიურ მოძღვრებებში გვხვდება.**



**სამწუხაროდ, დღეს დემოკრატიაც იქცა იმ ცრუ სიტყვად, ცუანა სოკოსავით რომ მომრავლებულა უსამართლობის უსიერ ტყეში. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს წინარე ყოფა გავიხსენოთ, რომელიც ყველა ჩვენგანმა საკუთარ თავზე გამოსცადა:** პირწავარდნილი დესპოტი, ტირანი დემოკრატიის შუქურადაა მონათლული; თავისუფლების მაძიებელი მონად ქცეულა; სიმართლის მაძიებელი შეურაცხყოფილი, უსამართლობის წიხლით გათელილია; პატიოსანი, მართალი ადამიანებით ციხეებია გავსებული, თაღლითი მძარცველები კი გალაღებულან; პატრიოტნი დამცირებულან და სასიკვდილოდ განწირულან, უცხო ქვეყნის ლაქია მსტოვრები ამაღლებულან; ზნესრული, ჭეშმარიტი ვაჟები და ქალბატონები აბუჩად არიან აგდებულნი — უზნეონი, სქესდაუდგენელნი კი ყელყელაობენ; მორწმუნენი, ოჯახის მიმდევარნი გაურიყავთ — ურწმუნონი, ანტიქრისტეს მთამომავალნი გაუფეტიშებიათ...

**დემოკრატიული წყობის ფუნდამენტური საფუძველი — საკუთარი ნებისამებრ აირჩიოს ხელისუფლება — მიწასთან არის გასწორებული და მისი ნაშთიც აღარაა შემორჩენილი. ამ ქრისტეს ფეხის მკვნეტავებმა იმდენი მოახერხეს, რომ ქართველი კაცი დაარწმუნეს, შენ არავინ არაფერს გეკითხებაო, ამიტომაც დაუკარგეს ყოველგვარი ინტერესი და ხელი ჩააქნევინეს მომავალზე... უსასოობის ჭაობში ჩაფლულს კი აღარც ფიქრი სურს, აღარც განძრევა, რა არის, მთლიანად არ ჩავიძიროო.**

ზერელე, ვიტყოდი, ქარაფშუტულმა მიდგომამ საკუთარი თავისა და, საერთოდ, მოვალეობისადმი, განსაზღვრა ჩვენში პრეზიდენტობის პრეტენზიის მქონე მსურველთა რაოდენობა. **თუ არ ვცდები, 57 პიროვნებამ შეიტანა განცხადება, რაც, ვიტყოდი, ერთობ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.** ვის აღარ აღმოაჩენთ მათ შორის: დაუნჯებულს თუ ცანცარას, ზნეობრივს თუ უზნეოს, ასკეტობისკენ მიდრეკილს თუ „სექსუალურ განგსტერს", ნორმალური ოჯახის ადამიანს თუ ლგბტ აქტივისტს, მოთამაშე ოპოზიციონერს თუ სიმართლისთვის მებრძოლს, ფულისა და სახელის მაძიებელს თუ ქვეყნის ჭმუნვით შეპყრობილს... მოკლედ, **ბედის მაძიებელთა ეს სიჭრელე და სიმრავლე, ჩვენი აზრით, მეტყველებს არა იმაზე, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დამოკრატიით და სილაღით აყვავებულ ქვეყანაში, არამედ — საზოგადოებაში, რომელიც პროფესიონალობის შიმშილს ძლიერ განიცდის და, რაც მთავარია, ჩვენი ადგილი ამ უსწორმასწორო სოფელში ვერ გვიპოვნია.**

ახლა, ამ ვრცელი შესავლის ფონზე, **მსურს, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ „ოცნების" მიერ წამოყენებული კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის, თაობაზე, რომელსაც „ცნობილი ექსპერტები" და „სახელდებული პოლიტიკოსები" „უპირველეს, რჩეულ და ღირსეულ" კანდიდატად მიიჩნევენ.**

მაინც რით არის ბატონი გიორგი ესოდენ ზეაღმატებული?!

უპირველესი მიზეზი ის არის, რომ ის „ოცნების" კოალიციის, უმრავლესობის, ე.ი. ხელისუფალთა კანდიდატი გახლავთ, რაც მას არჩევნების დროს გარკვეულ სასათბურე მდგომარეობაში ამყოფებს. თუმცაღა, მართალი გითხრათ, ამ შეღავათს უარყოფითი ნიშნებიც ახლავს, ხალხის აღქმით, ასე მაგ.: ზოგიერთი „ოცნებით" თავმომწონე, სინამდვილეში კი საყოველთაოდ ჩამშვების და სუკ-თან მოჭიკჭიკე ლევან ბერძენიშვილის ქებამ ანდა კომუნისტური პარტიის რიგებში თავგასაპნულად, ჯიქურ მძრომელი დავით უსუფაშვილის დადებითმა შეფასებამ, ანდა თუნდაც ზურაბ ბიგვავას, რომელიც კარგი მოცეკვავის დარად ეკონომიკურად მომძლავრებულ პარტიებს ხელგაშლილი ეცეკვება, რა არის, იქნებ მოწყალების თვალით გადმომხედნო, „ღრმად ობიექტურმა" სარეიტინგო კვლევამ, ნავარის თავზარდამცემი გაყალბებაც უკან რომ მოიტოვა, არ მგონია, გიორგი მარგველაშვილის „ავტორიტეტი" აამაღლოს, პირუკუ კი იმოქმედებს — ისედაც მცირეს უფრორე დაამცრობს...

**გიორგი მარგველაშვილმა ფარშავანგივით ლამაზი კუდი გაშალა, მაგრამ მას დაავიწყდა ფრანგი პოეტის — აპოლინერის სიტყვები, რომლებიც დაახლოებით ასე ჟღერს: როცა ფარშავანგი კუდს შლის, ძნელია, მის მშვენიერებას თვალი მოსწყვიტო, მაგრამ ასევე ძნელია მისი გაშიშვლებული უკანალის დამალვა**

**მაგრამ არსებობს ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი, რომლის ავტორიტეტი საზოგადოებისა თუ ხალხის ფართო წრეებში ჯერჯერობით განუზომლად მაღალია** (ხაზს ვუსვამ ჯერჯერობით-მეთქი, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა კოჰაბიტაციის პროცესი, ეს ავტორიტეტიც მინავლდება!) **და სწორედ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წარადგინა იგი კანდიდატად, დაგვიხასიათა, როგორც ღირსეული, ევროპული ტიპის ადამიანი, ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის რექტორი, ნიჭიერი მენეჯერი, კრეატიული პიროვნება, ახალი გზების მაძიებელი და აღმომჩენი, ძალიან თავმდაბალი და ერთგული პიროვნება, რომლის სახითაც საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი ეყოლება, და მისი არჩევით საქართველოს ბედნიერება ეწევა. უფრო მეტიც, პრემიერი დაგვემუქრა კიდეც: თუ ამ კაცს არ აირჩევთ, საერთოდ ყველაფერზე ხელს ავიღებ, ვერ ვვარგებულვარ, არ მქონია ანალიზის უნარი, დავკრავ ფეხს და ამ ქვეყნიდან გადავიხვეწებიო და ა. შ.**

**ბატონო ბიძინა,** ნამეტნავად ხომ არ გაგექცათ სიტყვა?! შეიძლება თქვენ ძალიან ბედნიერი იყავით, როცა ის გაიცანით, თუმცა ეს თქვენი სუბიექტური განცდა და თქვენეული შეფასებაა, ამას ვერავინ აგიკრძალავთ. მაგრამ განა არც როდის გიფიქრიათ, რომ თქვენი პირადი ბედნიერება არ არის იდენტური ქვეყნის ბედნიერებისა?! ეს სადავო და საკამათო არაა!.. არ მოგერიდებით და პირდაპირ გეტყვით, **თქვენი შეხედულება გიორგი მარგველაშვილის თაობაზე — თითქოს იგი ბედნიერებას მოუტანს საქართველოს, ჩემი აზრით, მცდარია და მიუღებელი. თუ რატომ, ამას ქვემორე მოგახსენებთ. ხოლო, რაც შეეხება თქვენს ქადილს ქვეყნის მიტოვების და განზე გადგომის თაობაზე, ეს პატიოსანი კაცის ბავშვური გულწრფელობით ნათქვამი სიტყვებია და არა პრემიერმინისტრისა, რომელსაც ქართველმა ხალხმა თავისი ქვეყნის ბედი ანდო.**

ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის ქებამ ფრთები შეასხა გიორგი მარგველაშვილს. გაიფხორა, მაგრამ როგორ გაიფხორა და აკი დაგვმოძღვრა კიდეც: ჩვენ ერთად გავაგრძელებთ ისეთი განვითარების გზას, ვერავინ მოინდომოს **ქართველის გადაკეთება, მისი ზნის შეცვლა, მოაშოროს მიწას, დაყოს ოჯახები,** ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე... **გამობრწყინდეს და პოლიტიკოსებმა აღარ მოგვატყუონ**... და ბოლოს, მარგველაშვილმა ხალხს მოუწოდა: **„მენდეთ ისე, როგორც მენდო ბიძინა ივანიშვილი და კოალიცია. ჩვენ 27 ოქტომბერს ისევ უნდა გავიმარჯვოთ, რომ საქართველოში აღარასოდეს იყოს სიტყვა „კოჰაბიტაცია"**. ერთი სიტყვით, **გიორგი მარგველაშვილმა ფარშავანგივით ლამაზი კუდი გაშალა, მაგრამ მას დაავიწყდა ფრანგი პოეტის აპოლინერის სიტყვები, რომლებიც დაახლოებით ასე ჟღერს: როცა ფარშავანგი კუდს შლის, ძნელია, მის მშვენიერებას თვალი მოსწყვიტო, მაგრამ ასევე ძნელია, მისი გაშიშვლებული უკანალის დამალვა.** სამწუხაროდ, ეს ადგილი ჩვენს გმირს იმდენად მოშიშვლებული აქვს, რომ მისი შეუიარაღებელი თვალითაც დაუნახაობა და ლამაზად მოქსოვილი თუ მოქარგული საფენით დაფარვა შეუძლებელია.

ახლა მავანი სკეპტიკოსი თუ უნდო მკითხველი იკითხავს: რას ერჩის ამ პატიოსან კაცსო?! მოჭრით ვუპასუხებ: არც არაფერს-მეთქი. ის თავად ერჩის თავის თავს და ამის მაგალითია თუნდაც საკუთარი თავის მისეული წარმოდგენა. იგი დაუფარავი სიამაყით აცხადებს: მე ბიძინა ივანიშვილის კაცი ვარ, ემანდ არაფერი შეგეშალოთო! **ბატონი ბიძინა ივანიშვილი რომ კარგი კაცია, ეს ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რაც 1 ოქტომბერს დაადასტურა კიდეც. მაგრამ ქართველებმა ისიც უწყიან, რომ „კაცის კაცობით" თავის მოწონება ვერაფერი ვაჟკაცობაა და საძრახიც არის!** ამიტომაც უბრძანებია: თუ კაცი თავად არ ვარგა, რას არგებს მამა-პაპათა შვილობაო. რატომღაც ავიწყდება, თუ შეგნებულად ივიწყებს ამ შეგონებას, რადგანაც გრძნობს, რომ **ბიძინა ივანიშვილის გარეშე მისი ავტორიტეტი საცერში შემორჩენილ ქატოს ჰგავს. სწორედ ამიტომაც ის თავისი მოღვაწეობის პრინციპს საოცარი გულწრფელობით ადარებს პლასტილინს და ამგვარად ნათლად გვაუწყებს, რომ მას არ გააჩნია საკუთარი ხედვა და პოზიცია; ერთი სიტყვით, უპრინციპო მოღვაწეა და „პლასტილინივით მოერგება" დღევანდელ ყოფას თუ ნებისმიერ პოლიტიკურ წყობას და პლატფორმას.** ერთხელ უკვე ამის თაობაზე გამოვთქვი ჩემი აზრი და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ გიორგი მარგველაშვილს ერთი ნაბიჯიღა დარჩა „ვაზელინად" გადაქცევამდე: „ვაზელინის" მოტრფიალე კი რას ნიშნავს, ყველა ნორმალურად მოაზროვნისთვის ცხადია: ამგვარ ადამიანებს ნათლავენ ქამელეონის, მლიქვნელისა და ქლესას სახელით, რაც პატიოსანი კაცისთვის ერთობ შეურაცხმყოფელია. ჩვენს ფილოსოფოსს ეს კარგად მოეხსენება. მაშ, **რატომღა „იპლასტილინებს" თავს? ჩემი აზრით, იგი გარკვეულ მესიჯს უგზავნის როგორც „ოცნების" ზოგიერთ წარმომადგენელს, ასევე ე.წ. ოპოზიციონერებს — „ნაცებს", რაც მის შორს გამიზნულ ეშმაკობაზე მეტყველებს. შეიძლება ეს უნებლიეთ წამოცდენილი სიტყვა ქვეცნობიერი სიღრმიდანაც არის ამოზრდილი, რაც უკვე მის ბუნება-ხასიათზე მეტყველებს. და ბოლოს, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამგვარი განცხადება უბრალოდ სიბრიყვის ნაშობია და სხვა არაფერი...**

▶

**ახალი მსოფლიოს სარბიელზე ჩვენი „მეობის“ გამოჭედვა სხვა არაფერია, თუ არა ახალი მოქალაქის, „ახალი ადამიანის“ შექმნის მცდელობა, ზნეობრივ-სულიერ, ეროვნულ, ადამიანურ გრძნობათაგან და აზროვნების საღი უნარისგან რომ არის დაცლილი. ეს გახლავთ უფრო შლეგი ცხოველი, ვიდრე სათნო და კეთილშობილი ადამიანი. სწორედ ეს არის ქართველის „გენოტიპის“, ვინაობის და იდენტობის მოსპობა, რასაც დიდი მონდომებით ქადაგებენ გიორგი მარგველაშვილის მსგავსი ვაიქართველები.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოდით, ახლა „წამოცდენილი“ სიტყვის გამო ადამიანს ძირის ძირამდე ნუ ჩავყვებით და მის საქმიანობასაც გადავავლოთ თვალი, რადგანაც ჩვენს წინაპრებს უთქვამთ: კაცმა კაცისა თქვა, საქმემ კი — ორივესიო. მაინც რა საქმით მოგვაწონა თავი გიორგი მარგველაშვილმა...

პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, მისი წარსული, ანუ „ბიოგრაფიული ანკეტა“ როდია მოღვაწის სხივით გასხივოსნებული!..

მაშ, ასე: მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი; 1993-94 წ.წ. ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში, კერძოდ, პრაღაში, გაიარა სოციოლოგიური კურსი...

მალევე იწყებს მუშაობას კომპანია „კავკასუს თრეველში“ სამთო გიდის თანამდებობაზე. შემდგომში ის გადადის კომერციულ დაწესებულებაში „ბიზნეს დღიურების“ დეპარტამენტის უფროსად. ამ თანამდებობაზე მან, როგორც ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა, როგორ გამოიჩინა თავი, ვერაფერს გეტყვით.

მოგვიანებით გ. მარგველაშვილი განათლების სფეროში იწყებს მოღვაწეობას, კერძოდ, საქართველოს საზოგადოებრივ ინსტიტუტში (GIPA) და ამ ინსტიტუტის რექტორი იყო (2000-2006 და 2010-2012 წ.წ.).

**ამჯერად ჩვენთვის უფრორე საყურადღებოა ის, რომ ბოლო ხანებში მჭიდროდ თანამშრომლობდა სოროსის ფონდთან „ღია საზოგადოება საქართველო“. ამ ფონდის ანტიეროვნული მოღვაწეობა, როგორც „თავისუფლების ინსტიტუტისა“, რომელთანაც გიორგი მარგველაშვილი ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული, ქართული საზოგადოებისა და ხალხისთვის საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომაც ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ოღონდაც შევნიშნავთ, რომ ამ ფონდის დაფინანსებით და გიორგი მარგველაშვილის რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოიცა ღრმად ფილოსოფიური ნაშრომები: „საარჩევნო კამპანიის ტრეინინგების სახელძღვანელო“ „1“; 1998 წ. — „2“, 1999 წ.**

როგორც ირკვევა, გიორგი მარგველაშვილს, თუ სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ, აქვს მართლაც ფილოსოფიური ხასიათის შრომები: **„ინდივიდუალური სუბსტანციის ფილოსოფია“** და **„სასრული პრობლემა მითოლოგიაში“,** რომლებსაც, სამწუხაროდ, ვერ გავეცანი, რადგანაც საჯარო და სხვა ბიბლიოთეკებში ისინი ვერ მოვიძიე. მაგრამ ერთ მის მცირე წერილს მივაგენი ჟურნალში **„დრო მშვიდობისა“** (2001 წ. №2) და მინდა, აი, ამ ნაშრომის ჩემეული ანალიზი მოგაწოდოთ, რადგან, აღმოსავლელი პოეტების არ იყოს, ერთი წვეთიც ზღვის გემოს გვაგებინებს და ვგონებ, გიორგი მარგველაშვილის ეს ნაშრომიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მის ფილოსოფიურ თვალსაწიერზე, და, რაც მთავარია, იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ის ქართველი ერის ვინაობას და თვისობრიობის დვრიტას.

უპირველესად, ყურადღებას იქცევს წერილის სათაური: **„ნი-ჩურტა, მე ქართველი ვარ“.** საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქმნილების სათაური ერთგვარი გასაღებია ამა თუ იმ ნაშრომის კვინტესენციის გასაგებად. **ეს უნიჭოდ და უხეშად გამოჩორკნილი სათაური კი იმთავითვე მიგვანიშნებს ავტორის ცინიკურ და გამქირდავ თვალთახედვაზე. და მართლაც, იგი, სარკაზმის ნიღაბს ამოფარებული, ცდილობს, აგვიხსნას ქართველი ერის სულიერი თუ ფიზიკური ავადმყოფობის მიზეზები.**

თავად მარგველაშვილი წერილის დასაწყისშივე დაუნჯებული ფილოსოფოსის შემართებით გვაუწყებს, თუ რატომ დაინტერესდა ამ პრობლემით და ჩიქორთული ქართულით გვაუწყებს: **„საკითხი, რომელსაც ჩვენ შევეხებით ბევრჯერ** (მრავალგზის! — ე.ჯ.) **ყოფილა განხილული მრავალი, განსხვავებული კუთხიდან** (კუთხით! — ე. ჯ.). **ნაწილობრივ, ალბათ, ამგვარმა კვლევებმა გვიბიძგა ამ წერილის დასაწერად, ნაწილობრივაც,** ( sic! ) **ალბათ, სურვილმა, გამოვხატოთ ის, რასაც ვგრძნობთ და ასე მტკივნეულად განვიცდით ჩვენი არსებობის ყოველ დღეს. მუზა ჩვენი წერილისა ვართ ჩვენვე — ქართველები, XXI საუკუნის ერი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები — გრუზინები და GEORGIAN NATIONAL-ები, რანნი, კახნი, ჭანნი და სხვ.“**

ვერაფერს დაუწუნებთ იმ ქართველ მკვლევარს, რომელსაც განუზრახავს ერთობ სერიოზული პრობლემა, რომელიც, ასე განსაჯეთ, აზრთა კამათის ობიექტი ყოფილა და ძალუმად აღელვებს თურმე XXI საუკუნის ქართველებს, გააშუქოს და ფილოსოფიური სიღრმით ახსნას. ერთი სიტყვით, ამ „ფილოსოფიური ტრაქტატის“ მუზა — ჩვენ, ქართველები ვყოფილვართ, **„XXI საუკუნის ერი“,** „რომელმაც XX საუკუნის ბოლოს... **მივიღეთ თუ აღვიდგინეთ სახელმწიფოსა და ერის სტატუსი და დავიწყეთ**

# ბატონი ბიძინა ივანიშვილი რომ კარგი კაცია, ეს ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რაც 1 ოქტომბერს დაადასტურა კიდეც. მაგრამ ქართველებმა ისიც უწყიან, რომ «კაცის კაცობით» თავის მოწონება ვერაფერი ვაჟკაცობაა და საძრახიც არის!

**ჩვენი თავის და ჩვენი მეობის გამოჭედვა, ახალ, ახლა უკვე მსოფლიოს სარბიელზე, ჩვენი სახის შექმნა“** (ხაზგასმა ყველგან ჩემია. — ე. ჯ.).

მკითხველის გასაცნობიერებლად ვაცხადებ, ფილოსოფოსს იმას კი არ ვსაყვედურობ, ეს პრობლემა რატომ გაიხადე მსჯელობის საგნადმეთქი, არამედ იმას ვუწუნებ, როგორ და რა შეფარული მეთოდებით აკანონებს იგი ქართველი ერის ცნებას და, საერთოდ, ქართველობას: **ჯერ ერთი, სარკაზმი უკვე თავს იჩენს იმ ჩამონათვალში, რომელსაც ის გვთავაზობს** (გრუზინები, Georgian National-ები, რანნი, კახნი, ჭანნი და სხვ.). **ამგვარი შეფარული ცინიზმი და მდარე ირონია არ ეკადრება „დიდ ფილოსოფოსს“, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მისი სტილია და მის გემოვნებას ეგების.** მეორეც, როცა ის ბრძანებს, XX საუკუნის ბოლოს მივიღეთ თუ აღვადგინეთ სახელმწიფოსა და ერის სტატუსიო, როგორც სოციოლოგს, მას უნდა მოეხსენებოდეს, ერი და სახელმწიფო იდენტური ცნებები არ არის. შეიძლება ერმა დაკარგოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ეროვნება შეინარჩუნოს. შორს რომ არ წავიდეთ, ამის არგუმენტად შეიძლება დავასახელოთ ჩვენი მეზობელი სომხები და ებრაელები!

თუ არ გაგვიბრაზდება „დაუნჯებული მკვლევარი“, ისიც უნდა შევახსენოთ, რომ ქართველ ტომთა შორის ეროვნული თვითშეგნების საწყისი და საფუძველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა, კერძოდ, ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე, რაზეც ცხადად მეტყველებს ეგრისის ერისთავის — ქუჯის ფარნავაზისადმი მიმართვა, რომელიც ასე ჟღერს და ჭეშმარიტი მამულიშვილის გულს სიამაყით ავსებს: **„შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“.** აი, ამგვარი მსოფლგანცდა ედო საფუძვლად ეროვნული სახელმწიფოს აშენებას და ის განსაკუთრებით მძაფრად იჩენდა თავს ძნელბედობის ჟამს, უფრორე კი მოზღვავებულ მტერთა შემოსევისას. **არა მგონია, ისეთი უბირი იყოს გიორგი მარგველაშვილი, რომ ეს არ იცოდეს. მაგრამ, როგორც დავინახავთ ქვემორე, მას სურს, გაამართლოს ნეოლიბერალთა და მასონთა აუგი ზრახვანი, ქართველი ერის დამცრობა და გაჩანაგება რომ სწადიათ.** რაც შეეხება ქართულ სახელმწიფოებრიობას, იგი 35-საუკუნოვან ისტორიას ითვლის და ეს საყოველთაოდ ცნობილია. მართალია, ხანდახან დამპყრობლებს სურდათ ქართული სახელმწიფოს დანგრევა და ამას დროგამოშვებით ახერხებდნენ კიდეც, მაგრამ მეფობის ინსტიტუტი, სახელმწიფოს ხერხემლად რომ მოიაზრებოდა, ვერ მოსპეს. ეს მხოლოდ XIX საუკუნეში ვერაგულად შეძლო რუსეთის იმპერიამ. **თუმცა უფრორე საგანგაშოა გიორგი მარგველაშვილის თვალთახედვა, ახალ სარბიელზე ქართველთა „მეობის“ გამოჭედვას რომ გვაუწყებს. ამის თაობაზე ფსიქოლოგ-აქიმს თუ ფილოსოფოსს უნდა კვლავაც შევახსენოთ, რომ ჩვენი გენეტიკური იდენტობა, გნებავთ „სახე“ ჯერ კიდევ მრავალი ათასწლეულის წინარე უკვე ჩამოყალიბებული იყო.** მეტიც, ქართველ ტომებს გენეტიკური წარმომავლობის ერთიანი საფუძველი და ეროვნული ცნობიერებაც უკვე ჰქონდათ გათავისებული. ამაზე მეტყველებს თუნდაც ძვ. წ. VI საუკუნის ბერძენი ავტორის — ჰეკატე მილეთელის უწყება: **„მოსხი კოლხთა ტომია“.** თუმცაღა, **გიორგი მარგველაშვილს წარსული არ აინტერესებს, იგი მომავლისკენ იმზირება და მასონურ-გლობალისტური და ნეოლიბერალური აზრით გაჯერებულ წყაროს ეწაფება.** ამ თვალთახედვით კი, **ახალი მსოფლიოს სარბიელზე ჩვენი „მეობის“ გამოჭედვა სხვა არაფერია, თუ არა ახალი მოქალაქის, „ახალი ადამიანის“ შექმნის მცდელობა, ზნეობრივ-სულიერ, ეროვნულ, ადამიანურ გრძნობათაგან და აზროვნების საღი უნარისგან რომ არის დაცლილი. ეს გახლავთ უფრო შლეგი ცხოველი, ვიდრე სათნო და კეთილშობილი ადამიანი. სწორედ ეს არის ქართველის „გენოტიპის“, ვინაობის და იდენტობის მოსპობა, რასაც დიდი მონდომებით ქადაგებენ გიორგი მარგველაშვილის მსგავსი ვაიქართველები. დიახ, სწორედ „გამოჭედვის“ ეს პროცესი მას, ვითარცა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჭაობიდან ამოზრდილს, მიაჩნია მნიშვნელოვან მოვლენად,** რაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, **ქართველი ერის და ხალხის მტრობაა.**

# გიორგი მარგველაშვილს წარსული არ აინტერესებს, იგი მომავლისკენ იმზირება და მასონურ-გლობალისტური და ნეოლიბერალური აზრით გაჯერებულ წყაროს ეწაფება

გიორგი მარგველაშვილის ღრმა ფილოსოფიური, ვიტყოდი, პლატონისებური ჭვრეტით, „ჩვენი მეობის გამოჭედვის“ ხელის შემშლელია მისივე სიტყვებით, „კრემლის ვერაგი მარწუხებიდან გამოძრომა“, რომელიც თურმე ყოფილა ის, რომ ქართველები „გრიმიტობდნენ“ რუსეთში; გოგოებთან „ტუდა-სუდა გულაობდნენ“; „ერთი „იაშჩიკი“ კონიაკი ჩაჰქონდათ და იქიდან ეშელონებით „დაგრუზულები“ მოდიოდნენ...“ მოკლედ, **„რუსეთის ბატონობა“ „ბევრ ასპექტში“ ქართველებმა „თავის სასარგებლოდ გამოიყენეს“ და „რუსეთისგან „ნაპატრონები“ ჩვენი ქვეყანა ყოველ ცალკეულ სახლსა და ბინაში აყვავდა და გაიფურჩქნა... და ქართველობამ ქვეყანა გარედან შიგნით, სახლში შეიტანა და იქ კი უკვე არხეინად დაამღერა“.**

უნდა ვაღიარო, რომ უკბილო იუმორითა და ნაჯახირევი სარკაზმით გადმოცემულ ეპიზოდში საგანგაშოსა და თავზარდამცემს ვერაფერს ვხედავ. პირუკუ, **თუკი ქართველებმა „რუსეთის ბატონობა“ თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, ქვეყანა სახლში შეიტანეს და ნება-ნება ცხოვრება დაიწყეს, განა ეს საძრახია?! იქნებ მას დღევანდელობა მოსწონს — სრულიად ქართველობა რომ არის მოდებული ქუჩას და საზღვარგარეთ გადახვეწილი და მონური მძიმე ბარჯით ლუკმაპურის მაძებარი?!** განა სახლი, ბიბლიური თვალსაზრისით, არ არის ადგილი, სადაც ადამიანმა ოჯახითურთ უნდა იცხოვროს და ბედნიერად იგრძნოს თავი?! ამიტომაც ის ადამიანისთვის დიდად ფასეულია და მისი აშენება მხოლოდ კედლების ამოყვანა როდია, არამედ კერიის დაფუძნება, შთამომავლობის დაბადებაა და მათთვის მრწამსისა და სიკეთის შეგონებაა, რაც დიდ სიბრძნედ აღიქმებოდა... და მაინც, ამქვეყნიურ სახლს, რომელსაც ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, უპირისპირდებოდა ღვთიური სახლი — ტრანსცენდენტური მარადიული საუფლო ღვთისა — მორწმუნე ადამიანის სულიერი სრულქმნის უმაღლესი საფეხური... ცხადია, „ნი-ჩურტას“ ავტორისთვის სახლის ამგვარი გაგება უცხოა. მისთვის სახლი ოთხი კედლით შემოსაზღვრული სივრცეა, განჯინაა, რომელსაც უპირისპირდება ქუჩა, უცხო ქვეყნებისკენ მიმავალი და ემიგრანტთა რაოდენობის ვერდამტევი. **ამიტომაც აღიზიანებს ქართველის პირადი ბედნიერება, უფრო კი, ალბათ, ის, რომ ყველა ქართველმა თავის ოჯახში პატარა საქართველო დააფუძნა, თავისი საყვარელი სამშობლოს იდენტური და მამულის სიყვარულის ფერხულში ჩაბმული...**

**ოჯახი ხომ საქართველოს თვითობის, ქართველი ერის იდენტურობისა და ვინაობის საყრდენთა საყრდენია. ეს კი ნეოლიბერასტების, გლობალისტებისა და ახალი მსოფლიოს არქიტექტორებისთვის თავზარდამცემია. მათ მიმდევარ გიორგი მარგველაშვილსაც ტანში აჟრიალებს ამის გახსენებაზე და ამიტომაც ყოვლად უმართებულო და უაზრო ბრალდებას უყენებს ქართველებს: ეს რა ჰქენით, როგორ შეიტანეთ ქართველებმა ქვეყანა გარედან შიგნითო?!** თუმცა მისი რისხვით წამოსროლილი ფრაზა გასაგები გახდება, როცა გავიხსენებთ, რომ, **მისი გაგებით, ოჯახი სათნოებისა და რწმენის ტაძარი კი არ არის, არამედ „განჯინაა“, რომელშიც დაშმორებული ტრადიციები და მოძველებული მსოფლმხედველობაა დაბუდებული.** ხოლო „სახელმწიფოებრიობის აღდგენა ამ **ატიტუდის** თუ მსოფლმხედველობის შეცვლას ნიშნავდა. საქართველო განჯინიდან გარეთ — ქუჩაში, გზაზე, საზღვრებსა და საზღვარგარეთ უნდა გამოსულიყო და გამოჩენილიყო. მაგრამ ეს ილუზია, უტოპია აღმოჩნდა, ძნელი აღმოჩნდა იმ ძირითადი ვექტორის შეცვლა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე გარედან შიგნით აზიდვინებდა ქართველს და როგორ შეიძლებოდა იმისი წარმოდგენა, რომ ჩვენ ეს ოდესმე გაგვიადვილდებოდა, რომ ჩვენ ასე უცებ, ერთ ღამეში ვიქცეოდით „ნორმალურ ერად“?

აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული?! **ჩვენ რომ ნორმალურ ერად ჩამოვყალიბებულიყავით, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეგვეცვალა მსოფლმხედველობა, უნდა უკუგვეგდო ეროვნული ტრადიციები, ცნობიერება და ცხოვრების წესი, ამიტომ უნდა მიგვეტოვებინა განჯინა და ქუჩაში, გზაზე და საზღვრებს გარეთ გავსულიყავით და გამოვჩენილიყავით.** და მეორეც, **უნდა შეგვეცვალა „ის ძირითადი ვექტორი, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე გარედან შიგნით აზიდვინებდა ქართველს“.**

# რატომ «იპლასტილინებს» თავს გიორგი მარგველაშვილი? ჩემი აზრით, იგი გარკვეულ მესიჯს უგზავნის როგორც «ოცნების» ზოგიერთ წარმომადგენელს, ასევე ე.წ. ოპოზიციონერებს — «ნაცებს», რაც მის შორს გამიზნულ ეშმაკობაზე მეტყველებს... არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამგვარი განცხადება უბრალოდ სიბრიყვის ნაშობია და სხვა არაფერი...

**ელიზბარ ჯაველიძე**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

საქართველო და მსოფლიო
ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლორან ლუი:** დასავლეთის ქვეყნები ყველა საშუალებას მიმართავენ, რათა თავიანთი სამხედრო ბაზებით დაფარონ დაპყრობილი ქვეყნები, ამასთანავე დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური შეკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს. ყველაფერი სტრატეგიულადაა მოფიქრებულ-ჩაფიქრებული... ერაყში ჩვენმა ამერიკელმა მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს ნავთობი, ავღანეთში საუბარია ნარკოტიკებსა და ოპიუმზე, ანუ ფულის სწრაფად გასაკეთებელ საშუალებებზე...

# ამბოხი ადამიანთა გამოთაყვანების წინააღმდეგ

## ღია წერილი-მიმართვა ბელგიის პარლამენტის წევრს, ბატონ ლორან ლუის, მისი გახმაურებული გამოსვლის გამო ბელგიის პარლამენტში

**ძვირფასო ბატონო ლორან ლუი!**

თქვენი სენსაციური გამოსვლა ბელგიის პარლამენტში ქართულ მედიაშიც გახმაურდა.

თქვენ ბრძანეთ, რომ დასავლეთის ქვეყნებში მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით მიმდინარეობს მოსახლეობის გამოთაყვანება და რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები საკუთარ მოსახლეობას იდიოტად თვლიან. ზუსტად ასეა ჩვენთანაც, საქართველოში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შუალედში.

თქვენ უარი თქვით და არ შეუერთდით თქვენივე ქვეყნის — ბელგიის პარლამენტის რეზოლუციას, რომლითაც ბელგია ვალდებულებას იღებს, დაეხმაროს საფრანგეთს, რათა მან აფრიკის ერთ-ერთი პატარა ქვეყნის, მალის, ტერიტორიაზე ნეოკოლონიური ოპერაცია წარმატებით ჩაატაროს.

თქვენ ბრძანეთ, რომ **ადამიანის უფლებათა და ღირსებათა დაცვის იდეა დღეს გამოყენებულია სამხედრო ოპერაციებისთვის და გამოყენებულია პლანეტის იმ ქვეყნებში, რომლებშიც ნეოკოლონისტ დამპყრობლებს ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება სურთ.** თქვენ ბრძანეთ, რომ ეს ხდება მალიშიც! **ფაქტობრივად, თქვენ ფარდა ახადეთ ბელგიის მიპატიჟებას მალის ბუნებრივი რესურსების ძარცვაში და პირდაპირ განაცხადეთ, რომ ომის მიზანია ჩინეთის გამოძევება აფრიკიდან ამერიკისა და საფრანგეთის ერთობლივი სამხედრო ძალებით და მალის გაძარცვა ამერიკისა და საფრანგეთის მიერ! რომ მალიში ადამიანის უფლებები ირღვევა, რომ მალი ოქროს მსხვილი მწარმოებელია! გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ ისიც აღმოჩნდა, რომ მალიში ურანის მოპოვებას უაღრესად ხელსაყრელი უპირატესობა აქვს და იაფია!**

**ბატონო ლორან ლუი!**

თქვენი პროტესტით ბელგიის პარლამენტის რეზოლუციის მიმართ თქვენ წინ აღუდექით თქვენი ქვეყნის — ბელგიის სახელმწიფოებრივ სიცრუეს, რომელსაც ბელგიის პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს თქვენი ქვეყნის მოსახლეობის სახელით, რაც იმას ნიშნავს, რომ **თქვენ წინ აღუდექით თქვენი მოსახლეობის გამოთაყვანებას თქვენივე ქვეყნის ხელისუფლების მიერ! ამავე დროს თქვენ წინ აღუდექით ადამიანის უფლებებით შეფუთულ მეკობრეობას, გამეფებულს მთელს დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში.** თქვენ დღეს ბრძანდებით მაგალითი მსოფლიოს ყველა პარლამენტარისთვის! თქვენ დღეს ბრძანდებით მსოფლიოს სამაგალითოდ ღირსეული მოქალაქე! უფრო მეტიც: **თქვენი ამბოხით თქვენ დაადასტურეთ, რომ ღმერთს არ მიუტოვებია კაცობრიობა პოლიტიკური ყაჩაღების ანაბარა, და დღეს თუ არა ხვალ, პატიოსნება და ადამიანისადმი ნამდვილი პატივისცემა გათოკავს ყაჩაღობას.**

თქვენ ბრძანებთ, რომ **„დასავლეთის ქვეყნები ყველა საშუალებას მიმართავენ, რათა თავიანთი სამხედრო ბაზებით დაფარონ ახალი დაპყრობილი ქვეყნები, ამასთანავე დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური შეკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს. ყველაფერი სტრატეგიულადაა მოფიქრებულ-ჩაფიქრებული...**

**ერაყში ჩვენმა ამერიკელმა მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს ნავთობი, ავღანეთში საუბარია ნარკოტიკებსა და ოპიუმზე, ანუ ფულის სწრაფად გასაკეთებელ საშუალებებზე“...**

თქვენ მართალი ბრძანდებით. **ჩვენ, ხუთმილიონიანი პატარა ქვეყანა, საქართველო, ამერიკისა და ევროპის ახლად დაპყრობილ ქვეყნებს ვეკუთვნით.** თქვენ ზუსტად გაუსვით ხაზი იმ ჩანაფიქრსაც, რომლითაც **„დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური დაკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს“,** იმისათვის, რომ ადგილობრივი ეკონომიკა სტაბილურად დარჩეს ჩაძირულ მდგომარეობაში. **ჩვენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი რესპუბლიკის მცხოვრებნი, გვაქციეს გაღატაკებულ, ეკონომიკაჩამპალ ხალხად, რომელსაც საარსებო მინიმუმის მოთხოვნაში უნდა ამოჰხადონ სული.** ეს ოფიციალური სტატისტიკაა.

სიცოცხლის უფლება ჩამორთმეულ ქვეყანას, მის ადამიანის უფლებებსა და ღირსებებს, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ორ მილიონამდე ადამიანი გაექცა თავისი მიწა-წყლიდან სიცოცხლის გადასარჩენად და ლუკმაპურის საშოვნელად. **ჩვენ, ღვთითმომადლებული მიწათმოქმედების ქვეყანა, გვაქციეს ჯერ ნავთობით ევროპის მოსამარაგებელი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენების გასაყვან ტერიტორიად, ხოლო შემდეგ — ნატოს იარაღის საწყობად.** მართალია, ოცი წელიწადია, ჩვენთან მიწათმოქმედება მიზანმიმართულად სახელმწიფოს მიერ ნადგურდება, მაგრამ სამაგიეროდ სამხედრო ინდუსტრია ყვავის, ხოლო **ქართველი ჯარისკაცები დამშეული ოჯახებიდან „სამშობლოს დასაცავად“ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მომნიჭებელ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს ეხმარებიან ერაყსა და ავღანეთში!** ხომ ხედავთ, როგორი კეთილშობილი ხელისუფლება გვყავს?! **იმისათვის, რომ ერაყსა და ავღანეთში და, ალბათ, ასევე სირიაში, ალჟირსა და ირანში ადამიანის უფლებები იყოს დაცული, საქართველოში ვაშენებთ სამხედრო ქალაქებს, სამხედრო აეროდრომებს, ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებს ბაქტერიოლოგიური იარაღის დასამზადებლად და ღმერთმა იცის, კიდევ რას.** ეს უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, განთქმული თავისი კაცთმოყვარეობით, გვაქციეს „სიკვდილის ფაბრიკების“ ქვეყნად... ჩვენ არ ვიცით, ვინ აშენებს მათ. როგორც თქვენ სამართლიანად ბრძანეთ, „დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური დაკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს“... **ცნობილია, რომ 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის საზღაურად, მთელი ამ ბედნიერების მონიჭებისთვის, რევოლუციების სპეციალისტად თვითწოდებულმა მსოფლიო ქველმოქმედმა, ბ-ნმა ჯორჯ სოროსმა საქართველოს ხელისუფლებისგან, პირველ რიგში, ოქროს საბადოები მოითხოვა, ხოლო მეორე რიგში — საქართველოს შავიზღვისპირეთი. ჩვენმა პარტნიორმა და მეგობარმა ქვეყნებმა ახლა ურანსაც მიაგნეს საქართველოში და მისი ათვისებაც წარმატებით შედგება.**

თქვენ ბრძანებთ, რომ **„ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე, მალე კი სირიაა დასავლეთის სამიზნე, რათა ჩამოაგდოს ზომიერი ხელისუფლება და შეცვალოს ისლამისტებით. შემდეგ კი ისლამისტური რეჟიმები სწრაფად გახდებიან ყველასთვის პრობლემა და „საპატიო საბაბით“, რომელსაც „ტერორიზმთან ბრძოლა“ და „ისრაელის დაცვა“ ჰქვია, დავესხმით მათ თავს... ნუთუ ჩვენ ჩავიდინეთ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი იმისთვის, რომ შემდეგ გაგვემართლებინა ჩვენი საომარი შეჭრები, უკანონო წამებები, დაპატიმრებები და უდანაშაულო მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა?!“**

**ბატონო ლორან ლუი!**

თქვენ დასვით მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის თავზარდამცემი კითხვა: ნუთუ ამერიკამ თავად მოუწყო თავისთავს 11 სექტემბრის ტერაქტი?, რომელიც, მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია. ადამიანის წარმოსახვა უძლურია და ველარ აცნობიერებს ამხელა ცბიერებას პოლიტიკისას. **კაცობრიობის წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა: გამოიყვანოს მსოფლიო ამ სატანური ხარხარის განზომილებიდან, ამხილოს და აკრძალოს სპეკულაცია ჰუმანისტური იდეებით და გადაიყვანოს მსოფლიო ნორმალურ ადამიანურ აზროვნებაზე.** მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? სად არის შესაძლებელი ინტეგრაცია კაცობრიობის მორალური ენერგიის? გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მივიდა იქამდე, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს უნიკალურ შანსს აძლევს, უშუალო მონაწილეობა მიიღოს გლობალური განვითარების ახალი წესრიგის შემუშავებაში. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გაერომ, რომ **ის ადამიანები, რომლებიც გამოთაყვანებას არ ექვემდებარებიან, საკუთარ ქვეყნებში, განსაკუთრებით პატარა და უჩინარ ქვეყნებში, ის ადამიანები, რომელთაც ძალი შესწევთ, ახალი წესრიგის შემუშავებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ, მონიტორინგზე არიან აყვანილნი და სრულიად დაუცველნი ფარული პოლიტიკური თავდასხმებისგან.** ეს თავდასხმები, პროვოკაციები თუ შანტაჟები ხშირად ფიზიკურ მკვლელობაზე უარესია...

**ძვირფასო ბატონო ლორან ლუი! გმადლობთ თქვენი გაბედულებისა და ახალი, მართალი მსოფლიოს მხარდაჭერისთვის!**



**ჩვენ, ღვთითმომადლებული მიწათმოქმედების ქვეყანა, გვაქციეს ჯერ ნავთობით ევროპის მოსამარაგებელი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენების გასაყვან ტერიტორიად, ხოლო შემდეგ — ნატოს იარაღის საწყობად**

**ადამიანის უფლებათა და ღირსებათა დაცვის იდეა დღეს გამოყენებულია სამხედრო ოპერაციებისთვის და გამოყენებულია პლანეტის იმ ქვეყნებში, რომლებშიც ნეოკოლონისტ დამპყრობლებს ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება სურთ**

**დეინიზა სუმბაძე,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საზოგადოებრივი გაერთიანების – „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ პრეზიდენტი

ამბავი

## მარგველაშვილს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში სასწავლებლი უნდა განთავსდეს

**კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი პრეზიდენტობის შემთხვევაში ავლაბრის რეზიდენციაში მუშაობის გაგრძელებას არ გეგმავს, რადგან ეს არასწორად მიაჩნია.**

„ძალიან პომპეზურია. მგონია, რომ ეს უნდა იყოს ყველაზე სიმბოლური სასწავლებელი“, — განაცხადა მარგველაშვილმა „რუსთავი 2“-ის გადაცემა „P.S.“-ში.

აღსანიშნავია, რომ ავლაბრის რეზიდენციის სამომავლო ფუნქციასთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. სამთავრობო წრეებში მის სასტუმროდ ან მუზეუმად გადაკეთების შესახებ საუბრობენ. მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ავლაბრის რეზიდენცია საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მთავრობამ და მისმა მეთაურმა უნდა დაიკავონ.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, გოგებაშვილის „დედა ენასთან“ დაკავშირებით, მაშინვე მივმართეთ სამინისტროს, ავუხსენით, თუ რა მოხდა გრიფირების დროს, რა უკანონობა ჩაიდინეს, როგორ გადადეს გვერდზე იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო. პასუხი მივიღეთ ძალიან უცნაური, ანუ ზუსტად ისეთი, როგორიც წინა ხელისუფლების დროს. აღმოჩნდა, რომ დეპარტამენტის დონეზე არაფერი შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ მინისტრი და მისი მოადგილეები. ჩვენი წერილები კი სწორედ ამ დეპარტამენტებს ეწერება.“**



### გიორგი გოგოლაშვილი:

# განათლების სამინისტროში პასუხიც არ გვაღირსეს

**იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება, რომელიც 2007 წელს დაარსდა, დღემდე ელოდება განათლების სამინისტროში გულისხმიერი ადამიანის გამოჩენას, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ უპატრონებს. ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და თანათავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში გულდაწყვეტილმა განაცხადა, ახლადდაკომპლექტებული განათლების სამინისტროც საიმედოს ვერაფერს გვპირდება იმასთან დაკავშირებით, რომ „დედა ენას“ გრიფს მისცემენ და სკოლებში თავდაპირველი სახით დააბრუნებენ.**

**— ბატონო გიორგი, ვინ არიან ჩხენკელი, გორდელაძე, რონდელი? ის ადამიანები, რომელთაც „დედა ენის“ გადაკეთება, მისი ჩანაცვლება და მითვისება მოინდომეს? ვინ დგას მათ უკან?**

— მინდა, ცოტა შორიდან მოგიყვეთ, თუ რა ხდება „დედა ენის“ გარშემო. 2009 წელს ჩვენ, გოგებაშვილის საზოგადოებამ, წარვადგინეთ კონკურსზე ჩვენ მიერ მომზადებული გოგებაშვილის „დედა ენა“, მაშინ ამ წიგნმა გრიფი მიიღო. 2011 წელს შაშკინმა იგივე კონკურსი ჩაატარა და გოგებაშვილის წიგნი ველარ გავიდა, იმ მიზეზით, რომ მოძველებულიაო, ხოლო სხვა ავტორების სახელმძღვანელოები დაამტკიცა.

ვახტანგ როდონაია ამ რამდენიმე ხნის წინ გარდაიცვალა, ლიტერატურათმცოდნე გახლდათ, ხელმძღვანელობდა რაღაც ჯგუფს და თითქმის ყველა კლასის სახელმძღვანელოს ავტორი იყო. მისმა ჯგუფმა შეადგინა საანბანე სახელმძღვანელოც. მათ საკუთარი მოსაზრება აქვთ, რაც ბუნებრივია.

გახსოვთ, ალბათ, წიგნები გოგებაშვილის მიხედვით კეთდებოდა, მისი ავტორი იყო ვალერიან რამიშვილი, და ეს აბსოლუტურად ნორმალური პროცესი იყო, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია სახელმძღვანელოს ის ვარიანტი, რომელიც ვახტანგ როდონაიას ჯგუფმა გააკეთა. მას არ უნდა ერქვას „დედა ენა“.

**გვანცა ჩხენკელი და ნინო გორდელაძე — ორივე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის „პროდუქტები“ არიან. სულაკაურმა ჯგუფი შექმნა, დაუსახა ამოცანა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ყველგან გაემარჯვათ.**

**— რა გავლენა აქვს ამისთანა ბაკურ სულაკაურს?**

— არ ვიცი, მაგრამ ის ძალიან დაახლოებული იყო ყოფილ ხელისუფლებასთან. 2009 წელს ბაკურ სულაკაურმა სხვა „დედა ენა“ წარმოადგინა, რომელშიც ასევე უარყოფილი იყო „აი ია“. მაშინ ჩვენ ამაზე დიდი ხმაური ავტეხეთ. **იყო ასეთი ტექსტი: „რა ლამაზი შადრევანია“, რომელიც პირველ კაცს, ალბათ, ძალიან მოეწონებოდა.** აქედან გამომდინარე, მას დაუბეჭდეს, შეისყიდეს და სკოლებში დაარიგეს. ასეთი წიგნით სწავლობდნენ ნახევარი საქართველოს ბავშვები. ეს იყო მომგებიანი კომერციული გარიგება.

**იაკობ გოგებაშვილი ამბობდა ასეთ რამეს: „არ შეიძლება სახელმძღვანელო კუჭის პრინციპზე და სახსრის ტრფიალზე აიგოს“. დღევანდელობამ კი მოიტანა ის, რომ გოგებაშვილი განზე დგას.**

სამინისტროს ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც მივმართეთ. დიდი ხანია, ეს საკითხი ჩვენი საწუხარია. ზუსტად ერთი თვის წინ დავბეჭდეთ წერილი: „იაკობის „დედა ენის“ პატრონნი, რას ეძებთ?“. გოგებაშვილმა თავისი „დედა ენა“ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა, რომლის სამართალმემკვიდრეც განათლების სამინისტროა. **გოგებაშვილის საზოგადოება სამინისტროს მოუწოდებს, რომ შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც იაკობ გოგებაშვილის დანატოვარ „დედა ენას“ დღევანდელობასთან შესაბამისობაში მოიყვანს. ამ დროისთვის კი არსებულ „დედა ენაში“ ძალიან ბევრი გოგებაშვილისეული პრინციპი დარღვეულია. შეუძლებელია, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ერთი ადამიანი წყვეტდეს.**

**— უმაღლეს სასწავლებლებში დაწყებითი კლასების პედაგოგებს როგორ ასწავლიან? ისწავლება თუ არა გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით ბავშვის აღზრდის მეთოდი?**

— რამდენადაც ვიცი, დაწყებითი კლასების პედაგოგი — ასეთი ფაკულტეტი აღარ

**«გვანცა ჩხენკელი და ნინო გორდელაძე — ორივე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის „პროდუქტები“ არიან. სულაკაურმა ჯგუფი შექმნა, დაუსახა ამოცანა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ყველგან გაემარჯვათ»**

არსებობს. ბოლო ათწლეულში ბევრი რამ შეიცვალა, უმძიმესი რეფორმა გატარდა.

**— ბატონო გიორგი, რას ამბობენ დღევანდელ, ახალ სამინისტროში — დაიწყება თუ არა „დედა ენასთან“ დაკავშირებული საკითხის განხილვა? ეს, ალბათ, საქართველოში ყველა მშობლის უმთავრესი პრობლემაა.**

— არანაირი რეაქცია სამინისტროს არ აქვს. ჩვენ არ ვერიდებით სატელევიზიო გამოსვლებს, ოფიციალურ მიმართვებს, ხმაურს, სადაც შეგვიძლია და ხელი მიგვიწვდება, მაგრამ არსაიდან გამოხმაურება არ არის. **განათლების სამინისტროში პასუხი არ გვაღირსეს. ახალი ხელისუფლებისთვის დღეს წაყრუება ყველაზე მომგებიანი პოზაა.**

**— სცადეთ, პირდაპირ მინისტრს შეხვედროდით?**

— არა. მხოლოდ წერილებს ვაქვეყნებ სხვადასხვა გაზეთში, მივუთითებ, რომ ყურადღებას ვითხოვ განათლების მინისტრისგან და არა მხოლოდ მისგან, მაგრამ არსაიდან პასუხი არ მოდის.

**— ბატონო გიორგი, იქნებ გეცადათ და პირადად მისულიყავით, არა მგონია, მინისტრს რომ უთხრან, გიორგი გოგოლაშვილი მოვიდაო, უყურადღებოდ დაგტოვოთ.**

— იყო ასეთი შემთხვევა, რომ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მიაწვდინა ხმა და მაინც არ გამოიჩინეს დიდი ყურადღება. **სამინისტროს პასუხი არის ძალიან ზოგადი: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართული სკოლა კარგად იყოს“.**

აი, ასეთი ზოგადი პასუხები მოდის იქიდან. ისინი თავს არიდებენ შეხვედრას. **როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, გოგებაშვილის „დედა ენასთან“ დაკავშირებით, მაშინვე მივმართეთ სამინისტროს, ავუხსენით, თუ რა მოხდა გრიფირების დროს, რა უკანონობა ჩაიდინეს, როგორ გადადეს გვერდზე იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო. პასუხი მივიღეთ ძალიან უცნაური, ანუ ზუსტად ისეთი, როგორიც წინა ხელისუფლების დროს. აღმოჩნდა, რომ დეპარტამენტის დონეზე არაფერი შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ მინისტრი და მისი მოადგილეები. ჩვენი წერილები კი სწორედ ამ დეპარტამენტებს ეწერება.**

**— პრემიერს უყვარს თქვენისთანა ადამიანებთან შეხვედრა, მოსმენა... მას არ შეხვედრიხართ?**

— არ ვიცი, მას რა უყვარს. მე გახლავართ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც პროტესტის ნიშნად თავის დროზე უნივერსიტეტი დატოვეს. ჩვენ ვიყავით ძალიან დიდი ჯგუფი. როდესაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ოთხმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ: „ქართულმა აკადემიამ“, „საუნივერსიტეტო დარბაზმა“, „სოლიდარობამ განათლებული საქათველოსთვის“ და „უნივერსიტეტელმა“ ვრცელი მიმართვა მოვამზადეთ, ხელი მოვაწერეთ და პრემიერს მივმართეთ, ვთხოვეთ, განეხილათ ჩვენი მდგომარეობა, დაევალებინა შესაბამისი სამსახურებისთვის, რომ მოეკვლიათ, მისცემოდა პროცესს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება. მიმართვაში დაწვრილებით ვწერდით, რა გაფუჭდა და წახდა, ვინ დაზარალდა და ვისი ღირსებები შეილახა. ეს ამბავი თებერვალში მოხდა და ამ წერილზე პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ვიცით, რომ გადაეცა განათლების მინისტრს და მას პასუხი არ მოუცია; ისიც ვიცით, რომ იუსტიციის მინისტრს გადაეცა და არც მისგან ისმის რამე; ამბობენ, რომ პროკურატურას გადაეცა და ახლა, ალბათ, სავარაუდოდ, საქმე პროკურატურაში დევს.

აპრილში ისევ დავწერეთ მიმართვა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციის წარმომადგენლებს განათლების მინისტრი შეგვხვედროდა. სამწუხაროდ, მინისტრთან შეხვედრაც ვერ მოვახერხეთ.

ყოველივე ამ მცდელობების შემდეგ, როგორც იქნა, „იმედზე“, ვახო სანაიას თოქშოუში გვედიგვერდ აღმოვჩნდით **ჯემალ მებონია და მე მინისტრის პირველ მოადგილესთან — დავით ზურაბიშვილთან, როგორც იქნა, შევთანხმდით და მან მიგვიღო. ორსაათიანი საუბრის შემდეგ, ჩვენ ვერანაირი სერიოზული დასკვნა ვერ გამოვიტანეთ და წამოვედით, ანუ, „რაც შევიტანეთ, ისევე ის გამოვიტანეთ...“**

**«სამინისტროს პასუხი არის ძალიან ზოგადი: «ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართული სკოლა კარგად იყოს»**

**— ბატონო გიორგი, მინდა უნივერსიტეტის ახალ რექტორზე — ლადო პაპავაზე გკითხოთ: მას ბოლო დროს ძალიან საყვედურობენ, რომ ტელეფონს აღარ პასუხობსო... როგორი რექტორი იქნება ის და დადგება თუ არა უნივერსიტეტი სათანადო დონეზე?**

— კონკურსში მონაწილე კანდიდატებიდან ყველაზე მეტად მხარს ლადო პაპავას ვუჭერდი. ვთვლიდი, რომ ის ყველაზე ღირსეული კანდიდატი იყო. კვლევებიც მის უპირატესობაზე მეტყველებდა, კარგია, რომ მთავარმა საბჭომ ჩვენი ხმა შეისმინა. ეს ამბავი 16 აგვისტოს მოხდა. ლადო პაპავა მუშაობას 2 სექტემბერს შეუდგა. მას მოუხდა ერთი კვირით ევროპაში წასვლა. მოკლედ, ერთი კვირაა, რაც აქტიურად დაიწყო მუშაობა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ, არა მგონია, ლადო პაპავა იყოს ის კაცი, რომელიც შეხვედრას თავს აარიდებს.

ამ წუთში გესაუბრებათ უნივერსიტეტის რექტორის ოფიციალური მრჩეველი. ლადო პაპავა გამუდმებით საუბრობდა უნივერსიტეტში დატრიალებულ უკანონობაზე, როდესაც ის რექტორად აირჩიეს, პირადად დამირეკა მეც და ბატონ ჯემალ მებონიასაც, მან შეხვედრა გვთხოვა და ჩვენც, რა თქმა უნდა, შევხვდით. ორ საათს გასტანა ჩვენმა საუბარმა და სწორედ ამ შეხვედრაზე პაპავამ შემოგვთავაზა რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრობა. ასეთი საბჭო ხუბუას დროს არსებობდა, მაგრამ მერე გაუქმდა. დღეს ეს საბჭო აღდგა. ჩვენ მაშინვე ვუთხარით, რომ ასეთ თანამდებობას იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდით, თუ ჩვენს რჩევას რეალურად ვინმე შეისმენდა. ჯემალ მებონია და მე 2006 წელს წამოვედით უნივერსიტეტიდან და იმ დღიდან ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია ბრძოლა და ფიქრი უნივერსიტეტზე.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

მოკლედ

## ელისო კილაძე საგანელიძეს 41 ლარს სთხოვს

**გაზეთ „ქრონიკა +“-ის რედაქტორი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სკანდალური მასალების გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ხელისუფლების მაღალჩინოსნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ეხებოდა, მას პროკურატურიდან არავინ დაუკავშირდა.**

მისი თქმით, მიუხედავად უმრავლესობის ლიდერის განცხადებისა, გამოძიება მის ხელთარსებული მასალით არ დაინტერესებულა.

ელისო კილაძე კიდევ ერთხელ მიმართავს პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება და აცხადებს, რომ ის მზად არის, მიაწოდოს ყველა ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. „მოვუწოდებ მთავარ პროკურატურას (მიუხედავად საგანელიძის განცხადებებისა, ამ დრომდე მე პროკურატურიდან არავინ დამკავშირებია), დაიწყოს გამოძიება. მე კიდევ ერთხელ გამოვთქვამ მზადყოფნას გამოძიებასთან თანამშრომლობის.

**„მზად ვარ ყველა შეკითხვას, რომელიც გამოძიებას ექნება ამ მასალებთან დაკავშირებით პასუხი გავცე“,** — განაცხადა ელისო კილაძემ „პირველი რადიოს“ რადიოკლუბში. რაც შეეხება დავით საგანელიძის განცხადებებს, ელისო კილაძის თქმით, იმ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისთვის, რომლებითაც უმრავლესობის ლიდერმა გაზეთი და ჟურნალისტები მოიხსენია, მას პასუხისგება სასამართლოში მოუწევს. „ქრონიკა+“-ის რედაქტორის განცხადებით, მორალური კომპენსირებისთვის საგანელიძისგან სიმბოლურად 41 ლარის გადახდას მოითხოვს.

საქართველო და მსოფლიო
მოსაზრება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველომ რეალურად დაკარგა რუსული ბაზარი, თანაც, ჩვენი ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, თურქეთის ბაზარზე ვერ შევაღწიეთ. ვერც შევაღწევდით და არც იყო ეს გეგმაში. პირველი იმიტომ, რომ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი იმპორტის სტიმულირება და მეორე, თურქეთი თვითონ არის იმ სახეობის პროდუქციის ექსპორტიორი, რომელსაც აწარმოებს ჩვენი ქვეყანაც.**

# რომელი კანდიდატის გამარჯვება აძლევს ხელს ქართულ ეკონომიკას?!

**ნებისმიერი არჩევნების წინ მოსახლეობა არჩევნებში ერთადერთი მიზნით მონაწილეობს — მხარი დაუჭიროს უკეთეს ცხოვრებას! ამ იმედის გამო გაიმარჯვა „ოცნებამ“. იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ მომავალი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, უნდა გავაანალიზოთ, თუ რა გზა გავიარეთ და სად აღმოვჩნდით ამჟამად.**



ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ინსტრუმენტი ინვესტიციებია, ხოლო მის განსახორციელებლად მოზიდული კაპიტალი — ორი წარმომავლობის: უცხოეთიდან მოზიდული ინვესტიცია და შიდა, ეროვნული ბიზნესის მიერ განხორციელებული მუდმივი რეინვესტირება (გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო კრედიტებსა და გრანტებს ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ).

მაგრამ **უცხოური ინვესტიცია ყოველთვის პოლიტიკური დატვირთვისაა.**

საქართველოსთვის რეალური კაპიტალი, წარმომავლობის, გნებავთ, გეოპოლიტიკის გამო, უტრირებულად რომ ვთქვათ, შეიძლება იყოს მხოლოდ რუსული ან თურქულ-ახლო აღმოსავლური.

**არ დებენ ბელგიელები თუ ბრიტანელები კაპიტალს საქართველოს მსგავს ქვეყნებში, ასევე, არც ამერიკელები და არც აღმოსავლეთ ევროპელები.**

მიზეზი ისაა, რომ მსოფლიოში საქართველოზე შეუდარებლად მიმზიდველი საინვესტიციო ადგილები არსებობს. მაგალითად, ბევრი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიური ქვეყანა, რომლებშიც დიდწილად ჩვენზე ლიბერალური საგადასახადო სისტემაა და შეუდარებლად იაფი მუშახელი; ასევე, აღმოსავლეთი ევროპა, აქ განვითარების პოტენციალი თანხვედრაშია სტაბილურ პოლიტიკურ გარემოსთან.

**ჩვენი მოსახლეობის სტრუქტურული შემადგენლობის გათვალისწინებით უმთავრესი ეკონომიკური პრობლემა (მასობრივი უმუშევრობა) რომ მეტ-ნაკლებად სწრაფად შემცირდეს, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის განვითარებაა საჭირო თავისი თანმდევი გადამამუშავებელი მრეწველობით, ხოლო საბოლოო პროდუქტი გარანტირებულად უნდა გადიოდეს ექსპორტზე.** მაგრამ სოფლის მეურნეობა „ნაციონალებისთვის“ ყოველთვის გერის მდგომარეობაში იყო და ამას თავისი სუბიექტური მიზეზები ჰქონდა.

სოფლის მეურნეობა სპეციფიკური დარგია. მისი განვითარებით გამოწვეული საბიუჯეტო ამონაგები წლებში გაწელილი პროცესია. გლეხობის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული პროდუქციის რეალიზაცია პირველად გადამუშავებამდე პრაქტიკულად არაფრით იბეგრება. კანონმდებლობით ექსპორტიც არ ექცევა დაბეგვრის რეჟიმში. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ექსპორტის ზრდა მყისიერად ბიუჯეტის შემოსავლებზე გავლენას ვერ ახდენს. ამას დავუმატოთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარე მთავარი მომხმარებელი რუსეთი იყო. რაც შეეხება გადამამუშავებელ მრეწველობას, აქაც დრო და სახსრებია საჭირო, ხოლო იმისთვის, რომ ფერმერული მეურნეობები შეიქმნას და სოფლის მეურნეობა სრულფასოვან ბიზნეს-სეგმენტად ჩამოყალიბდეს, დროსთან ერთად საჭიროა სახელმწიფო ხელშეწყობაც.

და მთავარი ... **გლეხს უშუალოდ წილში ვერ ჩაუჯდები.**

**ამიტომ „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ საერთოდ ხელი აიღო ამ დარგის განვითარებაზე და თავისი მიზნებისთვის მარტივ გამოსავალს მიაგნო: იმპორტის საშუალებით დაბალხარისხიანი, ხშირად ჯანმრთელობისთვის მავნე საკვებით ქვეყნის ბაზრის გაჯერება. ბიუჯეტიც მყისიერად ივსებოდა და ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების შემდეგ ნებისმიერი დარგის მონოპოლიზაციაც მარტივად ხორციელდებოდა.**

## ქართული პროდუქციის პოტენციური ბაზარიც და «ეთნიკური კაპიტალიც» მხოლოდ ერთ ქვეყანაშია აბსორბირებული და ეს ერთი ქვეყანა, გვინდა თუ არა, რუსეთია

ამიტომ ახლა, როდესაც დაისვა საკითხი, ეკონომიკის თუ რომელი დარგების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფომ, ეს, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობაა აუცილებლად თავისი გადამამუშავებელი მრეწველობით; ასევე სატრანზიტო-ინფრასტრუქტურული სეგმენტი, გამომდინარე საქართველოს სპეციფიკური გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, და ჰიდროენერგეტიკა.

**აქედან ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადასაჭრელად ეკონომიკური განვითარების საწყისი ეტაპისთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობა რჩება.**

მაგრამ რა მდგომარეობა შეიქმნა დღეისთვის?

**ერთი რეგიონული ზესახელმწიფოს** (რუსეთის) **ადგილი დაიკავა მეორე რეგიონულმა ზესახელმწიფომ** (თურქეთმა).

გამომდინარე აქედან, **საქართველომ რეალურად დაკარგა რუსული ბაზარი, თანაც, ჩვენი ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, თურქეთის ბაზარზე ვერ შევაღწიეთ. ვერც შევაღწევდით და არც იყო ეს გეგმაში. პირველი იმიტომ, რომ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი იმპორტის სტიმულირება და მეორე, თურქეთი თვითონ არის იმ სახეობის პროდუქციის ექსპორტიორი, რომელსაც აწარმოებს ჩვენი ქვეყანაც.** თურქეთში ვერ შევიტანთ ვერც პირველად და ვერც გადამუშავებულ ხილეულს თუ სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციას იმ ფასად და იმ მოცულობით, რომელიც გასცდება სატრანზიტო რეექსპორტის ჩარჩოებს. ღვინოპროდუქციასთან დაკავშირებით ხომ საერთოდ ულტრა სპეციპიკური სიტუაციაა. პოსტსაბჭოთა სივრცის გარდა, ჯერჯერობით სხვა ბაზარი, რეალური მოცულობებიდან გამომდინარე, არ არსებობს.

**კაპიტალს აუცილებლად ახლავს პოლიტიკური სარჩულიც.**

**ამის უთვალსაჩინოესი მაგალითი** (და არამარტო) **უკვე აჭარაა. პოლიტიკური დომინანტის როლს ფინანსური ინსტრუმენტით ამჟამად ახდენს ქვეყანა, რომელთანაც არანაირი კულტურული თუ ეთნო-ნათესაური კავშირი არ გაქვს, ეს სახიფათოზე სახიფათოა. დროის დინამიკაში კი რა იქნება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.**

**ეს შეცდომაა!**

უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შემადგენელი თითქოს ე. წ. ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ფირმებიცაა.

მაგრამ ამ ოფშორებს ზურგს უკან დასავლური, სულ ცოტა, დასავლური ლეგალური-სუფთა კაპიტალი ვერ უნდა იმალებოდეს. ასეთ ზონებში ძირითადად ე. წ. შავი ფულის აკუმულირება ხდება მათი შემდგომი გათეთრების მიზნით. ჩვენ შემთხვევაში კი **აქ აკუმულირებული თანხები, ძირითადად, „ნაციონალების“ მიერ სხვადასხვა ბიზნესიდან „ახეული“ და აკუმულირებული კაპიტალი იყო და ახლაც, აღნიშნული ნაკადის შეჩერების გამო, დიდწილად გამოწვეულია ის სრული ეკონომიკური სტაგნაცია, რომელიც „ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაიწყო ქართულ ეკონომიკაში. „ნაცოფშორები“ ფულს საქართველოში აღარ დებენ... „მათი საბაღნარო აღარაა“ ქვეყანა და რატომ გარისკონ?!**

მაგრამ აქამდე საერთოდ გამოუყენებელი იყო მთავარი „ქართული კაპიტალი“, ე. წ. ეთნიკური კაპიტალი, ანუ მდიდარ, ძალიან მდიდარ ქართველთა კაპიტალი.

ეკონომიკას აქვს თავისი კანონები. გასაღების ბაზარი საბოლოო საფეხურია, ის ხელს უწყობს ინვესტიციის მოზიდვას. ინვესტიციით კი შენდება საწარმოები, რომლებიც ასაქმებს მუშახელს და ქმნის მატერიალურ დოვლათს, რომელიც უნდა გაიტანო ისევ იქ — გასაღების ბაზარზე. ჩაკეტილი, მაგრამ ურთიერთდამოკიდებული წრეა.

ამიტომ ფორმულა: „იქნება ბაზარი? იქნება ქარხნებიც! იქნება ქარხნები? იქნება დასაქმებაც!“ უნივერსალურია.

და აქ მივდივართ მთავარ სათქმელთან:

**ქართული პროდუქციის პოტენციური ბაზარიც და „ეთნიკური კაპიტალიც“ მხოლოდ ერთ ქვეყანაშია აბსორბირებული და ეს ერთი ქვეყანა, გვინდა თუ არა, რუსეთია.**

ბაზრის გაჯერებუ- ▶

## რუსეთში არსებულმა «ქართულმა ეთნიკურმა კაპიტალმა» საქართველოსკენ გზა რომ გამოიკვლიოს, საჭიროა რუსეთის ხელისუფლების თანხმობა. მიზეზი მარტივია — ეს ხალხი დიდ ფულს რუსეთში შოულობს და რუსეთის ხედვით მისდამი არაკეთილგანწყობილი ქვეყნის ეკონომიკაში ფულს არავინ ჩაადებინებს

მოკლედ

## პაატა ზაქარეიშვილი: სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების საფუძველი არ არსებობს

**რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი არ გამორიცხავს, რომ სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის საკითხს მთავრობა სიტუაციიდან გამომდინარე დაუბრუნდეს, თუმცა აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ბოიკოტირების საფუძველი არ არსებობს.**

„ჩვენ პატივს ვცემთ საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტს და მთავრობას ესმის მათი, მაგრამ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება ყოვლად დაუშვებელია, რადგან ეს მხოლოდ დაგვაზარალებს. მთავრობას არასდროს უთქვამს, რომ აუცილებლად მივიღებთ ოლიმპიადაში მონაწილეობას, ჩვენ ვამბობთ, რომ დავაკვირდებით მოვლენებს და სიტუაციიდან გამომდინარე დავუბრუნდებით ამ საკითხს, თუმცა დღესდღეობით არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ მივიღოთ ბოიკოტირების გადაწყვეტილება“, — განუცხადა ჟურნალისტებს პაატა ზაქარეიშვილმა, რომელიც დღეს სვეტიცხოვლის დღესასწაულთან დაკავშირებით მცხეთაში იმყოფებოდა. ამასთან, მან ქართველ ხალხს დღესასწაული მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს დღე მისთვის ორი ნიშნით ხასიათდება: **„ერთის მხრივ, ეს დღესასწაული მსოფლიო მნიშვნელობისაა; მეორე მხრივ კი — ტიპიური ქართული დღესასწაულია. ასეთი უნიკალური შეზავება აქვს სვეტიცხოვლობას ქართული მართლმადიდებლობისა და მსოფლიო მართლმადიდებლობის. მე ასეთი განცდა მაქვს. ყველას მინდა მივულოცო დღევანდელი დღე“,** — აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

**ყველაზე წამგებიანი ჩვენთვის ამ შემთხვევაში გამოკვეთილი პოლიტიკური ვექტორის არქონაა. გაურკვევლობა ამ შემთხვევაში დამღუპველია. ამ გაურკვევლობას თვით „ნაციონალების“ მიერ აბსოლუტურად აღვირახსნილი რუსოფობული, ამერიკისა და ევროპის ნეოკონსერვატი პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილის მიერ გაცხადებული პოლიტიკის გატარებაც ჯობდა. იმიტომ, რომ იმ პოლიტიკით ვიღაცის მოკავშირე მაინც ვიყავით.**

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლობის, მოთხოვნადობის, ხარისხისა და ცნობადობის გამო ქართული პროდუქცია, რომლის გატანაც ჩვენ ექსპორტზე რეალურად შეგვიძლია, მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეა, რომლის უდიდესი წილიც ისევ რუსეთზე მოდის.

ეთნიკური კაპიტალიც მხოლოდ რუსეთშია. არ არსებობს „არარუსულკაპიტალიანი“ ძალიან მდიდარი ქართველი ადამიანი. ცუდია ეს? რასაკვირველია, ცუდია! მაგრამ დღევანდელი მოცემულობაა. დივერსიფიკაცია ყველგან და ყველაფერშია საჭირო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზს გამო დღევანდელი სურათი ასეთია.

აქამდე ეს კაპიტალი გამოუყენებელი იყო და დგება დრო, შევეცადოთ, იმ უამრავ „ეთნიკურ ინვესტორს“ გზა გავუხსნათ საქართველოს ბაზრისკენ.

მაგრამ, **რუსეთში არსებულმა „ქართულმა ეთნიკურმა კაპიტალმა“ საქართველოსკენ გზა რომ გამოიკვლიოს, საჭიროა რუსეთის ხელისუფლების თანხმობა. მიზეზი მარტივია — ეს ხალხი დიდ ფულს რუსეთში შოულობს და რუსეთის ხედვით მისდამი არაკეთილგანწყობილი ქვეყნის ეკონომიკაში ფულს არავინ ჩაადებინებს.**

პროსაბჭოთა პოლიტიკის გატარების გამო ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა კუბა. აბსოლუტური ბლოკადა აქვს გამოცხადებული მას ამერიკისა და მისი მოკავშირეების მხრიდან.

**მთელი მსოფლიო ბიზნესი ხარჯავს ფულს, რათა შეაღწიოს რუსულ ბაზარზე. „ნაცმოძრაობამ“ კი მთელი თავისი უშრეტი ენერგია დახარჯა, რათა გამოვსულიყავით რუსული ბაზრიდან.**

1 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო საერთო ენის გამონახვის მცდელობები. რუსეთთან „მომლაპარაკებლად“ დაინიშნა გამოცდილი დიპლომატი ზურაბ აბაშიძე. ეს საწყის ეტაპზე პოზიტიურ სიგნალად რუსეთმაც ჩათვალა და თავადაც დაიწყო შემხვედრი ნაბიჯების გადმოდგმა და ბაზრის გახსნა ქართული პროდუქციისთვის. მაგრამ გადიოდა დრო და საქართველოს ოფიციალური პოზიცია ევროატლანტიკური ვექტორის ერთადერთობასთან დაკავშირებით უცვლელი რჩებოდა. პრაქტიკულად აბაშიძის არაფორმალური სტატუტის გამო აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ლეგიტიმაციის დონეც ვერ განვითარდა და რუსეთიდანაც არ დააყოვნა „საპასუხო“ ნაბიჯებმა. არც დიცის ამბები და არც ონიშჩენკოს დროდადრო წამოსროლილი სისულელეები, რუსულ ბაზარზე სხვადასხვა ქართული ფირმების დაბლოკვასთან დაკავშირებით, ცალკე რაიმე სურათს არ გადმოსცემს.

ონიშჩენკოც, დიციც და ის სოჭელი მეჩირაღდნე-მფრინავიც — ყველა ბედკრული დიდი პოლიტიკის მცირე ფრაგმენტებია.

სამწუხაროდ, ამ დიდი სურათის ვერდანახვისას ჩვენ შეიძლება ისევ არასწორი გათვლა გავაკეთოთ და აღმოვჩნდეთ ისევ იქ, საიდანაც თავის დაღწევა გვინდოდა.

**ხვალ თუ რუსეთმა ისევ დაკეტა საზღვარი ქართული ღვინოებისთვის, კახეთში ყურძნის ჩაბარების ფასი ისევ 30-40 თეთრი გახდება!**

## მთელი მსოფლიო ბიზნესი ხარჯავს ფულს, რათა შეაღწიოს რუსულ ბაზარზე. «ნაცმოძრაობამ» კი მთელი თავისი უშრეტი ენერგია დახარჯა, რათა გამოვსულიყავით რუსული ბაზრიდან



## ხვალ თუ რუსეთმა ისევ დაკეტა საზღვარი ქართული ღვინოებისთვის, კახეთში ყურძნის ჩაბარების ფასი ისევ 30-40 თეთრი გახდება!

ამიტომ მთავარია, გასაღების ბაზარი სტაბილური იყოს, ხოლო „ეთნიკურ კაპიტალს“ შეეძლოს ჩვენთან ფულის დაბანდება. აღარაფერს ვამბობ, რომ ეს „ეთნიკური კაპიტალი“ ჩვენი ქვეყნის ლობისტი უნდა იყოს რუსეთში, რასაც ასე ოსტატურად იყენებენ ჩვენივე მეზობლები.

ამ წერილის თემა არ იყო საქართველოს ყველაზე მტკივნეულ, ოკუპირებული ტერიტორიების, პრობლემებზე საუბარი, რომლის გასაღებიც ასევე დიდწილად ისევ რუსეთის ხელშია. მაგრამ ხელისუფლებას პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების დატანდემება აუცილებლად მოუწევს. მუდმივი პოლიტიკაში არაფერია, მუდმივი მხოლოდ ინტერესები უნდა იყოს.

მაგრამ **ყველაზე წამგებიანი ჩვენთვის ამ შემთხვევაში გამოკვეთილი პოლიტიკური ვექტორის არქონაა. გაურკვევლობა ამ შემთხვევაში დამღუპველია. ამ გაურკვევლობას თვით „ნაციონალების“ მიერ აბსოლუტურად აღვირახსნილი რუსოფობული, ამერიკისა და ევროპის ნეოკონსერვატი პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილის მიერ გაცხადებული პოლიტიკის გატარებაც ჯობდა. იმიტომ, რომ იმ პოლიტიკით ვიღაცის მოკავშირე მაინც ვიყავით.** მართალია, ისეთი მოკავშირის, რომელმაც ჩვენთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში მხოლოდ პამპერსი და წყალი გაიმეტა, მაგრამ მაინც მოკავშირის. დღეს კი ვართ ამორფულ სიტუაციაში, რომელიც, პირველ რიგში, ურტყავს ქვეყნის ეკონომიკას.

ახლა წინასაარჩევნო პერიოდია. „ნაციონალების“ დროს ჩვენს ქვეყანაში დომინანტი ალფა-ქვეყნის როლის დაკავება დაიწყო თურქეთმა. **ნინო ბურჯანაძის პრეზიდენტობის შემთხვევაში გვაქვს შანსი, სტაბილურად გაიხსნას რუსეთის ბაზარი, ხოლო „ეთნიკურად ქართული ინვესტიცია“ ჩადგეს ქვეყნის შენების საქმეში; აი, გიორგი მარგველაშვილის შემთხვევაში კი არც ერთი იქნება, არც მეორე და, თქვენ წარმოიდგინეთ, — არც მესამე და მეოთხე... ყველანაირი გაურკვევლობა იქნება ყველანაირი მიმართულებით ყველა ასპექტში და თანაც ყველასთვის.**

## მარგველაშვილის გაპრეზიდენტება ეკონომიკური სიტუაციის კიდევ უფრო დაჭაობებას გამოიწვევს



გაურკვევლობა ყველგან და ყველასთვის!

ბიზნესს ყველაზე მეტად არ უყვარს გაურკვევლობა.

**საქართველოს ეკონომიკას არაფერი ეშველება, თუ რუსეთის ბაზარი მთლიანად და, რაც მთავარია, სტაბილურად არ გაიხსნა და თუ ჩვენს ეკონომიკაში ჩვენმა „ეთნიკურმა ინვესტორმა“ ფული არ ჩადო.**

გამომდინარე ზემოთქმულიდან, თითქოს სამი კანდიდატია საპრეზიდენტო რეიტინგებში გამოკვეთილი: მარგველაშვილი, ბურჯანაძე, ბაქრაძე. მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, თუ ეკონომიკურ ჭრილში შევხედავთ სიტუაციას, არჩევანი მხოლოდ ორს შორის გაკეთდება: ბურჯანაძესა და ბაქრაძეს შორის.

სამწუხაროდ, მარგველაშვილის გაპრეზიდენტება ეკონომიკური სიტუაციის კიდევ უფრო დაჭაობებას გამოიწვევს.

საჭიროა, ქართულმა ისტებლიშმენტმა წყნარად, ემოციების გარეშე გაიაზროს, რომ, **რუსეთის ბაზრის სტაბილური გახსნის გარეშე, საქართველო ეკონომიკურ სიდუხჭირეს** (ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე) **ვერ გაუმკლავდება, უმუშევრობა ვერ შემცირდება.** სტაბილურ ბაზარს კი სჭირდება თამამი ნაბიჯები.

თამამი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით კი შეუძლია პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც არის ქალი, რომელსაც აქვს სერიოზული კავშირები საქართველოსთვის უმთავრესი გასაღების ბაზრის და საქართველოში ფულის ჩამდები „ეთნიკური კაპიტალის“ ქვეყანაში.

პოლიტიკაში ხშირადაც, გაბედულ, არაორდინალურ და ქვეყნის განვითარების გადამწყვეტ მომენტებში საჭირო ნაბიჯებს მხოლოდ ქალები დგამდნენ. **ამის მაგალითი ინგლისისთვის მარგარეტ ტეტჩერია, არგენტინისთვის — ხუსტიალიზმის მოძრაობის სახისა და სულისჩამდგმელის — ევა პერონის დღევანდელი „პოლიტიკური რეინკარნირებული სახე“ კრისტინა კირშნერი, ინდოეთისთვის — ინდირა განდი, ბრაზილიისთვის — დილმა რუსეფი, გერმანიისთვის — ანგელა მერკელი...** ყველა ამ ქვეყანაში ქალებმა არამარტო ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტებში ჩაიბარეს სახელმწიფოს მეთაურის საჭე, არამედ ხშირად მათი გააზრებული და გაბედული, არაორდინალური ნაბიჯების წყალობით მათ თავიანთი ქვეყნები გამოიყვანეს კრიზისული სიტუაციებიდან ან სხვა სიმაღლეზე აიყვანეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტატუსები.

**საქართველო, შესაძლოა, ამ ქვეყნებზე მეტად რთულ სიტუაციაშია დღეს. მას გაბედული და კიდევ ერთხელ უგაბედულესი ნაბიჯების გადადგმა მოუწევს.**

გრანტებზე დამოკიდებული ხალხისთვის, რასაკვირველია, ძალიან განყენებულ ან მიუღებელ თემებზე ვსაუბრობ, რამეთუ გრანტების წარმომავლობის გეოგრაფია ყველასთვის ცნობილია, მაგრამ იმ ხალხისთვის, რომლისთვისაც დღე იმაზე ფიქრით იწყება, სად იშოვოს საჭმლის ფული ოჯახში მისატანად, ეს საკითხი უპირველესი მნიშვნელობისაა.

**„ოცნებას“ პროფესიონალიზმზე მეტად აკლია უფრო მთავარი კომპონენტი, რომელიც კი პირველ რიგში უნდა ჰქონდეს ნებისმიერ პოლიტიკურ გუნდს, — პოლიტიკური გამბედაობა! პოლიტიკური გამბედაობა, რომ ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში ხალხს აუხსნას რეალური საქმის ვითარება. ხალხი ყველაფერს გაიგებს, ოღონდ უნდა აუხსნა და დაანახო ალტერნატივა.**

ხალხი ყოველთვის უფრო კარგ ცხოვრებას ირჩევს ამიტომ მომავალი მე მაინც გაბედული ნაბიჯების გადამდგმელთა მხარეს მგონია.

**მამუკა ჩხეიძე,**
**ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში**

## საქართველოს ეკონომიკას არაფერი ეშველება, თუ რუსეთის ბაზარი მთლიანად და, რაც მთავარია, სტაბილურად არ გაიხსნა და თუ ჩვენს ეკონომიკაში ჩვენმა «ეთნიკურმა ინვესტორმა» ფული არ ჩადო

## პირი არ მომალებინოთ — რით დაემუქრა მეუფე კალისტრატე სინოდს

**სინოდის განჩინებასთან დაკავშირებით ეპისკოპოსების გაშვებისა და ეპარქიების დაყოფის შესახებ საზოგადოებასა და მედიაში არაერთგვაროვანი მოსაზრება გაჩნდა და სინოდის დახურულ სხდომაზე განვითარებულ მოვლენებზე რამდენიმე ვერსია ჩამოყალიბდა.**

სამების ტაძრის დიაკვანის — მამა ელიზბარ დეკანოიძის ინფორმაციით, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს „პენსიაზე გაშვება“ სინოდმა მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც მეუფე კალისტრატემ საკუთარი უფლებები მკაცრად დაიცვა, „რის ხარჯზე არ გაინტერესებთ? მან თქვა პირს დავალებო, არიქა, პირი არ მოალოო და კიდევ ცოტა ხანს დარჩიო, უთხრეს“.

მამა ელიზბარის ინფორმაციით, სასულიერო პირებზე ბევრი კომპრომატი არსებობს და ვილაცას ამ კომპრომატებს ცხვირწინ უფრიალებენ. **„კალისტრატემ სხვა კი არაფერი თქვა, მოვალებ პირსო, ყველამ ყველას ცოდვილი ხასიათი იცის, მათი მიდრეკილება. კალისტრატეს სააკაშვილის ზურგი აქვს და ბოლომდე თავს იცავს, რაც მაგას დაჩიპულ ჯიპებში მოსმენილი და ნანახი აქვს აი, იმ ყველაფერს წინ დაულაგებს და თითსაც ვერავინ დააკარებს“,** — აცხადებს **მამა ელიზბარი.**



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თვით პრეზიდენტის ყველაზე ერთგული მხარდამჭერები — აფროამერიკელები — უკვე დაიქსაქსნენ ობამასადმი ერთგულების საკითხში. თუ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში შავკანიანი მოსახლეობის 98% ცალსახად პრეზიდენტს უჭერდა მხარს, ახლა იმავე კატეგორიას შორის მისი მხარდამჭერი მხოლოდ 78%-ია.**

# ამერიკელებს აღარ სჯერათ ხელისუფლების, მედიისა და ღმერთის



**ამერიკელმა სოციოლოგებმა განგაში ატეხეს: აშშ-ის მოქალაქეები საკუთარ ხელისუფლებას აღარ ენდობიან. ისინი სკეპტიკურად უყურებენ მთავრობის ნებისმიერ ინიციატივას ეკონომიკის გაჯანსაღების მიმართულებით და ზოგადად შიშით შეჰყურებენ უახლოეს მომავალს. საყოველთაო პესიმიზმმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.**

უიმედო განწყობა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაში არსებული პრობლემებით აიხსნება. **ამჟამად ამერიკაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობით მოსახლეობის 60%-ზე მეტი უკმაყოფილოა და ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად უცვლელი რჩება 2008 წლის შემდეგ.**

მაგრამ ექსპერტებს კიდევ უფრო მეტად აშფოთებთ ის ფაქტი, რომ **აშშ-ის რიგით მოქალაქეებს შორის იზრდება სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობისადმი უკმაყოფილება.** უკანასკნელი გამოკითხვების თანახმად, რომლებიც NBC News-მა და Wall Street Journal-მა ჩაატარეს, **ამერიკელთა 83%-მა კონგრესისადმი უნდობლობა გამოაცხადა. ეს ყველაზე დაბალი რეიტინგია პარლამენტისთვის მრავალი წლის მანძილზე.**

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პარტიათაშორისი კონკურენცია არის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც კონგრესმენები ვერ ახერხებენ კონსენსუსამდე მისვლას პირველი რიგის ამოცანებთან დაკავშირებით. **„ისინი გატაცებულნი არიან პოლიტიკური ბრძოლით და არა საარსებო პრობლემებით“, „მათ არ აქვთ ერთმანეთის ნდობა“, „მათ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა ადარდებთ და სავსებით დაავიწყდათ ამერიკის საძირკველი — საშუალო ფენა“** — ამგვარ მოსაზრებებს სულ უფრო მეტი რიგითი ამერიკელი იზიარებს.

ოდნავ უკეთესად აქვს საქმე აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუმცა აქაც ყველა ნეგატიური რეკორდი მოიხსნა. **ამერიკელთა 80% უკმაყოფილოა ოფიციალური ვაშინგტონის მუშაობით.** მოქალაქეთა მესამედიც კი არ თვლის, რომ ფედერალური ხელისუფლება კარგად ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. შედარებისთვის: **1964 წელს თეთრ სახლს მოსახლეობის 62% ენდობოდა და მას შემდეგ ეს მაჩვენებელი განუხრელად ეცემა.**

თავად ობამას პირადი რეიტინგიც არავის შეშურდებოდა — მთელი წლის განმავლობაში მისდამი ნდობა მოსახლეობაში 45-48%-ს შორის მერყეობს. პრეზიდენტმა ვერაფრით მოახერხა შედარებით უსაფრთხო პოზიციაზე გადასვლა და 50%-იანი ბარიერის გადალახვა. მან ოდნავაც კი ვერ მოაწონა თავი მემარჯვენე ელექტორატს — იმ რესპონდენტების 90%, რომლებიც საკუთარ თავს რესპუბლიკელებს მიაკუთვნებენ და სახელმწიფოს მეთაურის მოღვაწეობას უკიდურესად ნეგატიურად აფასებენ. **თვით პრეზიდენტის ყველაზე ერთგული მხარდამჭერები — აფროამერიკელები — უკვე დაიქსაქსნენ ობამასადმი ერთგულების საკითხში. თუ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში შავკანიანი მოსახლეობის 98% ცალსახად პრეზიდენტს უჭერდა მხარს, ახლა იმავე კატეგორიას შორის მისი მხარდამჭერი მხოლოდ 78%-ია.**



საინტერესოა, რომ შედარებით დინამიკაში ობამას რეიტინგი ჯორჯ ბუშ-უმცროსის რეიტინგს წააგავს მისი მეორე პრეზიდენტობისას. მეორე ვადით არჩევიდან მეორე წელს ბუშის რეიტინგი 46%-ს შეადგენდა და განუხრელად იკლებდა იმავე სინუსოიდით იკლებდა, რომლითაც ობამას ამჟამინდელი რეიტინგი იკლებს. მიმდინარე შიდა გაუმართაობებისა და გაუგებარი საგარეო პოლიტიკის ფონზე, **ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ თეთრი სახლის ამჟამინდელი ბატონი თავისი წინამორბედის ბედს გაიზიარებს.**

**საზოგადოებაში გავლენას კარგავს მეოთხე ხელისუფლებაც — პრესა, რომელიც წინა პერიოდებში ასე თუ ისე მაინც ახერხებდა ავტორიტეტის შენარჩუნებას.** ინტერნეტმა ამერიკელების ტვინში გადატრიალება მოახდინა და საფუძვლიანად შეარყია ოფიციალური და ტრადიციული მედიისადმი რწმენა. სააგენტო Gallup-ის მონაცემებით, ამ ეტაპზე **ამერიკელთა მხოლოდ 23% ენდობა სატელევიზიო ახალ ამბებს სრულად ან ნაწილობრივ.** 1993 წელს, როდესაც ამგვარი გამოკითხვების ჩატარება დაიწყეს, ტელევიზიისადმი ნდობა 46%-ს შეადგენდა. მთელი 90-იანი წლების მანძილზე და 2000-იანი წლების დასაწყისში ეს მაჩვენებელი 30%-ს არ ჩამოსცილებია, 25%-ზე დაბლა კი პირველად 2007 წელს დაეცა.

უკეთესად არც ბეჭდვით მედიას აქვს საქმე. **გაზეთებისადმი ნდობა ამერიკელებს შორის 2013 წელს ასევე 23%-მდე დაეცა.** შედარებისთვის: **1979 წელს პრესას ამერიკის მოსახლეობის 51% ენდობოდა.**

ნიშანდობლივია, რომ ტრადიციული პრესისადმი ამერიკელთა ნდობის ვარდნა ნაწილობრივ იმავე საზოგადოების მზარდ პოლარიზაციაზეა დამოკიდებული. მაგალითად, **პირობითად „მემარჯვენე“ არხ FOX News-ს რესპუბლიკელების 67% ენდობა და დემოკრატების 3%. მეორე მხრივ, ლიბერალურ CNN-ს ენდობა დემოკრატების 46% და რესპუბლიკელების 17%.**

**თვით ოდესღაც ეტალონური ამერიკული მედიცინაც კი აღარ იწვევს მოქალაქეებს შორის თბილ გრძნობებს.** ფარმაცევტულმა ომებმა, ძვირადღირებული წამლების საეჭვო ეფექტურობამ, ამა თუ იმ პრეპარატის გვერდითი მოვლენების სულ უფრო ხშირმა დემონსტრირებამ ამე- ►

# კოდალას გადარჩენა და კიდევ ხუთი სხვა მიზეზი აშშ-ის ციხეში მოსახვედრად



**„ეს არის ჩვენი ვარსკვლავური დროშა! და ის მუდამ იქნება იქ, სადაც მამაცთა სახლია, სადაც არის თავისუფალთა ქვეყანა!“ ეს არის ციტატა აშშ-ის ჰიმნიდან, თუმცა, სტატისტიკის თანახმად, „თავისუფალთა ქვეყანაში“ მსოფლიოში ყველაზე ბევრი პატიმარია როგორც ციხეების მკვიდრთა საერთო რაოდენობის, ასევე მოქალაქეთა რაოდენობასთან თანაფარდობის მიხედვით. ამერიკაში ძალიან ადვილია, გახდე დამნაშავე — დაარღვევ რომელიღაც კანონის წარმოუდგენელ, ფორმალურ პუნქტს და გისოსებს მიღმა უკვე გელიან...**

აშშ-ში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით პრეცედენტებს, როდესაც კანონის არაწინასწარგანზრახული, ტექნიკური დარღვევა ყოველგვარი დანაშაულებრივი განზრახვის გარეშე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოძიების საბაბი ხდება, „დამნაშავეს“ კი ასამართლებენ და ციხეში სვამენ. აი, რამდენიმე ნათელი მაგალითი:

**11 წლის გოგონამ კატისგან გადაარჩინა კოდალას ბარტყი. ვიდრე გაუშვებდა, გადაწყვიტა, ბარტყი გამოეკვება და დედასთან ერთად ზოომაღაზიაში წავიდა. იქ დედა-შვილი შენიშნა ბუნების დამცველი სააგენტოს შენიღბულმა წარმომადგენელმა, რომელმაც „კრიმინალურ დუეტს“ ფრინველის არალეგალურ ტრანსპორტირებაში ბრალდება წაუყენა.**

დედა-შვილმა ბარტყი სახლში წაიყვანა და გაუშვა, რის შესახებაც აცნობა ზემოხსენებულ სააგენტოს. მაგრამ ორი კვირის შემდეგ იგივე აგენტი, ამჯერად უკვე პოლიციის თანხლებით, მათთან სახლში მივიდა და განაცხადა, რომ ოჯახი დაჯარიმდა 535 დოლარით და დედას, შესაძლოა, ციხეც კი ელოდეს. ბუნების დამცველმა სააგენტომ მხოლოდ მას შემდეგ წაიღო უკან საკუთარი ბრალდებებიცა და ჯარიმაც, რაც ეს უგუნური ისტორია ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის.

**ბიზნესმენ აბი შოენვეტერს ასე არ გაუმართლა. მან ციხეში ექვს წელზე მეტი გაატარა იმისთვის, რომ კიბორჩხალები ცელოფანის პარკით მიჰქონდა.** ფედერალურმა აგენტებმა ამოიღეს პარტია, რომელიც აბის, ფლორიდაში ზღვის პროდუქტების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ იმპორტიორს თავისი პარტნიორის, ჰონდურასელი მეთევზისგან ჰქონდა შეძენილი. აღმოჩნდა, რომ მთავრობამ მიიღო ანონიმური ფაქსი, რომელშიც ეწერა, რომ ბიზნესმენს კიბორჩხალები არა ყუთებში დაფასოებული, როგორც ამას ჰონდურასის კანონმდებლობა მოითხოვს, არამედ „კრიმინალური“ ცელოფნის პარკებით გადაჰქონდა. თავიდან ბიზნესმენს სამოქალაქო კოდექსის დარღვევას აბრალებდნენ, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ მის წინააღმდეგ დიდი ხანია მზადდებოდა დიდი ფედერალური საქმე, რისთვისაც მთავრობამ უკვე სამჯერ გაგზავნა აგენტები ჰონდურასში. **საბოლოო ჯამში შოენვეტერს წაუყენეს სისხლის სამართლის ბრალდება იმ კანონის თანახმად, რომლის მიხედვითაც სხვა ქვეყნის ბუნების დაცვის კანონმდებლობის დამრღვევები შეიძლება აშშ-ში გასამართლდნენ.** აბის სასამართლოზე თვით ჰონდურასის პროკურორი ჩავიდა და წერილობით განაცხადა, რომ კანონები, რომელთა დარღვევასაც მას ედავებოდნენ, ამ საქმესთან შეუსაბამო იყო. მიუხედავად ამისა, „დამნაშავეს“ 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

**კიდევ ერთი დამნაშავე ლოურენს ლუისი ხანდაზმულ სამხედრო მოსამსახურეთა თავშესაფარში კომუნიკაციების ინჟინრად მუშაობდა. მრავალი წლის მანძილზე შენობაში კანალიზაციის პრობლემა იყო და ამ პრობლემას მუდამ ერთი და იმავე მეთოდით აგვარებდნენ — ზედმეტ წყალს დამატებით მილში ასხამდნენ. მორიგი ჩაქცევის შემდეგ ლოურენსთან მივიდა ათობით ფედერალური აგენტი. აღმოჩნდა, რომ ეს მილი ახლომდებარე ბუნებრივი პარკის მფლობელობაში გადავიდა. ლოურენსი ბუნების დაცვის კანონის დამრღვევად იქცა და უზარმაზარ ჯარიმასთან ერთად ციხეც ელოდა.** დანაშაულის შემსუბუქების მიზნით ბრალდებულს დანაშაული აღიარებინეს, მაგრამ მაინც მიუსაჯეს ერთწლიანი პირობითი სასჯელი და 6 თვე საზოგადოებრივი სამუშაოები.

ამერიკული თემიდა არც თავად გარემოს დამცველებს ინდობს. **27 წლის აქტივისტმა ტიმ დეკრისტოფერმა პროტესტი გამოხატა სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების გაჭრისთვის უფლების მოსაპოვებელ აუქციონთან დაკავშირებით. ახალგაზრდამ ქუჩაში დროშების ქნევას არჩია, აუქციონში მიეღო მონაწილეობა და „ეყიდა“ ლოტი დაახლოებით ორ მილიონ დოლარად, რის გამოც თაღლითობაში ბრალდებული აღმოჩნდა. მას ფედერალურ ციხეში ორი წლის გატარება მოუწევს.** ►

ხელისუფლებაში ექსტრემისტების მოსვლის გამო პასუხს აგებენ ამერიკული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ობამას კაბინეტთან ნათესაური კავშირებით არიან მიბმულნი. მათ არანაკლები ძალისხმევა დახარჯეს ამერიკელთა დასარწმუნებლად იმაში, რომ ახალგაზრდა ობამა პაციფისტი იყო, რომ ახლა ის „სუფთა ჰაერია“, რეფორმატორია და ხმალამოღებული იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ობამას რაზმი: გარყვნილები და ექსტრემალები

**თავისი მმართველობის წლებში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ძალზე საეჭვო დანიშვნები განახორციელა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ ამის მიზეზი აშშ-ის პრეზიდენტის გამოუცდელობა იყო. მაგრამ დღეს ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ობამა ხასიათით არის ექსტრემისტი და შეგნებულად იახლოვებს თავისსავე მსგავსებს — მათ, ვინც იზიარებს მის მიზნებს ამერიკის რადიკალურად შეცვლასთან დაკავშირებით.**



## მარკ ლოიდმა გამოაცხადა, რომ ბალანსის მომხრეა და უკეთესი იქნებოდა, თუ ჟურნალისტებს შორის ფერადკანიანებისა და გეების რაოდენობა გაიზრდებოდა

რიკელებს ჯანდაცვის სისტემისადმი ნდობა შეურყია. ობამას რეფორმებმა, რომლებიც მიმართული იყო მედიცინაში სახელმწიფოს სულ უფრო მეტად ჩართვისკენ, ოპტიმიზმი ვერ გააჩინა. **თუ 2003 წელს ნაციონალური ჯანდაცვის შესაძლებლობების უსიტყვოდ სჯეროდა მოსახლეობის 44%-ს, დღეს ასეთი მხოლოდ 35%-ია. ამავე დროს, მოსახლეობის 26% საერთოდ არ ენდობა ექიმებს, 38% კი მხოლოდ იშვიათად ხედავს დადებით გამონათებებს, საერთო ჯამში სავალალო მდგომარეობაშია.**

ამერიკელების სულიერი თანასწორობის შესანარჩუნებლად უკანასკნელ ბასტიონად ბოლო დრომდე ეკლესია რჩებოდა — ამერიკის მოქალაქეების რელიგიურობა ხომ საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ ახლა ამ იდილიაშიც კი ბზარები გაჩნდა. Gallup-ის უკანასკნელი კვლევის თანახმად, **ამერიკელთა 77% მიიჩნევს, რომ რელიგია სოციუმზე გავლენას კარგავს და ანაქრონიზმად იქცევა.**

როგორც ჩანს, აშშ-ის მოქალაქეების ცნობიერებაში მსოფლიოს მდგრადი სურათი დაბზარულია. **ახლა ამერიკელებს სულ სხვა იდეალები აქვთ. ქვეყანაში ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია სექსუალური უმცირესობებისადმი დადებითმა დამოკიდებულებამ და 59% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2001 წლიდან 19 პუნქტით გაიზარდა, რაც დროებითი დინამიკისთვის უპრეცედენტო მაჩვენებელია.** გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს მომავალში ამერიკელები რაღაც ახალ, მანამდე არარსებულ ბიოლოგიურ სახეობად გადაიქცნენ.

**ჯონ ჰოლდრენი,** აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი სამეცნიერო საკითხებში. იგი გამოდის იმდენად უცნაური და საშინელი პოლიტიკური პოზიციის აპოლოგეტად, რომლის წარმოდგენაც კი ძნელად შესაძლებელია. **ჰოლდრენი მხარს უჭერს კანონებს, რომლებიც მოითხოვენ აბორტების სავალდებულო ჩატარებას, თუ ქვეყანაში ჭარბი მოსახლეობაა, ხელისუფლების მხრიდან ახალშობილების კონფისკაციის უფლებას და კანქვეშ ინპლანტირებისათვის გრძელვადიანი სტერილობის უზრუნველსაყოფი კაფსულების წარმოებას.** იგივე მიზნის მისაღწევად მას სურს, რომ სასმელ წყალსა და პროდუქტებს დაემატოს მასტერილიზებელი ინგრედიენტები, რომლებსაც ამერიკელები თავიანთი ჰუმანიტარული მისიების ფარგლებში მესამე მსოფლიოს ქვეყნებში წარმატებით ავრცელებდნენ. **ეს ნამდვილად ექიმი ფრანკენშტეინის მსოფლმხედველობაა და ამ შეგნების ადამიანი ობამას რაზმში სამეცნიერო განვითარებასა და წინსვლაზე აგებს პასუხს.**

**2009-2012 წლებში კავშირგაბმულობის ფედერალური კომისიის სამოქალაქო უფლებების საბჭოს სათავეში ედგა**

მარკ ლოიდი. იგი იყო და ახლაც არის (ახალ თანამდებობაზე არაკომერციულ ხელისუფლებასთან დაახლოებულ ფონდში!) ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მათ შორის, ვინც ობამას პროგრამის ფარგლებში მისთვის არასასურველ მედიას ებრძვის. იგი ამბობს: **„აშშ-ის კონსტიტუციაში უფლებების შესახებ ბილის პირველ შესწორებაში აქცენტი გაკეთებულია არა სიტყვის ან პრესის თავისუფლებაზე“.** ან კიდევ: **„სიტყვის თავისუფლების მიზანი ეწინააღმდეგება წესებს, რომლებიც ხელს უწყობს დემოკრატიულ მმართველობას“.** იგი ასევე დარწმუნებულია, რომ მედიაში ძალიან ბევრი თეთრკანიანი მუშაობს. **მარკ ლოიდმა გამოაცხადა, რომ ბალანსის მომხრეა და უკეთესი იქნებოდა, თუ ჟურნალისტებს შორის ფერადკანიანებისა და გეების რაოდენობა გაიზრდებოდა.**

**გენერალური პროკურორი ერიკ ჰოლდერი, ობამას მსგავსად, დემონსტრაციულად შეპყრობილია „რასობრივ პროფილირებასთან“ ბრძოლით.** საქმეში ეს გამოჩნდა, მაგალითად, მაშინ, როდესაც მან აღარ მოისურვა იმ აფროამერიკელების საქმის გამოძიების გაგრძელება, რომლებმაც პირდაპირ საარჩევნო უბანზე დააშინეს თეთრკანიანები. ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრის მოადგილეობისას ჰოლდერმა გააკეთა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა გაემართლებინა პუერტორიკელი ტერორისტების დაჯგუფება FALN-ი, რომლის ქმედებების შედეგადაც ექვსი ამერიკელი დაიღუპა.** უარი განაცხადა რა მართლმსაჯულების აღსრულებაზე შავკანიანებისა და ლათინოამერიკელების წინააღმდეგ, **იგი რაღაც პოლიტიკური მიზეზებით ცალსახად ხელს აფარებს ამ ორ რასობრივ ჯგუფს.**

**2009-2010 წლებში ამერიკის გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობა ეკავა დევიდ ოგდენს, რომელმაც ამერიკაში პორნოგრაფიული ინდუსტრიის ინტერესთა დასაცავად უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ვინმე სხვამ. „ოგდენი უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, ადვოკატი, რომელსაც რამდენიმე საეჭვო კლიენტი ჰყავდა,** — ამბობს რესპუბლიკელი სენატორი ალაბამიდან რიჩარდ შელბი. — **მან თავისი კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი — ზუსტად ოცი წელი პორნოგრაფიის დაცვას შეალია“.** სხვათა შორის, მისი კლიენტები იყვნენ საყოველთაოდ ცნობილი კომპანიები Playboy და Penthouse. ოგდენი აქტიურად გამოდიოდა სასკოლო ინტერნეტში „უხამსობების ფილტრის“ წინააღმდეგ. **„სიტყვის თავისუფლება მოითხოვს, რომ სკოლის მოწაფეებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი საიტი, მათ შორის პორნოგრაფიულთანაც“,** — ირწმუნებოდა იგი. თუმცა, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან **როდესაც ოგდენი ადვოკატად მუშაობდა სამოქალაქო თავისუფლებათა ამერიკულ კავშირში, ღიად იცავდა ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოებასა და გავრცელებაში ბრალდებულთ.** ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ ხითხითებდა ჩუმად ეს ვაჟბატონი, როდესაც ობამა „ოჯახური ფასეულობების“ წინსვლაზე გულმხურვალე სიტყვით გამოდიოდა...

**აშშ-ის უზენაესი სასამართლოსა და სექსუალური უმცირესობების საზოგადოების წევრ ელენა კაგანს საერთოდ არ გააჩინა რაიმე სახის სასამართლო ან სააპელაციო გამოცდილება.** იგი არასდროს ყოფილა მოსამართლე და სასამართლოში არასდროს უმუშავია. კაგანი ჰარვარდის სამართლის სკოლის დეკანად მუშაობდა, მაგრამ მისი უშუალო საქმიანობა დაკავშირებული იყო ფულადი სახსრების შეგროვებასთან სტუდენტური კომფორტის უზრუნველსაყოფად. **„დეკანის თანამდებობაზე მისი მიღწევები იყო წვრილმანი გაუმჯობესებები, მაგალითად ისეთი, როგორიცაა უფასო ყავა პირდაპირ აუდიტორიებში და უფასო ტამპონები ქალთა საპირფარეშოში“,** — წერს The Boston Globe.

**ობამამ ორჯერ სცადა, სენატში გაეყვანა გენერალური პროკურორის თანაშემწის თანამდებობაზე ვინმე**

დაუნ ჯონსონი,

რომელიც სამართლებრივი საკითხების დირექტორად მუშაობდა აბორტის უფლებისთვის მოქმედებების ნაციონალურ ლიგაში. ეს არის აბორტების დამცველთა უკიდურესად ექსტრემისტული დაჯგუფება. ისინი უკიდურესად ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი მიზეზით აბორტის ნებისმიერ შეზღუდვას ორსულობის ნებისმიერ ვადაზე, გვიანდელ ვადებზეც კი. **ჯონსონი ირწმუნება, რომ აბორტი არის „სექსუალური თავისუფლების“ უფლების ნაწილი. ვისაც როდის უნდა და ვისთანაც უნდა, უნდა დაკავდეს სექსით და, თუ ვინმე დაორსულდება, უპრობლემოდ გაიკეთებს აბორტს!** ობამას სახელმწიფო პოლიტიკის ამ პოზიციამ უკვე განაპირობა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მაჩვენებელთა არნახული ზრდა და არასასურველი ორსულობების წარმოუდგენლად მომრავლება. ჯონსონი კი საქმეს ბოლომდე მიჰყვა და განაცხადა, რომ **„როდესაც ქალს აიძულებენ, გააჩინოს შვილი, ეს განაპირობებს მის არასასურველ მდგომარეობას, რაც აკრძალულია კონსტიტუციის მე-13 შესწორებით“.** შეგახსენებთ, კონსტიტუციის მე-13 შესწორებით ამერიკის შეერთებულ შტატებში არც მეტი, არც ნაკლები, მონობა გააუქმეს.

**გულახდილი ჰომოსექსუალი კევინ ჯენინგსი,** რომელიც აშშ-ის განათლების მინისტრის მოადგილის თანაშემწედ მუშაობდა სამი წლის მანძილზე (2009-2011) ჯერ კიდევ 90-იან წლებში გახდა ყველასთვის ცნობილი, როგორც გეებისა და ლესბოსელების დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ქსელის დამაარსებელი. პროექტის მიზანი იყო ხუთი წლიდან ბავშვებს შორის ჰომოსექსუალური ცხოვრების წესის განვითარება. იმ მომენტისთვის, როდესაც ობამამ ეს ადამიანი ხელისუფლებაში მიიწვია, მის ორგანიზაციას საკუთარი განყოფილებები უკვე ჰქონდა აშშ-ის 3700 სკოლაში. **ჯენინგსი პრესაში იმით გაბრწყინდა, რომ დამაიმედებელი რჩევა მისცა ბიჭს, რომელიც კერძო საუბარში გამოუტყდა მას, რომ ხანდაზმულ ადამიანთან ჰქონდა სექსი. გაინტერესებთ, რა ურჩია ჯენინგსმა ამ ბიჭს? პრეზერვატივის ყიდვა!**

და ბოლოს, **მელოდი ბარნსი. სამი წლის განმავლობაში ამ ქალბატონს აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შიდა პოლიტიკის დირექტორის თანამდებობა ეკავა.** ბარნსი არაერთხელ გამოვიდა პრესაში ქალისთვის აბსოლუტურად შეუზღუდავად აბორტის უფლების მინიჭების მხარდაჭერით. **მისი აზრითაც ქალს ორსულობის ნებისმიერ ვადაზე აქვს აბორტის გაკეთების უფლება და ამის საწინააღმდეგო მიზეზი არ არსებობს.** ამასთან, როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე ფანატიკოსებს, მის დაავადებულ ტვინში არსთა მნიშვნელოვანი და თვალნათელი აღრევა მოხდა. მაგალითად, ოჯახის დაცვის მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრისას ბარნსმა ყველა მიახვედრა, რომ აბორტების რაოდენობის შემცირება სულაც არ წარმოადგენდა მათ მიზანს. **მისი აზრით, აბორტი არის იმ თავისუფლების ნიშანი, რომელიც ქალს თანაბარი შესაძლებლობების საზოგადოებაში აერთიანებს.**

ამ ყველაფრის ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ **ხელისუფლებაში ექსტრემისტების მოსვლის გამო პასუხს აგებენ ამერიკული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც, განსაკუთრებით ისინი, ვინც ობამას კაბინეტთან ნათესაური კავშირებით არიან მიბმულნი. მათ არანაკლები ძალისხმევა დახარჯეს ამერიკელთა დასარწმუნებლად იმაში, რომ ახალგაზრდა ობამა პაციფისტი იყო, რომ ახლა ის „სუფთა ჰაერია“, რეფორმატორია და ხმალამოღებული იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ.** სინამდვილეში ობამას რეფორმები რადიკალიზმისკენაა მიმართული და ემუქრება ზოგადსაკაცობრიო ინსტიტუტებსა და თემებს. მათ შორისაა ოჯახი, ერთგულება, ბავშვობა...

---

თოვლმავალით სეირნობისას ცნობილი ავტომრბოლელი ბობი ანსერი ნამქერში მოყვა და ლამის გაიყინა. გადარჩენის შემდეგ იგი, დაკარგული თოვლმავალის პოვნის მიზნით, დაკითხეს სატყეო სამსახურის აგენტებმა და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შედეგად გაარკვიეს, რომ ნამქერისას ანსერი დაცულ ტერიტორიაზე გადავიდა. ამის გამო მას სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენეს და ახლაც ფედერალური დამნაშავეა.

და ბოლოს, **19 წლის ტეხასელი ჯასტინ კარტერი რამდენიმე თვით გაამწესეს ციხეში სოციალურ ქსელში სულელური ხუმრობის გამო. მან ხუმრობით დაწერა, რომ დაცხრილავდა საბავშო ბაღს, რასაც ხუმრობის აღმნიშვნელი მრავალი ნიშანი მიუხატა. მიუხედავად ამისა, ჯასტინის ფრაზა ტერორისტულ მუქარად ჩათვალეს სამართალდამცავებმა და ციხეში გამოკეტეს მანამ, ვიდრე ვიღაც უცნობმა პირმა მისთვის 500 ათასი დოლარი არ შეიტანა გირაოს სახით. შტატის კანონების თანახმად, წარუმატებელი ხუმრობისთვის ჯასტინს 10 წლამდე ციხე ელის.**

ru.fbii.org

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ აშშ დეფოლტს გამოაცხადებს, მსოფლიოს ახალი კრიზისი ელის. ამას დიდი ხანია, ამბობენ ექსპერტები, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი, შესაძლოა, ბევრად უარესადაც იყოს. 17 ოქტომბერს აშშ სახელმწიფო ვალის ლიმიტის ზედა ზღვარს მიაღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას, უბრალოდ, არ ექნება სახსრები საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად.**

# SHUT DOWN USA

**რესპუბლიკელებისა და დემოკრატების პოლიტიკური კამათის გამო აშშ-ის მთავრობა უკვე დაიხურა. მაგრამ ეს დიდი კრიზისის მხოლოდ დასაწყისია. 17 ოქტომბერს ორმა პარტიამ სახელმწიფო ვალის ლიმიტი თუ ვერ გაზარდა, ქვეყანას დეფოლტი ელის.**

ცოტა ხნის წინ ამერიკულმა ეკონომიკამ პოლიტიკოსების მხრიდან ზურგში ჩარტყმა იგემა: დაიწყო „მთავრობის დახურვა" — government shutdown. **აშშ-ის კონგრესის პალატები ვერა და ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა დააფინანსონ მთავრობის ხარჯები და სამთავრობო დაწესებულებების დიდმა ნაწილმა მუშაობა შეწყვიტა.**

საქმე ისაა, თუ რამდენად დიდხანს გაგრძელდება მთავრობის დახურვა. რამდენიმე დღე ეკონომიკას, სავარაუდოდ, სერიოზულ ზიანს არ მიაყენებს, მაგრამ მთელი კვირა, მით უფრო მთელი თვე, შესაძლოა, მისი აღდგენისთვის საბოლოო დასამარების მიზეზი გახდეს.

ახლა ეკონომისტები ცდილობენ, შეაფასონ, თუ რა დაუჯდება აშშ-ის ხელისუფლებას მთავრობის დახურვა. ამის გამო ჩინოვნიკები უმცირეს ხელფასებს მიიღებენ, რაც განაპირობებს მოხმარების შემცირებას, შემცირდება სახელმწიფოებრივი შესყიდვების მოცულობები, ეს კი დარტყმას მიაყენებს კომპანიებს, რომლებიც სახელისუფლო დაკვეთებს ასრულებენ. **ახლა დაახლოებით 700 ათასი თანამშრომელი უხელფასო შვებულებაშია. აშშ-ში დაკეტილია ნაციონალური პარკები, ტურისტული ადგილები, სამთავრობო შენობები და ვებსაიტები.**

ხელისუფლებას უკვე აღარ შეუძლია, მოიწონოს პირველადი სახალხო წინადადებები, გამოაქვეყნოს ანგარიშები შრომის ბაზრის შესახებ ან დაამტკიცოს საექსპორტო ლიცენზიები.

სხვადასხვა შეფასების თანახმად, რომლებიც მოჰყავს The Committee for a Responsible Federal Budget-ს, **ერთი კვირით სამთავრობო ორგანიზაციების დახურვა მეოთხე კვარტალში ეკონომიკის ზრდას 0,1-0,2 პროცენტით შეამცირებს.**

**თუ ეს მდგომარეობა ერთი თვით გაგრძელდება, მეოთხე კვარტალში ზრდა 1,5-2 პროცენტით შემცირდება. ეს ნამდვილი დარტყმა იქნება ეკონომიკისთვის, რადგან, პროგნოზების თანახმად, თვით ყველაზე სასიკეთო პროგნოზების გამართლების შემთხვევაშიც კი, ეს ზრდა 2,3-2,5 პროცენტს ვერ გადააჭარბებს.**




**კრისტინა ლაგარდი,**
**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი:**
**აშშ-ის დეფოლტი ფინანსურ კრიზისს განაპირობებს და ეს კრიზისი, შესაძლოა, ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე 2008 წლისა იყო**

ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ რამდენი თანამშრომელი მიიღებს კომპენსაციებს სამთავრობო ორგანიზაციების დახურვის შემდეგ. მას შემდეგ, რაც მთავრობა გაიხსნება, შესაძლებელია ეკონომიკური აქტივობის სუსტი ზრდა.

**თუ აშშ დეფოლტს გამოაცხადებს, მსოფლიოს ახალი კრიზისი ელის. ამას დიდი ხანია, ამბობენ ექსპერტები, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი, შესაძლოა, ბევრად უარესადაც იყოს. 17 ოქტომბერს აშშ სახელმწიფო ვალის ლიმიტის ზედა ზღვარს მიაღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას, უბრალოდ, არ ექნება სახსრები საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა კრისტინა ლაგარდმა უკვე გამოაცხადა, რომ **აშშ-ის დეფოლტი ფინანსურ კრიზისს განაპირობებს და ეს კრიზისი, შესაძლოა, ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე 2008 წლისა იყო.**

აშშ-ის ხაზინა ასევე ავრცელებს გაფრთხილებას, რომ ამ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მძიმე რეცესიაში აღმოჩნდება.

აშშ-ს თავისი სახელმწიფო ვალის გამო დეფოლტი არასდროს გამოუცხადებია. ეს უპრეცენდენტო შემთხვევა იქნება, რომლის შედეგები ნამდვილ კატასტროფად იქცევა: **საკრედიტო ბაზრები გაიყინება, დოლარის კურსი დაეცემა, აშშ-ის სახელმწიფო ვალის პროცენტები გაიზრდება. ეს ყველაფერი კი მთელ მსოფლიოს კრიზისში ჩააფლობს.**

2011 წელს აშშ უკვე იყო დეფოლტის ზღვარზე. მაშინ მომხმარებლისა და ბიზნესის თავდაჯერებულობა მნიშვნელოვნად დაეცა, ფინანსური ბაზრები ჩამოიშალა, სამუშაო ადგილების ზრდა კი შეჩერდა. მაშინ აშშ-ის რეიტინგმაც დაიწია.

ამჯერად სიტუაცია, შესაძლოა, კიდევ უფრო უარესი იყოს, რადგან ეკონომიკა ისედაც უკვე შესუსტებულია მთავრობის დახურვით.

საფონდო ბაზარზე ვარდნა და რისკების ზრდა ნეგატიურად მოქმედებს დანაზოგების ზრდაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის ზრდა აუცილებლად შენელდება.

**2011 წლის ივნისიდან აგვისტომდე მომხმარებლის თავდაჯერებულობა 22%-მდე დაეცა, ბიზნესისა კი — 3%-მდე. ორივე მაჩვენებელმა ვარდნა და-** ▶

# რაში იხარჯება ამერიკელების ფული

**დღეისთვის აშშ-ის სახელმწიფო ვალი ასტრონომიულ მაჩვენებელს — 18 ტრილიონ დოლარს აღწევს. მაგრამ, როდესაც იწყებ იმის გარკვევას, თუ რის ხარჯზეა ეს ციფრი ფორმირებული, თმები ყალყზე უდგება ყველას, თანაც არა ნულების რაოდენობის, არამედ იდიოტიზმის მასშტაბების გამო.**

**ყოველწლიურად NASA დაახლოებით 1 მილიონ დოლარს ხარჯავს მარსზე პილოტირებადი ასტრონომების კვების მენიუს შესადგენად.** ამასთან, ეს კოსმოსური ექსპედიცია საერთოდ რომც შედგეს, ეს რამდენიმე ათწლეულზე ადრე არ მოხდება.

აშშ-ის ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა იელის უნივერსიტეტს გამოუყო **384 ათას 949 დოლარი კვლევის ჩასატარებლად თემაზე „სექსუალური კონფლიქტი, სოციალური ქცევა და გენიტალიების ევოლუცია წყალში მცურავ ფრინველებში".**

ჯანდაცვის ნაციონალურმა ინსტიტუტმა მასაჩუსეტსის შტატში, ბოსტონში მდებარე ქალთა საავადმყოფო ბრიგემს **1,5 მილიონი დოლარი გამოუყო იმის მიზეზების შესასწავლად, თუ რატომაა, რომ აშშ-ში ლესბოსელების სამ მეოთხედს ჭარბწონიანობა აწუხებს, მამაკაცი-გეები კი ამისკენ მიდრეკილნი არ არიან.** ასევე ორგანიზაციამ **2,7 მილიონი დოლარი დახარჯა იმის გარკვევაზე, თუ რატომ არიან ლესბოსელები სხვებზე მეტად მიდრეკილნი სპირტიანი სასმელების სარისკო გამოყენებისკენ.**

**ობამების ოჯახის შენახვა ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს წელიწადში 1,4 მილიარდი დოლარი უჯდებათ. ამავე დროს ბრიტანელები მთელი სამეფო ოჯახის შესანახად წელიწადში მხოლოდ 58 მილიონ დოლარს ხარჯავენ.**




ავღანეთიდან ჯარების საბოლოოდ გაყვანის შემდეგ აშშ-ის ხელისუფლება იქ 7 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობის დატოვებას აპირებს.

უკანასკნელ 15 წელიწადში აშშ-ის სენატორების საპარიკმახერო მომსახურებაზე 5,25 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

უმუშევრობის ეპიდემიისას აშშ-ის განათლების სამინისტრო 1,3 მილიონ დოლარს ხარჯავს „ლინგვისტური, აკადემიური და პროფესიონალური ბარიერების შესამცირებლად კვალიფიციური და არაკვალიფიციური იმიგრანტებისა და ლტოლვილებისთვის, ასევე ამერიკელი მშრომელების რიგებში მათი ინტეგრაციისთვის."

2012 ფინანსური წლის განმავლობაში **აშშ-ის ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა გამოყო 350 ათასი დოლარი პერდიუს უნივერსიტეტის მკვლევარებისთვის.** ამ თანხის ნაწილი დაიხარჯა ღრმა სამეცნიერო კვლევაზე, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ, **თუ გოლფის მოთამაშეები ჩვეულებრივზე დიდი ზომის ორმოს წარმოიდგენენ, ბურთს ჩვეულებრივი ზომის ორმოშიც კი გაცილებით უფრო იოლად ჩააგდებენ.**

იგივე **ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა გასულ წელს 516 ათასი დოლარი დახარჯა ვიდეოთამაშზე „სკოლის გამოსაშვები კვირა", რომელიც მოიცავს ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებულ ყველა სოციალურ ურთიერთქმედებას.**

**დაახლოებით ამდენივე ღირს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის — ჯო ბაიდენისა და მისი რაზმის ერთი ღამისთევა. ლონდონში მათთვის ერთი დღით სასტუმროს დაქირავება ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს 459 ათას 388 დოლარი დაუჯდათ, პარიზში კი — 585 ათასი დოლარი.**

აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 300 ათასი დოლარი დახარჯა, რათა ამერიკელები დაერწმუნებინა, რომ ექამათ ხიზილალა.

**ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა გამოყო 1,2 მილიონი დოლარი მეცნიერთა იმ ჯგუფისთვის, რომელიც არკვევდა, ახდენდა თუ არა ხანდაზმულ ამერიკელებზე სასიკეთო გავლენას კომპიუტერული თამაში WORLD OF WARCRAFT-ი.**

კიდევ 300 ათასი დოლარი სამეცნიერო ფონდმა დახარჯა უმნიშვნელოვანეს კვლევაზე, რომელიც განსაზღვრავდა, მართლა არსებობდა თუ არა ეგრეთ წოდებული გეი-რადარი — ჰომოსექსუალების უნარი, სხვა ადამიანებს შორის ამოეცნოთ თავისივე მსგავსნი. და დაასკვნეს, რომ არსებობს.

**2011 წელს ჯანდაც-** ▶

**2012 წლის ოქტომბერში სასურსათე ტალონები ჰქონდა 47,7 მილიონ მოქალაქეს. წინასწარი მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პირველად, აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტი ეკონომიის დრაკონული ზომების წყალობით 1 ტრილიონ დოლარამდე დეფიციტში გადავა. უფრო კონკრეტულად სახელდება 845 მილიარდი დოლარის, ანუ საერთო შიდა პროდუქტის 5,3%-იანი დეფიციტი.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2013 წლის 1 ოქტომბერი: უფულო ამერიკა დეფოლტს ელოდება

**30 სექტემბერს აშშ-ში მორიგი ფინანსური წელი დასრულდა. 1 ოქტომბერს დაიწყო ახალი ფინანსური წელი, ოღონდ — უბიუჯეტოდ. ახალი ფინანსური წლის ყველაზე მთავარი სიახლე ისაა, რომ ქვეყანამ ის სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე დაიწყო. მიზეზი — უმწვავესი წინააღმდეგობები ფედერალური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ირგვლივ კონგრესსა და პრეზიდენტს შორის, ასევე თავად კონგრესში დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის. რამდენიმეთვიანი უმწვავესი დებატების შემდეგ წარმატებები არ შეიმჩნევა. ბიუჯეტი ასეც ვერ მიიღეს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს მიღებული კანონის თანახმად, ბიუჯეტის დამტკიცებისას ხარჯების ყველა მუხლი კონგრესისგან სათითაოდ მოითხოვს დამტკიცებას. ამგვარი დასტურის გარეშე მთავრობა ერთ დოლარსაც ვერ დახარჯავს.**




1 ოქტომბრიდან შეჩერებულია სამთავრობო დაწესებულებების მუშაობა. პრეზიდენტმა ობამამ ტელევიზიით მიმართა ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო თანამშრომლებს და დაჰპირდა, რომ კონგრესთან მუშაობას განაგრძობს და შეეცდება, რაც შეიძლება სწრაფად დააბრუნოს ყველა თავის სამუშაო ადგილზე. **სულ ფედერალურ დონეზე 2,1 მილიონი ადამიანი მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურებში. ფედერალური დაწესებულებების მუშაობის შეწყვეტა პირდაპირ შეეხო 800 ათას სახელმწიფო მოხელეს, რომლებიც უხელფასო შვებულებებში გაუშვეს.** გარდა დედაქალაქში განთავსებული სამინისტროებისა და უწყებებისა, მუშაობა შეაჩერა შტატების დონეზე არსებულმა ზოგიერთმა სამსახურმაც, საზღვარგარეთ მდებარე საელჩოებმაც. შეწყდა ახალი განაცხადების მიღება სოციალური დაზღვევის მიმართულებით, შეჩერდა სახელმწიფო მხარდაჭერა იპოთეკური სესხებისა და მცირე ბიზნესისთვის გაცემული კრედიტების მხრივ, დაიკეტა ნაციონალური პარკები, მუზეუმები, პოლიცია და მეხანძრეები კი მხოლოდ ექსტრემალურ გამოძახებებზე გადიან. **თუ ფედერალური ბიუჯეტის მიღება კიდევ გაჭიანურდება, შესაძლოა, დაიკეტოს სკოლები. ბოლო მონაცემებით, ახლა ქვეყანაში 13 მილიონი უმუშევარია. მათგან 1,7 მილიონი ადამიანი დახმარებას იღებს, მაგრამ, არსებული მდგომარეობის გაგრძელების შემთხვევაში, ისინიც დაკარგავენ სახელმწიფო დახმარებას.**

ახალი ბიუჯეტის მიღების საქმეში განხეთქილების მთავარი საბაბი გახდა კონსერვატორების ჯიუტი წინააღმდეგობა ჯერ კიდევ 2009 წელს ობამას მიერ ინიცირებული ჯანდაცვის რეფორმის მიმართ. მოსახერხებელი მომენტის გამოყენებით, 2010 წელს ობამამ მოახერხა კანონმდებლებში „გაეყვანა“ ამ რეფორმის მთავარი ნაწილი, მაგრამ შემდეგ პროცესი შენელდა, რესპუბლიკელებმა ამ რეფორმის დაბლოკვა საერთო ჯამში დაახლოებით 40-ჯერ სცადეს.

## რამდენიმე წლის წინ ფედერალურმა ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღო გაკოტრებული ქალაქების მხარდაჭერა, ახლა კი ამერიკაში 250 ქალაქი-მოჩვენებაა, რომლებიც ოდესღაც ყვაოდნენ

ამ რეფორმის განხორციელების დაჟინებული მცდელობისას ობამას ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად შეკვეცა ფედერალური ბიუჯეტის სხვა სოციალური მუხლები. მაგალითად, **რამდენიმე წლის წინ ფედერალურმა ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღო გაკოტრებული ქალაქების მხარდაჭერა, ბოლო ორ წელიწადში კი ვაშინგტონმა ეს ვალდებულება ნელ-ნელა ჩამოიბერტყა მხრებიდან და გაკოტრებული ქალაქები სასიკვდილოდ გასწირა. ახლა ამერიკაში არის 250 ქალაქი-მოჩვენება, რომლებიც ოდესღაც ყვაოდნენ.**

ობამას ადმინისტრაცია კი ეკონომიის სულ ახალ-ახალ საშუალებებს ეძებს სოციალურ სფეროში. დიდი ხანია, წავიდა ის დრო, როდესაც უმუშევრობის დახმარებას ლამის ავტომატურად გასცემდნენ. დღეს ამ დახმარების მისაღებად დამატებითი და არც თუ მარტივად დასაძლევი ბარიერებია შექმნილი. **2012 წლის ოქტომბერში სასურსათე ტალონები ჰქონდა 47,7 მილიონ მოქალაქეს. წინასწარი მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პირველად, აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტი ეკონომიის დრაკონული ზომების წყალობით 1 ტრილიონ დოლარამდე დეფიციტში გადავა. უფრო კონკრეტულად სახელდება 845 მილიარდი დოლარის, ანუ საერთო შიდა პროდუქტის 5,3%-იანი დეფიციტი.**

ახლა ამერიკას სულ მალე დეფოლტი ელის. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ **17 ოქტომბერს ქვეყანა სახელმწიფო ვალის მაქსიმალურ ზღვარს მიაღწევს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასწრაფო ზომების მიღების გარეშე სახელმწიფო ხაზინა დაიცლება.**

ახლა აშშ-ის სახელმწიფო ვალის ლიმიტი 16,7 ტრილიონი დოლარია. ადმინისტრაცია, დიდი ხანია, იბრძვის, რომ კანონმდებლებისგან სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდაზე თანხმობა მიიღოს. მაგრამ რესპუბლიკური ოპოზიცია ამის წინააღმდეგია, მას სურს, რომ საბიუჯეტო ხარჯები შემცირდეს, მათ შორის შემცირდეს სამედიცინო მომსახურების ხარჯიც, ანუ ობამას მიერ ინიცირებული პროგრამის ბიუჯეტი. რესპუბლიკელები ირწმუნებიან, რომ ამერიკის მოქალაქეების უმეტესობა მაინც უკმაყოფილოა ობამასეული ჯანდაცვის რეფორმის ცხოვრებაში განხორციელებით.

**ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, ეკონომისტმა და ბიზნესმენმა ძალზე მშვიდად მიიღო ფინანსთა მინისტრის განცხადება. ისინი უკვე შეეჩვივნენ ვაშინგტონურ სპექტაკლს სახელწოდებით „დეფოლტის საფრთხე“. სპექტაკლი ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე შედეგით სრულდება — იზრდება სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი. 1960 წლიდან მოყოლებული ამერიკამ ეს უკვე 78-ჯერ გააკეთა, მაგრამ ორი წლის წინ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი — სახელმწიფო ვალის ლიმიტმა და თავად ვალმაც საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას გადააჭარბა.** ამჟამად **აშშ-ის სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის 103%-ს შეადგენს.** ევროპის იმ ქვეყნებს, რომელთაც მწვავე კრიზისის მდგომარეობა აქვთ, სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის მოცულობაზე ნაკლები აქვთ. მართალია, ამერიკის შესახებ არავინ ყვირის, რომ მისი ვალი მწვავე კრიზისის მაჩვენებელია, მაგრამ დასავლეთის წამყვანი ეკონომიკის უბედურების დამალვა ყოველწლიურად სულ უფრო რთულდება.

**2011 წლის აგვისტოში ამერიკა დეფოლტისგან ერთ ნაბიჯში იყო, მაგრამ დეფოლტის გამოცხადებამდე 12 საათით ადრე კონგრესმენებმა მოახერხეს შეთანხმება 2,5 ტრილიონი დოლარით სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდაზე.**

ეს ხელგაშლილი ჟესტი სულ რაღაც ორი წლისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ახლა ამერიკა ისევ იმავე მდგომარეობაშია, რესპუბლიკელები კვლავაც ახსენებენ ობამას, რომ ხარჯები 2 ტრილიონით უნდა შეემცირებინა. **ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ამერიკის რეიტინგები დღედღეზე ისევ დაეცემა და ეს რეალური დანაკარგები იქნება როგორც სახელმწიფოსთვის, ისე ბიზნესისთვისაც.** ასე რომ, 2013 წლის ოქტომბრის სპექტაკლი, რომელიც კვლავ აშშ-ის კონგრესში გაიმართება, არანაკლებ საინტერესო იქნება, ვიდრე 2011 წლისა იყო.

fondsk.ru

---

**იწყო 2011 წლის დასაწყისიდან საბიუჯეტო ბატალიების დაწყებამდე.**

ფინანსურ ბაზრებს უშუალო გავლენა აქვთ ეკონომიკურ აქტივობაზე, სიმდიდრის უდიდესი ნაწილი ხომ სწორედ ფინანსურ აქტივებში ინახება. თუ ბიზნესსა და მოსახლეობას ამ სიმდიდრის დაკარგვისა ეშინიათ, ცხადია, დანახარჯებისგან თავს იკავებენ.

**2011 წლის სავალე კრიზისის დროს ინდექსი „S&P 500“ 17%-ზე დაეცა. ამისგან პირდაპირ ან ირიბად დაზარალდა ამერიკის საოჯახო მეურნეობების დაახლოებით ნახევარი, ვთქვათ, საკუთარი საპენსიო დანაზოგების ხარჯზე.**

**2011 წლის მეორე კვარტლიდან მესამემდე საოჯახო მეურნეობების ქონება 2,4 ტრილიონი დოლარით შემცირდა.**

მკვეთრად გაიზარდა აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების შემოსავლები, კომპანიებისთვის გართულდა სესხება, პარალელურად გართულდა ინვესტირებაც.

კრედიტების გაძვირებამ იპოთეკურ სესხებზე პრობლემები გაამწვავა. საშუალოდ იპოთეკური კრედიტების მოცულობა ამერიკაში 235 ათას დოლარს შეადგენს. ეს კრედიტები მოსახლეობისთვის იმდენად გაძვირდა, რომ საშუალოდ მსესხებელს თვეში 100 დოლარით მეტის გადახდა უწევდა მთელი მომდევნო 30 წლის მანძილზე.

**2013 წლის პირველ ნახევარში აშშ-ში საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა სულ რაღაც 1,8%-ით გაიზარდა. კონსენსუს-პროგნოზის თანახმად, 2013 წლის მეორე ნახევარში ეს ზრდა უნდა დაჩქარდეს და 2,4-2,8%-ს უნდა გაუტოლდეს 2014 წლისთვის.** ეს განაპირობებდა სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებას. მაგრამ მთავრობის დახურვის გამო ეკონომიკა მნიშვნელოვნად შენელდა, მით უმეტეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მას სუვერენული დეფოლტი.

**სახელმწიფო ვალის მაქსიმუმამდე მიღწევის შედეგები ნათელია: ფინანსური შოკი, რომელიც 2011 წლის მდგომარეობას დააბრუნებს. ამის შედეგი გახდება ეკონომიკის შენელება და შრომის ბაზრებზე ვარდნა.**

თუ აშშ დეფოლტს გამოაცხადებს, ნამდვილი კატასტროფა გარდაუვალია. ქვეყნის ეკონომიკაში რეცესია, შესაძლოა, იმაზე ღრმა იყოს, ვიდრე დიდი დეპრესიისას.

FINMARKET.RU

## სახელმწიფო ვალის მაქსიმუმამდე მიღწევის შედეგები ნათელია: ფინანსური შოკი, რომელიც 2011 წლის მდგომარეობას დააბრუნებს. ამის შედეგი გახდება ეკონომიკის შენელება და შრომის ბაზრებზე ვარდნა

---

**ვის ნაციონალურმა ინსტიტუტმა 592 ათას 527 დოლარი დახარჯა კვლევაზე, რომლის მიზანიც იყო, საბოლოოდ გაერკვიათ, რატომ ისვრიან შიმპანზეები საკუთარ განავალს.**

**იგივე ინსტიტუტმა 5 მილონზე მეტი გამოყო ვებსაიტისთვის სახელწოდებით SEXPULSE. საიტი „განკუთვნილია მამაკაცებისთვის, რომლებიც ინტერნეტს სხვა მამაკაცებთან სექსუალური კონტაქტების საძებნელად იყენებენ“.** ამ საიტზე მრავლადაა ჰომოსექსუალური სქესობრივი კავშირის პორნოგრაფიული გამოსახულებები, ასევე შიშველი და ნახევრადშიშველი მამაკაცების ფოტოები.

750 ათასი დოლარი — ეს თანხა დახარჯა აშშ-ის ფედერალურმა ხელისუფლებამ გუანტანამოს პატიმრებისთვის ახალი საფეხბურთო მოედნის ასაშენებლად.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ 10 მილიონი დახარჯა პაკისტანის ტელევიზიისთვის საბავშვო ტელეგადაცემა „სეზამის ქუჩის“ სპეციალური ვერსიის შესაქმნელად.

**ჯანდაცვის ნაციონალურმა ინსტიტუტმა მკვლევარებს 400 ათასი გადაურიცხა, რათა ამ უკანასკნელთ გაერკვიათ, თუ რატომ იქცევიან სექსუალურად სარისკოდ არგენტინელი ჰომოსექსუალი მამაკაცები, როდესაც დათვრებიან. იმავე უწყების მიერ სხვა მკვლევარებს გამოეყოთ 442 ათას 340 დოლარი მამაკაციმეძავების ქცევის წესების შესასწავლად პაკისტანში.** გარდა ამისა, **ჯანდაცვის ნაციონალურმა ინსტიტუტმა 800 ათასი დოლარი დახარჯა იმის შესაფასებლად, თუ როგორ მუშაობდა მამაკაცთა „გენიტალიების დაბანის პროგრამა“ სამხრეთ აფრიკაში.**

ფედერალურმა ხელისუფლებამ 2,6 მილიონი დახარჯა, რათა ჩინელი მეძავებისთვის ესწავლებინა ალკოჰოლური სასმელების პასუხისმგებლობით მოხმარება.

კიდევ 175 ათას 587 დოლარი ფედერალურმა ხელისუფლებამ იმისთვის გამოყო, რათა განისაზღვროს, ახდენს თუ არა კოკაინი იაპონელ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში სექსუალურად სარისკო ქცევების სტიმულირებას.

ru.fbii.org

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკული რომი თავიდან რესპუბლიკად იყო ჩაფიქრებული და არა იმპერიად. სწორედ აქედან იშვა ძალაუფლების განაწილების პრინციპი და დამუხრუჭებისა და საპირწონეების სისტემა, პრეზიდენტის ვეტოც და მონობაც, როგორც სახელმწიფოებრიობის საფუძველი. ამერიკის დამფუძნებელი მამები აღმერთებდნენ რომს. პატარა ღელეს, რომელიც ოდესღაც ვაშინგტონის ცენტრში გაედინებოდა, ტიბრად მოიხსენიებდნენ. XXI საუკუნეს კი პაქსა ამერიკანას — ამერიკულ საუკუნეს უწოდებენ, პაქსა რომანას — რომის საუკუნის, ან პაქსა ბრიტანიკა — ბრიტანეთის საუკუნის მიბაძვით.**

# ამერიკის შეერთებული შტატები — სხვა ქვეყნებში გადატრიალებების ორგანიზატორი

**ოცდაათი წლის წინათ აქსიომად იყო მიჩნეული, რომ ამერიკა ჯოჯოხეთის ნაშობია, დამპალი დასავლეთია. გაზეთები და ტელევიზია მას რეგულარულად და გააფთრებით ამხელდა, მაგრამ თანდათან, რაც საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისადმი ნდობა და რწმენა ნელდებოდა, საბჭოთა ადამიანებს გაეღვიძათ თავდაპირველად დაფარული, შემდეგ კი აშკარა სიმპათია გუშინდელი მოწინააღმდეგის — ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.
ასე იყო საქართველოშიც.
90-იანი წლების ეპოქაში სიმპათია უსაზღვრო სიყვარულის გრძნობად იქცა, სამწუხაროდ, უპასუხო, ცალმხრივ სიყვარულად.**

**ანატოლი ლივენის — პოლიტოლოგისა და ჟურნალისტის აზრით:**

**— მოტყუებული სიყვარული ის გრძნობაა, რომელსაც ამერიკული ელიტა რუსეთის მიმართ გრძნობს. ეს ადამიანები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთი ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნად გარდაიქმნებოდა, ამერიკის აბსოლუტურ კოლონიად იქცეოდა.**

ხოლო **ვილიამ ენგლადი — ეკონომისტი და მწერალი,** მიიჩნევს, რომ ამავე პერიოდში რუსეთი აიძულეს ჯოჯოხეთის ყველა რკალი გაევლო. რეცეპტი კი იგივე იყო, რაც ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის — ეკონომიკის, ჯანდაცვის, თვით სახელმწიფოს დაშლა და მოსპობა; მიზანი — ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში ჩაგდება. ეს იყო გიგანტური დაგეგმილი ოპერაცია.

**ჯონ ბოლტონის, 2005-2006 წლებში გაეროში აშშ ელჩის, პოზიცია კი ასეთია:**

— მსოფლიო თავად ილტვის ყველაფერ ამერიკულისკენ — ამერიკული ფასეულობებისკენ, ამერიკული ცხოვრების წესისკენ. ბევრი ქვეყანა ჩვენი წარმატებების შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება. ჯინსები, „კოკა-კოლა“ თუ ამერიკული კონსტიტუცია მათ ერთნაირად აღაფრთოვანებთ. უცნაურია, რომ ზოგიერთს ეჩვენება, თითქოს ჩვენ რაღაც საიდუმლო გეგმა გვაქვს, მაგრამ ადამიანებს მთელ მსოფლიოში მოსწონთ მაკდონალდსი, რა შუაშია აქ იმპერიული შეთქმულება?!

**ამერიკის ჰოლივუდური იმიჯი მართლაც მომხიბვლელია, თვით ამერიკელებიც გამორჩეულნი არიან კეთილი განწყობილებით, მაგრამ გაოცებას და შიშსაც ამერიკელები კი არ იწვევენ, არამედ აშშ-ის ხელისუფლების პოლიტიკა.**

როცა **აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს, ოლბრაიტს,** ჟურნალისტმა უთხრა, რომ ერაყში ამერიკელების ოპერაციის შედეგად ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი დაიღუპა, უფრო მეტი, ვიდრე ხიროსიმაში, და ჰკითხა, გამართლებულია თუ არა ეს, ქალბატონმა მადლენმა უპასუხა:

**— ეს ძნელი არჩევანი იყო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გამართლებულია.**

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, **აშშ კოლონიების იმპერია კი არ არის, არც ეკონომიკის კუთხით შეიძლება ჩაითვალოს იმპერიად, იგი ბაზების იმპერიაა. ამერიკამ 100-ზე მეტ ქვეყანაში განალაგა თავისი სამხედრო ბაზები, რაც შეიძლება იმპერიის მცნებას ზუსტად არ გამოხატავს, მაგრამ მისი იმიტაცია აშკარად არის.**

2005 წელს პენტაგონმა უცხოეთში განლაგებულ სამხედრო ბაზებში 191 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი გააგზავნა. მათმა საერთო რაოდენობამ 1 მილიონ 840 ათას 62-ს მიაღწია, 420 ათასი სამოქალაქო კონტრაქტორების ჩაუთვლელად.

**აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი ოდენობით მის მომდევნო 14 სახელმწიფოს საერთო ბიუჯეტზე მეტია.**

ვის სჭირდება ასეთი არმია? ვინ უნდა დაიცვას მან ვისი თავდასხმისგან? ჩვენი ეს პუბლიკაცია შეეცდება პასუხი გასცეს კითხვას, თუ როგორ მოახერხა სახელმწიფომ, რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე ბევრის აღფრთოვანებას იწვევდა, მსოფლიო ჟანდარმად ქცეულიყო? რატომ უნდა გაფართოვდეს დემოკრატია მაინცდამაინც ასე და არა სხვაგვარად? როდის დაიწყო ეს და როდის და როგორ შეიძლება დამთავრდეს როგორც ამერიკელებისთვის, ასევე მსოფლიოს დანარჩენი ხალხებისთვის?



**ამერიკის ჰოლივუდური იმიჯი მართლაც მომხიბვლელია, თვით ამერიკელებიც გამორჩეულნი არიან კეთილი განწყობილებით, მაგრამ გაოცებას და შიშსაც ამერიკელები კი არ იწვევენ, არამედ აშშ-ის ხელისუფლების პოლიტიკა**

## სიკეთის იმპერია

**„მსოფლიო სიმდიდრის 50 პროცენტი გვეკუთვნის ჩვენ, თუმცა ჩვენ დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი ვართ. ჩვენს ნამდვილ ამოცანად უახლოეს დროში გახდება მსოფლიოში ურთიერთობათა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც დაგვეხმარება ამ დისპროპორციის შენარჩუნებაში ჩვენი უსაფრთხოებისთვის ზიანის მიუყენებლად. ამის მისაღწევად თავი უნდა დავაღწიოთ ჩვენს სენტიმენტალურობასა და რომანტიულობას და გულისყური მივაპყროთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ინტერესებს. თავი უნდა დავანებოთ ისეთი ბუნდოვანი კატეგორიებით აზროვნებას, როგორიც ადამიანის უფლებები, კეთილდღეობის ზრდა ან დემოკრატიზაციაა. შორს არაა ის დღე, როცა მოგვიწევს ძალის პოზიციიდან მოქმედება. რაც უფრო ნაკლები იდეალიზმი დარჩება ჩვენში, მით უკეთესია“,** — ეს ტირადა, რომელიც 1948 წელს წარმოითქვა, ეკუთვნის **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დაგეგმარების ცენტრის დირექტორს — ჯორჯ კენანს.**

და შემდეგ: **„ეს კონფლიქტი იმის მიზეზი იქნება, რომ ბევრი თქვენგანი ჩაიცვამს სამხედრო ფორმას და ბევრს მოუწევს საზღვარგარეთ წასვლა მშვიდობის დასაცავად“.**

**— ამ სტრატეგიამ ფორმირება აშშ-ში 40-იანი წლების ბოლოს დაიწყო,** — ამბობს **უილიამ ენგდალი.** მას ეთანხმება **მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი ნოამ ჩომსკი,** რომელიც იმოწმებს შესაბამის გამოქვეყნებულ დოკუმენტებს. გეგმა, რომელიც რამდენიმე ინსტიტუტისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მონაწილეობით შეიქმნა, ფრიად გულახდილი იყო: მას არ უნდა გაემეორებინა წინამორბედი იმპერიის — დიდი ბრიტანეთის შეცდომები; უნდა აშენებულიყო არა მხოლოდ უხეშ სამხედრო ძალაზე, არამედ დემოკრატიის, თვითგამორკვევის, თავისუფლებისა და, რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით კოლონიების ყველა სახელმწიფოსთვის.

მაგრამ **ამ შირმის უკან უნდა მდგარიყვნენ ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციები და ამერიკელების მიერ შექმნილ ზენაციონალურ ორგანიზაციებთან, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად ემართათ იმპერია.**

ამასთან ერთად, **განსაკუთრებით აქცენტირებული იყო აშშ-ს აბსოლუტური დომინირება. ამერიკა არავის დაუთმობდა პრიორიტეტს ამ საკითხში.**

თავდაპირველად ლაპარაკი იყო ე. წ. დიდ ზონაში — დასავლეთი ნახევარსფერო, შორეული და ახლო აღმოსავლეთი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი უკვე მთელი მსოფლიო იგულისხმებოდა.

**— ამერიკული ელიტა ფიქრობს, რომ ამ ქვეყანამ თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა აკონტროლოს არამარტო მთელი მსოფლიო, არამედ კოსმოსიც,** — ამბობს **ანატოლი ლივენი.** ყოფილ ვიცეპრეზიდენტ ჩეინის დებულებით, ეს არის „ასპროცენტიანი დოქტრინა“, რომელიც ნიშნავს, რომ **ამერიკა მასზე შეტევის განხორციელების ერთ პროცენტსაც არ დაუშვებს.**

**პრეზიდენტ რეიგანის დროს თეთრი სახლის პრესსამსახურის ხელმძღვანელი პატრიკ ბიუკანენი** ამასთან დაკავშირებით აცხადებს:

**— ეს შეიძლება შევადაროთ მე-19 საუკუნეში ბრიტანელების ნათქვამს: თუ თქვენ შეძლებთ ააგოთ ისეთი ფლოტი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს იმპერიის ფლოტს, იცოდეთ, — ჩვენ თავს დაგესხმებით!**

წარმატება, — მიიჩნევენ პოლიტოლოგები, — შობს ცდუნებას: რაც უფრო მდიდარი, ძლიერი და თავდაჯერებული ხდები, მით უფრო იოლად იჯერებ, რომ იმპერია ცხოვრების წესად შეიძლება იქცეს.

1992 წელი. მსოფლიომ თავისუფლად ამოისუნთქა: ბირთვული ომი არ იქნება. რუსეთი და ამერიკა ერთმანეთის ჩასახუტებლად ემზადებოდნენ.

ამ დროს ყველასთვის უცნობი აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ამზადებს ეროვნული უსაფრთხოების ახალი დოქტრინის პროექტს, რომელშიც ლაპარაკია, რომ **„ცივი ომის“ შემდეგ აშშ-ის მთავარი სამხედრო-პოლიტიკური ამოცანა იქნება მოწინააღმდეგე სახელმწიფოების გაჩენის დაუშვებლობა დასავლეთ ევროპაში, აზიასა თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.**

დოკუმენტში მითითებული იყო, რომ **აშშ შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმებს, რათა პოტენციურ მეტოქეებს სურვილი არ გაუჩნდეს, აზრადაც არ მოუვიდეს გლობალური ან რეგიონული უმეტესი როლის თამაშის.**

სხვაგვარად — ყველა თავიანთ ტყავში უნდა დატეულიყო.

**ამ სტრიქონების ავტორია პოლ ვულფოვეცი.**

**— აი, ამ დროს იგი წერს, რომ ამერიკის მთავარი მტერი რუსეთია,** — ადასტურებს **პატრიკ ბიუკანენი, — ხაზს ვუსვამ: არა საბჭოთა კავშირი, არამედ რუსეთი. იგი მსჯელობს იმაზე, როგორ შეიძლება დაიწყოს ომი რუსეთის წინააღმდეგ ლიტვის დასაცავად.**

ვულფოვეცის შრომა ამაოდ არ დაკარგულა. 2002 წელს მისი წინადადებები ეროვნული უშიშროების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი ხდება. ეს მომენტი ამერიკის ისტორიის კულმინაციად შეიძლება ჩავთვალოთ. იმპერიამ პირველად — ღიად და მოურიდებლად თავის თავს იმპერია უწოდა.

თავისთავად ჩნდება პარალელები რომის იმპერიასთან, მაგრამ **ამერიკული რომი თავიდან რესპუბლიკად იყო ჩაფიქრებული და არა იმპერიად. სწორედ აქედან იშვა ძალაუფლების განაწილების პრინციპი და დამუხრუჭებისა და საპირწონეების სისტემა, პრეზიდენტის ვეტოც და მონობაც, როგორც სახელმწიფოებრიობის საფუძველი. ამერიკის დამფუძნებელი მამები აღმერთებდნენ რომს. პატარა ღელეს, რომელიც ოდესღაც ვაშინგტონის ცენტრში გაედინებოდა, ტიბრად მოიხსენიებდნენ. XXI საუკუნეს კი პაქსა ამერიკანას — ამერიკულ საუკუნეს უწოდებენ, პაქსა რომანას — რომის საუკუნის, ან პაქსა ბრიტანიკა — ბრიტანეთის საუკუნის მიბაძვით.**

ახალი ამერიკული საუნის ინტერნეტსაიტის პროექტში ჩაწერილია: **„ჩვენ ვთვლით, რომ ამერიკული ლიდერობა სიკეთეა როგორც ამერიკისთვის, ასევე მსოფლიოსთვის. იგი ეფუძნება სამხედრო ძალას, დიპლომატიურ ენერგიას და მორალურ იდეალებს“.**

ვინ ითავისებს ამ იდეალებს? ამერიკის ადმინისტრაციის ელიტა. ▶

**ბატონო პრემიერო, ბოლო დროს ძალიან ამაღელვებელი გახდა თქვენი პოლიტიკიდან წასვლის საკითხი: ხალხმა თქვენ მოგცათ ხმა და არა იმ დეპუტატებს, რომლებიც გყავთ პარლამენტში. თქვენ რომ არა, ისინი დეპუტატობას სიზმარშიც ვერ ნახავდნენ. ახლა რა გამოდის — ჩვენი ხმები იგნორირებულია? თქვენ არ გაქვთ ამის უფლება. რადგან მოგეცით ხმა, 4 წელი უნდა გვემსახუროთ. არ იშლით? ჩაატარეთ არჩევნები და კი, ბატონო, ხალხი გადავწყვეტთ, როგორ მოვიქცეთ.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— 90-იან წლებში, როცა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან წავედი,** — იხსენებს **1960-1990 წლებში ცსს-ს ოფიცერი რეი მაკგოვენი, — დარწმუნებული ვიყავი, რომ ომი დამთავრდა და მე შემეძლო რაღაც სხვა საქმისთვის მომეკიდა ხელი. მაგრამ შემდეგ დავინახე, რომ პრეზიდენტმა ბუშმა თეთრ სახლში მიიყვანა ისეთი ადამიანების გუნდი, რომლებსაც მამამისი, უფროსი ბუში მაინცდამაინც ახლოს არ იკარებდა. ჩვენ მათ გადარეულებს ვეძახდით, რაც ხუმრობა არ იყო. მათ ასე უწოდებდნენ ხელისუფლების ყველა სართულზე. ჩემი მეგობრები ხშირად მეუბნებოდნენ, გაიგე, რა მოიგონეს ამ გადარეულებმა გასულ უქმეებზე? ისინი იყვნენ ჯონ ბოლტონი, რიჩარდ პერლი, პოლ ვულფოვეცი, ჯეიმს ვულსი.**

დღეს ამ ადამიანებს ნეოკონსერვატორებად მოიხსენიებენ. მათი დოქტრინის მიხედვით, ომი ერაყში იყო მხოლოდ მოთელვა სიკეთესა და ბოროტებას შორის დიდი ბრძოლის წინ.

ნეოკონსერვატორების მოძრაობა ამერიკაში 60-იანი წლების შუაში ჩაისახა. მის დამაარსებლად ითვლება ჩიკაგოს უნივერსიტეტის მისტიკური პროფესორი **ლეო სტრაუსი**, იმდენად განდეგილი ადამიანი, რომ მისი მხოლოდ ერთადერთი ფოტოა შემორჩენილი.

**ნეოკონებს მიაჩნიათ, რომ ლიბერალური ამერიკული საზოგადოება ზნეობრივი თვითნგრევის გზას დაადგა და სრული განადგურების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ უნდა შემოგვთავაზოს ღირებულების ან მითების ახალი სისტემა. ერთ-ერთ ასეთ მითად იქცა მუდმივი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ამერიკა უნდა ჩაუდგეს და გაავრცელოს უმთავრესი ფასეულობა — დემოკრატია.**

— ნეოკონსერვატორები, — ამბობს **ჟურნალისტი რობერტ დრეიფუსი, — სრულიად განსაკუთრებული ჯგუფია. მათი მთავარი პრინციპია — აშშ იმსახურებს, რომ ჰქონდეს აბსოლუტური ჰეგემონობა მთელ მსოფლიოში.**

მის მოსაზრებას მხარს უჭერს **პოლიტოლოგი ანატოლი ლივენი,** რომელიც თვლის, რომ 11-მა სექტემბერმა საშუალება მისცა მათ, შეექმნათ თითქმის ზუსტად ისეთი კომბინაცია, როგორიც პირველი მსოფლიო ომის წინ ჩამოყალიბდა გერმანიაში. ამერიკა აბსოლუტურად ძლიერია, მაგრამ მას აბსოლუტური საშიშროება ემუქრება.

**— რას ნიშნავს კონსერვატორობა ამერიკაში?** — ამ შეკითხვას **აშშ-ის ელჩმა გაეროში 2005-2006 წლებში ჯონ ბოლტონმა** ასე უპასუხა:

**— კონსერვატორებს ეროვნული ინტერესების დაცვა ლიბერალებზე უფრო აწუხებდათ. ისინი გრძნობენ, რომ მშვიდობის უზრუნველყოფა ამერიკისთვის მხოლოდ ძალის საშუალებითაა შესაძლებელი. სისუსტე აგრესიის მაპროვოცირებელია.**

მაგრამ ბევრი ნეოკონსერვატორი ახალგაზრდობაში მემარცხენე იდეებით იყო გატაცებული ამერიკაში ოდესლაც პოპულარული დისიდენტის — ლევ ტროცკის (ბრონშტეინის) ინტერპრეტაციით. გადიოდა წლები, იცვლებოდა შეხედულებები, მაგრამ ტროცკის იდეა რევოლუციის პერმანენტულობის შესახებ მკვიდრად ჩაეჭედათ ტვინში.

**— ტროცკი მოკვდა, მაგრამ ტროცკისტული მოძრაობა დაუყოვნებლივ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს დასავლეთის დაზვერვებმა, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ,** — ამბობს **უილიამ ენგლადი**, — **ტროცკისტებს შორის იყო ბევრი ინტელექტუალი, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა „ცივი ომის" პირობებში სტალინისადმი მათი სიძულვილის გათვალისწინებით. ამათგან ცსს ერთ-ერთი მთავარი აგენტი იყო ადამიანი, სახელად ირვინგ კრისტოვი.**

ერთხელ ირვინგმა თქვა, რომ პოპულარული ფილმი „რემბო" ამერიკის სახეა და მას მსოფლიო უნდა მიეჩვიოს.

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, დროში, რომელმაც განვლო 11 სექტემბრის შემდეგ ბუშის მიერ წარმოთქმულ სიტყვამდე, როცა მან იხმარა ტერმინი „ბოროტების ღერძი", პრეზიდენტმა სრულად შეითვისა ნეოკონების იდეოლოგია: იგი ერთ-ერთი მათგანი გახდა.

**— ყველა მისი სიტყვა ცალკე წიგნად რომ გამოიცეს, მივიღებთ ნეოკონების სახარებას,** — მიიჩნევს **რეიგანის პერიოდში თეთრი სახლის პრესსამსახურის ხელმძღვანელი პატრიკ ბიუკენენი,** — **იგი ლაპარაკობს კაცობრიობის გადარჩენასა და მსოფლიო დემოკრატიაზე წინმსწრები ომების მეშვეობით.**

**— ისინი მაშინ ფიქრობდნენ, რომ არაფერი დაშავდება დაზვერვის მონაცემების ფალსიფიცირებით, ვის გაახსენდება ეს ტყუილი, ვინ იტყვის, რომ გალაშქრება ერაყის წინააღმდეგ სიცრუეზე იყო აგებული?! რომ არავითარი ალუმინის მილები** (რაზეც თავის დროზე ჩეინი მიუთითებდა. — ***რედ.)*** **არ არსებობდა, არავითარი ურანის ფხვნილი არ ყოფილა,** — გულახდილად აღიარებს **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გადამდგარი ოფიცერი რეი მაკგოვენი, — ეს ძალიან ცინიკური მიდგომა იყო, რადგან აღარ არსებობდა დამამუხრუჭებელი ძალა — საბჭოთა კავშირი. სასაცილოა ამის აღიარება, მაგრამ საბჭოთა კავშირი რომ ყოფილიყო, ომი არ იქნებოდა.**

იმედგაცრუება ის სიტყვა არ არის, გამძვინვარებაც სუსტია, არ არის ინგლისურში სიტყვა, ამის გადმოცემა რომ შეეძლოს: **დისკრედიტებულია მზვერავი-ანალიტიკოსის ჩემი პროფესია,** — წუხს **მაკგოვენი, — ეს გააკეთეს იმისთვის, რომ მოეტყუებინათ კანონმდებლები. არც ერთი ჩემი მეგობარი არ ამდგარა და არ უთქვამს, რომ ეს სიცრუეა.**

* * *

**„საქართველო და მსოფლიოს" მომდევნო ნომერში თემას ნეოკონსერვატორებთან საუბრით განვაგრძობთ.**

**გაგრძელება იქნება**

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

ძვირფასო რედაქციავ, თქვენი გაზეთის №239 ნომერში (1-8 ოქტომბერი) გამოქვეყნდა ზურაბ ბიგვავას წერილი, რომელმაც ამაღელვა. ზუსტად ასეთი არაადამიანური მეთოდებით აირჩიეს ფოთში „ქართული ოცნების" თავმჯდომარე. მარტვილში დამარცხდა „ქართული ოცნების" კანდიდატი. ჩვენ კი ფოთში მოვიგეთ და აი, სწორედ მოგებული გაერთიანებული შტაბის უფროსი და ყველა დამფუძნებელი „ქართული ოცნებისა" ჩაგვრეცხეს. ყველაფერს, რაც მოხდა, ხომ ვერ დავწერთ, — ასე უმსგავსოდ და არაადამიანურად მოგვექცნენ საგანელიძე და მისი დამქაშები-თქო. ყველგან უნდა ვამხილოთ ისინი, რათა დროულად მოხდეს მათი მოშორება.

დიდი მადლიერი ვართ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციის ყველა თანამშრომლის. თქვენი შრომა ფასდაუდებელია. ყოველ ოთხშაბათს ველით თქვენი გაზეთის გამოსვლას და სიხარულით ვეცნობით მის გვერდებზე დასტამბულ წერილებს. გწერთ ამ წერილს აფხაზეთიდან დევნილი, რომელსაც, მრავალი წელია, არ აულია კალამი წერილის დასაწერად.

**ბორის ნადარაია**

# ბატონო პრემიერო, ის შლამი, რომელიც შეათრიეთ პარლამენტში, უმორჩილესად გთხოვთ, თან გაიყოლოთ

## ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს



**ბატონო პრემიერო,** თქვენი გამოჩენით პოლიტიკურ ასპარეზზე საერო საქმე გააკეთეთ. ეს ითქვა და კვლავაც ბევრჯერ იტყვიან. თქვენ ოჯახიც განწირული გყავდათ, როცა შეებრძოლეთ ამ ურჩხულს და ქვეყნის დამაქცევარს. თქვენ მოგვეცით იმედი, დავრაზმულიყავით თქვენ გარშემო და განგვეხორციელებინა ის გეგმა, რომელიც შემოგვთავაზეთ საზოგადოებას. ჩვენც, რა თქმა უნდა, ძალ-ღონე არ დაგვიზოგავს დასახული გეგმის მისაღწევად.

პირველი ყრილობა, რომელიც შედგა საგამოფენო დარბაზის №11 პავილიონში, იყო იმედის მომცემი და ჩვენც მეორე დღესვე შევუდექით მუშაობას. გავედით ხალხში. რა თქმა უნდა, შეგვხვდა დიდი წინააღმდეგობა — ლანძღვა, გინება, ფურთხი, ქვის სროლა, ათასგვარ ხერხს იყენებდნენ ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ არ შევუშინდით და ბოლომდე ვიბრძოლეთ, რადგან ჩვენ უკან იმედად გვედექით თქვენ. **1 ოქტომბერმა კი საღად მოაზროვნე საზოგადოებას ამცნო ურჩხულის დამარცხება, ამიტომ ხალხი გლოცავდათ თქვენ და თქვენს ოჯახს სანთლით ხელში. მაშინ რა ვიცოდით, საბოლოო გამარჯვებამდე თუ დიდი ბრძოლა გვედო წინ.**

**სამეგრელოში თქვენმა კანდიდატებმა ყველგან წააგეს, ფოთის გარდა. ფოთში კი არჩევნების მერე მოხდა ის, რისთვისაც ვებრძოდით წინა ხელისუფლებას — ხალხის აბუჩად აგდება, შრომის დაუფასებლობა და ყოველივე ის, რაც მიუღებელია დემოკრატიული მშენებლობისთვის.** არჩევნების შემდეგ ჩვენ, დამფუძნებლები (19 კაცი), ახლოს არ გაგვიკარეს. სამაგიეროდ გვერდით დაიყენეს ნავიდან ნავში გადახტომის სპეციალისტები. ჩვენ კი აღმოვჩნდით ჩარეცხილები.

ფოთში მერის თანამდებობა გახდა ვაკანტური. ყოფილმა მერმა მოინდომა დეპუტატობა, კენჭი იყარა სხვა რაიონში და გახდა „ნაციონალების" დეპუტატი. ვინ არ უმიზნებდა ამ ადგილს, მარა საზოგადოებამ არ დათმო და მერად აირჩიეს „ქართული ოცნების" კანდიდატი. ამ ვაკანტურ ადგილზე პარტიის ლიდერმა საგანელიძემ გამოგზავნა თავისი კაცი. „ახალი მემარჯვენეების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც, რა თქმა უნდა, არ მიიღო საზოგადოებამ და დეპუტატმა და აირჩიეს, როგორც მოგახსენეთ, „ქართული ოცნების" კანდიდატი.

ამან გაანაწყენა საგანელიძის კანდიდატი და საყვედური შეჰბედა თავის ყოფილ შეფს. რატომ ჩამომიყვანეთ, რატომ მომწყვიტეთ ჩემს სამსახურსო. მას დაჰპირდნენ „ქართული ოცნების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარეობას. ამ ინფორმაციამ გამოჟონა და, რა თქმა უნდა, გამოვთქვით გულისწყრომა. პირადად მე, თქვენმა მონამორჩილმა ვთქვი, რომ ჩვენს გაწყობილ სუფრაზე სხვას არ ვათამადებდით, რადგან გუნდში საკმაოდ გვყავდნენ მოთამადეები. მაგრამ ვინ მოგვისმინა! კიდევ უფრო ღრმად შეტოპეს და ანკეტები, რომლებიც შევსებული იყო პარტიაში გასაწევრიანებლად, აორთქლდა თუ გადამალეს, არ ვიცით. ხელახლა **დაიწყეს პარტიაში გაწევრიანება და „ნაცებით", „მემარჯვენეებითა" და „ფორუმელებით" გაავსეს იგი. თავმჯდომარეობის კანდიდატმა და მაჟორიტარი დეპუტატის შტაბის უფროსმა დაიწყეს სიის შედგენა, თუ ვინ მოეწვიათ კონფერენციაზე და დადეს სია, რომელშიც მთლიანად მათი სასურველი ხალხი ჩაწერეს. ხოლო კაცი, რომლის თავმჯდომარეობითაც მოგებულ იქნა არჩევნები, რატომღაც არჩევნების შემდეგ მიუღებელი გახდა მათთვის.** ერთ-ერთ წინა საკონფერენციო მეცადინეობაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა განაცხადა, ჩვენ არ გვინდა ქალაქს დავუკარგოთ ექიმიო. ის რომ ექიმად სჭირდებოდა ქალაქს, არავის გახსენებია, როცა მის ოჯახს ატერორებდნენ, ბავშვებს უშინებდნენ, სამსახურიდანაც რომ დაითხოვეს (თავმჯდომარეობა ვისაც ეკუთვნოდა, იყო კოალიციის შტაბის უფროსი, ექიმი კარდიოლოგი ფრიდონ კვარაცხელია).

**12 თებერვალს ჩატარდა კონფერენცია. მას დამფუძნებელი 19 კაციდან ესწრებოდა მხოლოდ 5. ისიც მე და მიქაძეს ბიულეტენი დღის 2 საათზე მოგვცეს, ისიც შემთხვევით, კონფერენცია კი იწყებოდა 3 საათზე. ასე არალეგიტიმურად და არადემოკრატიულად ჩატარდა კონფერენცია, 124 კაციდან 120 იყო ერთის მომხრე, წინააღმდეგი — 4. მეორე კანდიდატი საერთოდ არ განხილულა. დეპუტატი იძახდა, სხვა რაიონების მსგავსად მე ფოთში არ დავუშვებ ხმაურიან კონფერენციასო. ზემოდან საგანელიძე და კობახიძე გვმოძღვრავდნენ, ჩვენ გავაგზავნით კანდიდატს, არ მიიღებენ და მეორე კვირას გავუგზავნით მეორე კანდიდატსო. როცა დამთავრდა ყოველივე, ჩვენ რეგიონების საქმეებში არ ჩავრეულვართო, განაცხადეს. აი, ასე დაიწერა ეს სცენარი და დაიდგა სპექტაკლი, რომლის დამდგმელი რეჟისორი, რა თქმა უნდა, დეპუტატი იყო.**

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის დეპუტატის — მან ხათრი ვერ გაუტეხა თავის კოლეგას, სამაგიეროდ დაარღვია ჩვენი უფლებები. ხომ მაგარი დემოკრატიაა, ღმერთმანი?! ასეთი დემოკრატიით ნაღდად გავაკვირვებთ ევროპას. **კაცი, რომელიც 5 წელი გასული იყო ქვეყნიდან, ამ არჩევნებში „ქართული ოცნების" სასარგებლოდ ფიჩხიც არ გადაუტრიალებია, უნდა იყოს პარტიის თავმჯდომარე იმიტომ, რომ ის საგანელიძის ყოფილი პარტიელია და მეგობარი?! აი, ასეთი პარტიელები და მეგობრები შეასია საგანელიძემ მარტვილს, ხონს, აბაშას, სენაკს და ბევრ სხვა ქალაქსა თუ რაიონს.** ახლა გამოდის და იძახის, უსამართლობას ვებრძოდიო. გავრცელდა ინფორმაცია, რომ საგანელიძეს არჩევნების შემდეგ გადააყენებენო. რას ვუცდით არჩევნებს?! თუ გვინდა, მარგველაშვილმა მოიგოს პირველივე ტურში, სასწრაფოდ უნდა მოვიშოროთ საგანელიძე და მის მიერ დანიშნული მერები, გამგებლები თუ თავმჯდომარეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი მარგველაშვილს ხმას არ მისცემს. პირადად მე, თუ არ იქნა ცვლილება, დამფუძნებელი პარტიის ხმის მიმცემი არ ვარ და არც ჩემი თანამოაზრეები, რომლებიც საკმაოდ არიან ფოთშიც და მთელ სამეგრელოში.

**ბატონო პრემიერო, ბოლო დროს ძალიან ამაღელვებელი გახდა თქვენი პოლიტიკიდან წასვლის საკითხი: ხალხმა თქვენ მოგცათ ხმა და არა იმ დეპუტატებს, რომლებიც გყავთ პარლამენტში. თქვენ რომ არა, ისინი დეპუტატობას სიზმარშიც ვერ ნახავდნენ. ახლა რა გამოდის — ჩვენი ხმები იგნორირებულია? თქვენ არ გაქვთ ამის უფლება. რადგან მოგეცით ხმა, 4 წელი უნდა გვემსახუროთ. არ იშლით? ჩაატარეთ არჩევნები და კი, ბატონო, ხალხი გადავწყვეტთ, როგორ მოვიქცეთ. თქვენ იმდენი დაპირება დაარიგეთ არჩევნებამდე, მისი 10%-ც არაა შესრულებული და მაინც მიდიხართ. დანაპირები ვერ შეასრულეთ, მაგრამ იქნებ თხოვნა შეგვისრულოთ — ის შლამი, რომელიც შეათრიეთ პარლამენტში, უმორჩილესად გთხოვთ, თან გაიყოლოთ.**

აი, ეს იქნება სამართლიანობის აღდგენა, ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, თუ როგორ მოიქცეს შემდეგში და, თუ სამართლიანობაა, რიგითი მოქალაქით დაწყებული, მაღალი თანამდებობის პირით დამთავრებული — ყველამ პასუხი უნდა აგოს.

**დიდი პატივისცემით,**
**აქამდე იმედით მოსული,**
**ახლა უიმედობაში გადავარდნილი აფხაზეთიდან დევნილი, მრავალ ტანჯვაწამებაგამოვლილი**

**ბორის ნადარაია**

საქართველო და მსოფლიო
ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონო ბიძინა! ბოროტი ენები ამბობენ, რომ თქვენ გძულთ სამეგრელო. ძალიან ცუდად გამოგივიდათ ნათქვამი, რომ „მარგველაშვილის სახით საქართველოს ბოლოსდაბოლოს ინტელიგენტი პრეზიდენტი ეყოლება.“ ბალტიისპირეთში ვოიაჟის დროს ერთობ გაამძაფრეთ თქვენი ნათქვამი. არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ აღნიშნული ძალიან ცუდი განწყობის ნიშანია თქვენი მხრიდან.**

# პრომეთეს ცეცხლი დაგწვავთ

## ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს



**ბატონო პრემიერო!**

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გენია, პიროვნების თავისუფლების ტრფიალი, ჰუმანიზმის უგვირგვინო მეფე, კავკასიის რაინდი, ქართული ტრადიციის მეხოტბე, ქართული ეროვნული სულის რენესანსის ავტორი, უახლესი ისტორიის გმირი, სამშობლოს თავისუფლებას მსხვერპლად შეწირული ღირსეული შვილი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია (კოლხურ გენს არ ვაკადრებ, რომ ვთქვა პირველი და უკანასკნელი), სანამ საქართველო არსებობს, მასთან ერთად სიცოცხლეს განაგრძობს.

ამ არასრული ჩამონათვალის შემდეგ რამ გათქმევინათ შეურაცხმყოფელი ფრაზა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ, რამაც შეძრა ჩვენი გულები?

**ბატონო ბიძინა!**

ბოროტი ენები ამბობენ, რომ თქვენ გძულთ სამეგრელო. ძალიან ცუდად გამოგივიდათ ნათქვამი, რომ: „მარგველაშვილის სახით საქართველოს ბოლოსდაბოლოს ინტელიგენტი პრეზიდენტი ეყოლება.“ ბალტიისპირეთში ვოიაჟის დროს ერთობ გაამძაფრეთ თქვენი ნათქვამი. არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ აღნიშნული ძლიერ ცუდი განწყობის ნიშანია თქვენი მხრიდან.

დიდი კონსტანტინეს ოჯახს ინტელიგენტობას უწუნებთ? ამაზრზენია. **როდესაც საქართველოში ბევრმა სამშობლოს საზღვრებიც არ იცოდა, კონსტანტინე გამსახურდია განათლებას იღებდა ევროპის წამყვან ქვეყნებში. ისტორიამ შემოინახა მრავალი უტყუარი ფაქტი კონსტანტინეს მიერ საზღვარგარეთ ქართული ტრადიციის წარმოჩენის თაობაზე. ხოლო ზვიად გამსახურდია მაშინ, როცა მავანნი საბჭოთა კავშირის ნამსხვრევებს შესეულნი რუსული ეკონომიკით მდიდრდებოდნენ, საქართველოს სულიერ მისიას აქანდაკებდა.**

მახსენდება ერთი ანეკდოტი: „მეგრელი და გურული შეხვდნენ ერთმანეთს. გურულმა მეგრელი გამოაჯავრა და უთხრა: ვინ გყავთ თქვენ? — ერთი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც მოთხრობა „დიდოსტატის მარჯვენა“ დაწერაო. მეგრელმა უპასუხა: — თუ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ მოთხრობაა, მაშინ ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილი“ დეპეშა ყოფილაო“. ეს — დღევანდელ პოლიტიკოსებს (გარდა იშვიათი გამონაკლისისა).

**ზვიად გამსახურდიაში პრომეთეს ცეცხლი გიზგიზებდა, მიახლოება დაწვავს მცირედთ. ის სამარიდან აგრძელებს ბრძოლას და იმ შეუდარებელ სიყვარულს, რომელსაც ქართველი ერი იჩენს მის მიმართ, სრული იშვიათობაა და ეს კლავს მრავალ მოშურნეს, მას არ აპატიეს სიდიადე.**

თქვენ, ბატონო პრემიერო, გვმოძღვრავთ დემოკრატიაზე. მინდა გკითხოთ: რამდენად გამართლებულია, როცა

## სამეგრელოში, სენაკში პრემიერის მიერ მარგველაშვილთან ერთად ხალხის წინაშე წარმოთქმულმა ერთმა წინადადებამ დიდი წყენა გამოიწვია

## ბალტიისპირეთში ვოიაჟის დროს ზვიად გამსახურდიას აუგად ხსენებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა

თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატს, ბატონ მარგველაშვილს დაჰყვებით შეხვედრებზე და ბრძანებთ, აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, ის იქნება პრეზიდენტიო. რომ არ გახდეს, მაშინ რა მდგომარეობა იქნება? ეს ხალხს ძალიან ალიზიანებს. მიდიხართ. თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, გსურთ, პოლიტიკურ ეკალბარდში დატოვოთ თქვენი, არც ისე მომხიბლავი პოლიტიკური გუნდი.

გთხოვთ, განათლება შეუმოწმოთ იმ ხალხს და არა ზვიად გამსახურდიას ხალხს, რომელზეც ლევან ბერძენიშვილი ამბობს: „კოალიციაში ყველანაირი ხალხია, მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარებიო“. ისე ნუ წახვალთ.

**კოლხეთის ღირსეული შვილების კორტნა საქართველოს მთავრობისთვის ყოველთვის მისაღები იყო. პარლამენტი სავსეა იოლად სამართავი ხალხით** (მათი დონის გამო), **ღირსეულთ უჭირთ არენაზე გამოსვლა.**

**ვაანალიზებთ რა მოვლენებს, ვასკვნით, რომ თქვენი მხრიდან არის მცდელობა,** დღევანდელი ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფიგურა ბატონი ირაკლი ალასანია განზე გასწიოთ, თუმცა ის მოთმინებით, ეთიკის დაცვით, ვაჟკაცურად იტანს ყოველივეს, რამაც უფრო მეტად წარმოაჩინა მისი პიროვნება. ის სრულყოფილი პოლიტიკოსია და არა „პლასტელინის კაცი“ — მარიონეტი. ჩვენს პოლიტიკურ გემოვნებას არავის ვახვევთ თავს, მაგრამ ის იშვიათი მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში.

**ეროვნული მოძრაობის უდიდესი წარმომადგენლის, დიდი პიროვნების, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას საქართველოს განვითარების სანიმუშო გეგმა რატომ არ იქნა განსახილველად მიღებული? რომელ დემოკრატიას მივაწეროთ ეს? არა მგონია, ბევრი იყოს საქართველოში მასზე უკეთესი.**

იქნებ ფული აგულიანებს ვინმეს, მაგრამ მაგონდება კურიონის სიტყვები: „დიდება ჩემთვის ოქრო და ფული კი არა, ოქროს მქონებლებზე ბატონობააო“.

**კოლხეთმა გულითადი მიღება მოგიწყოთ, შეგიყვარეს, ეიმედებოდით, მაგრამ თქვენგან სიცივე წამოვიდა. გულთბილია კოლხი, შუშის გალავანი არ დაგჭირდებათ, მობრძანდით!**

ვწუხვართ, რომ ებრძვიან ქართულ ეროვნულ სულს, მთავარია მისი გადარჩენა, რისთვისაც ილვწოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. დღესაც ანათებს მათი ნათელი და ბოროტ სულს მიახლოებისას პრომეთეს ცეცხლი დაწვავს!

ფრთხილად!

**დოდონა მარანელი**

# მომავალმა პრეზიდენტმა უნდა უზრუნველყოს...



**ყველაზე დიდი ზიანი საქართველოს მიხეილ სააკაშვილმა თავისი 9-წლიანი მმართველობით მიაყენა, მაგრამ ვერ ამოძირკვა ქართული გენი. დღეს ბევრი ახალგაზრდა ცდილობს, გაერკვეს, რა მოხდა? რატომ გაიმეტეს ქართული გენი გადაშენებისთვის? კარგია, რომ მომავალი თაობა იწყებს ამაზე ფიქრს. მე და ჩემს თაობას, რა თქმა უნდა, გვაქვს ამაზე პასუხი, მაგრამ უპირველესი მაინც საქმეა, რომელიც გასაკეთებელი გვაქვს, საქმე, რომელიც ჩვენ, პროფესიონალებს, არ დაგვიწყებია, რომლის განხორციელებას მთელი ძალითა და მონდომებით ვცდილობდით გასული 9 წლის განმავლობაში, მაგრამ ვერ დავძლიეთ არსებული რეჟიმი.**

ვფიქრობ, რომ პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილის არჩევის შემთხვევაში (რაშიც დარწმუნებული ვარ) ხორცი შეესხმება ჩვენს ჩანაფიქრსა და პროექტებს, **როგორიცაა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რომელთა საშუალებითაც სამი წლის თავზე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოგება 7 წლის შემდეგ მინიმუმ 3 მილიარდ ევროს გადააჭარბებს,** იგი მთლიანად დააკმაყოფილებს თავის თავს თავისივე გამომუშავებული ელექტროენერგიით. რაც ყველაზე მთავარია, 6-10-ჯერ შემცირდება მავნე აირებით ატმოსფეროს დანაგვიანება!

ბოლოსდაბოლოს, **შევძლებთ ვაზიანში გაზზე მომუშავე ავტომანქანებისთვის მაღალი წნევის მთლიანლითონური ბალონების გამომშვები ქარხნის ამუშავებას, რომელიც წელიწადში მოგვცემს, სულ მცირე, 6 მილიონი ევროს მოგებას და დაასაქმებს 250 ადამიანს.** დღეისთვის აქ არსებულ არანორმალურ მდგომარეობაზე ორჯერ გამოაქვეყნა წერილები „საქართველო და მსოფლიომ“, რასაც ეკონომიკის სამინისტროს არც ყოფილმა, არც ახალმა ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია.

ამას გარდა, **დავიწყებთ და მაქსიმუმ სამ წელიწადში ავაშენებთ 6 ქალაქში — რუსთავში, თბილისში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ახალქალაქში ბაზალტის ბოჭკოს დამამზადებელ საწარმოებს, ხოლო საქართველოს ყველა რეგიონში — ფიბრობეტონის ქარხნებს, რომლებიც გამოუშვებენ როგორც საწარმოო ფიბრობეტონს, ასევე ბაზალტოპლასტიკური არმატურით არმირებულ ფიბრობეტონის კონსტრუქციებს, რომლებიც რკინაბეტონის კონსტრუქციებზე მინიმუმ 5-ჯერ მსუბუქი და 2-ჯერ იაფი იქნება.** ქუთაისსა და თბილისში აშენდება ბაზალტის ბოჭკოსგან მატერიის, ბაზალტოპლასტიკური არმატურისა და მილების გამომშვები წარმოებები. **5 წელიწადში აშენდება 400 კვ.მ სასარგებლო ფართის მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქტების სადღეღამისო მოყვანის მატერიაზე თესვის 8 სართულიანი 12 ათასი კომპლექსი, რომლებიც მთლიანად დააკმაყოფილებს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილებას უფასო ხორბალზე, ხოლო მომდევნო 5 წელიწადში ასეთივე ოდენობის კომპლექსების აშენებით მთლიანად დაკმაყოფილდება საქართველოს მოთხოვნილება უფასო ბრინჯზე, შაქარსა და ბოსტნეულზე.** აღნიშნულ 8-სართულიან კომპლექსებში მოყვანილი სოკოსგან მიღებული სოკოს ფხვნილის რეალიზაცია წელიწად-ნახევარში აანაზღაურებს რვასართულიანი კომპლექსის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს, ხოლო მესამე წლიდან თითოეული კომპლექსიდან მიღებული ყოველწლიური მოგება 1 მილიონ ევროს გადააჭარბებს.

**დაიწყება პროექტირება, ხოლო მეორე წლიდან მასალების მომზადება და მშენებლობა უკაშხალო და მიკრო ჰესების.**

**უნდა შეწყდეს ფიქრიც კი ხუდონჰესისა და სხვა კაშხლიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. მომავალი უკაშხალო მიკროჰესებისაა.**

5 წლის თავზე საქართველოში წყალი იქნება უფასო, დენი ეღირება მაქსიმუმ 4 თეთრი, ხოლო გაზის გადასახადი ერთ სულზე იქნება 50 თეთრი. მომდევნო მეორე 5 წელიწადში მთლიანად გაუქმდება სამრიცხველო მეურნეობა.

**5 წლის თავზე საქართველოში დაუსაქმებელი არ დარჩება არც ერთი ადამიანი, ხოლო ჩვენი გამოგონების მსოფლიო მასშტაბით დანერგვის შემთხვევაში საქართველოს წლიური შემოსავალი გაიზრდება მინიმუმ 200 მილიარდ ევრომდე.**

გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევისთანავე, ჩვენი საშუალებით, იპოთეკარების დავალიანების დასაფარავად მოსახლეობას მიეცემა სახელმწიფოდან წლიური 2-პროცენტიანი სესხები გადახდის 1-წლიანი გადავადებით.

გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევიდან 1 წელიწადში ქალბატონების საპენსიო ვადა იქნება 55 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის — 60 წელი. პენსიონერებს მიეცემათ უფლება, სადაც უნდათ, იქ იმუშაონ და ხელფასთან ერთად მიიღონ კუთვნილი პენსიაც.

5 წლის თავისთვის ყველაზე მცირე პენსია იქნება 1000 ლარი.

**ევგენი უშვერიძე,**
**უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**



პაატა კოლუაშვილი

**სახელმწიფომ ცალსახად უნდა განსაზღვროს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და, საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ მნიშვნელოვანი პროცესის წარმმართველის ძირითადი (მაკოორდინირებელი და ხელშემწყობი) ფუნქცია.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპიური წესდების დაუყოვნებლივ მიღება აუცილებელია

**მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება.**

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადეკვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკურ-ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. **მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ არსებულ სიტუაციაში მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობით არის შესაძლებელი ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების უაღრესად რთული პროცესის განხორციელება.**

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ბოლო ორი ათეული წლის ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს სოფლის მოსახლეობასა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოებს შორის არსებულ კონფლიქტს. **გადამმუშავებელი საწარმოები მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ გლეხობისგან პროდუქციის შესყიდვას, რაც შეიძლება დაბალი ფასით** (რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი). **ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. გლეხები** (განსაკუთრებით მიწის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ), **იმის გამო, რომ მათი პროდუქციის ჩაბარება მხოლოდ შესაბამის გადამმუშავებელ საწარმოში არის შესაძლებელი, იძულებულნი არიან, დათანხმდნენ პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რაც ავტომატურად იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციის და, რაც მთავარია, სოფლად ცხოვრების სურვილისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის დაკარგვას.** ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი, ერთის მხრივ, სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორე მხრივ — აგრარული წარმოების პარალიზებისა. კერძოდ, განახევრდა ვენახისა და ხეხილის ფართობები, ჩაის პლანტაციებით გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყედ არის ქცეული, უმძიმეს დღეშია საკონსერვო მრეწველობა, კატასტროფულად შემცირდა ცხვრის, ღორის, ფრინველისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და სხვ.

აღნიშნულის ძირითადი მიზეზი შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციული ფორმების სავსებით გასაგები იმანენტური ინტერესებია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ **სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის დაბალანსირებული განვითარების ყველაზე ეფექტურ მექანიზმს მათი ინტეგრაცია წარმოადგენს,** რომლის ოპტიმალური ფორმებისა და მათზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელების ძიება **მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის აუცილებლობამდე მიგვიყვანს.** ასეთი სტრუქტურის ფორმირებითა და სახელმწიფოს ხელშეწყობით **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მიეცემათ პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის შესაძლებლობა,** სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და სადაც გლეხები დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლებით.

**დროში შეზღუდულობამ არ უნდა დაგვაშვებინოს სერიოზული შეცდომა, რომლის კონტურები უკვე ჩანს საქართველოს პრემიერმინისტრის მიერ ინიცირებული 100 გადამმუშავებელი საწარმოს გადაცემაში შპს-ებსა თუ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე** (კოოპერატივებზე ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მათი გადაცემა, კოოპერატივებისა და მათი მაორგანიზებელი სტრუქტურების არარსებობის გამო). **გლეხობიდან პროდუქციის შესყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა იქნება მხოლოდ უკუშედეგის მომტანი.** ჩვენი აზრით, **აგროპროდუქციის მწარმოებელთა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკური დამოკიდებულების ძველებური ფორმის შენარჩუნება ახლო მომავალში აგროწარმოების განვითარების სერიოზული მუხრუჭი გახდება.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ამ ეტაპზე შესაძლებლად მიგვაჩნია შპს-ების ჩამოყალიბება 100%-იანი სახელმწიფო წილით, რომლებიც საკუთარ ბალანსზე აიყვანენ ზემოაღნიშნულ სახელმწიფო საწარმოებს და რომელთა გამოსყიდვის უფლება მიეცემათ ამ საწარმოებთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, გამოსყიდვის წინასწარ ჩამოყალიბებული კუმულაციური ფორმით.** ამ ფორმით პრაქტიკულად განხორციელდება ამ საწარმოთა გამოსყიდვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ საწესდებო კაპიტალში კოოპერატივის წევრთა ხვედრითი წილის პერმანენტული ზრდის საფუძველზე. მათი ხვედრითი წილების ფორმირება კი მოხდება გადამმუშავებული, ანუ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული კოოპერაციული გადახდების ნაწილით და დამატებითი პაის ოდენობით, წინასწარ შეთანხმებული სქემით.

შემთხვევითი არაა, რომ ლიბერალური ეკონომიკის მქონე დასავლეთის ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება: საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და წარმოების მასშტაბის გაზრდისთვის, რომელიც განაპირობებს, ერთის მხრივ, ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორე მხრივ — ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე. აქვე მოგვყავს ევროპის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყნის — დანიის სახამებლის მწარმოებელი კოოპერატივის **(დანიაში კარტოფილის სახამებლის წარმოების 85% გადის ექსპორტზე და იყიდება 40-ზე მეტ ქვეყანაში. წელიწადში 170 ათას ტონა კარტოფილის სახამებელს აწარმოებს 5 საწარმო, რომელიც ეკუთვნის კოოპერატივს და აერთიანებს 3000-ზე მეტ ფერმერს)** ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები:

**ფერმერი არის აქციების მფლობელი;**

**თითოეული აქცია აძლევს უფლებას და იმავე დროს ვალდებულებას 100 კგ კარტოფილის ჩაბარებაზე (10 აქციის მფლობელს აქვს უფლება და ვალდებულება, ჩააბაროს 10*100=1000კგ კარტოფილი);**

**კარტოფილის ჩაბარების რიგს განსაზღვრავს საწარმო და ადგილზევე ანაზღაურებს პროდუქციის მინიმალურ ღირებულებას;**

**სახამებლის გაყიდვის შემდეგ მიღებული მოგება ნაწილდება აქციების რაოდენობის მიხედვით;**

**აქციების გაყიდვა ან გასხვისება ნებადართულია. აქციის ფასს განსაზღვრავს კარტოფილის ფასი გაყიდვის მომენტისთვის;**

**კოოპერატივის მართვას ახორციელებს კრება, რომელიც ირჩევს საწარმოს მმართველ დირექტორატს კოოპერატივის წევრებიდან;**

**კოოპერატივის წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა და ეს დამოკიდებული არ არის აქციების ფლობის რაოდენობაზე.**

მსგავსი მოდელი უნდა დაინერგოს საქართველოში, რადგან ამით არ იზღუდება ფერმერთა თავისუფლება და ე. წ. კოლექტივიზაციის შიშიც ქრება. პირველ ეტაპზე შეიძლება გავაუქმოთ პროდუქციის ჩაბარებაზე მკაცრი ვალდებულება და დავუშვათ კოოპერატივის არაწევრებისგან პროდუქციის შეძენა, თუ ამის აუცილებლობას დირექტორატი დაინახავს.

მხოლოდ ასეთი სისტემის პირობებში შეიქმნება როგორც ძირითადი სამეურნეო რგოლების, ისე მთლიანი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ობიექტური საფუძვლები, სადაც პრაქტიკულად გამოირიცხება საწარმოს მესაკუთრეთა (სუბიექტურობის) ფაქტორი, რაზეც მიმდინარე ეტაპზე არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მთლიანადაა დამოკიდებული როგორც გადამმუშავებელი შპს-ების, ასევე შესაბამის სასოფლო-სამეურნეო დარგებში დასაქმებული ათასობით კომლის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა.

კოოპერაციულ სამეწარმეო სისტემაში მისი წევრების წილის (პაის) ფორმირებაზე პერმანენტულ გავლენას მოახდენს დამატებითი პაი, რომელიც წარმოადგენს კოოპერაციული და საპაიო გადახდების წესდებით განსაზღვრულ ნაწილს. ამიტომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი იქნება ცვალებადი (მით უფრო საწყის ეტაპზე და მით უმეტეს გარედან მოსალოდნელი ხელშეწყობის პირობებში) და მისი ზრდა დამოკიდებული იქნება მხოლოდ კოოპერატივის წევრთა კეთილსინდისიერ და ეფექტურ შრომაზე, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი ფაქტორის — შრომითი რესურსების კაპიტალიზაციის ყველაზე ძლიერ საფუძველს.

**საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის მიღება უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინგადადგმულ ნაბიჯად, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი** (აგრარული) **სექტორის ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ის ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება ნეგატიურად აისახოს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე.**

კერძოდ, კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ არ ხდება კოოპერატივის შიდა საწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განასხვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისგან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვ.), მაგრამ **კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა კანონით დადგენილი მხოლოდ საპაიო ფონდში შესატანი ფულადი და სხვა სახის ქონება (რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას), არამედ მისი წევრების, შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, რაც უზრუნველყოფს შრომის უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს.**

სწორედ ამ ორი კომპონენტის — **შრომითი და მატერიალურის ორგანული შერწყმით (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულება — არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა, სოციალურ სოლიდარობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირებით.**

თანამედროვე ევროპული ტიპის კოოპერატივებს განვითარების 150-წლიანი გამოცდილება გააჩნიათ, რაც იძლევა მდიდარ მასალას ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციული მოძრაობის სწორად წარმართვისთვის. ამ გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ ამ მიმართულებით **განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შემოტანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული გადახდები, კოოპერატივის ასოცირებული წევრი და სხვა, ახდენენ კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე, იმ მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა საპაიო შენატანების სახით არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.**

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ შედარებით გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში **ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპიური წესდების მიღება-დამტკიცებით.** ორივე შემთხვევაში ყველა ქვეყნის კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის (კოოპერატივების) შესახებ შეიცავს პუნქტებს, რომლებიც ძირითადი და საერთოა ყველასთვის. მაგალითად, ასეთია:

**კოოპერატივის წევრთა პაი ყალიბდება აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანებით. აუცილებელი საპაიო შენატანების ოდენობა განისაზღვრება თანაბრად ან კოოპერატივის საქმიანობაში წევრთა მონაწილეობის პროპორციულად და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად შეიძლება შეიცვალოს, ხოლო დამატებითი საპაიო შენატანების შეტანის წესი და ოდენობა განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.**

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ეს საკითხები არ მიიჩნია მნიშვნელოვნად, რომ მოწინავე ქვეყნების მსგავსად მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე. ამიტომ რჩება ერთადერთი სწორი გამოსავალი: **საქართველოს მთავრობამ ან სოფლის მეურნეობის მინისტრმა უნდა გამოსცეს ნორმატიული აქტი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპიური წესდების დამტკიცების თაობაზე, რომელიც სავალდებულო იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღების მსურველი ყველა იურიდიული სუბიექტისთვის.**

დასასრულ, **სახელმწიფომ ცალსახად უნდა განსაზღვროს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და, საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ მნიშვნელოვანი პროცესის წარმმართველის ძირითადი (მაკოორდინირებელი და ხელშემწყობი) ფუნქცია.**

**პაატა კოლუაშვილი,**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტრანსეროვნულ მაგისტრალზე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის ტელებაქიობის ერთ-ერთი სამიზნე მარაბდა-კარწახის რკინიგზის მშენებლობა რომ იყო, ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა კარგად უწყის, ისიც იცის, რომ „იმ კაცის“ ცრუკრიტიკული პათოსი — თითქოს საუკუნის ეს პროექტი ახალმა ხელისუფლებამ გასაუქმებლად და დასასამარებლად გასწირა, სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი ქოსატყუილობა და ცრუპენტელობა.**



„თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა“

# სააკაშვილის ცრუპენტელობის 31 პროცენტი



„ობოლი“ ექსკავატორის მიერ გაჭრილი „კანიონი“

**„თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა“ და ზეგანზე მზე ისე წვავდა, როგორც არასდროს, რაც შუა ზაფხულიდან მოყოლებული აქ ამოვსულვართ. თავფარავნის ჩაყოლებით სოფლებში საზამთროდ მომარაგებული თივის ზვინები ფარაონების ველის პირამიდებივით ამაყად იდგა. შავად დალიანდაგებული მინდვრების ოქროსფერ უკიდეგანობაში სავსე თეთრი ტომრები ისე იყო ჩარიგებული, როგორც თავდაცვის რედუტები ბოროდინოს ველზე: აქაური გლეხობა კარტოფილის მოსავალს იღებდა. იდგა 2013 წლის შემოდგომა, 11 ოქტომბერი და ჩვენ, რა თქმა უნდა, მარაბდა-კარწახის რკინიგზის მაგისტრალის მეზობელი სადგურიდან გამოსული „მშენებლობის მატარებლის“ მოძრაობის ინსპექტირებისთვის აქ ამოსულ ხელმძღვანელობას ჩამოვყევით.**

## როცა ჩნდება ინტერესი

მომავალი გვირაბის პორტალიდან თურქეთის საზღვარი ხელის გაწვდენაზეა, მთაზე ახვალ და იქით მეზობელი სახელმწიფოა.

აქ დროებითი გამშვები პუნქტის გახსნა იგეგმება — სამშენებლო ტექნიკის გადმოსატანად (გვირაბი თურქულ კომპანიას გაჰყავს). სამშენებლო მასალისა და ტექნიკის ძირითადი მასა კი იქ, ქვემოთ, ტბასთან დამთავრების პირზე მისული სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან გადმოვა.

**შპს „მარაბდა-ახალქალაქის“ დირექტორის მოადგილე ნიკა წიკლაური** ამბობს, რომ ეს ღონისძიება რკინიგზის მშენებლობის დაჩქარებასთანაა დაკავშირებული.

ინსპექტირება გვირაბის პორტალიდან იწყება მაინცდამაინც.

— რატომ? — **შეკითხვა მაგისტრალის მშენებლობის უფროსს — ოლეგ ბიჭიაშვილს.**

— იმიტომ, რომ მშენებლობას ალიმიტებს სწორედ გვირაბის გაყვანა, რომლის სიგრძე 4,5 კილომეტრია. თურქეთის მხრიდან უკვე გაჭრილია 2,5 კილომეტრი და ჩვენი მხრიდან მიწისქვეშა სამუშაოების დაწყება დაზამთრებამდე უნდა მოვასწროთ, სანამ კარგი ამინდები დგას.

**საკმაოდ გრძელი და ღრმა კანიონი უკვე გაუთხრია ობლად მომუშავე ექსკავატორს ჩვენი წინა ამოსვლიდან გასულ ერთ თვეში. ორისთვის სამუშაო ფრონტი არ არის, თვალშისაცემი სივიწროვეა.**

ოლეგ ბიჭიაშვილი ამბობს, რომ დიდი მოცულობის მიწის სამუშაოებია შესრულებული, მაგრამ ტემპის დაჩქარებას აუცილებლად მიიჩნევს, მით უფრო, მოულოდნელად (ჩვენთვის) წამოჭრილი პრობლემის გამო. საქმე ის არის, რომ წმინდა დღესასწაულის — ყურბან ბაირამის აღნიშვნის პერიოდში თურქული კომპანიები მუშაობას წყვეტენ და ოლეგ ბიჭიაშვილი ახლა ამ პრობლემის გადაწყვეტითაა დაკავებული. აპირებს, ამ დღეებში ამ უბანზე ერთი კვირით გადმოიყვანოს ჩვენი მშენებლები, რომლებიც მთავარ კონტრაქტორს ჰყავს დაქირავებული: მხოლოდ ამ ღონისძიებით იქნება შესაძლებელი მოსალოდნელი შეფერხების თავიდან აცილება.

**სააკაშვილის ტელებაქიობის ერთ-ერთი სამიზნე მარაბდა-კარწახის რკინიგზის მშენებლობა რომ იყო, ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა კარგად უწყის, ისიც იცის, რომ „იმ კაცის“ ცრუკრიტიკული პათოსი — თითქოს საუკუნის ეს პროექტი ახალმა ხელისუფლებამ გასაუქმებლად და დასასამარებლად გასწირა, სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი ქოსატყუილობა და ცრუპენტელობა.**

რეალობაში ყველაფერი პირიქით განვითარდა: ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ საქმე ისე წარიმართა, რომ ჩვენი უცხოელი პარტნიორები პროექტის პერსპექტიულობაში საფუძვლიანად პრაქტიკაში (ვთქვათ ასე) დარწმუნდნენ.

— ესენი არიან ცენტრალური აზიის, წყნარი ოკეანის ქვეყნების წარმომადგენლები, — **ამბობს ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი,** — თავიანთი ინტერესი მათ არაერთხელ დაადასტურეს ჩვენ საქმიანი შეხვედრების დროს. მაგისტრალი ევროპელი კოლეგების ყურადღების ცენტრშიც მოექცა. სულ ახლახან მშენებლობას გაეცნო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სპეციალური წარმომადგენელი და არ დაუმალავს, რომ კმაყოფილი დარჩა.

## მშენებლობის კონტრასტები

**ყველა ობიექტს „დამკვრელური მშენებლობის“ კვალი დაჰკრავსო, ვერ იტყვი. წალკის რკინიგზის სადგურის რემონტმა თუ რესტავრაციამ ივლისიდან მოყოლებული მხოლოდ იმით წაიწია წინ, რომ ჭერი და კედლები შეათეთრეს მშენებლებმა. მგზავრთა მომავალ მოსაცდელ დარბაზში გამართულ თათბირზე მონაწილეობდნენ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათი კონტრაქტორები, შემსრულებლები, მათი ზედამხედველები და მარაბდა-კარწახის რკინიგზის ხელმძღვანელობა, ამაზეც ითქვა.**

აღინიშნა ახალქალაქის სადგურის მშენებლობის გარკვეული ხარვეზებიც, რაც თვალშისაცემია, მაგრამ არ არის დაუძლეველი და გადაულახავი დაბრკოლება.

თათბირი თათბირისთვის არ ტარდება: აქ განიხილავენ წინა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის კონკრეტულ საკითხებს — რამ დააბრკოლა საქმე, რისი გაკეთებაა კიდევ საჭირო, და ახალ მიჯნებს სახავენ, — ასევე კონკრეტულსა და ზუსტი ვადით განსაზღვრულს. ე.ი. მიზანი არა მხოლოდ გაკონტროლებაა, არამედ მშენებლებისთვის ქმედითი დახმარების ოპერატიულად აღმოჩენა. მოკლედ, ასეთ თათბირებს მაკოორდინებელი ფუნქცია აკისრია.

**ახალქალაქის სადგურში სამუშაო ფრონტის გაშლის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი პროექტების უქონლობაა.**

— უფრო ზუსტად, ინფრასტრუქტურის გარკვეული ნაწილები, გარკვეული კვანძები დამატებით პროექტირებას საჭიროებს. სამუშაო მრავალფეროვანია და მოცულობითი, დაწყებული კავშირგაბმულობიდან და დამთავრებული მექანიზმებითა და დანადგარებით, რომლებმაც ვაგონების ურიკები უნდა შეცვალოს. დაპროექტებაზე მუშაობენ უკრაინის საპროექტო ინსტიტუტები და ჩვენი ორგანიზაციებიც. ვფიქრობ, რომ ერთობლივი მუშაობით ამ ჩამორჩენასაც დავძლევთ, თუმცა პროექტების ხშირი შეცვლა-შეთანხმება გარკვეულ დროს მოითხოვს, — **აზუსტებს ბატონი ოლეგი.**

**— თქვენს პირველ შეხვედრაზე ახალქალაქის სადგურის მშენებლებთან გარკვეულმა ჯგუფმა შემოგჩივლათ (თუ არ ვცდები, ტრანსპორტელები იყვნენ), რომ ხელფასები თვეობით იგვიანებს.**

— იმ დღეების ჩაბარებული მქონდა ეს ობიექტი და დაბრკოლებები მართლაც საკმაოდ იყო, რაც დღემდეც მოსდევს. ზოგიერთ საწარმოში შარშანდელი ხელფასები გაცემული არ არის. ვიმუშავეთ, გავერკვიეთ და შემიძლია გითხრათ, რომ წლევანდელი ხელფასების პრობლემა უკვე მოვაწესრიგეთ. დავალიანებების გასტუმრებას დიდი მუშაობა დასჭირდა, იყო სირთულეები და გაუგებრობა, შეუსაბამობა კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს შორის და ა.შ. მაგრამ ახლა ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

**— თქვენ, ბატონო ოლეგ, როგორც პროფესიონალი რკინიგზელი, ძველი რკინიგზელი, მიჩვეული ხართ სიზუსტეს, აკურატულობას, რაც რკინიგზისთვისაა დამახასიათებელი. მიაღწიეთ ასეთ სიზუსტეს თქვენი მრავალეროვანი, ინტერნაციონალური კოლექტივის საქმიანობაში?**

— ურთიერთობები რთული მოსაწესრიგებელია, გასათვალისწინებელია ეროვნული სპეციფიკაც, პროფესიული თანხვედრაც, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები — ამ ტრანსნაციონალური პროექტის განსახორციელებლად მხოლოდ ჩვენი თანამემამულეები არ მუშაობენ და ა.შ. მთელი დიპლომატიაა. მაგრამ შევძელით საერთო ენის გამონახვა, ჩამოყალიბდა საქმიანი, დადებითი ურთიერთობა, ერთობლივი მუშაობა სასიამოვნო და მიმზიდველია. ერთი სიტყვით, ამ კუთხით ყველაფერი რიგზეა.

**— უმთავრეს, პრინციპულ განსხვავებად წინა პერიოდსა და ამჟამინდელს შორის რას მიიჩნევთ?**

— ოთხი წელიწადია, მიმდინარეობს ეს მშენებლობა და ამ ხნის განმავლობაში საერთო მოცულობის მხოლოდ 31 პროცენტია შესრულებული, არადა, 2013 წელს მთლიანად უნდა დასრულებულიყო. ჩვენ, ვინც ახლა ამ საქმეს ვეწევით, წელიწად-ნახევარი, მაქსიმუმ წელიწადი და ცხრა თვე შეიძლება დაგვჭირდეს ამ მაგისტრალის მწყობრში ჩასაყენებლად.



მარცხნიდან მეორე — ნიკა წიკლაური, მის შემდეგ — ოლეგ ბიჭიაშვილი საბაჟო-გამშვები პუნქტის მშენებლობაზე

**P.S. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ მარაბდა-კარწახის ტრანსეროვნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა ახლადდაძრულ მატარებელს ჰგავს, რომელიც თანდათან აკრეფს სიჩქარეს და დანიშნულების პუნქტში დროზე ჩავა.**

**არმაზ სანებლიძე**

**ახალქალაქი-თბილისი (ავტორის ფოტო)**




**სერიოზული ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ნორმალურ პირობებში, მომავალი ათწლეულის დასაწყისისთვის აშშ-ის მთავრობის საპროცენტო ხარჯები 1 ტრილიონის თამასას მიაღწევს. ხოლო აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს პროგნოზით, 2021 წლისთვის საპროცენტო ხარჯი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტს გადააჭარბებს.**

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ ვალებში იხრჩობა

## ამერიკის ვალი მშპ-ს არანაკლებ 1000 (ათას) პროცენტს შეადგენს

**ამერიკა სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის ამაღლების აუცილებლობის წინაშე კვლავ დადგა, ეს თუ არ გაკეთდება, აშშ-ის ეკონომიკა ნოემბერში კომაში ჩავარდება. აქვს კი ზღვარი შეერთებული შტატების ვალის ზრდას? რითაა უზრუნველყოფილი ეს ვალი? დაბოლოს, შეუძლია ამერიკას ამ ვალის მომსახურება? ვალენტინ კატასონოვის სტატიაში, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ამ კითხვებზეა პასუხი გაცემული.**




### ამერიკის მშპ-ს ბლეფი

ქვეყნის ვალის სიმძიმეს ჩვეულებრივ ვალის წლიურ მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების მაჩვენებლით ზომავენ. **აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის ვალის დონე მშპ-ს დაახლოებით 106 პროცენტს უდრის. ეს კი ნიშნავს — ამერიკამ ყოველგვარი საქმიანობა რომ შეწყვიტოს, არაფერი ჭამოს და დალიოს, არ აშენოს, არ იმგზავროს ავტომობილებით, არ გაათბოს შენობები, არ აწარმოოს იარაღი, არ იომოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და ა.შ., იგი მაინც ვერ შეძლებს თავისი სახელმწიფო ვალის დაფარვას ერთი წლის განმავლობაში.**

აშშ-ს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მშპ-ს ისეთი სტრუქტურა აქვს, რომელიც გვიჩვენებს, რომ ამერიკის ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქტი მთლიანად მოიხმარება. მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებსაც მოხმარება წარმოებაზე ნაკლები აქვთ, შეუძლიათ რაღაც დაზოგონ და ამის ანგარიშზე გაანაღდონ თავიანთი ვალები. მსოფლიო კაპიტალიზმის პერიფერიის უმეტესი ქვეყნების მშპ-ს ეს წილი 20-30 დონეზე აქვს. მშპ-ს დაზოგილი ნაწილით ისინი ფარავენ თავიანთ ვალს (პროცენტების გადახდა, ვალის ძირითადი ოდენობის დაფარვა). ამერიკას კი აღნიშნული ნაწილი, კარგა ხანია, ნულის რაიონში აქვს, ან უარყოფითი მნიშვნელობის მქონეა. ეს ნიშნავს, რომ **ამერიკა მოიხმარს უფრო მეტს, ვიდრე აწარმოებს, ანუ ცხოვრობს ვალის ხარჯზე, პარაზიტირებს სხვა ქვეყნების ხარჯზე. ეს კი ნიშნავს, რომ აშშ-ის მშპ-ს ვერ განვიხილავთ, როგორც მისი ვალის დაფარვის საშუალებას.**

**ამერიკას მშპ-ის 20 ან 30 პროცენტის დაზოგვა და ამ ნაწილის ვალის დასაფარად წარმართვა რომ შეეძლოს, საეჭვოა, ამ ვალებისთვის თავი დაეღწია.**

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სახელმწიფო ვალი ამერიკის ვალების აისბერგის მხოლოდ ზედა ნაწილია. ეკონომიკის ყველა სექტორის (საოჯახო მეურნეობის, შტატებისა და მუნიციპალიტეტების, საფინანსო და არასაფინანსო სექტორის) ვალების, სახელმწიფოს სოციალურ ვალდებულებათა გათვალისწინებით **ამერიკის ვალი მშპ-ს არანაკლებ 1000 (ათას) პროცენტს შეადგენს.**

იმიტომ, რომ აშშ მშპ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს არის „ქაფი“. მშპ-ს ერთ მეხუთედზე მეტი თუა ეკონომიკის რეალური სექტორის პროდუქტი, დანარჩენი ფინანსური სექტორის, სხვადასხვა შუამავლებისა და კონსულტანტების მომსახურებაა. ამერიკის პოლიტიკური მოღვაწენი ამას „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას“ უწოდებენ. სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი საფინანსო თაღლითობაა. **ამერიკის სტატისტიკური სამსახურები კი აყოლილნი არიან საფინანსო სპეკულანტებს და ბერავენ ცრუსტატისტიკის საპნის ბუშტებს საფონდო ბირჟაზე, უძრავი ქონებისა და სხვა ბაზრებში. სერიოზული კრედიტორები კარგად არჩევენ „ქაფს“ და მევალეებს ვალის დაფარვას საფინანსო „ქაფით“ კი არა, რეალური ფასეულობებით სთხოვენ.**

ასეთი „ქაფი“ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სტატანგარიშებშიც არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების წყალობით, რომლებიც თავგამოდებით შრომობენ აღრიცხვის ეროვნული სტატისტიკური სისტემების „გასაუმჯობესებლად“. მაგრამ სერიოზული ექსპერტების აღიარებით, **სწორედ აშშ-ის სტატისტიკა მშპ-ს ფალსიფიცირების მასშტაბით დღეს კონკურენციის გარეშეა.** თუ, მაგალითად, ერთმანეთს შევადარებთ აშშ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშპ-ს არა ნომინალური ციფრებით, არამედ „მყარი ნარჩენით“ (საქონელი და ეკონომიკის რეალური სექტორის მომსახურება), დავრწმუნდებით, რომ **ჩინეთმა უკვე დიდი ხნის წინათ გაუსწრო ამერიკას.**

### გირაო, სახელწოდებით „ამერიკის ეკონომიკის აქტივები“

**სერიოზული კრედიტორები ყურადღებას, უწინარეს ყოვლისა, აქცევენ არა რომელიღაც საფინანსო დინებათა გენერირების კლიენტისეულ უნარს, რის საშუალებითაც იგი შეეცდება, დაფაროს გაცემული კრედიტი, არამედ იმას, თუ როგორ შეძლებს იგი რეალურად უზრუნველყოს კრედიტის დაფარვა.** ყველაზე უფრო ხშირად ეს არის ქონება ან გირაო. იქნებ, ამერიკას, რომელიც სრულად ჭამს თავის მთლიან პროდუქტს, აქვს ქონების სერიოზული მარაგი, რომლის საშუალებით გაისტუმრებს თავის ვალს?

**ამერიკის ეროვნული სიმდიდრე 24 ტრილიონ დოლარად იქნა შეფასებული, რუსეთისა ამერიკაზე 2,5-ჯერ უმეტესად (უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივი რესურსების ხარჯზე)**

ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის მიერ შექმნილი მთელი ქონებისა და ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა ეროვნულ სიმდიდრედ არის წოდებული. ამერიკა არ აღნუსხავს თავის ეროვნულ სიმდიდრეს. მხოლოდ ზოგიერთი ექსპერტული შეფასება არსებობს, ათი წლის წინათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილების თანამშრომლებმა გამოთვალეს აშშ-ის, რუსეთის, ქვეყნების ცალკეული ჯგუფებისა და მთელი მსოფლიოს ეროვნული სიმდიდრის ოდენობა 2000 წლისთვის, **ამერიკის ეროვნული სიმდიდრე 24 ტრილიონ დოლარად იქნა შეფასებული, რუსეთისა ამერიკისაზე 2,5-ჯერ უმეტესად** (უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივი რესურსების ხარჯზე). **2013 წლის ამერიკული დოლარის გაუფასურების გათვალისწინებით, ეს შეფასება 100 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება, ანუ დაახლოებით ოთხჯერ. ეს საკმარისი იქნება ამერიკის ე.წ. კონკრეტული ვალების დასაფარად, მაგრამ ყველა ვალის გადასახდელად, სამედიცინო დახმარებისა და პენსიების ჩათვლით საკმარისი არ იქნება.**

ამერიკელი ეკონომისტის — ჯონ ჯეკსონის კვლევას თუ ვენდობით, აშშ-ის აქტივები 2011 წლისთვის იყო ასეთი:

**კერძო სექტორის ძირითადი კაპიტალი — 35,2 ტრილიონი დოლარი;**

**სახელმწიფო სექტორის ძირითადი კაპიტალი — 11,2 ტრილიონი დოლარი;**

**ამერიკის ეკონომიკის ფინანსური აქტივები — 44,8 ტრილიონი დოლარი;**

**ამერიკის ეკონომიკის ყველა აქტივი — 95,4 ტრილიონი დოლარი.**

ამერიკის ეკონომიკის აქტივების თითქმის ნახევარი (47 პროცენტი) ფინანსურ აქტივებზე მოდის, რაც შეიძლება „ქაფს“ მივაკუთვნოთ. „მყარი“ აქტივები (ძირითადი კაპიტალი) შეფასებულია 46,4 ტრილიონ დოლარად. ეს ამერიკის ყველა „კონტრაქტული“ ვალის კონსერვატიული შეფასებების დონეზეა. სოციალურ ვალდებულებათა დასაფარად აქტივები აღარ რჩება.

**2013 წლის ოქტომბრის დასაწყისისთვის აშშ-ის ყველა აქტივი 104,9 ტრილიონ დოლარს უდრიდა. ამ მონაცემის ძირითადი ელემენტები ასეთია: მცირე ბიზნესის აქტივები — 85 ტრილიონი დოლარი; კორპორაციების აქტივები — 20,1 ტრილიონი დოლარი; საოჯახო მეურნეობის აქტივები — 76,3 ტრილიონი დოლარი.** აშკარაა, რომ აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი „საფინანსო ქაფზე“ მოდის.

პროფესორი ლოურენს კოტლიკოფის მონაცემებით, **ამერიკის ვალმა 2011 წელს 220 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.** ამრიგად, კონსოლიდირებული ვალის ნახევრის დასაფარადაც კი საკმარისი არ არის ამერიკის ეკონომიკის აქტივები (ფინანსური აქტივების ჩათვლით).



### შეძლებს ამერიკა ვალის გასტუმრებას?

გასასტუმრებელია პროცენტები, უწინარეს ყოვლისა. მაგრამ შეძლებს? რამდენს ხარჯავს ამერიკა ოფიციალური სახელმწიფო ვალის მომსახურებისთვის? ამ პროცენტებს აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტი იხდის. 30 სექტემბერს დამთავრებული საფინანსო წლის შედეგების მიხედვით, საპროცეტო გადასახადისთვის 220 მილიონი აშშ დოლარი იყო გაღებული, რაც ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 6,2 პროცენტია.

**2010/11-2012/13 საფინანსო წლებში აშშ სახელმწიფო ვალი რამდენიმე ტრილიონი დოლარით შემცირდა. აქ ყველაფერი ძალიან მარტივია: შემცირდა საპროცენტო განაკვეთები სახელმწიფო სესხების, რადგან ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მთელი ძალით აამუშავა საბეჭდი დაზგა და მას „რაოდენობრივი შემარბილებელი“ უწოდა.** თუ ფულის მიწოდება გაიზრდება, მისი ფასი უეჭველად დაეცემა. არსებობს რამდენიმე ახსნა იმისა, თუ რატომ დასჭირდა ამერიკას ასეთი „რაოდენობრივი შერბილება“. პირველ ადგილზეა მთავრობის მომარაგება იაფი, თითქმის უფასო ფულით. მაგრამ **„რაოდენობრივი შერბილების“ ნემსზე ჯდომა ამერიკას მუდმივად არ შეუძლია.** როცა დასრულდება „რაოდენობრივი შერბილება“, გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები, ამას კი საპროცენტო დანახარჯის უსწრაფესი ზრდა მოჰყვება. **სერიოზული ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ნორმალურ პირობებში, მომავალი ათწლეულის დასაწყისისთვის აშშ-ის მთავრობის საპროცენტო ხარჯები 1 ტრილიონის თამასას მიაღწევს. ხოლო აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს პროგნოზით, 2021 წლისთვის საპროცენტო ხარჯი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტს გადააჭარბებს, თუმცა მხედველობაში მისაღებია ასეთი პროგნოზების ავტორთა განცხადება, რომ მათი პროგნოზები ჰიპოთეზური ხასიათისაა.** დეფოლტის ალბათობა ძალიან დიდია, ხოლო მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგების გათვლა შეუძლებელია.

* * *

**სწორედ დღეს, 16 ოქტომბერს გადაწყდება, შეთანხმდებიან თუ არა ამერიკელი კანონმდებლები სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის აწევაზე, თუ აშშ იძულებული გახდება გამოაცხადოს დეფოლტი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## Aiglon College

დიდ ბრიტანეთში მდებარე Aiglon College ასევე მსოფლიოში ყველაზე ძვირ სასწავლებლად ითვლება. იქ დიდ ყურადღებას უთმობენ აკადემიურ განათლებასა და დისციპლინას. კლასში 5 მოსწავლეზე მეტი არაა. ერთი სემესტრი კი 43 ათასი ევრო ღირს.

# მილიონერთა სკოლები

**ამ სკოლებში მოთხოვნა არ არის, რომ მაინცდამაინც მილიონერების შვილებმა ისწავლონ, მაგრამ სწავლა იმდენად ძვირი ღირს, რომ სხვა ვერავინ გაბედავს, ამდენით დაივალდებულოს თავი და შვილი მსოფლიოს ხუთი უძვირესი სკოლიდან ერთ-ერთში მიაბაროს აღსაზრდელად.**



## Institute Le Rosey

სიის პირველ ადგილზეა შვეიცარიაში მდებარე „მეფეების სკოლა“ Institute Le Rosey. ერთი სემესტრის ღირებულება იქ 50 ათასი ევროა. სამაგიეროდ, თქვენი შვილი თავს ნამდვილ ჰარი პოტერად იგრძნობს, რადგან სკოლა შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს ჰგავს. 28 ჰექტარის ტერიტორიაზე განთავსებულია ჩოგბურთის კორტები, საუნები, საჯინიბო, იახტ-კლუბი და სათხილამურო ტრასა. ყველაზე ძვირი სკოლის მოსწავლეებს საჭმელს მსოფლიოში საუკეთესო საბავშო შეფ-მზარეული უმზადებთ.



## Eton College

ბიჭების სკოლა Eton College დიდ ბრიტანეთში მდებარეობს. ერთი სემესტრის ღირებულება იქ 27 ათასი ევროა. ეს სკოლა ცნობილია ისეთი კურსდამთავრებულებით, როგორებიც არიან პრინცი უილიამი, პრინცი ჰარი, უინსტონ ჩერჩილი და დევიდ ქემერონი.



## College Alpin Beau Soleil

College Alpin Beau Soleil-ში ერთი სემესტრის ღირებულება 48 ათასი ევროა. შვეიცარიაში მდებარე კოლეჯი ძალიან კომფორტულია, რადგან თითოეულ კლასში 8 მოსწავლეზე მეტი არაა და მასწავლებლები თითოეულ მათგანს სათანადო ყურადღებას აქცევენ. კოლეჯი პოპულარულია საგანმანათლებლო ექსპედიციებით. ბოლო ასეთი ექსპედიცია კილიმანჯაროზე იყო.



## Gstaad International School

შვეიცარიული Gstaad International School ძირითად ჰიპერაქტიურ ბავშვებს ემსახურება. იქ მათთვის აუზები, მეკლდეურობისთვის განკუთვნილი დარბაზები, ჩოგბურთის კორტები და სათხილამურო ტრასებია მოწყობილი. ერთი სემესტრის ღირებულებაა 40 ათასი ევრო.





# ყველაზე დიდი პეპელა

**მეცნიერებმა ჰიმალაის აღმოსავლეთ ნაწილში იპოვეს მსოფლიოში ყველაზე დიდი პეპელა, რომლის ფრთების სიგრძეც 25 სანტიმეტრს აჭარბებს. ასეთი იშვიათი ჯიშის პეპლები შემჩნეულია ინდოეთშიც სახელით ატაკუსი ან ატლასი, მაგრამ მათი ფრთების სიგრძე ბევრად ნაკლებია.**

**მიუხედავად ამხელა ფრთებისა, პეპელა მაინც ცუდად დაფრინავს და მაქსიმუმ 2 კვირის მანძილზე ცოცხლობს.**



# რატომ უნდა გადავაგდოთ ტელევიზორი



**7 წლამდე ასაკის ბავშვთა დიდი ნაწილი ინტელექტუალურ განვითარებაში ჩამორჩება. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ამაში ბრალი ტელევიზორს მიუძღვის.**

ბავშვთა ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ თანამედროვე პატარები უზომოდ დიდ დროს ატარებენ ტელეეკრანებთან, რის გამოც მათი განვითარების დონე ქვეითდება. მულტფილმებითა და ტელეპროგრამებით გატაცება პატარების განწყობასა და ფსიქიკაზეც უარყოფითად აისახება.

გამოკითხვის თანახმად, ტელევიზორზე დამოკიდებულია გოგონების 38% და ბიჭების 63%. სპეციალისტთა გათვლებით, ეს ბავშვები ტელევიზორთან ყოველდღიურად მინიმუმ 6 საათს ატარებენ. სხვადასხვაგვარი ტელეპროგრამები სტრესის, შფოთვისა და ხშირად დეპრესიის მიზეზიც ხდება. დადასტურებულია, რომ ამგვარი ტელედამოკიდებულების მქონე ბავშვები ყოველდღიური ცხოვრებისგან დადებით ემოციებს ვერ იღებენ, ურთულდებათ თანატოლებთან ურთიერთობაც.

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ იდეალურ შემთხვევაში, ბავშვიან ოჯახს ტელევიზორი საერთოდ არ უნდა ჰქონდეს. ხოლო თუ მშობლები მის გარეშე ვერ ძლებენ, მაშინ საგრძნობლად უნდა შეზღუდონ ტელესეანსები, მით უმეტეს, ბავშვების თანდასწრებით. გასათვალისწინებელია, რომ ტელედამოკიდებული ბავშვები ფიზიკურად აღარ აქტიურობენ და ჭარბი წონისკენ მიდრეკილებაც უყალიბდებათ.

# კალიფორნიელი რობინ ჰუდი



**მგრძნობიარე და იმპულსურმა ბოროტმოქმედებმა ისეთი რამ ჩაიდინეს, მხოლოდ დაზარალებულებს კი არა, ლამის პოლიციასაც თავი რიჩარდ ლომგულის ეპოქაში აგრძნობინეს.**

კალიფორნიაში გაჩნდნენ „პატიოსანი ბოროტმოქმედები“. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ახლახან ზემოთხსენებული შტატის ერთ-ერთ ქალაქში ერთი ძალზე საეჭვო საქმიანობის ორგანიზაცია გაძარცვეს. დაიწყო გამოძიება, სამართალდამცავი ორგანიზაციები გაფაციცებით ეძებდნენ დამნაშავეებს, მაგრამ უშედეგოდ: საქმე უნიკალურად, არცერთი სამხილის გარეშე იქნა გაკეთებული. პოლიციამ ფარხმალი დაყარა და მიხვდა, რომ გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობდა და საქმე დროებით თაროზე შემოდო, თვით ორგანიზაციის წევრებს კი მოპარული ინვენტარის თავიდან შეძენა ურჩიეს. როგორც შემდეგ გაირკვა, „გასუფთავებული“ ორგანიზაცია ეწეოდა ერთ მეტად დიდ და მადლიან საქმეს, კერძოდ, ორგანიზაცია ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევდა ძალადობისგან დაზარალებულ მოქალაქეებს და რაც ხაზგასასმელია, ამ საქმეს სრულიად უანგაროდ, კერძო შემოწირულობების დახმარებით აკეთებდა.

ერთ დღეს კეთილისმყოფელ მუშაკებს „დახმარების ტაძარში“ მისვლისას ზედ კართან საეჭვო ყუთები დახვდათ. მათდა გასაოცრად ამ ყუთებში უდანაკარგოდ იდო ყველაფერი, რაც გაქურდვისას დაკარგეს: კომპიუტერები, ვიდეო კამერები, პრინტერები და უამრავი ძვირადღირებული ნივთი.

დაბრუნებულ ნივთებს ზედ ზედმეტი მაკულატურაც დაემატა — შემდეგი შინაარსის წერილი: „ჩვენ არ ვიცოდით, ვის ვძარცვავდით, აქ თქვენი ყველა ნივთია, მეგობრებო, ვიმედოვნებთ, თქვენს საქმიანობას გააგრძელებთ და შეძლებთ, ხალხს დაანახოთ, რომ არსებობს ცხოვრების მეორე მხარეც. ღმერთმა დაგლოცოთ!“

„თავიდან თვალებს არ დავუჯერეთ, გინახავთ ნაქურდალს ვინმე აბრუნებდეს, მითუმეტეს ის, ვინც უკვალოდ გაქრა? — კითხულობდნენ სოცმუშაკები ჟურნალისტებთან საუბრისას. — ქურდების გულითადი ახსარების წაკითხვისას ლამის მთელი ტანი გაგვეშეშა, ჩვენ გულწრფელ სინანულს და გულითად თანადგომას ვგრძნობდით წერილში“.



პენსილვანიის შტატში მდებარე ცენტრალური ფსიქიატრიული საავადმყოფო პირველი სამკურნალო დაწესებულება გახდება, რომელიც ინტერნეტ-დამოკიდებულებით დაავადებულ პაციენტებს მიიღებს. კლინიკა უკვე მზადაა პირველი პაციენტების მისაღებად, რომლებსაც 10-დღიან სამკურნალო კურსს სთავაზობენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ყველაზე უსაფრთხო მონაცემთა ცენტრი

**შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გრანიტის ქანების ქვეშ, 30 მეტრ სიღრმეზე, ძველ ატომურსაწინაალმდეგო თავშესაფარში მდებარეობს მონაცემთა ცენტრი Pionen. გრანიტის სქელი კედლების შიგნით განთავსებულია დიდი კომპლექსი: ოფისები, მონაცემთა ბაზები, სამუშაო ოთახები, დასასვენებელი კუთხე და სხვ.**

იგი წარმატებით რეკონსტრუირებულია თანამედროვე მონაცემთა ცენტრად, რომელმაც მიიღო სახელწოდება Pionen. ის შეიძლება სამართლიანად შეფასდეს, როგორც ყველაზე უსაფრთხო მონაცემთა ცენტრი მსოფლიოში. რა თქმა უნდა, თავშესაფრის ინტერიერმა განიცადა მნიშვნელოვანი და სერიოზული ცვლილებები და ამჟამად გამოიყურება კრეატიულად და თანამედროვედ... კიდევ ერთ, მონაცემთა ცენტრის უდავო პლიუსად ითვლება ის, რომ სარეზერვო კვებას, გადაჭარბებულ ელექტრომომარაგებას ასრულებს ორი დიზელის გენერატორი Maybach.

შენობის პროექტში გათვალისწინებულია განიავება, სიმშრალე, ბუნებრივი გამწვანება, სხვადასხვა კომფორტი და, რაც მთავარია, სინათლის გავრცელება ყველა კუთხით.









# ფსიქიატრიული კლინიკა ინტერნეტ-ნარკომანებისთვის

**პენსილვანიის შტატში მდებარე ცენტრალური ფსიქიატრიული საავადმყოფო პირველი სამკურნალო დაწესებულება გახდება, რომელიც ინტერნეტ-დამოკიდებულებით დაავადებულ პაციენტებს მიიღებს. კლინიკა უკვე მზადაა პირველი პაციენტების მისაღებად, რომლებსაც 10-დღიან სამკურნალო კურსს სთავაზობენ.**

პროგრამა კოგნიტური ფსიქოლოგიის სპეციალისტებმა იმ მეთოდოლოგიით შეიმუშავეს, რაც ალკოჰოლიზმის და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის შემთხვევაში გამოიყენება. პროგრამა ჯგუფურ მეთოდს — ერთდროულად 4 პაციენტის მკურნალობას ითვალისწინებს. ისინი თერაპიას ერთ დროს დაიწყებენ. სამკურნალო დაწესებულებაში ისინი ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებული პაციენტების გვერდით მოთავსდებიან.

პროგრამა განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ინტერნეტდამოკიდებულების გამო ვირტუალურ რეალობას თავს ვერ აღწევენ და ყოველდღიურ ცხოვრებას ვეღარ აკონტროლებენ.

სპეციალისტები დახმარებას სთავაზობენ მათ, ვინც ინტერნეტის გამო ყოველდღიურ საქმიანობას მოწყდა, ან ინტერნეტისგან თავის დაღწევა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს. **10-დღიანი კურსის ღირებლება 14 000 დოლარია. ჯერჯერობით, მას არცერთი სადაზღვევო პაკეტი არ ანაზღაურებს.**

# პირველი ოფიციალური უსქესო ადამიანი



**ავსტრალიის მცხოვრები ნორი მეი-უელბი პირველი ადამიანი გახდა, რომლის სქესიც ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნულია, როგორც „განუსაზღვრელი“.**

**მეი-უელბი შოტლანდიაში დაიბადა 1961 წელს; იგი ბრიტანეთის მოქალაქეა.**

მისი სქესი დაბადებისას მამრობითი იყო. ოჯახში პრობლემების გამო, შვიდი წლის ასაკში მშობლებთან ერთად ავსტრალიაში, კერძოდ, პერტში გადავიდა საცხოვრებლად. 1989 წლის 3 აპრილს, 28 წლის ასაკში ნორი მეი-უელბის სქესის შეცვლის ოპერაცია გაუკეთეს. თუმცა, ქალად გადაქცევიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, ნორიმ ჰორმონალური პრეპარატების მიღება შეწყვიტა, რადგან მიაჩნდა, რომ მას არც ქალის სქესი შეეფერებოდა.

ამჟამად მეი-უელბი 48 წლისაა და საკუთარ თავს არც ქალად მიიჩნევს და არც მამაკაცად. მისი აზრით, ოფიციალურ დოკუმენტებში ნებისმიერი სქესის მითითება ტყუილი იქნება. მის დოკუმენტებში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით უელბიმ ავსტრალიის შტატ ახალი სამხრეთ უელსის ხელისუფლებას მიმართა. მის მიმართვას თან ახლდა ექიმების შენიშვნაც, რომლებმაც ვერ შეძლეს ამ ადამიანის სქესის დადგენა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მის თხოვნას დადებითად უპასუხეს.

სხვათა შორის, ყველაზე ძლიერი მხარდაჭერა ნორის პრობლემებზე აღმოუჩინა ბრიტანულმა ორგანიზაციამ The Gender Trust.

**შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის მოქალაქეებმა უფლება მიიღეს, პასპორტში, საკუთარი სქესის გრაფაში, მამრობითისა და მდედრობითის გარდა, მიუთითონ „განუსაზღვრელიც“. ახალი სქესობრივი მიკუთვნების აღნიშვნა დოკუმენტებში მოხდება ასო X-ით.**

...უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალიაში პასპორტი ვინაობის იდენტიფიკაციისთვის მეორეხარისხოვანი დოკუმენტია. უფრო მნიშვნელოვანია დაბადების მოწმობა, რომელშიც სქესობრივი მიკუთვნების შესახებ ჩანაწერის შეცვლა კვლავინდებურად მხოლოდ სქესის შეცვლის ოპერაციის გავლის შემდეგ არის შესაძლებელი.









# პატრიარქმა რიჩარდ ნორლანდს ოქროს სამაჯური გადასცა



გარდა ამისა უწმინდესმა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო მწერალ გურამ დოჩანაშვილს, რეჟისორებს — ელდარ შენგელაიასა და რეზო ჩხეიძეს, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს და მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გაწეული ღვაწლისთვის შალვა მოსიძეს გადასცა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისა და კულტურის მოღვაწეების დაჯილდოება სვეტიცხოვლის ტაძარში შედგა. ჯილდოები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ მათ პირადად გადასცა.

## უცნობი პუტინი




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის ქ. №4).

# კიბოთი დაავადების წინასწარი პროგნოზი — 250-ლარიანი გამოკვლევა თბილისში

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

შესაძლოა თუ არა, ადამიანი დაავადდეს ძუძუს კიბოთი? — ამის პროგნოზირება წინასწარ უკვე საქართველოშია შესაძლებელი. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ახალი სერვისი დანერგა, რომლის თანხმადაც სპეციალური კვლევების შედეგად დგინდება, არის თუ არა ალბათობა, რომ კიბოს გადაცემა მემკვიდრეობით მოხდეს.

ანუ, თუ პირის წინაპრები იყვნენ დაავადებული სიმსივნით, კვლევების შედეგად დადგინდება, მოხდება თუ არა კონკრეტულ მემკვიდრეზე ავადობის მემკვიდრეობითი გადაცემა. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ევროპულ ბიუროში აღნიშნული გამოკვლევა 250 ლარი ღირს და ცდომილების ალბათობა 1 პროცენტზე ნაკლებია.

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი

# მიხეილ სააკაშვილი: ამ დღეებში საქართველოს მოქალაქეობას თურქეთში მცხოვრები კიდევ 3000 თანამემამულე მიიღებს




**ამ დღეებში საქართველოს მოქალაქეობას თურქეთში მცხოვრები კიდევ 3000 თანამემამულე მიიღებს. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ადაფაზარის რაიონის ქალაქ საქარიასა და გოლჯუკის რაიონის სოფელი ნუსეთიეში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან შეხვედრისას განაცხადა.**

„რამდენიმე კვირის წინ ათასამდე ჩვენს თანამემამულეს გადავეცით საქართველოს მოქალაქეობა. ამ დღეებში კიდევ 3000 ჩვენს სისხლსა და ხორცს, ჩვენს თანამემამულეს გადაეცემა საქართველოს მოქალაქეობა. უახლოეს კვირებში კი დამატებით ათასობით ჩვენი თანამამულე, რომელიც საუბრობს ქართულად, თავს გრძნობს ქართველად, უყვარს საქართველო, უნდა, რომ საქართველოს რამეში დაეხმაროს, ყველა მიიღებს ჩვენგან მოქალაქეობას“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, ვიღაცებმა ისიც თქვეს, რომ „ჩვენ ხალხი არ გვაკლდა, ახლა კიდევ თურქებს მივცეთ მოქალაქეობაო“.

**„მოდით და გაეჯიბრეთ ამ „თურქებს“ ქართველობაში და პატრიოტიზმში. ათასობით თურქეთის მოქალაქე, ჩვენი სისხლი და ხორცი, ამ დღეებში ქართული სახელმწიფოსგან იღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთს. ეს არის ჩემი პრეზიდენტობის ბოლო კვირები, თუმცა, რა თქმა უნდა, ცხოვრება გრძელდება, მაგრამ მოქალაქეობის მიცემა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. შემდეგი ხუთი წელი, იმედია, იქნება პრეზიდენტი, რომელიც ამას გააგრძელებს, მაგრამ შეიძლება იყოს ისეთიც, რომელიც ამას შეეწინააღმდეგება. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებული პატივია ბოლო დღეები, ბოლო კვირები, რამდენი დროც მაქვს, ორივე ხელით ვაწერო, მარჯვენა და მარცხენა ხელით ბრძანებულებებს, რომ თქვენ მოგცეთ მოქალაქეობა“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

სიმაღლეში მომატება!




# დავით კეზერაშვილი პარიზში დააკავეს



**დავით კეზერაშვილი პარიზისა და თბილისის ინტერპოლის ბიუროების თანამშრომლობის შედეგად 14 ოქტომბერს დააკავეს. საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბრალად ედება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქრთამის აღება, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საბაჟო წესების დარღვევა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრება და უკანონო შემოსავლის მიღება.**

ამჟამად საფრანგეთის პროკურატურის მიერ დავით კეზერაშვილის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები. საქართველოს მთავარი პროკურატურა თავდაცვის ყოფილი მინისტრის — დავით კეზერაშვილის სამშობლოში ექსტრადიციას მოითხოვს. ქართულმა მხარემ ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება უკვე დაიწყო.

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009